

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
რომანული ფილოლოგია

ლოლიტა თაბუაშვილი

ფრანგული და ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგიური  
შედარება-შეპირისპირება

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი: ციური ახვლედიანი



თბილისი 2016

## სარჩევი

შესავალი -----	4
<b>თავი I. ფრაზეოლოგია, როგორც ლინგვისტური დისციპლინა და მისი ზოგადი დახასიათება</b>	
1.1 ფრაზეოლოგია თანამედროვე ფრანგულ ენათმეცნიერებაში და მისი კვლევის მეთოდები -----	8
1.2 ფრაზეოლოგიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა -----	15
1.3 ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურული კლასიფიკაცია	28
1.4 ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებები -----	33
დასკვნები -----	49
<b>თავი II. გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულების დახასიათება</b>	
2.1 ფრანგულ-ქართული გასტრონომიის მიმოხილვა-----	51
2.2 გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრანგული ფრაზეოლოგიზმების თემატური კლასიფიკაცია -----	67
2.3 გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტები ფრანგულ ენაში -----	89
2.4 გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების სტილისტური თავისებურებები ფრანგულ ენაში -----	96
დასკვნები -----	100
<b>თავი III. გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების ტიპოლოგიური კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში</b>	
3.1 გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტები ქართულ ენაში -----	103
3.2 გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების სტილისტური თავისებურებები ქართულ ენაში -----	111

3.3 კერძების აღმნიშვნელი დენოტატების ეტიმოლოგიური თავისებურება ფრანგულ და ქართულ ენებში -----	113
3.4 გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ქართული ფრაზეოლოგიზმების თემატური კლასიფიკაცია -----	120
3.5 გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი ფრანგულ და ქართულ ენებში -----	132
დასკვნები -----	144
ზოგადი დასკვნა -----	147
ბიბლიოგრაფია -----	151
დამხმარე ლიტერატურა -----	160
გამოყენებული ინტერნეტ რესურსები -----	161
დანართი -----	164

## შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ფრანგული და ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევას, მათ ტიპოლოგიურ შედარება-შეპირისპირებას იმ მიზნით, რომ დადგინდეს თუ რა მსგავსება და განსხვავებაა მათ ლექსიკურ-სემანტიკურ და სტილისტურ მნიშვნელობებს შორის.

თემის აქტუალურობა – წარმოდგენილი დისერტაცია პირველი ნაშრომია, რომელშიც მოცემულია ფრანგული და ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგიური შედარება-შეპირისპირება.

უამრავი ნაშრომი მიეძღვნა ფრაზეოლოგიზმების კვლევას, მაგრამ დღემდე არ შეუქმნიათ ისეთი ნაშრომი, რომელიც შეისწავლიდა ქართულ გასტრონომიულ ფრაზეოლოგიზმებს, მით უმეტეს ლექსიკურ-სემანტიკური და სტილისტური კუთხით.

რა თქმა უნდა, არსებობს ნაშრომები, სადაც განიხილავენ ფრაზეოლოგიზმებს სუბსტანციურ, ზოონიმთა, ანდაზების და ა. შ. კუთხით, მაგრამ დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების თეორიულ გააზრებას, აგრეთვე ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმების წარმოშობის წყაროს, რაც ჩვენს ნაშრომში მნიშვნელოვანია და საკმაოდ ვრცელადაა განხილული. როგორც ა. ნაზარიანი აღნიშნავს ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულების დიდი უმრავლესობა ეროვნულ საფუძველზე წარმოიშვა. მათი წამოშობის წყარო საკმაოდ განხვავებულია. ისინი შემოდიან სხვადასხვა დროს. ფრანგული ფრაზეოლოგიზმების ნიმუშები აღებულია საკმაოდ განსხვავებული მატერიალურ-კულტურული და ხალხის ცხოვრების საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრებიდან. ფრაზეოლოგიზმებში ასახულია მათი ისტორია, ეოფა-ცხოვრება და კულტურა, მათი სული და აზროვნების სურათი. ფრაზეოლოგიზმები ფრანგი ხალხის სულიერი ფასეულობის სინთეზია, ისინი ქმნიან წარსულის ნამდვილ სურათს, ხსნიან მათ ხასიათს, გვაცნობენ თავიანთ ადათ-წესებსა და ეროვნულ ხასიათს (ნაზარიანი 1976:263).

ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ეტიმოლოგიისა და სემასიოლოგიის შესწავლას. რ. ბუდაგოვი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მართალია ეტიმოლოგიურ კვლევებს სხვადასხვა მიზანი გააჩნია, ისინი ურთიერთდამოკიდებულია და ხშირად ერთმანეთს ავსებენ“ (ბუდაგოვი 1963:21).

ამ თემის აქტუალობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ დღემდე არ მომხდარა ფრანგული და ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების კვლევით არც უცხოელი ლინგვისტების დაინტერესება არ იგრძნობა.

სადისერტაციო ნაშრომის მიზნები, შედეგები და სამეცნიერო სიახლე –

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს ფრანგული და ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგიურ შედარება-შეპირისპირებას. მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

1. შევისწავლეთ ფრაზეოლოგიური ერთეულების ისტორიული წარმოშობის პირობები, რაც განსხვავებული მიდგომების, სამეცნიერო თეორიების ჩამოყალიბებას და ანალიზს გულისხმობს;
2. მოვახდინეთ ფრანგული და ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების თემატური კლასიფიკაცია არსებული მასალების საფუძველზე;
3. გამოვავლინეთ შესადარებელი ენების გასტრონომიული ერთეულების ლინგვისტურ-სემანტიკური და სტილისტური თავისებურებები;
4. ჩავატარეთ ფრანგულ-ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგიური შედარება-შეპირისპირება;
5. გამოვავლინეთ ფრანგული და ქართული კერძების აღმნიშვნელი დენოტატების ეტიმოლოგიური თავისებურებები;
6. პირველად ქართულ სამეცნიერო სივრცეში ერთმანეთს შევუპირისპირეთ ფრანგული და ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიური ერთეულები.
7. შევისწავლეთ ფრანგული და ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიური ერთეულების ეტიმოლოგია და შევუპირისპირეთ ერთმანეთს.

მეცნიერული სიახლე. წინამდებარე დისერტაციის მეცნიერული სიახლე განისაზღვრება, პირველ რიგში, ნაშრომის თემით, რამდენადაც გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგიური კვლევა არც ქართულში და არც ფრანგულში არ გამხდარა ვრცელი კვლევის საგანი. სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების გარდა, ასევე გამოვიკვლიეთ ფრანგულ-ქართული კერძების აღმნიშვნელი დენოტატები ეტიმოლოგიური თვალსაზრისით.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ფრანგულ-ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიური ერთეულების ტიპოლოგიური

შედარების საფუძველზე გამოვლენილი მსგავსებები და განსხვავებები საიტერესო მასალა იქნება ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის თეორიული კურსის სწავლებისას.

პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევების შედეგად მიღებული შედეგების გამოყენებით. ფრაზეოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ტიპოლოგიის, სწავლების მეთოდისა და პრაქტიკული კურსების სწავლებისას; ასევე ფრაზეოლოგიური ლექსიკონების შედგენის დროს. ნაშრომის საკვლევი მასალა. ჩვენ განვიხილეთ 1000 ფრანგული და 400 ქართული (სულ 1400-მდე ერთეული) გასტრონომიული სემანტიკის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეული, რომლებიც აღებულია სხვადასხვა ორენოვანი ფრანგულ-ქართული და ფრანგულ-რუსული ლექსიკონებიდან: ც. ბიბილეიშვილი, ლ. დარაშვილი და რ. გაჩავა, „ფრანგულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“; „Гак В., Рецкер Я., Французско-русский фразеологический словарь“; თ. სახოკია, „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, ტომი I, II, III, ასევე ინტერნეტ-წყაროებიდან.

ნაშრომის სრუქტურა. დისერტაცია შედგება 150 გვერდისაგან. მისი ძირითადი ნაწილებია: შესავალი, სამი თავი, (თავი I - „ფრაზეოლოგია როგორც ლინგვისტური დისციპლინა და მისი ზოგადი დახასიათება;“ თავი II- „გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულების დახასიათება;“ თავი III - „გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების ტიპოლოგიური კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში“), დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურის სია, რომელიც 190 ერთეულითაა წარმოდგენილი და დანართი.

შესავალში წარმოდგენილია განსახილველი საკითხის, მისი აქტუალობის და კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგიის თეორიული დასაბუთება.

პირველ თავში განხილულია ფრაზეოლოგია, როგორც ლინგვისტური დისციპლინა და მისი ზოგადი დახასიათება. მოცემულია ვრცელი თეორიული მიმოხილვა. განვიხილეთ იმ მეცნიერთა ნაშრომები, რომლებმაც თავიანთი კვალი დაამჩნიეს ფრაზეოლოგიას როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებას. ასევე შევეცადეთ გამოგვევლინა როგორც თანამედროვე ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერთა წვლილი ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევაში. ასევე მივუთითეთ ის მეთოდები, რომლებიც გამოვიყენეთ ფრაზეოლოგიზმების

შესწავლისას. მიმოვიხილეთ ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაცია გრამატიკული და სემანტიკური კუთხით.

მეორე თავი დაეთმო გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულების დახასიათებას. მოვახდინეთ ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულების თემატური კლასიფიკაცია. თემატური კლასიფიკაცია ქვეჯგუფებად დავყავით. გამოვაკლინეთ ფრანგული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების ლექსიკურ-სემანტიკური აპექტები და ასევე სტილისტური თავისებურებები.

მესამე თავში გამოვაკლინეთ ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტები. გავაკეთეთ ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების თემატური კლასიფიკაცია. მოვახდინეთ ფრანგული და ქართული კერძების აღმნიშვნელი დენოტატების ეტიმოლოგიური თავისებურებების კვლევა. ჩავატარეთ გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების ტიპოლოგიური შედარებით-შეპირისპირებითი კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში.

დასკვნით ნაწილში წამოდგენილია კვლევის შედეგები. დანართში წარმოდგენილია ვრცელი და საინტერესო სალექსიკონო მასალა.

# თავი 1. ფრაზეოლოგია, როგორც ლინგვისტური დისციპლინა და მისი ზოგადი დახასიათება

## 1.1 ფრაზეოლოგია თანამედროვე ფრანგულ ენათმეცნიერებაში და მისი კვლევის მეთოდები

ფრაზების აგება ენაში ლექსემათა და სიტყვაფორმათა კომბინირებისა და შერჩევის ზოგადი კანონზომიერებების – მათ შორის სემანტიკური წესების – მიხედვით ხდება; მაგრამ ზოგადი სემანტიკური წესებით ზოგიერთი ფრაზის მნიშვნელობა მასში შემავალ ლექსემათა მნიშვნელობებზე (მათ სალექსიკონო განმარტებებზე) არ დაიყვანება. ასეთი ფრაზების კომპონენტებს შორის მჭიდრო კავშირია. ამიტომ მათ მყარ შესიტყვებებს ანუ ფრაზეოლოგიზმებს (ფრაზემებს, ლექსიკალიზებულ შესიტყვებებს, ფრაზეოლოგიურ ერთეულებს) უწოდებენ – თავისუფალი შესიტყვებების საპირისპიროდ. მყარი შესიტყვებებისათვის ნიშანდობლივია სტრუქტურული, ლექსიკური, სემანტიკური, აგრეთვე გამოყენების სტაბილურობა. ისინი ლექსიკონებში უმეტესწილად სახელდების “მზა” ერთეულების სახით არის შეტანილი (გამყრელიძე 2008:374).

მყარ შესიტყვებათა ერთობლიობას ფრაზეოლოგია (ბერძნ. *phrasis* „გამონათქვამი“, *logos* „სიტყვა“ მოძღვრება) ეწოდება. ამავე ტერმინით აღინიშნება ის დარგი, რომელიც ენის ფრაზეოლოგიურ შედგენილობას შეისწავლის.

ფრაზეოლოგიის აღმნიშველად ერთმანეთის გვერდით იხმარება სხვადასხვა ტერმინი: ფრაზეოლოგიური ერთეული, ასევე ფრაზეოლოგიური გამოთქმა, საქცევი, კლიშე, შტამპი, შენაზარდი [...], მთლიანობა, შესიტყვება (ფართო და ვიწრო გაგებით); გარდა ამისა, მყარი გამოთქმა, დაუშლელი შესიტყვება, ლექსიკური ერთეული, სტერეოტიპული გამოთქმა; იდიომი – მეტაფორული, ხატოვანი, გაქვავებული და სხვ. (თაყაიშვილი 1961:13).

ზოგიერთმა ავტორმა გაითვალისწინა ფრაზეოლოგიზმების ექსპრესიულ-ემოციური მომენტები და იგი სტილისტიკის საგნად გამოაცხადა. ზოგიერთ მეცნიერს კი იგი ლიტერატურათმცოდნეობაში შეჰქონდა. სხვა ენათმეცნიერებმა ამ საკითხს სხვა კუთხით შეხედეს. მათი ყურადღება მიიქცია ფრაზეოლოგიზმის სემანტიკამ. მართალია, იგი ფორმით შესიტყვება იყო, მაგრამ მნიშვნელობით სიტყვას უტოლდებოდა, მის ეკვივალენტად გამოდიოდა. ამიტომ დადგა მისი



ლექსიკოლოგიაში შეტანის საკითხი (ვ. ვინოგრადოვი) (თაყაიშვილი 1961:127). ზოგიერთი მეცნიერის აზრით ფრაზეოლოგია ცალკე დარგად უნდა ჩამოყალიბდეს (ბ. ლარინი). რა თქმა უნდა, დღესდღეობით გარკვეულია, რომ ფრაზეოლოგიზმის ადგილი ლინგვისტიკაშია.

ფრაზეოლოგიზმი როგორც ლინგვისტური დისციპლინა, XX საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა და დაკავშირებულია ფრანგი წარმოშობის შვეიცარიელი ენათმეცნიერის Charles Bally - შარლ ბალის<sup>1</sup> სახელთან. ფრაზეოლოგიური წყობა ადრევე იქცეოდა მეცნიერების ყურადღებას. მაშინ, ეს ჯგუფები მხოლოდ სინტაქსის, ლექსიკოლოგიის ან სემანტიკის პრობლემებთან კავშირში განიხილებოდა. შ. ბალის უდიდესი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ მან პირველმა ენათმეცნიერების ისტორიაში, ისტორიულად დაასაბუთა ენაში მყარ სიტყვათა წყობის სპეციალური და სისტემატიური შესწავლის აუცილებლობა. ამასთანავე, გვიჩვენა მსგავსი კვლევის მაგალითები თავის ადრეულ ნაშრომებში „Précis de stylistique“ (Genève 1905) და „Traité de stylistique française“ (Heidelberg 1909), რომლებშიც მისი ფრაზეოლოგიური კონცეფციაა გადმოცემული.

ამ ნაშრომებში შ. ბალიმ წინა პლანზე წამოწია ისეთი საკითხები, რომლებიც ფრაზეოლოგიის პრინციპულ მნიშვნელობასთანაა დაკავშირებული. მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რომელიც მის მეთოდებს მოჰყვა, ეს საკითხები დღემდე აქტუალურია.

შ. ბალის მიერ წინა პლანზე წამოწეული საკითხები დღემდე აღელვებს ენათმეცნიერებს და მათი კვლევის საგანს წარმოადგენს. ფრაზეოლოგიის და განსაკუთრებით ფრანგული ენის ფრაზეოლოგიის ისტორიაში, არ არსებობს კვლევა, რომელიც არ მოქცეულიყო მისი იდეის გავლენის ქვეშ.

შ. ბალი ფრაზეოლოგიურ კონსტრუქციებს განიხილავდა, როგორც მყარ სიტყვათწყობას კომპონენტების სხვადასხვაგვარი შერწყმით. იგი განასხვავებდა ამ კონსტრუქციების შიდა და გარეგნულ თვისებებს. თუმცა პირველ რიგში გულისხმობდა მათ სტრუქტურულ თავისებურებებს, ხოლო მეორეში კი - სემანტიკურს. მკვლევარი მკაფიო ზღვარს ავლებდა გამოთქმის ფორმალური ნიშნების თავისებურებებს და იმ კავშირს შორის, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ფორმას და აზრს, იქიდან გამომდინარე, თუ როგორ მოხდებოდა მოსაუბრეების მიერ გამოთქმის აღქმა“ (ბალი 1961:98).

---

<sup>1</sup>შარლ ბალი (1865-1947) შვეიცარიელი ლინგვისტი, ფერდინანდ დე სოსიურის მოწაფე იყო.

ფრაზეოლოგიზმების არსებით თვისებად შ. ბალის უშუალოდ სემანტიკური თვისებები მიაჩნდა. ის არც თუ ისე ორაზროვნად ამტკიცებდა, რომ ნამდვილი ფრაზეოლოგია მხოლოდ შინაგან თვისებებს გააჩნია, ხოლო გარე თვისებები ნაკლებად მართებული, ან მცდარია.

აქედან გამომდინარე, შ. ბალი თვლიდა, რომ ფრაზეოლოგიური ობიექტის არსი მის სემანტიკურ თავისებურებებშია. ეს ფაქტი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ შეეცარიელი მეცნიერი სინქრონული ლინგვისტიკისა და ფერდინანდ დე სოსიურის იდეებს იზიარებდა. შესაძლებელია, რომ შ. ბალი კატეგორიული იყო თავის დასკვნების მიმართ ფრაზეოლოგიური ერთეულების თვისებების შესახებ, იმიტომ, რომ სტრუქტურული თვისებებიც მთავარია და შესწავლას იმსახურებს. როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, მისი პირველადი კვლევები ამ საკითხთან დაკავშირებით ნამდვილად სწორია.

შ. ბალიმ საკითხი სწორად დასვა, თუმცა თავისი გადაწყვეტილება ლოგიკურ დასკვნამდე ვერ მიიყვანა, რაც ფრაზეოლოგიზმებზე მის განსხვავებულ შეხედულებაში აისახება. ფრაზეოლოგიზმის ძირითად აზრობრივ თვისებად მან მათი მნიშვნელობის მთლიანობა წამოაყენა, რომელიც მისი აზრით, მთელი გამონათქვამის ერთი სიტყვით გამოხატვაში მდგომარეობს. ამრიგად, სიტყვათ წყობის ერთ მარტივ სიტყვასთან თანაფარდობა აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმისათვის, რომ ეს სიტყვათწყობა ფრაზეოლოგიზმად ჩაითვალოს. ამით მეცნიერის პოზიციები შესუსტდა, რადგან კვლევებმა გვიჩვენა, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულის ერთი სიტყვით შეცვლა, უმეტეს შემთხვევაში არა თუ რთული, შეუძლებელიცაა (ნაზარიანი 1976:18).

„ეს მეთოდი, წერდა შ. ბალი არ არის სრულყოფილი, რადგან ის ვერ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ზუსტად განისაზღვროს გამოთქმის მტკიცე კავშირის ხარისხი“ (ბალი 1961:100). მეთოდის ძირითად ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მას ფაქტობრივად მიყვავართ არა სემანტიკურ კრიტერიუმებამდე, რომლის დროსაც განსხვავება ხდება ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და მყარ არაფრაზეოლოგიურ სიტყვათშეერთებებს შორის. ამ მეთოდის თანახმად ბევრი ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელთაც არ გააჩნიათ თანასწორი ელემენტები ერთი სიტყვის სახით, ამოღებული უნდა იყოს ფრაზეოლოგიზმებიდან, მაშინ როდესაც არაფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება ჩართული იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი შეცვლა ერთი სიტყვითაა შესაძლებელი.

შ. ბალი გამოყოფს ფრაზეოლოგიზმების ორ ჯგუფს: ფრაზეოლოგიური რიგები (*séries phraséologiques*) და ფრაზეოლოგიური ერთიანობები (*unités phraséologiques*), მაგრამ ისინი სემანტიკურ დამოკიდებულებაში ეკვივალენტურია. ზუსტად რომ ვთქვათ, სემანტიკური თვისება დამახასიათებელია მხოლოდ მეორე ჯგუფისთვის. რაც შეეხება ფრაზეოლოგიურ რიგებს, ეს ჩვეულებრივი ლექსიკურად მყარი სიტყვათაწყობაა, რომელთა კომპონენტებიც შეზღუდული „ვალენტობით“ გამოირჩევა... თვითონ შ. ბალი ფრაზეოლოგიურ რიგებს ახასიათებდა, როგორც სიტყვათაწყობას, რომელთა ელემენტებიც დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, რომლებიც მეტყველებაში მათი წარმოქმნისთანავე ნაწილდება (ბალი 1961:89).

საბოლოოდ, შ. ბალის კვლევის მეთოდიკის ნაკლად შეიძლება ფრაზეოლოგიური ერთეულების ისტორიულ-სემანტიკური ხასიათის სრული იგნორირება ჩაითვალოს. შ. ბალი საკუთარი კვლევებისა და პრინციპების ერთგული დარჩა და ფრაზეოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის დროს მან ვერ დაინახა ის აქტიური პროცესები, რაც ფრაზეოლოგიზმების განვითარებას ახასიათებს.

ამასთანავე, ამ პროცესების დინამიკურობის შესწავლამ შ. ბალის საშუალება მისცა ჩაწვდომოდა ფრაზეოლოგიზმის არსს, რომელიც მისთვის ბოლომდე ამოუხსნელი დარჩა. ყოველივე ამის მიუხედავად, დღესდღეობით შ. ბალის ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური ნიშნები სტრუქტურულზე მნიშვნელოვანია.

ცნობილი ფრანგული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის ავტორი მორის რა (Maurice Rat), სხვა ლექსიკონების ავტორების მსგავსად, ფრაზეოლოგიურ ერთეულს განსაზღვრავს, როგორც გამოთქმას, ლაპარაკის მანერას (*expression, façon de parler*) (რა 1957:6). მორის რას ლექსიკონში ისეთი გამონათქვამები გვხვდება, სადაც მათი ფრაზეოლოგიური ხასიათი სადავოა, რაც ფრაზეოლოგიური ერთეულის გაგებას ეწინააღმდეგება (ნაზარიანი 1976:20).

ჟ. მარუზო თავის ლინგვისტური ტერმინების ლექსიკონში *locution*-ს ფართო გაგებით, როგორც გამოთქმის სინონიმს ისე განსაზღვრავს, ხოლო ვიწრო გაგებით, როგორც „რამდენიმე სიტყვის მთლიანობას, რომელიც ლექსიკურ ერთეულს წარმოქმნის“ (მარუზო 1960:180).

უფრო დაწვრილებით ცნობებს ფრაზეოლოგიურ ერთეულის არსის, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულის ობიექტის შესახებ, პიერ გიროს (Pierre Guiraud) ნაშრომებში ვხვდებით.

პ. გირო ფრაზეოლოგიურ ერთეულს განსაზღვრავს, როგორც „გამოთქმას, რომელიც რამდენიმე სიტყვის კავშირისგან შედგება და ქმნის სინტაქსურ და ლექსიკურ ერთანობას, „*expression constituée par l'union de plusieurs mots formant une unité syntaxique et lexicologique*“ (გირო 1961:5).

ფრაზეოლოგიური ერთეულების დამახასიათებელ თვისებად იგი მიიჩნევს:

- ა. ფორმისა და მნიშვნელობის ერთიანობას (*unité de forme et de sens*);
- ბ. გრამატიკული ან ლექსიკური ნორმებიდან გადახვევას (*écart de la norme grammaticale ou lexicale*);
- გ. განსაკუთრებულ მეტაფორულ მნიშვნელობას (*valeurs métaphoriques particulières*) (ნაზარიანი 1976:21).

მიუხედავად იმისა, რომ პ. გიროს მიერ ფრაზეოლოგიური ერთეულის განსაზღვრება სხვებთან შედარებით უფრო სრულყოფილია, ბოლომდე მაინც ვერ ხსნის მის ნამდვილ არსს, რადგან მის მიერ აღნიშნული თვისებები არც ზოგადად და არც ცალ-ცალკე ამ ერთეულს არ ახასიათებს.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს პ. გიროს მიერ აღნიშნული მეორე თვისება „გრამატიკული და ლექსიკური ნორმებიდან გადახრა.“ სინამდვილეში ფრაზეოლოგიური ერთეულები, ენის ლექსიკურ-გრამატიკული სისტემების თვალსაზრისით, იშვიათი წარმონაქმნია.

მათ კომპონენტებს შორის კავშირი თანამედროვე ფრანგულ ენაში არ შეესაბამება ლექსიკო-სემანტიკური სიტყვების შერწყმას, თუმცა ამ ურთიერთობების ხასიათის განსაზღვრა აუცილებელი პირობაა ფრაზეოლოგიური ერთეულის არსის გარკვევისთვის. გრამატიკული და ლექსიკური ნორმებიდან გადახრაში პ. გირო გულისხმობს არქაიზმებისა და მარგინალური კონსტრუქციების გამოყენებას. იგი წერს: „*Presque toutes les locutions reposent ainsi sur des mots ou des constructions soit archaïques, soit marginales*“ (გირო 1961: 6).

ფრაზეოლოგიური ერთეულების ასეთ ვიწრო განსაზღვრას, რომელიც ლექსიკო-გრამატიკული ნორმიდან გადახრას გულისხმობს, რა თქმა უნდა არ შეუძლია ამ ერთეულის სპეციფიკური ხასიათის ამოცანის ამოხსნა, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ყველა სიტყვათა წყობის ფრაზეოლოგიზმებად

ჩათვლა, რომლის შემადგენლობაში შეიძლება იყოს არქაიზმები, ნამდვილად სადავოა.

მ. მიხელსონის წიგნში „ფრაზეოლოგია“ სამი გაგებითაა წარმოდგენილი, სახელდობრ:

- 1) ზოგადი გაგებით-მეცნიერება ან მეცნიერული დისციპლინა მეტყველების შესახებ;
- 2) ვიწრო გაგებით - მწერლის ენის განმსაზღვრელი ხერხებისა და მეთოდების თავმოყრა;
- 3) ფართო გაგებით - ცალკეული ენის მეტყველების ხერხების, მეთოდების და კანონიერების თავმოყრა (მიხელსონი 1921:4).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფრაზეოლოგიზმის თეორიული პრობლემები, მათ შორის ისინი, რომლებიც ბალიმ წამოჭრა, არ იქცა ფრანგი ლინგვისტების სპეციალური კვლევის ობიექტად. თანამედროვე ფრაზეოლოგიის ფუძემდებლის წამოწყებული საქმე გააგრძელეს რუსმა მეცნიერებმა.

ა. ნაზარიანის აზრით, ფრაზეოლოგიზმის, ისევე როგორც ენისთვის ძირითად დამახასიათებელ თვისებად, შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ იგი მუდმივ ცვლილებას განიცდის. განვითარების დინამიკა იგრძნობა არა მარტო დიაქრონიულ მეთოდში, არამედ სინქრონიულშიც. აქედან გამომდინარე, ფრაზეოლოგიის შესწავლისას ისეთი მეთოდები უნდა გამოვიყენოთ, რომლებიც მის დინამიკურ ბუნებას შეესაბამება (ნაზარიანი 1976:32).

შესაძლებელია თუ არა ფრაზეოლოგიის შესწავლა მხოლოდ სინქრონიული (სტატიკური) მეთოდით, როგორც ამას თანამედროვე მკვლევარები აკეთებენ?

ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითი იქნება. საქმე კი ისაა, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულების დინამიკურ ბუნებას აქტიური ლინგვისტიკური პროცესები ახასიათებს, კერძოდ, სემანტიკური, რომლებიც მისი ისტორიის ყველა ეტაპზე მიმდინარეობს, განსაზღვრავს რა ამ ერთეულების არსებობის, განვითარებისა და ფუნქციონირების პირობებს. ფრაზეოლოგიის თეორიის საფუძვლების შესწავლისთვის მნიშვნელოვანია ამ მიზეზებისა და პროცესების კანონზომიერების დადგენა. თუმცა ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ სინქრონიული მეთოდით შეუძლებელია, ვინაიდან, ეს მეთოდი ენობრივ მოვლენებს მხოლოდ განიხილავს და არ ხსნის (ნაზარიანი 1976:33).

თუ ზოგიერთი დისციპლინის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ სუფთა სინქრონიული მეთოდით (სტატისტიკური), მაშინ ასეთი მეთოდი სრულიად შეუსაბამოა ფრაზეოლოგიისთვის, ვინაიდან შეუძლებელია ფრაზეოლოგიური ერთეულის იმის გარეშე შესწავლა, თუ რამ შეუწყო ხელი ამ ერთეულების ფორმირებას და განვითარებას (ნაზარიანი 1976:32).

ფრაზეოლოგიური ერთეულების სპეციფიკა ისეთია, რომ სინქრონიული კუთხით თვით ამ ერთეულების შესწავლა შეუძლებელია (მაგალითად, მათი სტრუქტურულ-გრამატიკული თავისებურებების კვლევისას), მაინც ყოველთვის გვაქვს მისი გენეტიკური წყარო, თავისუფალი ან ლექსიკურად მყარი სიტყვათშეერთება, რომელთა უარყოფაც შეუძლებელია. ფრაზეოლოგიური ერთეულისთვის ეს შესიტყვება მის წარსულ მდგომარეობას, ისტორიას წარმოადგენს. ამიტომაცაა, რომ ნებისმიერი ფრაზეოლოგიური ერთეულის შესწავლა მის თავისუფალ სინტაქსურ ვარიანტთან შეგნებულ ან ირიბ შეპირისპირებას ეფუძნება.

ფრაზეოლოგიური ერთეულის კავშირი მის გენეტიკურ წყაროსთან უფრო მეტად მუდგანდება მაშინ, როდესაც მისი ერთეულების სემანტიკური თავისებურებების შესწავლა ხდება, რომ არაფერი ვთქვათ ფრაზეოლოგიის დარგში ეტიმოლოგიურ კვლევებზე (ნაზარიანი 1976:32).

სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერებს ერთი აზრი არ გააჩნიათ. საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ თვით ფრაზეოლოგიის თეორიის ფუძემდებელი შ. ბალი არამც თუ უარყოფდა ფრაზეოლოგიური მოვლენების მიმართ ისტორიულ მიდგომას, არამედ მიიჩნევდა, რომ ის საზიანო იქნებოდა ლინგვისტიკის ამ დისციპლინის კვლევისთვის.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სინქრონიის ცალმხრივ გაგებას, რომელზეც რ. ბუდაგოვი თავის ნაშრომში „შეპირისპირებითი-სემასიოლოგიური კვლევები“ წერს, ზოგიერთი თანამედროვე ენათმეცნიერი არ უარყოფს, ფრაზეოლოგიის შესწავლას ცდილობს მხოლოდ სტატიკური და ფორმალური მეთოდების დახმარებით. თუმცა ფაქტებით დასტურდება, რომ ყველანაირი მცდელობა, რომ ფრაზეოლოგიის პრობლემა იმ მეთოდების გადაწყვეტით გადაჭრან, რომლებიც ფრაზეოლოგიური ერთეულების ბუნებას ეწინააღმდეგება, მარცხით მთავრდება.

ფრაზეოლოგია რთული და მრავალასპექტური დისციპლინაა, იმისთვის რომ მხოლოდ ერთი მეთოდით იქნეს შესწავლილი. ამ მიზნისთვის გამოყენებული უნდა იქნეს სხვადასხვა მეთოდი; საკვლევი ასპექტიდან გამომდინარე ესა თუ ის

მეთოდი მისაღებია. ა. ნაზარიანის აზრით, განსხვავებული მეთოდების მიუხედავად, ისინი დაფუძნებული უნდა იყოს შემდეგ პრინციპებზე, რაც გულისხმობს:

- ა. ფრაზეოლოგიურ მოვლენებისადმი ისტორიულ მიდგომას;
- ბ. ფრაზეოლოგიის განვითარების დინამიკის გათვალისწინებას როგორც დიაქრონიაში, ასევე სინქრონიაში;
- გ. შესასწავლი ფრაზეოლოგიური მოვლენების ყოველმხრივ ანალიზს; მათი მრავალფეროვნებისა და წინააღმდეგობების განხილვას;
- დ. შესასწავლი ენის სპეციფიკის, განსაკუთრებით კი მისი ფრაზეოლოგიური სისტემის თვისებების გათვალისწინებას (ნაზარიანი 1976:36).

## 1.2 ფრაზეოლოგიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

რუსეთში XX საუკუნის შუა წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ მოვლენას, რომ არსებობს ე. წ. მყარი შესიტყვებები, რომლებიც განსაკუთრებული მხატვრობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა. ფრაზეოლოგიის, როგორც ცალკე ლინგვისტური დისციპლინის შექმნას, უნდა ვუმაღლოდეთ რუსულ ენათმეცნიერებას და, განსაკუთრებით ა. პოტბნიას, ა. შახმატოვის, ფ. ფორტუნატოვისა და სხვათა შრომებს. ევროპულ და ამერიკულ ენათმეცნიერებაში აღნიშნული დარგის ჩამოყალიბება მოგვიანებით მოხდა და ფრაზეოლოგიაც მანამდე არ განიხილებოდა, როგორც ცალკე დისციპლინა. ფრაზეოლოგიის საფუძვლიანი შესწავლა ვ. ვინოგრადოვის შრომებით იწყება (ვინოგრადოვი, 1977), რომელმაც ფერდინანდ დე სოსიურის მოსწავლეების, „შვეიცარიული სკოლის“ წარმომადგენლების Albert Sechehaye-აღბერ სეშესა<sup>2</sup> და შარლ ბალის მოსაზრებები ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა შესახებ გაიზიარა.

---

<sup>2</sup>აღბერ სეშე (1870-1946) შვეიცარიელი ლინგვისტი. შვეიცარიული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ფერდინანდ დე სოსიურის მოსწავლე იყო.

მან შექლო ფრაზეოლოგიის თეორიული ბაზისის გავრცობა. მის შრომებში, ფაქტობრივად, ფრაზეოლოგიის ძირითადი ამოცანები და კვლევის პრინციპები ჩამოყალიბდა. რეალურად მის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად ფრაზეოლოგიური ერთეულების სამი ტიპის ცნება დამკვიდრდა, ესენია: ფრაზეოლოგიური შენაზარდები, მთლიანობები და შესიტყვებები (фразеологические сращения, единство и сочетание); აღნიშნული ფორმები შეფასდა სემანტიკური ერთიანობისა და შიდა ფორმის არსებობის თვალსაზრისით (თაყაიშვილი 1961:15).

ვ. ვინოგრადოვის აზრით, მთავარია ის, რომ გამოთქმა სემანტიკურად დაუშლელია. ფრაზეოლოგიური ერთეულები ენის ისეთი ერთეულებია, რომელთა საერთო მნიშვნელობა მათი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობიდან არ გამომდინარეობს. ვ. ვინოგრადოვი შენაზარდს სემანტიკურ მთლიანობად, სიტყვის ტოლფას ერთეულად აღიარებს. მას შინაგანი ფორმა აქვს დაკარგული, მათ ვ. ვინოგრადოვი თანამედროვე ენის თვალსაზრისით ამორფული ლექსიკური ნაწილების ქიმიურ ნაერთს უწოდებს. აღსანიშნავია, რომ ვ. ვინოგრადოვს მხოლოდ ეს მყარი გამოთქმები მიაჩნია იდიომად (თაყაიშვილი 1961:16).

ავტორის აზრით, იდიომებთან (ფრაზეოლოგიურ შენაზარდებთან) ახლოს დგას ხატოვანი გამოთქმების მეორე დიდი ჯგუფი, რომლებსაც იგი ფრაზეოლოგიურ მთლიანობებს უწოდებს. „თუ მჭიდრო ფრაზეოლოგიურ ჯგუფში შენარჩუნებულია კომპონენტების გამოყოფის თუნდაც სუსტი ნიშნები, თუ გვაქვს თუნდაც მცირე მინიშნება საერთო მნიშვნელობის მოტივაციაზე, ფრაზეოლოგიურ შენაზარდზე ლაპარაკი უკვე აღარ შეიძლება“. (მაგალითად, *ტუნებზე დედის რძე არ შემრობია...* აქ ზოგადი მნიშვნელობა დაკავშირებულია კომპონენტების პირდაპირ მნიშვნელობათა, მათ „პოტენციურ აზრთან“ აღქმასთან.

ამ ჯგუფის ძირითადი მასისთვის ხატოვანებაა დამახასიათებელი (ვინოგრადოვი, ციტირებულია თაყაიშვილის მიერ 1961:16).

ვ. ვინოგრადოვის კლასიფიკაცია ძირითადად სემანტიკურ პრინციპს ეყრდნობა. აქ წინაა წამოწეული მნიშვნელობითი მხარე, მთელის მნიშვნელობის დამოკიდებულება კომპონენტების მნიშვნელობასთან, რაც საგსებით გამართლებული ჩანს ფრაზეოლოგიზმების მიმართ.



დღევანდელი თვალთახედვით, ვ. ვინოგრადოვის თეორია ფრაზეოლოგიური ერთეულების შესახებ სრულყოფილად ვერ ჩაითვლება. თუმცა უნდა ითქვას, რომ მისმა თეორიამ შემდგომში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა.

ა. ნაზარიანი ფრაზეოლოგიური ერთეულების ორ ჯგუფს გამოყოფს: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ფრაზეოლოგიური ერთეული წინადადების ფუნქციით, კომუნიკაციური ფუნქციით [...] მეორე ჯგუფს ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთაც აღნიშნული ფუნქცია არ გააჩნიათ (ნაზარიანი 1962:62).

ა. კუნინი ფრაზეოლოგიზმების 4 ჯგუფს გამოყოფს:

- 1) ნომინაციური ფრაზეოლოგიური ერთეულები;
- 2) ნომინაციურ-კომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულები;
- 3) ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც არც ნომინაციურია და არც კომუნიკაციური;
- 4) კომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულები (კუნინი 1953: 312/313).

ი. ჩერნიშევა კი 3 ჯგუფს გამოყოფს:

- 1) ფრაზეოლოგიური მთლიანობა;
- 2) ფრაზეოლოგიური გამონათქვამები;
- 3) ფრაზეოლოგიური შეერთებანი (ჩერნიშევა 1970: 199).

ა. თაყაიშვილი გვთავაზობს ფრაზეოლოგიური შენაზარდებისა და ფრაზეოლოგიური მთლიანობის გაერთიანებას: „სამართლიანია მოთხოვნა გაერთიანდეს მყარი შესიტყვების ეს ორი ტიპი და მათ იდიომი ეწოდოს.“<sup>3</sup>

(თაყაიშვილი 1961 :10/20). მეცნიერი აღნიშნავს, რომ თვით ვინოგრადოვიც ვერ ხედავს მათ შორის დიდ სხვაობასა და მთლიანობაში საქმე გვაქვს არა სხვადასხვა მოვლენასთან, არამედ ერთი მოვლენის სხვადასხვა საფეხურთან. როგორც ვხედავთ შენაზარდებისა და მთლიანობის დაცალკეეებას ხელოვნური ხასიათი აქვს.

რეალურად ქართული ფრაზეოლოგიის საფუძვლიანი შესწავლა მას შემდეგ დაიწყო, რაც გამოიცა თედო სახოკიას ნაშრომი „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, I(1950); II (1954); II (1955). მასალა 7000 ერთეულის რაოდენობით აღებულია კლასიკოსთა თხზულებებიდან და ასევე დიალექტებიდან და სასაუბრო ენიდან. როგორც სათაურიდან ჩანს, წიგნი არ წარმოადგენს წმინდა

---

<sup>3</sup>ტერმინი „ფრაზეოლოგიზმი“ და „იდიომი“ თავიანთი შინაარსით ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან. ამასთან, ფრაზეოლოგიზმის ცნება იდიომთან შედარებით უფრო ფართოა, პირველი მოიცავს მეორეს.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კრებულს. მასში უხვადაა შესული გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვები და კომპოზიტები. პირველ ტომში მოცემულია შოთა ძიძიგურის შესავალი სიტყვა (სახოკია 1950), სადაც იგი იდიომის ცნებას შემდეგნაირად განმარტავს: ისეთი სიტყვა-თქმები, რომელთაც დაკარგული აქვთ თავდაპირველი მნიშვნელობა და ჩვენი ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, სხვა განზოგადებული მნიშვნელობა მიუღიათ, იდიომატურ თქმებად დამკვიდრებულან (სახოკია 1950:VII). თვითონ ლექსიკონი ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

აღნიშნული ნაშრომი ლექსიკოგრაფიული ხასიათისაა და არ მოიცავს იდიომატიკასთან დაკავშირებულ თეორიულ საკითხებს. თუმცა იდიომატიკის, როგორც დარგის განვითარება უფრო გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება და იწყება 1954 წლიდან, როცა ა. ონიანის ნაშრომი „ქართულ-სვანური იდიომატიკის საკითხები“ გამოვიდა, რომელშიც ზოგადთეორიულ საკითხებთან ერთად, ქართული და სვანური ენების იდიომატური გამოთქმების შედარებითი ანალიზია ჩატარებული (თაყაიშვილი 1961:8).

ფრაზეოლოგიის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის, მთავარი ამოცანაა განისაზღვროს ფრაზეოლოგიური ერთეულის კრიტერიუმები, შემადგენელი კომპონენტები და მათი წარმომშობი წყაროები. ა. მორდვილკო აღნიშნავს, რომ „ფრაზეოლოგიის შესწავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ფრაზეოლოგიური კონსტრუქციის სპეციფიკური ნიშნების განსაზღვრა წარმოადგენს, რომლებიც მათ, როგორც ცალკეული სიტყვებისაგან, ასევე თავისუფალი შესიტყვებისაგან განასხვავებენ“ (მორდვილკო 1964:6).

მაგრამ მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი შესიტყვებები, რომლებიც შედგება ერთი ან მეტი სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვებისგან.

ნ. შანსკის აზრით: „ფრაზეოლოგიური კონსტრუქცია მნიშვნელობით, შემადგენლობით და სტრუქტურით ფიქსირებული (ე.ი მუდმივი) და კვლავწარმოქმნილი ენობრივი ერთეულია, რომელიც ორი ან მეტი კომპონენტისაგან შედგება“ (შანსკი 1985:20).

საკმაოდ პრობლემატურია ფრაზეოლოგიური ერთეულების კრიტერიუმებისა და წარმომშობი წყაროების დადგენა.

ბ. ლარინი იძლევა ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმომშობ კონკრეტულ პირობებს და განსაზღვრავს თავისუფალი შესიტყვებებისაგან ფრაზეოლოგიური „სტერეოტიპების“ განვითარების კანონზომიერებებს. ეს კანონზომიერებებია:

- 1) რეალების დაკარგვა, ე. ი. იმ ცხოვრებისეული გამოცდილების დაკარგვა, რომელიც ფრაზეოლოგიურ ერთეულს წარმოშობამდე გააჩნდა, ე. ი. ნომინაციური ფუნქციის დაკარგვა;
- 2) სემანტიკური გამდიდრება – ფრაზეოლოგიური ერთეულის წარმოშობით, მის კომპონენტებს უჩნდება ახალი მნიშვნელობა - მეტაფორიზაციის სახით;
- 3) დიდი ხნის სამეტყველო პრაქტიკაში მოსაწონი გამონათქვამების შემოკლება ხდება, იკარგება სიზუსტე, მაგრამ რჩება „სასიგნალო ფრაგმენტი“, რომელიც მალე იქცევა დაუშლელ ერთეულად;
- 4) თავისუფალი ერთეულის ნომინაციური ფუნქციის მივიწყებით წარმოებს პირველადი სტრუქტურის რღვევა (ლარინი 1977:145).

ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა. ვ. ჟუკოვის აზრით, ფრაზეოლოგიზმების წარმოშობა თავისუფალი შესიტყვებების „მეტაფორული გააზრების შედეგია“ (ჟუკოვი 1986:58), ან კიდევ: ფრაზეოლოგიური ერთეულებისთვის დამახასიათებელია მნიშვნელობის გადატანა, რომლის საფუძველზეც ისინი იქმნებიან“ (ჟუკოვი 1986: 17).

რ. პოპოვი ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნის ძირითად კრიტერიუმად „გრამატიკულ დაუშლელობას“ თვლის (პოპოვი 1967: 6/7), თუმცა „გრამატიკული დაუშლელობის“ გარდა, ის სხვა კრიტერიუმებსაც ასახელებს, როგორებიცაა: „მაღალფარდოვანება“, „სემანტიკური შერწყმულობა“, „აქცენტოლოგიური სისტემის შენარჩუნება“ და ფორმალური გრამატიკული დანაწევრება,“ რომელიც ამ ერთეულების კვლავწარმოების ხარისხითაა განპირობებული“ (პოპოვი 1967: 20/21).

ზოგი მეცნიერის აზრით, ფრაზეოლოგიზმების წარმოშობისათვის აუცილებელია ყველა შემდეგი ნიშანი: კვლავწარმოება, სიმყარე, ფრაზეოლოგიზმების დანაწევრება, მისი ნომინაციურობა, ხატოვნება, ექსპრესიულობა, მოცულობა (რომელიც ერთზე მეტი კომპონენტისაგან შედგება). დასახელებული ნიშნებიდან ერთი მათგანის არმქონე ერთეული არ წარმოადგენს ფრაზეოლოგიურ ერთეულს. ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან ჩამოთვლილთაგან რომელიმე ნიშანი შეიძლება არ ქონდეს შესიტყვებას, მაგრამ

იგი მაინც წარმოადგენდეს ფრაზეოლოგიურ ერთეულს. ფრაზეოლოგიზმების წარმომშობ წყაროებს დეტალურად იხილავს ვ. ჟუკოვი და აღნიშნავს, რომ ამ ერთეულის „უმნიშვნელოვანეს წარმომშობ წყაროს სასაუბრო ენა წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ხელობასთან, ხოლო დანარჩენი წყაროებია: ზეპირი ხალხური შემოქმედება, მწერლების ნაწარმოებები, ანდაზები, თქმები და ა. შ“ (ჟუკოვი 1986: 99/100).

როგორც აღინიშნა, ვინოგრადოვის თეორია ფრაზეოლოგიის შესახებ ნელ-ნელა იცვლებოდა და ახლებურ მიდგომას უკვე ვხვდებით ა. სმირნიცკისა და ო. ახმანოვას შრომებში, რომლებიც ფრაზეოლოგიზმებს, როგორც ენის სტრუქტურულ ერთეულებს ისე განიხილავდნენ. ა. სმირნიცკის აზრით, ანდაზებს, აფორიზმებსა და საერთოდ, სხვადასხვა ტიპის შესიტყვებებს განიხილავენ, როგორც ენობრივი ერთეულებს.

ო. ახმანოვა ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ანდაზებს და ანდაზურ თქმებს აერთიანებს. ამასთანავე, იგი იდიომატურობის კრიტერიუმს მეორეულ მოვლენად თვლიდა და ფრაზეოლოგიური ერთეულის ძირითად პრინციპად „ნომინალიზაციის ერთობლიობას“ გამოყოფდა (ახმანოვა 1948: 5/11).

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსული ფრაზეოლოგია კვლევის ფრაზეოლოგიურ მეთოდებს ავითარებს, რომლებიც ენობრივი მასალის სისტემურ ანალიზს ეფუძნება. ამ მხრივ უნდა რამდენიმე ნაშრომი აღინიშნოს, კერძოდ, ვ. არხანგელსკის, ნ. ამოსოვას, ვ. ჟუკოვის და ა. კუნინის.

ვ. არხანგელსკის ნაშრომი მიეძღვნა რუსული ენისთვის დამახასითებელ მყარ შესიტყვებებს და ეხება არა მარტო შესიტყვებების პრობლემატიკას, არამედ ზოგადი ფრაზეოლოგიის ძირითად პრობლემებსაც (არხანგელსკი 1964).

ნ. ამოსოვას ნაშრომებში ავტორი ეჭვქვეშ აყენებს ცნებას ფრაზეოლოგიური ერთეულისა და სიტყვის თანაფარდობის შესახებ. იგი ვ. ვინოგრადოვის მოსაზრებას სიტყვათა კომპლექსის სიმყარე-მდგრადობის შესახებ გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ვ. ვინოგრადოვის მოსაზრება ფრაზეოლოგიური ერთეულების პირობითობის შესახებ რომელიმე კონკრეტულ ნიშანს არ ეფუძნება (ამოსოვა 1963:7/9). ენის ლექსიკური შესწავლის თვალსაზრისით, იგი ასხვავებდა ფრაზეოლოგიური ერთეულების ორ ტიპს: ფრაზემასა და იდიომს, ხოლო სტრუქტურული თვალსაზრისით, შემოიღო ნაწილობრივ პრედიკატული ფრაზეოლოგიზმის ცნება, რომლებშიც პრედიკატული ერთეული მთავარ გრამატიკულ წევრზე-ანტეცედენტზეა (antécédent) დამოკიდებული, ხოლო სრული

პრედიკატული სტრუქტურის მქონე შესიტყვებები, როგორებიცაა ანდაზები, მისი აზრით, ფრაზეოლოგიის კვლევის საგანს არ წარმოადგენენ.

გ. ჟუკოვი თავის ნაშრომებში ზმნური ფრაზეოლოგიური ერთეულების სინტაქსურ და მორფოლოგიურ ნიშან-თვისებებს განიხილავდა. ავტორის კვლევათა თეორიულ დირექტულებას წარმოადგენს მისი კონცეფცია ფრაზეოლოგიური ერთეულების შესახებ, რომელშიც ჩამოყალიბებულია ფრაზეოლოგიზმის ძირითადი ნიშან-თვისებები. ესენია: ა. ფრაზეოლოგიზმების, როგორც თანწყობითი და ქვეწყობითი შესიტყვებების ასახვა; ბ. სემანტიკური მთლიანობა, იდიომატურობა; გ. კომპონენტური შედგენილობა; დ. სიტყვასთან თანაფარდობა (ჟუკოვი 1975:36/46). ავტორისეული კვლევის შედეგები მის მიერ შედგენილ ლექსიკონებში აისახა. „რუსული ანდაზებისა და ანდაზური თქმების ლექსიკონი“ (შეკრებილი გამოცემა, 1991წ.), „რუსული ენის სასკოლო ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ (1980წ.), და „რუსული ენის ფრაზეოლოგიური სინონიმების ლექსიკონი“ (1987წ.).

ფრაზეოლოგიური და იდიომატური გამოთქმების განხილვისას ერთ-ერთ წამყვან თეორიად ითვლება ა. კუნიჩის მიერ შემოთავაზებული თეორია. ავტორი გვთავაზობს ფრაზეოლოგიის სამ ძირითად მიმართულებას - იდიომატიკას, იდიოფრაზეომატიკას და ფრაზეომატიკას (კუნიჩი 1970 :48). ავტორის აზრით, ფრაზეოლოგიის კვლევის ობიექტს ნებისმიერი მყარი შესიტყვება წარმოადგენს, რომლის მნიშვნელობა გართულებულია. შესაბამისად, ფრაზეოლოგიზმის ქვედა ზღვარს გართულებული სტრუქტურის (შესაძლებელია დამხმარე სიტყვის) მქონე შესიტყვება, ხოლო ზედა ზღვარს მხოლოდ ანდაზის ფორმის მქონე რთული წინადადება წარმოადგენს. ავტორმა სამართლიანად აღნიშნა ფრაზეოლოგიური ერთეულების ანტროპოცენტრული ხასიათი და მეტაფორული წარმომავლობა.

XX საუკუნის სამოცდაათიან წლებში კვლავ გრძელდება ფრაზეოლოგიის თეორიული ბაზის განვითარება, რომელიც ფრაზეოლოგიური შემადგენლობის სისტემური ორგანიზაციის კვლევით გამოიხატება. მსგავსი მიმართულების გამოკვლევებს ვხვდებით ი. ჩერნიშევასა და ნ. შანსკის ნაშრომებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ი. ჩერნიშევას შრომებს, რომლებშიც მოცემულია გერმანული ფრაზეოლოგიის მრავალმხრივი დახასიათების ცდა. ავტორი თითქმის ყველა დეტერმინატორს

ითვალისწინებს; კრიტერიუმებს იგი შემდგენაირად წარმოადგენს: 1) გრამატიკული სტრუქტურა: ა. შესიტყვება; ბ. პრედიკატული შესიტყვება და

წინადადება; 2) წარმოების წესი: ა. კომპონენტების ცალკეული კავშირი; ბ. წარმოება მოდელის მიხედვით; გ. სერიული წარმოება; 3) მნიშვნელობა, როგორც სტრუქტურისა და მყარი შესიტყვებების კომპონენტურ შემადგენლობაში სემანტიკური ძვრების არსებობა-არარსებობის ურთიერთობის შედეგი: ა. მნიშვნელობა, რომელიც კომპონენტების სემანტიკური გარდაქმნის შედეგად წარმოიქმნება; ბ. მნიშვნელობა, რომელიც საკუთარ ლექსიკურ მნიშვნელობათა საფუძველზე წარმოიქმნება; გ. მნიშვნელობა, რომელიც ტიპობრივი სტრუქტურის შედეგად წარმოიქმნება (ჩერნიშევა 1970:28). ამ კლასიფიკაციის საფუძველზე ავტორი ასკვნის ფრაზეოლოგიური ერთეულების ორი ტიპის არსებობას: 1) ლექსიკური ერთიანობანი და ნომინაციური ფრაზეოლოგიზმები; 2) ნომინაციურ-ექსპრესიული ფრაზეოლოგიზმები.

ნ. შანსკის მოსაზრებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი ძირითადად ფრაზეოლოგიური ერთეულების ვ. ვინოგრადოვისეულ კლასიფიკაციას მიჰყვება (ფრაზეოლოგიური შენაზარდები, ფრაზეოლოგიური ერთიანობები და ფრაზეოლოგიური შეთანხმებები). ცალკე ჯგუფად არის გამოყოფილი ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებშიც ავტორის აზრით უნდა გაერთიანდეს ციტატები, ანდაზები და ზოგიერთი ტერმინოლოგიური გამოთქმაც (შანსკი 1969:84).

უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდის თეორიებს შორის განხილვას იმსახურებს ს. გავრინის თეორია, რომელიც ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური კვლევის შედეგს წარმოადგენს. მის ნაშრომებში ყურადღება გამახვილებულია ფრაზეოლოგიზმების სემანტიკის ნომინაციურ ასპექტსა და ფორმათა წარმოქმნის დინამიკაზე. ს. გავრინი ფრაზეოლოგიურ სისტემას, მისი ფუნქციურ-სემანტიკური სირთულის თვალსაზრისით განიხილავს. მის სისტემაში გაერთიანებულია ყველა მყარი და პირობითად მყარი შესიტყვება. ავტორის აზრით, ფუნქციური ასპექტისა და გამოყენების თვალსაზრისით ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ვიმსჯელოთ ასეთ ერთეულთა ფრაზეოლოგიის უფრო რთულ, ნახევრად ფუნქციურ კლასში გადასვლის შესახებ, რომელიც მეტყველების ლაკონიზაციას ემსახურება (გავრინი 1974:38).

XX საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში ა. თაყაიშვილის ნაშრომი „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“ გამოქვეყნდა (თაყაიშვილი 1961), რომელიც დღესაც ითვლება ქართული ფრაზეოლოგიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ

ნაშრომად. მასში განხილულია იმ დროისთვის არსებული თეორიები და მოცემულია ფრაზეოლოგიური შესიტყვებისა და იდიომის სემანტიკურ-გრამატიკული და ლექსიკურ-სტილისტიკური ანალიზი.

მთავარია მაინც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომიანი), ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც სიტყვების გვერდით, ქართული მყარი გამოთქმების ძირითად მასას მოიცავს. ლექსიკონი გამოიცა (1950-1964წ) და აერთიანებს 14 541 სიტყვას და 1600 გამოთქმას. ლექსიკონში მყარ გამოთქმებად მიჩნეულია: საყოველთაოდ გავრცელებული, მკაფიოდ გამოკვეთილი იდიომები, შედარებით მყარი ფრაზეოლოგიური შესიტყვება-ტერმინები, მისაღმებისა და წყველა-ლოცვის ფორმულები. სპეციფიკური საყოფაცხოვრებო ხასიათის შესიტყვებანი, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები და სხვ. ლექსიკონში გამოყოფილია ყველა შესიტყვება, რომელიც ასე თუ ისე განმარტებას მოითხოვს. უდავოა, რომ განმარტებითი ლექსიკონისათვის გამოთქმათა შერჩევის ასეთი პრინციპი მიზანშეწონილია.

ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში ფრაზეოლოგიზმებს სათანადო ყურადღება ექცეოდა თავიდანვე. ისინი გამოყოფილი აქვს სულხან-საბა ორბელიანს თავის „სიტყვის კონაში“, რომელიც 1884 წელს გამოიცა და დ. ჩუბინაშვილის მიერ 1840 წელს გამოცემულ “რუსულ-ქართულ ლექსიკონში“.

პრაქტიკული დანიშნულება აქვს „ფრანგულ-რუსულ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონს“, რომელიც რეცკერის ხელმძღვანელობით 1964 წელს გამოიცა. ლექსიკონში შესულია ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც აღებულია არა მარტო კლასიკური, არამედ თანამედროვე ლიტერატურიდან, ასევე პუბლიცისტური ნაწარმოებებიდან და სხვადასხვა ფრანგული ფრაზეოლოგიური ლექსიკონებიდან.

ასევე უნდა აღვნიშნოთ Alain Rey<sup>4</sup> ალენ რეისა და Sophie Chantreau<sup>5</sup> სოფი შანტროს მიერ შედგენილი „Dictionnaire des expressions et locutions“- „ფრაზეოლოგიური გამოთქმების ლექსიკონი“, გამოცემული 1993 წელს, რომელშიც 10 000-ზე მეტი თანამედროვე ფრაზეოლოგიური გამოთქმა და ანდაზაა გაერთიანებული, ასევე თავმოყრილია მოძველებული გამოთქმები (უძველესი ტექსტებიდან აღებული) და ხმარებიდან გამოსული. ლექსიკონი

<sup>4</sup>ალენ რეი - ფრანგი ლინგვისტი და ლექსიკოგრაფი. გამომცემლობა Le Robert რობერის ლექსიკონების მთავარი რედაქტორი.

<sup>5</sup>სოფი შანტრო - შემდგენელი შემდეგი ლექსიკონების : Petit Robert -პატარა რობერი, Robert méthodologique - მეთოდოლოგიური რობერი და Robert Junior - რობერ უწინორი.

გამოთქმებს შემდეგნაირად წარმოგიდგენს: გამოთქმის ამჟამინდელი მნიშვნელობის ანალიზი, ქრონოლოგიურად დათარიღებული ისტორიული მიმოხილვა, წარმოშობა და გამოყენება.

XX საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ქართული ფრაზეოლოგიის კვლევა თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გათვალისწინებით გრძელდება. კვლევის ობიექტად სხვადასხვა ენობრივი მასალა რჩება. მატულობს ასევე კვლევების ტიპოლოგიური რაოდენობაც.

ქართული ფრაზეოლოგიზმების მსგავსებასა და განსხვავებას უცხოურ ენებთან იკვლევენ ნ. ჯანელიძე, დ. ბახტაძე, მ. ჩხარტიშვილი, ქ. ჯაში, ც. ბიბილეიშვილი, ც. ახვლედიანი, ნ. კვიციანიძე, ნ. ჯიქია, ნ. სურგულაძე, ი. მანიუაშვილი, ე. შორჟოლიანი და სხვ.

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს პროფ. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ქ. ჯაშის საკანიდატო დისერტაციას „ანდაზების სემანტიკურ-სინტაქსური სტრუქტურა ფრანგულ და ქართულ ენებში,” სადაც ავტორი ქართული და ფრანგული ენების პარემიოლოგიას, მათი შეპირისპირებითი ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე იკვლევს.

რომანულ ენათა ფრაზეოლოგიის შესახებ საინტერესო ნაშრომები აქვს ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფ. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ციური ახვლედიანს. აღსანიშნავია მისი სტატიები ფრაზეოლოგიზმებზე: „ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კონცეპტუალური სტრუქტურების კორელაცია“ უნივერსიტეტის პროფესორ ქეთევან გაბუნიასთან ერთად; (Scripta Manent, 2014:10); „გასტრონომიული კომპონენტების შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლინგვისტური ანალიზი“ (ფრანგული, ესპანური და იტალიური ენების მასალაზე) (Scripta manent, 2014:15); „გასტრონომიზმები ფრანგული არგოს ფრაზეოლოგიურ სისტემაში“ (Scripta Manent, 2013:97) დოქტორანტ ლოლიტა თაბუაშვილთან ერთად და სხვ.

ფრაზეოლოგიზმების შესწავლა ამოუწურავი თემაა. დღესდღეობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები აქტიურად მუშაობენ ფრაზეოლოგიზმებზე. სწორედ ამის დასტურია გერმანელი ლინგვისტების მიერ 1999 წელს ფრაზეოლოგიის ევროპული საზოგადოების EUROPHRAS -ევროფრაზის დაარსება. პირველი კონფერენცია 2000 წელს უფსალაში (Uppsala) (შვედეთი) ჩატარდა. კონფერენციები ორ წელიწადში ერთხელ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში



იმართება. კონფერენციის სამუშაო ენებია: გერმანული, ინგლისური, ფრანგული და ესპანური.

2014 წლის სექტემბერში ჩატარდა EUROPHRAS- ევროფრაზის მორიგი კონფერენცია, საფრანგეთში (Université Paris Sorbonne), სორბონის უნივერსიტეტში, რომელშიც 70-მდე მომსახურებელი მონაწილეოდა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქართველი ლინგვისტები თბილისიდან და ბათუმიდან; მათ ფრაზეოლოგიზმების შედარებით-შეპირისპირებითი კვლევა სხვადასხვა ასპექტში წარმოადგინეს. კონფერენციაზე წარვადგინეთ შემდეგი თემა: „L'étude comparatiste des phraséologies gastronomiques françaises et géorgiennes“- “ფრანგულ-ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების შედარება-შეპირისპირება“. ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომები იბეჭდება Honoré Champion –შამპიონის ცნობილ გამომცემლობაში.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2014 წლის კონფერენცია გახსნა ცნობილმა ფრანგმა ლინგვისტმა ფრანგული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის შემდგენელმა Alain Rey - ალენ რეიმ. მან წარმოადგინა შემდეგი მოხსენება: Phraséologie et dictionnaires - ფრაზეოლოგია და ლექსიკონები. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი ლინგვისტები, როგორებიც არიან: Jean René Ladmiral- ჟან რენე ლადმირალი (გერმანისტი, მთარგმნელი და ფრანგი ფილოსოფოსი; ISIT, პარიზი); Jean-Pierre Colson-ჟან პიერ კოლსონი (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, ბელგია), Pierre-André Bouvet - პიერ ანდრე ბუვე, (უნივერსიტეტი პარი 13, საფრანგეთი), Salah Mejri - სალა მეჯრი (უნივერსიტეტი პარი 13, საფრანგეთი), Agnès Tutin-ანიეს ტუტენი (გრენობლი 3 უნივერსიტეტი, საფრანგეთი), Isabel Gonzalez Rey -იზაბელ გონსალეს რეი (წმინდა ჟაკ დე კომპოსტელის უნივერსიტეტი, ესპანეთი) და ბევრი სხვა.

კონფერენციის პლენარული სხდომის თემატიკას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები შეადგენდა, როგორებიცაა: traduction et phraséologie - თარგმანი და ფრაზეოლოგია; diachronie et phraséologie - დიაქრონია და ფრაზეოლოგია; phraséodidactique - ფრაზეოლოგიური დიდაქტიკა; phraséologie et observables - ფრაზეოლოგია და იმ მოვლენების კვლევა, რომლებზეც დაკვირვება ხდება. ამ მიმართულებით სხდომის ძირითადი თემები იყო: „ფრაზეოლოგიის ტრადუქტოლოგიის ჭრილში განხილვა,“ რომელიც Jean René Ladmiral-ჟან რენე ლადმირალმა წარმოადგინა; ტიპოლოგიის ხაზი - შემდეგი თემით: „სხვადასხვა

ტიპოლოგიები, რომლებიც თარგმანის დროს წარმოიშვება“ წარმოადგინა Gloria Corpas Pastor -გლორია კორპას პასტორმა, რომელიც ესპანური და ინგლისური ფრაზეოლოგიზმების სპეციალისტია; საინტერესო იყო ასევე ინფორმატიკის ფრაზეოლოგიასთან დაკავშირება, რაც Jean-Pierre Colson -ჟან პიერ კოლსონმა წარმოადგინა თემით: „სირთულეები, რომლებიც ფრაზეოლოგიზმების მანქანური თარგმანის დროს გვხვდება“. 2014 წლის კონფერენციის თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. რა თქმა უნდა, რთულია ყველა მომხსენებლის ჩამოთვლა, მაგრამ წარმოიდგენთ ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ავტორებს და თემატიკას: Anquetil Sophie ლიმოჟის უნივერსიტეტი და Legallos Dominique კაენის უნივერსიტეტი- ანკეტილ სოფი და ლეგალო დომინიკი - თემა: „La phraseologie de l'idéologie" – „იდეოლოგიის ფრაზეოლოგია,“ რომლებიც მსჯელობენ იმ საკითხზე, თუ რამდენად უწყობს ხელს იდეოლოგია სპეციფიკური ფრაზეოლოგიური ერთეულების შექმნას;

Buvet Pierre-André (Université Paris 13, France) პიერ ანდრე ბიუვე თემით: „Collocation et expressions de l'identité"- „იდენტობის გამომხატველი გამოთქმები და სიტყვათშეთანხმებები,“ ფრაზეოლოგიზმებს განიხილავს მათი სინტაქსურ-სემანტიკური ტიპოლოგიის კუთხით.

საინტერესო თემა წარმოადგინეს Cavala Christelle -კავალა კრისტელმა და Julie Sorba - ჟული სორბამ (სორბონის უნივერსიტეტი, პარი 3) მოხსენების სათაური: „Étude diachronique du figement : collocation verbo-nominales"- „მყარი გამოთქმების შესწავლა დიაქრონიული მეთოდით: ნომინაციური და ზმნური გამონათქვამების შეთანხმება.“ მათი ანალიზი დიაქრონიული მეთოდის საშუალებით გამოთქმების შესწავლის ანალიზს ეყრდნობა.

ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებით საინტერესო დაკვირვებები წარმოადგინა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ილიას უნივერსიტეტის პროფესორმა ქეთევან ჯაშმა თემით: „L'aspect pragmatique de la phraséologie littéraire en français et géorgien"- „ფრანგული და ქართული ლიტერატურული ფრაზეოლოგიზმების პრაგმატული ასპექტები;“ სადაც მას შედარებული აქვს XIX-ე საუკუნის ფრანგული და ქართული ლიტერატურული ფრაზეოლოგიზმები. მათი როლი ისეთი კორიფეების შემოქმედებაში, როგორებიც იყვნენ ფრანგულ ლიტერატურაში ვიქტორ ჰიუგო და ონორე დე ბალზაკი, ხოლო ქართულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

პრაქტიკული დანიშნულება აქვს ასევე Kauffer Maurice (ATILF, Université de Lorraine, Nancy - მორის კოფერის მიერ წარმოდგენილ თემას - „Phraséologismes et actes de langage“ – „ფრაზეოლოგიზმი და ენა.“

მნიშვნელოვანია Isabel Gonzalez Rey - იზაბელ გონზალეს რეის ნაშრომები ფრაზეოლოგიაში. კონფერენციაზე წარმოდგინა თემა: „Fondements théoriques et guide pédagogique de FRASEOTEXT, une méthode multifonctions et multimédia en phraséodidactique du FLE“ - თეორიული საფუძვლები და მასწავლებლის სახელმძღვანელო, Fraseotexte თვის, ფრაზეოლოგიურ დიდაქტიკაში მულტიფუნქციური, მულტიმედიაური მეთოდი FLE<sup>6</sup>- ს პედაგოგებისთვის.

ავტორი თავის ერთ-ერთ ნაშრომში განიხილავს ფრაზეოლოგიურ დიდაქტიკას: მყარი გამოთქმები, როგორც სწავლების მიზანი – „La Phraséodidactique en action: les expressions figées comme l’objet de l’enseignement“<sup>7</sup>, ნაშრომში ავტორი იხილავს ფრანგულ იდიომატურ გამოთქმებს – Le Français idiomatique. იგი ფრაზეოლოგიზმების ასეთ ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას გვათავაზობს:

ყოველდღიური (დიალოგები); მასში შედის მისაღმებები: *Au revoir, bonne journée* ;

შორისდებულებები *Bonne idee ! tu parles ! c’est dommage !*

ონომატოპეა - *Ouf ! chut !*

იდიომატური გამოთქმები:

სომატოზმები - *donner un coup de main*;

ზომორფიზმები - *doux comme un agneau* ;

ქრომატიზმები - *broyer du noir; rire jaune* ;

ნუმერაციული გამოთქმები - *se mettre sur son trente et un* ;

საკვებთან დაკავშირებული გამოთქმები - სასმელი (*liquide*) : *mettre de l’eau dans son vin* ; საკვები (*solide*) *faire son beurre* ;

სხვადასხვა ნივთები: *tourner la page ; fermer son parapluie* ;

კოლოკაცია (*les collocations*) არტიკლით - *faire un tour, résoudre un problème*;

კოლოკაცია არტიკლის გარეშე - *avoir raison, tirer avantage* ;

ტერმინოლოგიური ფრაზეოლოგიზმები - *dresser un bilan ; porter plainte*;

პარემიული გამოთქმები - ზმნის შემცველი *A chaque jour suffit ça peine* ; და ზმნის არ შემცველი - *tel père, tel fils*.

<sup>6</sup>FLE-Français langue étrangère-ფრანგული, როგორც უცხო ენა.

<sup>7</sup>[http://cle.enslyon.fr/servlet/com.univ.collaboratif.utils.LectureFichiergw?ID\\_FICHIER=1332154732427](http://cle.enslyon.fr/servlet/com.univ.collaboratif.utils.LectureFichiergw?ID_FICHIER=1332154732427)(27.11.2015).

დიდია მისი წვლილი ფრანგული ფრაზეოლოგიზმების კვლევის კუთხით. ამის დასტურია მის მიერ გამოქვეყნებული უამრავი ნაშრომი ფრანგულ-ესპანური ფრაზეოლოგიზმების შესახებ. 2008 წელს მან გამოსცა ნაშრომი: "La didactique du français idiomatique" – ფრანგული ენის იდიომატური დიდაქტიკის შესახებ, ხოლო 2015 წელს ხელმეორედ გამოვიდა მისი „La phraséologie du français“- „ფრანგული ენის ფრაზეოლოგია.“

Grezka Aude - გრეზკა ოდი და Fabrice Issac ფაბრის ისაკი (Universite Paris, 13) თემით: „Une ressource linguistique pour ne pas parler français comme une vache espagnole“ „ლინგვისტური რესურსი იმისთვის, რომ არ ვისაუბროთ ძალიან ცუდად ფრანგულ ენაზე.“ განიხილავენ თარგმნის ინტერნეტ რესურსებს, რომელიც ფრანგულ, ესპანურ და პოლონურ ენებზე არსებულ გამოთქმებს აერთიანებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბალის მიერ წამოწყებულ ფრაზეოლოგიზმების კვლევას XXI საუკუნის ლინგვისტები საკმაოდ წარმატებულად აგრძელებენ. დიდია მსოფლიო მეცნიერების ინტერესი ფრაზეოლოგიის კუთხით. ამის დასტურია ის მრავალრიცხოვანი კონფერენციები, კონგრესები, სემინარები, რომლებიც ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იმართება.

### 13 ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურული კლასიფიკაცია

არსებობს ფრაზეოლოგიზმების ორი ტიპის კლასიფიკაცია – გრამატიკული (სტრუქტურული) და სემანტიკური. ფრაზეოლოგიის კლასიფიკაცია გრამატიკული (სტრუქტურული) თვალსაზრისით შეიძლება სხვადასხვა ასპექტში განვიხილოთ, ერთი მხრივ, მეტყველების ნაწილებთან ეკვივალენტურობის თვალსაზრისით. ფრაზეოლოგიზმების ერთ-ერთი ასეთი დახასიათება

ეკუთვნის ნ. შანსკის, რომელმაც მეტყველების ნაწილების მისედვით ეკვივალენტური თვალსაზრისით ფრაზეოლოგიზმების შვიდი სახე მოგვცა, ესენია:

- 1) ზმნური ფრაზეოლოგიზმები;
- 2) სუბსტანციური ფრაზეოლოგიზმები;
- 3) ზმნიხედური ფრაზეოლოგიზმები;

- 4) ადიექტიური ფრაზეოლოგიზმები;
- 5) შორისდებულის შემცველი ფრაზეოლოგიზმები;
- 6) მოდალური ფრაზეოლოგიზმები;
- 7) კავშირიანი ფრაზეოლოგიზმები (შანსკი 1985:47).

კვლევისას დავეყრდენით ა. ნაზარიანის ფრანგული ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ დაყოფას, რომელიც ჩვენთვის ყველაზე მისაღები აღმოჩნდა. იგი თანამედროვე ფრანგულ ენის ფრაზეოლოგიზმებს სამ ძირითად სტრუქტურულ ტიპად ყოფს (ნაზარიანი 1976: 61):

1) არაპრედიკატული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მნიშვნელოვანია ფრანგული ენის ფრაზეოლოგიური ფონდისთვის. ისინი თავის მხრივ შემდეგ ქვეტიპებად იყოფა:

ა. ერთწევრიანი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ერთი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვისგან შედგება და ასევე ერთი რთული ან კიდევ ერთი დამოუკიდებელი მნიშვნელობის და ერთი ან რამდენიმე რთული სიტყვისგან შედგება; მაგალითად: *En effet - მართლაც, სინამდვილეში ; A la fois-ერთბაშად, ერთსა და იმავე დროს, ხშირად.*

ბ. ფრაზემები, რომლებიც ორი ან მეტი დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვისგან შედგება და რომლებიც თავის მხრივ მაქვემდებარებელი და მაერთებელი ან მაერთებელ-მაქვემდებარებელი კავშირის კომპონენტებისგან შედგება; მაგალითად: *nuit blanche - უძილო ღამე; se mettre en quatre - მისი გულისთვის ტყავიდან გაძვრება, თავს არ დაზოგავს; sain et sauf - საღ-საღამათი.*

2) ნახევრადპრედიკატული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც იმით გამოირჩევა, რომ გრამატიკულად მათთვის წამყვანი მთავარი წევრი წინადადებაში დამატებაა (პირდაპირი, ირიბი, ვითარების) ან განსაზღვრება დამოკიდებული წინადადების სახეობით. თუმცა ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმები დიდი რაოდენობით არ გამოირჩევა; მაგალითად: *croire que les enfants naissent dans les choux - ძალიან გულუბრყვილო იყო.*

3) პრედიკატული ფრაზეოლოგიზმები, რომელთაც წინადადებების მარტივი ან რთული სტრუქტურა გააჩნიათ, რომლებიც ასევე შემდეგ ქვეტიპებად იყოფა:

ა. ფრაზეოლოგიზმები ღია სტრუქტურით, რომლებიც დაუსრულებელ აზრს გამოხატავენ ან რომლებსაც ესაჭიროებათ თავისუფალი გამოყენების სიტყვებით

გავრცობა; მაგალითად: *ça va chercher dans ...საუბ. (ამის) ფარგლებში ელირება, დაახლოებით ასე ელირება.*

ბ. ფრაზეოლოგიზმები დახურული სტრუქტურით, რომლებიც დასრულებულ აზრს გამოხატავენ. მაგალითად: *son compte est bon - დამსახურებულად მიიღო.*

ა. ნაზარიანი ფრანგული ენის ფრაზეოლოგიზმებს ფუნქციური თვალსაზრისით ყოფს ორ ჯგუფად:

არაკომუნიკაციურ და კომუნიკაციურ ფრაზეოლოგიზმებად (ნაზარიანი 1976:62).

არაკომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმები ფუნქციის მიხედვით თავის მხრივ იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

1) არსებითი სახელის შემცველი (ნომინაციური), რომლებიც არსებითი სახელის ფუნქციას ასრულებენ. ისინი შეიძლება გამოხატავდნენ საგანს (სულიერს ან უსულოს), მოვლენას, მოქმედებას, მდგომარეობას, ხარისხს და ა. შ. ამ ქვეჯგუფს მიეკუთვნება განსაკუთრებით პირველი ორი სტრუქტურული ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულები - არაპრედიკატული და ნახევრადპრედიკატული. მაგალითად: *nez dans lequel il pleut - აპრეხილი ცხვირი; âme qui vive - ცოცხალი სული.*

2) დამხმარე ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც წინადადებაში დამხმარე ფუნქციას ასრულებენ. მათ ისევე, როგორც დამხმარე სიტყვებს არ გააჩნიათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა და არ შეუძლიათ წინადადების მთვარი წევრები იყვნენ. ამ ქვეჯგუფს მიეკუთვნება პირველი სტრუქტურული ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულები, ძირითადად ერთწევრიანები. აგრეთვე, მესამე სტრუქტურული ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულების ძალიან მცირე რაოდენობა, რომელთაც პრედიკატულობა აღარ გააჩნიათ.

ფრანგული ენის დამხმარე ფრაზეოლოგიური ერთეულები წინადადებაში შედგენილი წინდებულებისა და კავშირების როლს ასრულებენ და შესაბამისად იყოფა წინდებულებიან და კავშირიან ფრაზეოლოგიზმებად. მაგალითად: *à défaut de... - რაღაცის არქონის გამო; à titre de ..რაიმე საბაბით; au prix de ...რაღაცის ფასად, რაღაცის წყალობით, იმ პირობით რომ ...; en guise de ... რაღაცის ნაცვლად, მაგიერად; კავშირიანი: მაგალითად: pour autant que - თუმცა, მაინც; en tant que ... იმდენად რამდენადაც, როგორც.*

3) შორისდებულებიანი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც წინადადებაში ემოციურ ფუნქციას ასრულებენ. ისინი ემსახურებიან გრძნობის, ემოციის, ნებისყოფის და

ა. შ გამოხატვას. ამ ქვეჯგუფს მიეკუთვნებიან პირველი სტრუქტურული ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულები (ერთწევრიანი ფრაზეოლოგიზმები და ფრაზემები), ასევე მესამე სტრუქტურული ჯგუფის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთაც დაკარგული აქვთ პრედიკატიულობა.

შორისდებულებიანი ფრაზეოლოგიზმები წინადადებაში შორისდებულის ფუნქციას ასრულებს. მაგალითად: *mille grâces* - დიდი მადლობა! *თქვენი მონა-მორჩილი ვარ!*

4) მოდალური ფრაზეოლოგიზმები, რომელიც მოლაპარაკესთან თავის გამონათქვამზე პირად (სუბიექტურ) დამოკიდებულებას ან ინფორმაციის შინაარსობრივ შეფასებას გამოხატავს. მათი ხასიათის დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ისინი შეიძლება გამოხატავდნენ მტკიცებას ან უარყოფას, საიმედოობას, ვარაუდს ან იმის სურვილს, რაზეცაა საუბარი. ამ ქვეჯგუფს მიეკუთვნებიან პირველი სტრუქტურული ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულები, ასევე მესამე სტრუქტურული ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთაც დაკარგული აქვთ პრედიკატიულობა. მაგალითად: *au fond de ... არსებითად, სინამდვილეში; გულის სიღრმეში; à la rigueur* - სულ დიდი, უკიდურეს შემთხვევაში; *pour rien au monde* - არაფრის დიდებით, არაფრის გულისთვის; *coûte que coûte* - რაც არ უნდა მოხდეს, ნებისმიერ ფასად (ნახარიანი 1976:63/64).

ფრანგული ნომინაციური ფრაზეოლოგიზმები ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორიების მიხედვით შემდეგ ტიპებად იყოფა:

1) არსებითი სახელის შემცველი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც წინადადებაში არსებითი სახელის ფუნქციას ასრულებენ; მაგალითად: *un sac à vin* - საუბ. ლოთი.

2) ადიექტიური ფრაზეოლოგიზმები, რომლებსაც ზედსართავი სახელის ფუნქცია აქვთ; მაგალითად: *Claire comme le jour* - დღესავით ნათელი, წყალი არ გაუვა; *poil de carotte* - საუბ. წითური.

3) ზმნის შემცველი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც წინადადებაში ზმნის ფუნქციას ასრულებენ; მაგალითად : *danser devant le buffet* - მიმშლით კუჭი უხმება, მიმშლით სული სძვრება, ლუკმა პური არა აქვს; *faire sauter la grenouille-სხვისი ფულის ხარჯვა; vouloir manger le nez de qn* - ვერ იტანდე ვინმეს .

4) ზმნიზედის შემცველი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც წინადადებაში ზმნიზედის როლს ასრულებენ. მაგალითად: *ventre à terre* - თავქუდმოგლეჯილი, რაც ძალა და ღონე აქვს;

საინტერესოა ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულების განხილვა მათი ეტიმოლოგიის მიხედვით - როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულების დიდი უმრავლესობა ეროვნულ საფუძველზე წარმოიშვა. მათი წამოშობის წყარო საკმაოდ განხვავებულია. ისინი სხვადასხვა დროს შემოდიან. ფრანგული ფრაზეოლოგიზმების საკმაოდ განსხვავებული მატერიალურ-კულტურული და ხალხის ცხოვრების საზოგადო-ეკონომიკური ცხოვრებიდანაა აღებული. ფრაზეოლოგიზმებში მათი ისტორია, ეოფა-ცხოვრება, კულტურა, სული და აზროვნების სურათია ასახული. ფრაზეოლოგიზმები ფრანგი ხალხის სულიერი ფასეულობის სინთეზია, ისინი წარსულის ნამდვილ სურათს ქმნიან, გვაცნობენ თავიანთ ადათ-წესებს და ეროვნულ ხასიათს.

ამასთან ერთად, ფრანგული ფრაზეოლოგიზმების სიმდიდრე და მრავალფეროვნება მათ ისტორიულ-ეტიმოლოგიურ კლასიფიკაციას ართულებს. ქვემოთ მოყვანილი კლასიფიკაცია არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამომწურავი, ის ძირითადად ასახავს ფრანგული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულების უფრო მნიშვნელოვან წყაროებს. ფრანგული ფრაზეოლოგიზმები ორ დიდ ეტიმოლოგიურ კატეგორიად იყოფა:

- 1) არატერმინოლოგიური წარმოშობის ფრაზეოლოგიზმები;
- 2) ტერმინოლოგიური წარმოშობის ფრაზეოლოგიზმები (ნაზარიანი 1976:267).

არატერმინოლოგიური წარმოშობის ფრაზეოლოგიური ერთეულები - ამ ჯგუფის ფრაზეოლოგიზმებში რვა ჯგუფი გამოიყოფა. თითოეული მათგანი შეიძლება დაიყოს ქვეჯგუფებად. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

- 1) ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ისტორიულ ფაქტებთან ან მოვლენებთანაა დაკავშირებული. ფრაზეოლოგიზმების წარმოშობა წარსულ დროსთან და რაიმე ისტორიულ ფაქტთან ან მოვლენასთანაა დაკავშირებული. ამ ფრაზეოლოგიზმებში ერის ისტორიაა ასახული.

ამ ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულები შემდეგ ქვეჯგუფებად იყოფა.

- ა. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ანტიკურ დროს ეკუთვნის;
  - ბ. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც შუა საუკუნეებს განეკუთვნება;
  - გ. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ახალ და უახლეს ისტორიას განეკუთვნება;
- 2) ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ისტორიული ფრაზების და ციტატების ბაზაზე წარმოიშვა;



- 3) ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ხალხურ ცრურწმენებსა და თავდადებებთანაა დაკავშირებული (ლევენდები);
- 4) ფრაზეოლოგიზმები, რომელთა საფუძველსაც ანეკდოტები შეადგენს;
- 5) ლიტერატურული წყროებიდან აღებული ფრაზეოლოგიზმები;
- 6) ადამიანის სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები;
- 7) ბუნებასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები;
- 8) ცხოველთა სამყაროდან აღებული ფრაზეოლოგიზმები (ნაზარიანი 1976: 268/285).

ნაზარიანის მიერ, შემოთავაზებულ კლასიფიკაციას დაუმატებთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც გასტრონომიასთანაა დაკავშირებული. აღარ შეეჩერდებით ტერმინოლოგიური წარმოშობის ფრაზეოლოგიზმებზე, ვინაიდან ისინი ჩვენი საკვლევი თემის ობიექტს არ წარმოადგენს.

#### **14 ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლექსიკურ-სემანტიკურ თავისებურებები**

საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს ფრანგული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური კლასიფიკაცია. ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარების უმეტესობა-რომანული ენების სპეციალისტები და სახელმძღვანელოების ავტორები შ. ბალისა და ვ. ვინოგრადოვის ტიპოლოგიური დაყოფის პრინციპებს ეყრდნობიან. ფრანგული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაციას კომპონენტების მჭიდრო კავშირისა და მათი მნიშვნელობის მოტივირების ხარისხიდან გამომდინარე ახდენენ. თუმცადა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ფრანგული ფრაზეოლოგიისთვის, რომელიც მოძრავი და მკაფიოდ გამოსატყული ანალიტიკური ტენდენციებით გამოირჩევა, ეს კრიტერიუმები საკმაოდ სუბიექტური და არასაიმედოა იმისათვის, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური კლასიფიკაციის საფუძველი გახდეს.

ცხადია, დროთა განმავლობაში ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა მარაგი მატულობს ისევე, როგორც ენის ლექსიკური მარაგი მატულობს. წინა საუკუნეებში შექმნილი მასალა მემკვიდრეობით გადაეცემა შთამომავლობას, რომელიც მას ზრდის და სრულყოფილს ხდის. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ზოგი სიტყვათშეერთება ხმარებიდან გამოდის და ახლით იცვლება. ასეთი შემთხვევები ყოველი ენის შიგნით შეიმჩნევა და ღირებულებათა გადაფასების პროცესს ემორჩილება. სიტყვათშეერთების კანონები ისტორიული ხასიათისაა. იგი სხვა ელემენტების შესაბამისად იცვლება და ენის ყოველ ეტაპზე განსხვავებულ ფრაზეოლოგიურ კონტექსტებს წარმოგიდგენს (თაყაიშვილი 1961:72).

ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ რამდენადაც მრავალ სემანტიკურ კავშირში შედის ზმნა, იმდენად ერთმევა მას ფრაზეოლოგიური მნიშვნელობით წარმოდგენის უფლება. მათი აზრით, ეს დამოკიდებულია ზმნის მიერ საგნობრივ-რეალური მნიშვნელობის დაკარგვის ხარისხსა და იმ მომენტზე, თუ რამდენად მყარ გარემოცვაში უხდება მას არსებობა (ვინოგრადოვი 1977:84).

ა. თაყაიშვილის აზრით, ეს დებულება დაზუსტებას მოითხოვს. ზმნის გარშემო შექმნილ სიტყვათა დიდსა თუ მცირე წრეს გადამწყვეტი როლი არ უნდა ჰქონდეს ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის განსაზღვრისათვის. მთავარია, რომ ეს წრე არ უტოლდებოდეს ზმნის ნომინაციური მნიშვნელობით შექმნილ წრეს. რაც შეეხება ფრაზების განსხვავებულ რაოდენობას, იგი ზმნის მნიშვნელობათა განსხვავებული სემანტიკური პოტენციის ანარეკლია. საჭიროა ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში შემავალი ყველა ზმნა შესწავლილ იქნეს და დაჯგუფდეს მათ სემანტიკურ შესაძლებლობათა მიხედვით (თაყაიშვილი 1961:73).

ფრანგული ფრაზეოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე სემანტიკური კლასიფიკაციის ყველაზე უფრო ობიექტურ კრიტერიუმად წარმოგიდგება მათი კომპონენტების აზრობრივი ურთიერთდამოკიდებულება. ამის საფუძველზე გამოყოფილ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ჩართულია:

1) იდიომები, ანუ ფრაზეოლოგიზმები ორაზროვანი აზრობრივი კომპონენტების დამოკიდებულებით. მათ გააჩნიათ ერთიანობა, საერთო მნიშვნელობა, თუმცა განსხვავებული ხარისხით კომპონენტების მჭიდრო კავშირი და მნიშვნელობის მოტივირება.

მაგალითად: *lune de miel* - თაფლობის თვე; *fruit sec* - 1. გამოცდაზე ჩაჭრილი,

2. სკოლის კურსთამთავრებელი, ვინც ვერ შეძლო ატესტატის აღება; 3. უნიჭო, უიღბლო, ბედუკუდმართი ადამიანი; *grosse légume* - დიდი ვინმე, უფროსი, თანამდებობის კაცი, ბობოლა; *panier à salade* - საუბ. პოლიციის მანქანა.

მეტაფორული ფრაზეოლოგიზმები - იდიომები, რომელთა წარმოშობაც გამოწვეულია მათი კომპონენტების სრული გადააზრებით, წარმოშობილია თანამედროვე ენის გრამატიკული მოდელების მიხედვით. ამიტომაც მსგავსი ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური გარდაქმნის ძირითადი მახვენებელი ემსახურება გადატანითი და სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის შეპირისპირებას. ეს შეპირისპირება უფრო მძაფრად არის გამოხატული იმ შემთხვევებში, როდესაც ორივე მნიშვნელობა, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაა გამოყენებული ენაში. უნდა აღინიშნოს, რომ ფრაზეოლოგიზმების პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა აზრობრივად განსხვავებულადაა წარმოდგენილი. ხშირად, კავშირი პირდაპირ და ფრაზეოლოგიზმის მეტაფორულ მნიშვნელობას შორის შედარებით ადვილად მყარდება, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ამ კავშირის გაგებისთვის ეტიმოლოგიური ანალიზი გვესაჭიროება. მართალია, ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეულის წარმოშობა სადავოა, მაგრამ ამას არ შეუძლია ეჭვის ქვეშ დააყენოს მეტაფორული გადააზრება, ანუ ამ ერთეულების სემანტიკური გარდაქმნა. მსგავსი ფრაზეოლოგიზმების მეტაფორული ხასიათი უპირველეს ყოვლისა, ენაში მათი თავისუფალი კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სინტაქსური ვარიანტების კავშირით დასტურდება. ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმების რეალიზაცია, სიტყვიერი მეტაფორების მსგავსად, საჭიროებს კონტექსტის დახმარებას. სინამდვილეში, ვინაიდან სიტყვათშეთანხმებებს, რომლებსგანაც ისინი წარმოიშვა, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობა ახასიათებთ, მხოლოდ მოცემულ კონტექსტშია შესაძლებელი იმის განსაზღვრა, საქმე ეხება ამ სიტყვათშეთანხმებების სიტყვასიტყვით თუ გადატანით მნიშვნელობას (თაყაიშვილი 1961:74).

2) უნილატერული ფრაზეოლოგიზმები, სადაც ფრაზეოლოგიზმების ერთი კომპონენტი გამოიყენება პირდაპირი მნიშვნელობით.

მაგალითად: *une poche d'oeil* - საუბ. ჩალურჯებული, ჩალილავებული თვალი; *gros mot* - უხეში სიტყვები, მუქარა, ლანძვრა, ვინება; *bonne femme* - 1. კეთილი, კარგი ქალი; 2. საუბ. მოხუცი ქალი, დედაბერი, დეიდა (ნაზარიანი 1976:65).

ფრაზეოლოგიური ერთეულის სემანტიკურად გარდაქმნის ძირითადი თვისება დაკავშირებულია ამ ერთეულისთვის განმასხვავებელ მნიშვნელოვან

თავისებურებასთან: სემანტიკის ინდივიდუალობასა და განუმეორებლობასთან. აქედან გამომდინარეობს, რომ ფრაზეოლოგიური ერთეული არ ექვემდებარება მოდელირებას. შეუძლებელია მოცემული სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელით მისი შექმნა.

ამ თავისებურების გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ შეიზღუდოს ფრანგული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულები ხშირად გამოყენებული მეტაფორული გამოთქმებით (როგორც თავისუფალი, ასევე მყარი), რომლებსაც ტიპური მნიშვნელობა გააჩნიათ.

ფრაზეოლოგიური ერთეულების არამოდელირებულ ხასიათზე მიუთითებდა ბევრი მეცნიერი (ნ. ამოსოვა, ვ. არხანგელსკი, ა. კუნინი, ი. ჩერნიშევა და სხვ.), რომლებიც არაუსაფუძვლოდ უსვამდნენ ხაზს გრამატიკული (სინტაქსური) სტრუქტურის ფრაზეოლოგიური ერთეულის ფრაზეოლოგიურ მოდელთან არევის და გაიგივების შეცდომას. ამ მეცნიერთა ნაშრომებში მკაფიოდაა ნაჩვენები, რომ ფრაზეოლოგიური მოდელის (წარმოშობილი სტრუქტურულ-სემანტიკური) შექმნა შეუძლებელია. ხოლო, რაც შეეხება ფრაზეოლოგიური ერთეულის გრამატიკულ (სინტაქსურ) მოდელს, მასში იგულისხმება თავისუფალი სიტყვათშეთანხმების სტრუქტურული ტიპი, რომლის ბაზაზეც მითითებული ერთეული იქმნება.

ა. ნაზარიანი კომპარატიულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ფრანგულ ენაში შემდეგ ტიპებად ყოფს (ნაზარიანი 1976:211):

1) ადიექტიური კომპარატიული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც გამოხატავს ზედსართავის აღმატებით ხარისხს. ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულის შედარებითი ნაწილი ისეთი ზმნიზედების ფუნქციას ასრულებს, როგორებიცაა: *très, fort, extrêmement* და ასე შემდეგ.

მაგალითად: *clair comme l'eau de roche* - 1. *გამჭვირვალე*; 2. *გახავები, დამაჯერებელი*. ეს არის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი და გავრცელებული შედარების ტიპი. ისინი სხვადასხვა სტილს მიეკუთვნება და ლექსიკური შემადგენლობის მხრივაც საკმაოდ განსხვავებულია.

2) ზმნური კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც შედარებითი კომპონენტების ლექსიკური შესუსტებით მიიღება. ასეთი ფრაზეოლოგიზმების შედარებითი სიტყვით გამოხატული კომპონენტი ისეთი ზმნიზედების როლს ასრულებს, როგორებიცაა: *beaucoup, excessivement*.

მაგალითად: *Manger comme un cochon* - *ღორივით ჭამა*.

3) ზედსართავი სახელის შემცველი კომპარატიული ფრაზეოლოგიური ერთეულები. იგი ზმნიზედის და არსებითი სახელის ფუნქციას ასრულებს.

მაგალითად: *Sûr comme la prunelle de l'œil* - საიმედო, სანდო, ერთგული.

ხოლო, სემანტიკური თვალსაზრისით კი, ზმნიზედის ფუნქციას ასრულებს. ფრაზეოლოგიურ შედარებას შესაძლებელია მივაკუთვნოთ ასევე მყარი სიტყვათშეთანხმება, რომელიც კავშირი *comme*-სგან და არსებითი სახელისგან შედგება (ზოგჯერ შეიძლება ნაცვალსახელისა და რიცხვითი სახელისგან შედგებოდეს), რომლებიც შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ზედსართავი სახელი აღმატებით ხარისხში.

მაგალითად: *comme un fou* - გიჟივით; *comme quatre* - ძალიან ბევრი, ოთხის სამყოფი. ასევე შესაძლებელია არსებით სახელს ახლდეს წინდებული. მაგალითად: *comme dans un rêve* - როგორც სიზმარში.

მოყვანილი მაგალითებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსგავსი ტიპის შეკვეცილ კომპარატიულ ფრაზეოლოგიზმებს პირველი წევრი არ გააჩნიათ, მაგრამ მეტყველებაში ძირითადი ზედსართავი სახელითა და ზმნითაა წამოდგენილი, რომლებიც ორწევრიან შეთანხმებებს ქმნიან. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მათგანი დროთა განმავლობაში მყარი შესიტყვება გახდა და დამოუკიდებელ ფრაზეოლოგიზმად გარდაიქმნა (ნაზარიანი 1974:125).

მაგალითად: *Manger comme quatre* (ან *comme un bœuf, comme un maçon, comme un Hospitalier*) - ხარივით ჭამს, ოთხის სამყოფს ჭამს.

ზოგი ფრაზეოლოგიზმის წარმოშობა უფრო შემთხვევით ხასიათს ატარებს. თუმცა ყველაფერი ეს არ ამცირებს ფრაზეოლოგიური ერთეულების როლს და მნიშვნელობას, როგორც მნიშვნელოვან ენობრივ საშუალებას, რომლებიც ზოგიერთი ენათმეცნიერის აზრით ენაში არა მარტო სტილისტურ, არამედ ნომინაციურ (სახელობით) ფუნქციასაც აღნიშნავენ (ნაზარიანი 1974:212/213).

ფრაზეოლოგიური ერთეულები აზრობრივი სტრუქტურის მიხედვით არარეგულარულ ენობრივ ფორმირებებს წარმოადგენენ, ვინაიდან თანამედროვე ენაში მათი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობა არ შეესაბამება სიტყვების ლექსიკურ-სემანტიკურ მნიშვნელობებს.

ფრაზეოლოგიური ერთეულებისთვის სემანტიკური არსის დასაბუთებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხატოვანების გაგების სწორ განხილვას. ფრაზეოლოგიისთვის ეს პრობლემა საკვანძო საკითხს წარმოადგენს, თუნდაც იმიტომ, რომ ყველა მკვლევარი მათი შეხედულების მიუხედავად,

ფრაზეოლოგიის არსთან დაკავშირებით, ხატოვანებას (მეტაფორულობას) ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშან-თვისებად მიიჩნევს. სინამდვილეში ხატოვანება, როგორც სემანტიკური ტრანსფორმაციის ნიშანი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფრაზეოლოგიური ერთეულების შექმნასა და განვითარებაში, რაც იმის აუცილებლობას ქმნის, რომ ეს საკითხი ცალკე განვიხილოთ (ნაზარიანი 1974:155).

ზოგიერთ ავტორს იდიომების გარკვეული ნაწილი მიაჩნია არახატოვან ერთეულებად. აქ გულისხმობენ იდიომებს, რომლებსაც დღეს ორპლანიანობა არა აქვთ, რის გამოც არ უჩანთ მოტივაციის საფუძველი. ესაა ძირითადად გარკვეულ ისტორიულ რეაქციებზე დამყარებული გამოთქმები; მაგალითად: *ჩაიღურის წყალი დალია*.

მათში არაა საგნებით გამჭრალი ხატოვნების კვალი. თუმცა, კავშირი პირდაპირსა და გადატანით მნიშვნელობას შორის ნაკლებად იგრძნობა. ხატოვანი სახის შეგრძნება ყოველ იდიომში ერთნაირი სიძლიერით არცაა მოსალოდნელი (თაყაიშვილი 1961:35).

ხატოვანების პრობლემა არაერთხელ ყოფილა ენათმეცნიერების ყურადღების საგანი, მაგრამ მისი ფორმულირება სხვადასხვანაირად და განსხვავებული პოზიციიდან ხდებოდა.

შ. ბალი ხატოვანების სამ ძირითად ტიპს განასხვავებდა: პირველ ტიპს მიაკუთვნებდა კონკრეტულ (გრძნობით) სახეებს, მეორე ტიპს - ემოციურს და მესამეს გაქვავებულს (ნაზარიანი 1974:155).

შ. ბალი ხატოვანების თითოეულ ტიპს განასხვავებს მხოლოდ თავისი ინტუიციით. ინტუიცია ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. შ. ბალი აღიარებს ამ ფაქტს, აკეთებს რა მნიშვნელოვან დასკვნებს ემოციურ ხატოვანებასთან დაკავშირებით, იგი წერს: „არ უნდა უარყოთ, რომ ინდივიდუალური გრძნობა დიდ როლს თამაშობს ამ ტიპის ხატოვანების აღქმაში“ (ბალი 1961: 228). ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნათქვამი ხატოვანების ორ სხვა ტიპსაც ეხება. აქედან გამომდინარე, ვასკვნი, რომ ხატოვანების ცნება უნდა ეყრდნობოდეს ობიექტურ, სუფთა ლინგვისტურ კრიტერიუმებს, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინებენ ფაქტორებს, რომლებსაც მიყვარათ მოცემული ხატოვანების წარმოშობამდე. მსგავსი კრიტერიუმების არქონას შ. ბალი ხსნის იმით, რომ იგი არ ინტერესდებოდა ხატოვანი გამოთქმების წარმოშობით. განსაკუთრებით კვლევის სტილისტური ასპექტი

ხატოვანების პრობლემის და ლინგვისტური პროცესების სრული იგნორირება, რომლებიც განპირობებულია ხატოვანების წარმოშობით, რასაკვირველია, ხელს ვერ შეუწყობდა ამ პრობლემის გადაწყვეტას (ნაზარიანი 1974:156).

ხატოვანი ფრაზეოლოგიზმები, როგორც წესი, სტილისტურ საშუალებებს ემსახურებიან, ხოლო მათი გამოყენება, უმეტეს შემთხვევაში, დამოკიდებულია მოლაპარაკის ინდივიდუალურ თავისებურებებზე და პირად გემოვნებაზე. ამიტომაც, სხვადასხვა ადამიანის მიერ ერთი და იმავე ფრაზეოლოგიზმის გამოყენების სიხშირე შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს.

თუმცა, მაშინაც კი, ჩვენთვის ცნობილი რომ ყოფილიყო ფრაზეოლოგიური ერთეულების გამოყენების სიხშირე, სულ ერთია ხატოვანების პრობლემის გადაწყვეტა ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლებელი იქნებოდა, როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს ისინი. როგორც ფაქტები გვიჩვენებენ, ფრაზეოლოგიური ერთეულების გამოყენება და ხშირი ხმარება ყოველთვის არ იწვევს მათში ისეთ ცვლილებებს, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს მათ ხატოვან საფუძველზე (ნაზარიანი 1974:157).

ფრაზეოლოგიური ერთეულებს, რომლებიც ხატოვანი გადაზრების შედეგადაა წარმოქმნილი, სემანტიკური სტრუქტურის ორპლანიანობა ახასიათებთ: მათთვის გადატანითი და სიტყვასიტყვითი მნიშვნელობაა დამახასიათებელი. ამ ერთეულების ხატოვანების დასტურია სიტყვასიტყვითი და გადატანითი მნიშვნელობის შეპირისპირება.

გადააზრება შეიძლება იყოს მეტაფორული ან მეტონიმიური, რასაც შესაბამისად მიყვავართ მეტაფორული და მეტონიმიური ფრაზეოლოგიზმების შექმნისაკენ. განვიხილოთ ხატოვანი გადააზრების ტიპები ცალ-ცალკე (ნაზარიანი 1974:171).

მეტაფორული გადააზრება-წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს, რომელიც ფრანგული ენის ფრაზეოლოგიურ ფონდს ამდიდრებს. იგი გადატანითი მნიშვნელობით გამოიხატება, ძირითადად ემთხვევა ორ საგანს ან მოვლენას. მაგალითად: *cordon bleu* - სიტყვასიტყვით ნიშნავს *ციხფერი ლენტი* და გადატანითი მნიშვნელობით: *კარგი მზარეული*; *manger la grenouille* - პირდაპირი მნიშვნელობით *ბაყაყის ჭამა*, გადატ. *სხვისი ფულის დახარჯვა*.

მეტაფორული ფრაზეოლოგიზმების ეს კატეგორია საკმაოდ განსხვავებულია და ზოგჯერ მათი გარჩევა რთულდება. ყველაზე გავრცელებულია:

1) ქცევის, ქმედების გადატანითი მნიშვნელობა; მაგალითად: *mener qn par le nez* –

1. უფროსობს, თავის ჭკუაზე ატარებს; 2. ატყუებს, ხელზე იხვევს;
- 2) მდგომარეობის გადატანითი მნიშვნელობა; მაგალითად: *une poule mouillée* - მშიშარა ადამიანი;
- 3) შინაგანი ფორმის გადატანითი მნიშვნელობა; მაგალითად: *une feuille de chou* - 1. ბულვარული გაზეთი; 2. პროვინციული გაზეთი;
- 4) მოვლენების გადატანითი მნიშვნელობა; მაგალითად: *coup de foudre* - ელვის სისწრაფით;
- 5) ხასიათის შემცველი გადატანითი მნიშვნელობა; მაგალითად: *un vieux loup* - ბებერი გაიძვერა;
- 6) ფერის აღმნიშვნელი გადატანითი მნიშვნელობა; მაგალითად: *Figure de papier mâché* - საუბ. ფერმკრთალი, უფერული სახე.

გვხვდება ისეთი მეტაფორული ფრაზეოლოგიური იდიომები, რომლებიც მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება. მსგავსი ტიპის ფრაზეოლოგიზმებისთვის პირდაპირი მნიშვნელობის არქონა ძირითადად ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას:

- 1) ფრაზეოლოგიზმის პირდაპირი მნიშვნელობა, რომელიც ოდესღაც ენაში აქტიურად გამოიყენებოდა, ხმარებიდან გამოვიდა, მოძველდა. მაგალითად : *passer une salade à qn*, ამ გამოთქმაში *salade* ნიშნავს შლემის სახეობას, რომელსაც ცხენოსნები შუა საუკუნეებში ატარებდნენ. იმ დროის წესებით, სამხედროს იმ შემთხვევაში ახურავდნენ შლემს, თუ დანაშაულს ჩაიდენდა, რომელიც შემდეგ ისჯებოდა კიდევ. ამიტომაც გამოთქმა სიტყვასიტყვით *შლემის ვინმეს თავზე დახურებას* ნიშნავდა. გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს *მაგრად დატუქსვას*.

- 2) ფრაზეოლოგიური ერთეულის პირდაპირი მნიშვნელობა გამოტოვებულია (მათ შორის ეტიმოლოგიური კუთხით), ვინაიდან მისთვის ძირითადი გახდა არარეალური, წარმოსახვითი სიტუაცია. ამიტომაც სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმისთვის არარეალურია, თუმცა თეორიულად არსებობს.

მაგალითად: *c'est la mer à boire* - ძალიან რთული საქმეა (სიტყვასიტყვით: ეს ნიშნავს *ზღვის დაღევას*).

მეტაფორულ უნილატერალურ ფრაზეოლოგიზმებში გადააზრება შესაძლებელია, როგორც ერთი კომპონენტისთვის, ასევე კომპონენტების მთელი



ჯგუფისთვის. მაგალითად: *parler haut* – პირდაპირ, პირში მიახლა; *mariage de (la) main gauche* არაკანონიერი თანაცხოვრება (ნაზარიანი 1974: 174/175).

ორივე შემთხვევაში გადააზრებული სიტყვათშეერთების ნაწილი მკვეთრად გამოიყოფა, რაც საშუალებას იძლევა შედარებით ადვილად დამყარდეს მასში მიმდინარე აზრობრივი ცვლილება.

სრულად გადააზრებული და ნაწილობრივად გადააზრებული მეტაფორული ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ გაორება არაიდენტურია.

მაგალითად: *manger le morceau* - პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს *შეჭამო ნაჭერი (ხორცის, თევზის და ა.შ)*, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით *თანამზრახველების გაცემას*. ვინაიდან თანამედროვე ენაში ორივე მნიშვნელობა გამოიყენება, ამიტომ მხოლოდ კონკრეტული კონტექსტით შეიძლება მათი მნიშვნელობის გარკვევა (ნაზარიანი 1974:175).

მოყვანილი მაგალითით დასტურდება, რომ მსგავსი მყარი ფრაზეოლოგიური ერთეულის განსაზღვრული სიტყვით (ან სიტყვებით) გააზრება, ამ ფრაზეოლოგიზმს ან მთლიან კონტექსტს გასაგებს ხდის კონტექსტის მიღმაც (ნაზარიანი 1974:177).

მეტონიმიური გადააზრება, მეტაფორულთან შედარებით, სემანტიკური გარდაქმნის ნაკლებად გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. ის ვლინდება გადატანით მნიშვნელობაში, არა მსგავსების საფუძველზე, არამედ ორი საგნის, მოვლენის ან ცნების მომიჯნავეობით. ამიტომაც მეტონომიური ფრაზეოლოგიზმების პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობას შორის კავშირი უფრო მჭიდროა, ვიდრე მეტაფორული ფრაზეოლოგიზმების ანალოგიურ მნიშვნელობებს შორის (ნაზარიანი 1974:177).

არსებობს მომიჯნავეობის სხვადასხვა სახეობა, რომლებიც საფუძველად უდევს მეტონომიური ფრაზეოლოგიზმების ერთეულებს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია:

1) მთლიანის მაგივრად ნაწილის დასახელება. ამას სინეკდოხე ჰქვია. მეტონომიური გადატანითი მნიშვნელობის ეს სახეობა უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს:

ა. ადამიანის სხეულის ნაწილის აღნიშვნა, ადამიანის ხსენების ნაცვლად, რომელიც ჩვეულებისამებრ მის მორალურ, ან ფსიქოლოგიურ დახასიათებას შეიცავს;

მაგალითად: *une mauvaise langue* - ბოროტი, ავი, მწარე, შხამიანი ენა; *fine bouche* – გურმანი, პირის გემოს მცოდნე, პირის პატივის მოყვარული.

ბ. ადამიანის დახასიათება მისი განსაკუთრებული თვისებებით (ძირითად ფერის მიხედვით) მისი ტანსაცმლის, რომელიც ხშირად ამ ადამიანის დახასიათებას შეიცავს; მაგალითად: *blouson noir* - ხულიგანი; *robes noires* – ეკლესიის მსახურნი;

გ. ადამიანის დახასიათება იმ ინსტრუმენტის მიხედვით, რომელსაც ის იყენებს და რომელიც მისი განუყოფელი ნაწილია. მაგალითად: *canne blanche* – ბრმა.

2) სხეულის ნაწილის დასახელება, ამ ორგანოს მიერ შესრულებული ფუნქციის ნაცვლად; მაგალითად: *une belle main* – კარგი კალიგრაფია; *avoir de l'oreille* – კარგი სმენა ჟონდეს;

3) იმ საგნის სახელწოდება (იარაღი, საშუალება), იმ მიზნის მაგივრად, რისთვისაცაა ის განკუთვნილი; მაგალითად: *table ronde* – კონფერენცია მრგვალი მაგიდის გარშემო;

4) საგნების, ნივთების დასახელება მათთვის დამახასიათებელი (ჩვეული) ფერის მაგივრად. მაგალითად: *poil de carotte* – წითური.

5) მოქმედების ნაცვლად მიზნის დასახელება. მაგალითად: *prendre le frais* – სივრილეში გასეირნება;

6) ერთი მოქმედების ნაცვლად სხვა მოქმედების დასახელება, რომლის განხორციელებისთვისაც პირველი მოქმედება აუცილებელი პირობაა. მაგალითად: *prêter (tendre) l'oreille* – 1. ყურების დაცქვეტა, სმენის დაძაბვა; 2. ყურადღებით მოსმენა.

7) ადგილმდებარეობის, ქუჩის დასახელება დაწესებულების მაგივრად, რომელიც იქ მდებარეობს. მაგალითად: *le Quai d'Orsay* – საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც ორსეს სანაპიროზე მდებარეობს (ნაზარიანი 1974:177/178).

გვხვდება შემთხვევები, როცა მეტონიმიური გადააზრებები შერწყმულია მეტაფორულთან. მსგავსი შერწყმის მაგალითად შეიძლება ფრაზეოლოგიზმი გამოვიყენოთ. მაგალითად: *poivre et sel* - გაჭაღარავება (პილპილი და მარილი), რომლის მნიშვნელობაც ეფუძნება ერთი მხრივ, ორი ცნების აზრის შერწყმას, (დასახელებულია ნივთები ფერის ნაცვლად), ხოლო მეორე მხრივ, მათ მსგავსებაზე (პილპილი და მარილი ასოცირდება გაჭაღარავებულ თმებთან).

როგორც ჩანს ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან, მეტონიმიური გადააზრება ძირითადად არსებითი სახელების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულებისთვისაა დამახასიათებელი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხატოვან ფრაზეოლოგიზმებში, ისევე როგორც მეტაფორულში, აგრეთვე მეტონიმიურებშიც, სტილისტური, ლექსიკო-სტილისტური და ფონეტიკური საშუალებები გამოიყენება (ნაზარიანი 194:178).

განსაკუთრებით სწორედ სხვადასხვა ენის, ამ შემთხვევაში ფრანგულ და ქართულ გასტრონომიულ ფრაზეოლოგიზმთა ტიპოლოგიური ანალიზის ფონზე, იგრძნობა. ფრაზეოლოგიური შესიტყვების ერთ-ერთ საფუძველად მეტაფორული გარემოა მისაჩნვე. გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები ფრაზეოლოგიურ კონტექსტებს ქმნის. კონკრეტულის ზოგადთან ასეთი კავშირი მეტაფორულობას ქმნის. ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა უმრავლესობაში მხატვრული სახის შეგრძნება დღევანდელ ეტაპზე შესუსტებულია. ამის მიზეზად ასახელებენ იმ ფაქტორს, რომ სასაუბრო მეტყველებაში ხშირი ხმარებით ცვლება გამოთქმა და იჩქმალება მეტაფორული აზრი; რაც უფრო ახალია მეტაფორა, მით უფრო ნათლად ხდება მისი აღქმა (თაყაიშვილის 1961:75).

ამგვარად, ხატოვანების სუბიექტურად აღქმის სხვადასხვა ხასიათის მიუხედავად, მთავარია, რომ იგი ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში ობიექტურად არსებობს და ანალიზით შესაძლებელია მისი მიგნება.

მეტაფორა, სიტყვის მხოლოდ კონკრეტული მნიშვნელობის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებისას აღიქმება. საკმარისია ამ სიტყვის მნიშვნელობა ხმარებიდან გამოვიდეს, რომ მეტაფორის საფუძველზე აღმოცენებული მნიშვნელობა მყისვე კარგავს ხატოვან ელფერს და პირდაპირ მნიშვნელობას იბრუნებს.

მეტაფორის მნიშვნელობა სიტყვის საწყის მნიშვნელობასთან მიმართებაში გაიაზრება, როგორც გადატანითი მნიშვნელობა. შეუძლებელია მსგავსი მიმართება ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობასა და მისი პროტოტიპის მნიშვნელობას შორის დამყარდეს (ნაზარიანი 1974:179).

ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც არახატოვანი გადააზრებით წარმოიქმნა, მნიშვნელოვანია ფრანგული ენის ფრაზეოლოგიისთვის. არახატოვანი ფრაზეოლოგიური ერთეულები ხატოვანების მიხედვით იყოფა იდიომებად და უნილატერალურ ფრაზეოლოგიზმებად.

მაგალითად: *Faire fond sur ... ნდობა, დაყრდნობა (ვინმეზე, რამეზე);* იდიომი

*Raisonner de travers - სისულელეების როშვა, ჩმახვა.* უნილატერალური ფრაზეოლოგიზმი.

ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც არახატოვანი გადააზრების შედეგად წარმოიშვა სხვადასხვა სტრუქტურულ ტიპს და ლექსიკო-გრამატიკულ კატეგორიებს მიეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ ეს ფრაზეოლოგიზმები ხატოვანთან შედარებით უფრო მყარ სტრუქტურას ფლობენ.

ფრანგული ენის ზოგიერთი არახატოვანი ფრაზეოლოგიური ერთეული არქაიზმებს შეიცავს, რაც უფრო მეტად ხაზს უსვამს ამ ერთეულების არახატოვან ხასიათს (ნაზარიანი 1974:179).

როდესაც მარტივი სიტყვისა და ფრაზეოლოგიზმის დამოკიდებულებაზე ლაპარაკობენ, ფრაზეოლოგიის მხრივ მხედველობაში აქვთ შედარებით სინთეზური აღნაგობის ერთეულები, რომლებიც სემანტიკურ მთლიანობებს ქმნიან. სწორედ ეს სემანტიკური მხარეა უპირველესი ნიშანი მათი სიტყვებთან მსგავსების დასადგენად. მსგავსების მეორე ნიშნად მიჩნეულია მეტაფორულობა. ა. რეფორმატსკი გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებულ სიტყვებს იდიომებად თვლის (რეფორმატსკი 1959: 93). როგორც იდიომის ჩამოყალიბება მნიშვნელობის აბსტრაქირების პროცესს წარმოადგენს, ასევე სიტყვის მეტაფორიზაცია განზოგადებას გამოხატავს: *მოთაფლეა, დაშაქვრა* და სხვ. გადატანითი მნიშვნელობით „*ტკბილი სიტყვით ვისიმე გულის მოგება, მონადირებას*“ ნიშნავს, მაგრამ არავინ აქცევს ყურადღებას, რომ ამ მნიშვნელობას კონკრეტული პროცესი უდევს საფუძვლად. სიტყვა *დაშაქვრას* ორი მნიშვნელობა აქვს პირდაპირი და გადატანითი, პირდაპირი მნიშვნელობით იგი *შაქრის ჩაყრას* ნიშნავს, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით *ტკბილი სიტყვით გულის მოგებას*.

მაგრამ არ შეიძლება სიტყვისა და ფრაზეოლოგიზმის საბოლოო მსგავსებაზე ვილაპარაკოთ. ის, რომ იდიომი ფუნქციურად სიტყვას უტოლდება, საკმარისი არ არის მათ გასაიგივებლად. იმის გამო, რომ სიტყვა მეტაფორულობას იძენს, ვერ ჩავთვლით მას იდიომად. მეტაფორულობა ზოგადი კატეგორიაა. ცნობილია მეტაფორა წინადადებები - ანდაზები, რომლებიც ფრაზეოლოგიის მიღმა რჩება. მართალია, სიტყვა და იდიომი წინადადების ასაგებ ელემენტად ითვლება, მაგრამ არც ესაა არსებითი. მთავარია, რომ ისინი ერთმანეთისაგან სტრუქტურით განსხვავდებიან და შედარებისას ეს უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. ლექსემის (სიტყვის) კომპონენტები ერთ მთლიანობად ერთდებიან, ქმნიან ბგერით ერთიანობას, ფრაზემის (ფრაზეოლოგიზმის) კომპონენტები კი

ინახევენ სიტყვათცვლილების შესაძლებლობას, დაკავშირებული არიან აზრობრივი და გრამატიკული კავშირებით (თაყაიშვილი 1961:87).

არ შეიძლება ფრაზეოლოგიზმი ყოველთვის მივიჩნიოთ ეტაპად სინტაქსური შენაერთის რთულ სიტყვად გადაქცევის გზაზე. ასეთ პროცესს, სხვა აზრობრივ მომენტებს რომ თავი დაგანებოთ, ედობება ფრაზეოლოგიზმის სინტაქსური და მორფოლოგიური შესაძლებლობანი. რთულ სიტყვასა და ფრაზეოლოგიზმს შორის სხვაობა სწორედ გრამატიკულ აგებულებაში, შემადგენელი ელემენტების ცვლილებათა ფორმებში უნდა ვეძიოთ.

შ. ბალი ფრაზეოლოგიზმისა და თავისუფალი შესიტყვების გასამიჯნავად მხოლოდ სემანტიკურ მომენტს იყენებს. მაგრამ მხოლოდ სემანტიკური მიდგომის კრიტერიუმში ზოგჯერ სუბიექტურია. მასთან ერთად, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს გრამატიკული ფაქტორებიც.

1) მათ განსხვავებულ ყველაზე არსებით ნიშნად მიიჩნევა ფრაზეოლოგიზმის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამი. მაგალითად: *მუავე წყალი დალია* - აქ ყოველი წევრი პირდაპირი მნიშვნელობითაა, რომელთა ჯამი გვაძლევს მთელი თავისუფალი შესიტყვების საერთო დანაწევრებულ გაგებას. *თვალს წყალი დააღვეინა* - აქ ზოგადი მნიშვნელობა არაა კონკრეტულ მნიშვნელობათა ჯამის ტოლი. ამის გამო, თავისუფალი შესიტყვება და ფრაზეოლოგიზმი ქიმიურ ნარევეთანაა შედარებული;

2) ამ განსხვავებული ნიშნიდან გრამატიკული ხასიათის სხვაობაც გამომდინარეობს. თავისუფალი შესიტყვების კომპონენტებს ახასიათებთ გრამატიკული თავისთავადობა, ცალ-ცალკე გამოდიან წინადადების სხვადასხვა წევრის როლში. ფრაზეოლოგიზმი წინადადებაში ერთი წევრის ფუნქციას ასრულებს;

3) ფრაზეოლოგიზმის (განსაკუთრებით ფრაზეოლოგიური შესიტყვების) ზმნას მოქმედების შეზღუდული სფერო აქვს. იგი კავშირშია არსებითი სახელის მკაცრად განსაზღვრულ წრესთან. თავისუფალ შესიტყვებაში კი ზმნის მოქმედების რადიუსი შეუზღუდავია;

მაგალითად: *ჭამა - ხილი, თევზი, პური ...* და საერთოდ ყველაფერი რის ჭამაც შეიძლება.

4) განსხვავებას ქმნის ისიც, რომ თავისუფალი შესიტყვება სტილისტურად ნეიტრალურია (ციტირებულია ნაზარიანის მიერ, ვინოგრადოვი 1953:23).

ამგვარად, თავისუფალი შესიტყვება, რაგინდ ფრაზეოლოგიზმის ამოსავალ კატეგორიად არ უნდა ჩაითვალოს, ვერ მოთავსდება ფრაზეოლოგიაში. იგი მუდამ დარჩება სინტაქსის შესწავლის საგანი.

ფრაზეოლოგიზმი და ანდაზა – ფრაზეოლოგიზმის მონათესავე კატეგორიებიდან სირთულეს ქმნის ანდაზასთან მისი მიმართების გარკვევა. ეს სირთულე ნაწილობრივ აიხსნება ანდაზის ცნების დაუზუსტებლობითაც. ანდაზების კრებულებში შეაქვთ მასალა, რომელსაც ანდაზასთან არაფერი აქვს საერთო. ზოგიერთი ავტორი ანდაზებს იდიომისაგან მიჯნავს, მაგრამ ფრაზეოლოგიაში, მაინც ტოვებს (ნეიმანი, ციტირებულია თაყაიშვილის მიერ 1941: 94/98).

ანდაზასა და იდიომის შორის სხვაობა ასე წარმოგვიდგება:

1) ფრაზეოლოგიზმი ფორმით შესიტყვებაა, ანდაზა კი - წინადადება. *მაგალითად: ნიორმა თავისი სიმყრალე სამ წელიწადს შეინახაო.*

2) ზმნური ფრაზეოლოგიზმი დასრულებულ აზრს არ გამოხატავს. აკლია ქვემდებარე. სხვა სიტუაციაში სხვა ქვემდებარეა მოსალოდნელი. რაც შეეხება სუბსტანციურ ფრაზეოლოგიზმებს, მათში შემასმენელია გამოტოვებული; *მაგალითად: ტკბილი სიტყვა.* ანდაზა დასრულებულ აზრს გადმოგვცემს. *მაგალითად: ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება.*

3) ფრაზეოლოგიზმი სიტყვის ეკვივალენტია, რომელიმე წევრის ფუნქციითაა წარმოდგენილი. *მაგალითად: დაბალი ღობე* ანდაზა ისევ და ისევ წინადადების ეკვივალენტია: *მაგალითად: ჯდა ორივე ხელით იჭმევაო.* ასეთი გამოთქმის ერთი სიტყვით გამოხატვა შეუძლებელია.

4) ფრაზეოლოგიზმი ფორმას იცვლის სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიების მიხედვით. იგი დამოკიდებულია წინადადების შინაარსზე. *მაგალითად: სამარეს უთხრის, სამარე გაუთხარა.* ანდაზის ენობრივი ტექნიკა მყარია, უცვლელია სინტაქსური რიგი:

*მაგალითად: პაპის ნაჭამმა ტყემალმა შეილიშვილს მოსჭრა კბილია.*

*Être le chien du jardinier qui ne mange point de choux et n'en laisse pas manger aux autres-  
მებალის ძაღლი კომბოსტოს არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს;* ქართული ეკვივალენტით: *ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევსო.*

1) ფრაზეოლოგიზმი ფაქტს აღნიშნავს. ანდაზის მიზანი კი დიდაქტიკურია - იგი კონკრეტული ფაქტის გადმოცემასთან ერთად იძლევა აღმზრდელით სენტენციას (თაყაიშვილი 1961:97).

ანდაზებს ახასიათებთ დიდაქტიკური მიმართულება, ე.ი მათი მიზანია ადამიანთა დარიგება. ანდაზის დიდაქტიკურ მხარეზე ლაპარაკობს ა. კუნინი, როდესაც წერს „ანდაზა დიდაქტიკურ მიზანს ისახავს“ (ციტირებულია ჯაშის მიერ, კუნინი 1953:251).

ასე განმარტავს ანდაზის მნიშვნელობას ქართველი პარემიოლოგი ქ. ჯაში თავის დისერტაციაში: „ანდაზა – ეს კომუნიკაციური ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულია, რომელსაც გააჩნია ალევორიული ტიპის მეორადი ხატოვანი ნომინაციის ფუნქცია“ (ჯაში 1990:32).

ა. ნაზარიანი აღნიშნავს: ანდაზები, კომუნიკაციური კონსტრუქციები, დასრულებული წინადადებებია, რომლებიც დასმული სტრუქტურის მქონე პრედიკატულ სიტყვათშეერთებებს წარმოადგენენ (ნაზარიანი 1962:152).

ანდაზებს, წერს ვ. თელია, ყოველთვის აქვთ ქარაგმული, განზოგადოებული მნიშვნელობა, რომელიც წინადადების კონკრეტული შინაარსიდან არ გამომდინარეობს (თელია 1994:514).

ირკვევა, რომ ფრაზეოლოგიზმი და ანდაზა სხვადასხვა რიგის ენობრივი ოდენობებია, განსხვავებული როგორც ფორმით, ისე სტრუქტურით. ფრთიან სიტყვათა მსგავსად ანდაზები ფრაზეოლოგიის შევსების ერთ-ერთ მოქმედ წყაროს წარმოადგენენ. ქართულში არ ხდება განსხვავება *proverbe* ანდაზებსა და *dicton* ანდაზურ გამონათქვამებს შორის. ასევე გვაქვს ანდაზისაგან იდიომის მიღების შემთხვევები.

მაგალითად: *პირი ეწვის - თუ პილპილი არ გიჭამია, პირი რად გეწვისო; ხავსს ეჭიდება - წყალწადებული ხავსს ეჭიდებოდაო და სხვ. En mangeant on perd l'appétit, en buvant on perd l'esprit - ჭამისას მადა ეკარებათ და სმისას გონება; Entre le fromage et la poire, chacun dit sa chanson à boire - დესერტის დროს სტუმრები მღერიან.*

ზოგჯერ ეს გამოთქმები შემოკლებულ ანდაზებად მიაჩნიათ, რადგან ამ ნაწყვეტით შესაძლებელია მთელი ტექსტის აღდგენა. მაგრამ ეს ხერხდება თავდაპირველ ეტაპზე. დროთა გამავლობაში რედუცირებული ერთეული დამოუკიდებელ სახეს იღებს (თაყაიშვილი 1961:99).

ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი - ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში მრავლად გამოიყოფა შედარებით ანალიტიკური ხასიათის ერთეულები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომუნიკაციის პროცესში. მართალია, მათ არ

ახასიათებთ იდიომისთვის დამახასიათებელი მტკიცე სემანტიკა, მაგრამ ერთ მთლიან მნიშვნელობას მაინც იძლევიან. ესაა ე.წ. ფრაზეოლოგიური შესიტყვებები. ასეთი გამოთქმების საფუძველს ერთ-ერთი კომპონენტის მნიშვნელობის ფრაზეოლოგიურად დაკავშირება ქმნის.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სწორედ ამის დასტურია EUROPHRAS-ევროფრაზის მორიგი კონფერენცია, რომელიც 2016 წელს Univeristé de Trèves (Allemagne) - ტრირის უნივერსიტეტში (გერმანია) ტარდება. კონფერენციის თემატიკა საკმაოდ აქტუალურია, საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ ღიადაა დარჩენილი ლინგვისტიკის ამ დარგში: ფრაზეოლოგიის ადგილი და ურთიერთობა, გრამატიკის, დისკურსის ანალიზის, დიაქრონიული ან შედარებითი ლინგვისტიკის შესწავლისას. ასევე მნიშვნელოვანია ფრაზეოლოგიისა და პარემიოლოგიის კვლევების ინტეგრაცია სხვა დარგებთან (ხელოვნების ისტორიასთან, სამართალთან, ლიტერატურასთან, სოციოლოგიასთან, პოლიტიკურ მეცნიერებებთან, ეთნოლოგიასთან, ფსიქოლოგიასთან).



## დასკვნები

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ განვიხილეთ ფრაზეოლოგიური კვლევები შ. ბალის ნაშრომებიდან დაწყებული თანამედროვე მეცნიერების კვლევებით დამთავრებული. მოკლედ წარმოვადგინეთ თანამედროვე უცხოელ და ქართველ ლინგვისტთა ნაშრომების მიმოხილვა ფრაზეოლოგიის დარგში. მიმოვიხილეთ 2014 წელს პარიზში სორბონის უნივერსიტეტში ჩატარებული EUROPHRAS-ის კონფერენციის ფარგლებში წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ნაშრომები.

სხვადასხვა ლიტერატურაზე დაყრდნობის შედეგად გამოვლინდა, რომ:

1) ფრაზეოლოგიის შეწავლა მხოლოდ სინქრონიული მეთოდის გამოყენებით შეუძლებელია. კვლევისთვის გამოყენებული უნდა იქნეს დიაქრონიული მეთოდიც.

ა. ნაზარიანის აზრით, მეთოდების სხვადასხვაგვარობის მიუხედავად, ისინი დაფუძნებული უნდა იქნეს შემდეგ პრინციპებზე, რაც გულისხმობს:

ა. ისტორიულ მიდგომას ფრაზეოლოგიური მოვლენებისადმი;

ბ. ფრაზეოლოგიზმის განვითარების დინამიკის გათვალისწინებას, როგორც დიაქრონიაში, ასევე სინქრონიაში;

გ. შესასწავლი ფრაზეოლოგიური მოვლენების ყოველმხრივ ანალიზს, მათი მრავალფეროვნების და წინააღმდეგობების განხილვით;

დ. პირველ რიგში, შესასწავლი ენის სპეციფიკისა და ფრაზეოლოგიური სისტემის თვისებების გათვალისწინებას (ნაზარიანი 1976:36).

2) განვიხილეთ სხვადასხვა სპეციალისტის მიერ მოცემული ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურული და ფუნქციური კლასიფიკაცია. ჩვენ მიერ ყველაზე მისაღები აღმოჩნდა ა. ნაზარიანის კლასიფიკაცია, რასაც დავეყრდნობით კვლევის დროს. იგი ფრანგული ენის ფრაზეოლოგიზმებს გრამატიკული სტრუქტურიდან გამომდინარე ყოფს: არაპრედიკატულ (ერთსიტყვიანი და ფრაზემები), ნახევრადპრედიკატულ და პრედიკატულ (ღია და დახურული სტრუქტურით) ერთეულებად.

ფრანგული ენის ფრაზეოლოგიზმები თავიანთი ფუნქციის მიხედვით იყოფა: კომუნიკაციურებად და არაკომუნიკაციურებად. არაკომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმები, თავიანთი მხრივ, იყოფა ნომინაციურ, რთულ და

(წინდებულიანი და კავშირიანი) ასევე შორისდებულიან და მოდალურ ერთეულებად.

3) მოგახდინეთ ფრანგული ფრაზეოლოგიის სემანტიკური დაყოფა.

1. იდიომები, ანუ ფრაზეოლოგიზმები ორაზროვანი აზრობრივი კომპონენტების დამოკიდებულებით;

2. ცალმხრივი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ხასიათდებიან კომპონენტების ცალმხრივი აზრობრივი დამოკიდებულებით;

4) მოკლედ მიმოვიხილეთ 2014 წელს პარიზში სორბონის უნივერსიტეტში ჩატარებულ EUROPHRAS-ის კონფერენცია. წარმოვადგინეთ ფრაზეოლოგიის დარგში თანამედროვე უცხოელი და ქართველი ლინგვისტების ნაშრომთა მიმოხილვა;

5) ფრაზეოლოგიზმები დაეყავით ორ დიდ ეტიმოლოგიურ კატეგორიად:

1. არატერმინოლოგიური წარმოშობის ფრაზეოლოგიზმები;

2. ტერმინოლოგიური წარმოშობის ფრაზეოლოგიზმები.

XXI საუკუნეში ქართული ფრაზეოლოგიის კვლევა გრძელდება თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გათვალისწინებით. კვლევის ობიექტად რჩება სხვადასხვა ენობრივი მასალა. მატულობს ასევე კვლევების ტიპოლოგიური რაოდენობაც.

ამის დასტურია EUROPHRAS ევროფრაზის მორიგი კონფერენცია, რომელიც 2016 წელს ტრირის უნივერსიტეტში (გერმანია) ჩატარდება. კონფერენციის თემატიკა საკმაოდ აქტუალურია. მნიშვნელოვანია ფრაზეოლოგიისა და პარემიოლოგიის კვლევების ინტეგრაცია სხვა დარგებთან (ხელოვნების ისტორიასთან, სამართალთან, ლიტერატურასთან, სოციოლოგიასთან, პოლიტიკურ მეცნიერებებთან, ეთნოლოგიასთან, ფსიქოლოგიასთან) და ა. შ.

## თავი II გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულების დახასიათება

### 2.1 ფრანგულ-ქართული გასტრონომიის მოკლე მიმოხილვა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფრაზეოლოგიზმების კვლევას უამრავმა ლინგვისტმა მიუძღვნა ნაშრომი, მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი სფეროს, როგორცაა გასტრონომია და მასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების კვლევა, ფაქტობრივად არ განხორციელებულა ქართულ რეალობაში.

ნაშრომში წარმოდგენილია ფრანგულ-ქართულ გასტრონომიასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები, ასევე მათი კლასიფიკაცია სემანტიკური მნიშვნელობის და გამოყენების თვალსაზრისით და მათი შედარება-შეპირისპირება შესაბამის ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან, განსხვავებებისა და მსგავსებათა ძიების გამოვლენით.

განვიხილოთ თვითონ სიტყვა-ტერმინი გასტრონომია, რომელიც 200 წელზე მეტია, რაც დამკვიდრდა. ტერმინი „გასტრონომია“ ფრანგმა პოეტმა *Joseph Berchoux*- ჟოზეფ ბერშუმ<sup>8</sup> 1801 წელს გამოიყენა. ორი წლის შემდეგ პარიზში, *Simon Célestin Croze Magnan*<sup>9</sup>- სიმონ სელესტენ კროზ მანიანი აქვეყნებს ასევე ნაშრომს „გასტრონომი პარიზში“ - *Le gastronome à Paris*. 1835 წელს კი პარიზის აკადემიამ სიტყვა გასტრონომია ლექსიკონში შეიტანა.

გასტრონომია განსაზღვრავდა იმას, თუ რას ვჭამდით და ვსვამდით, მთლიანობაში კი იგი კარგი სამზარეულოს ხელოვნებას წარმოადგენს. ფრანგული სამზარეულოს ლექსიკა სხვადასხვა ქვეყნების ტერმინოლოგიაში შევიდა. უამრავი სიტყვა, როგორცაა *რესტორანი*, *გარნირი*, *ომლეტი*, *სოუსი*, *მაიონეზი*, *სუფლე*, *ბულიონი* და მრავალი სხვა ფრანგული სამზარეულოს პოპულარობის მანიშნებელია მთელ მსოფლიოში. რა თქმა უნდა, ყველა ეს ტერმინი ქართულ ენაში ფრანგულიდანაა შემოსული. ქართველები ისევე, როგორც სხვა ერის ხალხი, ხშირად იყენებენ სიტყვა „გურმანს“ (*gourmand*). ყველამ იცის, რომ ესაა პიროვნება, რომელიც აფასებს და რომელსაც უყვარს

<sup>8</sup> ჟოზეფ ბერშუ (1760-1838) ფრანგი პოეტი და იუმრისტი, 1801 წელს მან გამოაქვეყნა პოემა სახელწოდებით "გასტრონომია ანუ ადამიანი სუფრასთან", *La gastronomie ou l'Homme des champs à table* რომელმაც დიდი წარმატება მოუტანა მწერალს.

<sup>9</sup> სიმონ სელესტენ კროზ მანიანი (1750-1818) ფრანგი ბიბლიოთეკარი და მწერალი.

გამორჩეული კერძები. თუმცა ფრანგულ ენაში „გურმანი“ ნიშნავს ადამიანს, რომელსაც უყვარს ბევრი და გემრიელად ჭამა, ხოლო გამორჩეული საჭმელების მოყვარულს და კულინარიის კარგ მცოდნეს, „გურმეს“ (*gourmet*) უწოდებენ.

გასტრონომია ფრანგი ხალხისათვის, ისევე როგორც ქართველებისათვის, ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ამ თემასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების შესწავლა ორი ხალხის გასტრონომიული თავისებურებებისა და ორი სხვადასხვა ოჯახის ენის (ფრანგულის და ქართულის) ამ კუთხით შედარება-შეპირისპირების საფუძველს გვაძლევს.

სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შევეცადეთ წარმოგვედგინა ფრანგულ-ქართული კულინარიის ისტორია, რაც საშუალებას მოგვცემს გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ არა მარტო ამ ორი ქვეყნის სამზარეულოზე, არამედ საკვები პროდუქტების წამოშობასა და მათ მნიშვნელობაზე ადამიანების ცხოვრებაში. ნაშრომში გამოვიყენეთ ასევე ინტერნეტ რესურსები. საკმაოდ ვრცელი მასალა მოვიპოვეთ ფრანგული კულინარიის ისტორიის შესახებ, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ კულინარიაზე.

ძალიან დიდხანს საკვების ისტორიისა და კულინარიის მიმართ ერთნაირად გულგრილი იყვნენ სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები. ამ ოცდაათი წლის წინ კი დაიწყო ე.წ. „კულინარიული ბუმი“ რის შედეგადაც ისტორიის, ანთროპოლოგიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ლინგვისტიკის სპეციალისტებმა მრავალი თვალსაჩინო და ბევრ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესი ინტერდისციპლინარული ნაშრომი შექმნეს.

კულტურის ისტორიკოსისათვის საკვების წარმოშობისა და მისი მოძრაობისათვის თვალის გადევნება შეიძლება იდეალური გზა აღმოჩნდეს ისტორიაში მიჩქმალული ამბებისა და სოციალური ურთიერთობების გამოსავლენად. საკვები ხომ მუდამ წარმოადგენდა როგორც დღესასწაულებისა და რელიგიური ცერემონიების, ისე სოციალური სტატუსისა თუ ეთნიკურ-რელიგიური მიკუთვნებულობის სიმბოლოს (გორგილაძე 2012:24).

ეროვნული სამზარეულოს ჩამოყალიბებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: პირველ რიგში, საკვების ხელმისაწვდომობა, ანუ ის, თუ რამდენად ხელსაყრელი კლიმატური პირობებია ქვეყანაში ამა თუ იმ კარგად ნაცნობი თუ ახლად შემოსული მცენარის კულტივირებისათვის. ამ მხრივ, ორივე ქვეყანა გამორჩეულია.

საქართველოში უაღრესად ხელსაყრელმა კლიმატმა უდავოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ მრავალფეროვნების შექმნაში, რომლითაც ქართული სამზარეულო გამოირჩევა (გორგილაძე 2012:71).

ვინაიდან ჩვენი თემა გასტრონომიას შეეხება, ამიტომ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შემოგვეთავაზებინა მცირედი ისტორიული ექსკურსი, თუ როგორ განვითარდა კულინარია და რა ეტაპები გაიარა მან.

პირველი წიგნი კულინარიის შესახებ ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღრიცხვით I საუკუნეში ძველი რომის იმპერიაში აპიციუსმა<sup>10</sup> შექმნა, რომელშიც თავმოყრილი კულინარიული რეცეპტები დალაგებულია ინგრედიენტებისა და კერძების მიხედვით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ქართველი მწერლის ბარბარე ჯორჯაძის<sup>11</sup> მიერ შედგენილი „ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობარი“, რომელიც 1874 წელს გამოიცა, ხოლო მისი ცნობილი „სრული სამზარეულო“, 1914 წლით არის დათარიღებული. რომელიც იმდროინდელი დიასახლისებისთვის სამაგიდო წიგნი გახდა. ბარბარე ჯორჯაძის წიგნში შემონახულია ქართული კერძების მთელი ჩამონათვალი, რომლებიც დღეს დავიწყებასაა მიცემული და ამავე სახელწოდების კერძებს განსხვავებული რეცეპტებით ამზადებენ. რაც შეეხება საფრანგეთს, აქ შუა საუკუნეებში ფრანგული ენის ლიტერატურულ-წერითი ფორმირების პროცესი იწყება.

ფრანგული გასტრონომიისთვის ეს პროცესი აღინიშნება საფრანგეთში პირველი კულინარიული წიგნის (1375) გამოჩენით, რომელიც Guillaume Tirel -გიომ ტირელმა<sup>12</sup>, შარლV-ის მზარეულმა დაწერა. წიგნი ერთ ეგზემპლარად გამოვიდა და „*Le Viandier*“ ეწოდებოდა. ყველაზე საინტერესო კერძები იყო მოხარშული ხბოს, ცხვრის, კურდღლის, შემწვარი ღორის, გოჭის და მრავალი სხვა ხორცისგან დამზადებული კერძები. წიგნში მოყვანილია სხვადასხვა კულინარიული ტექნიკა: შებოღვა, შეწვა, ქოთნებში მომზადება და სანელებლების გამოყენება. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა ბევრი ზმნა, რომლებიც ხორცის მომზადების და გადამუშავების ტექნიკას აღნიშნავს.

<sup>10</sup>მარკუს გავიუს აპიციუსი ჩვ. წ. აღ-ით I საუკუნეში მოღვაწე ცნობილი გასტრონომი. ხელნაწერი ნაშრომის ავტორი: *De re coquinaria ou L'Art culinaire(კულინარიის ხელოვნება)*, რომლის ბოლო ვერსია IV საუკუნით თარიღდება. <http://www.actu-histoireantique.com/page-4062205.html> (12.11.2015).

<sup>11</sup>ბარბარე ჯორჯაძე (1833-1895) მწერალი, საზოგადო მოღვაწე.

<sup>12</sup>გიომ ტირელი (1310-1395) საფრანგეთის სამეფო კარის მზარეული.

ამერიკის აღმოჩენამ შესაძლებელი გახდა ფრანგი მზარეულებისთვის ისეთი პროდუქტების გამოყენება, როგორებიცაა: ბარდა, პომიდორი, სიმინდი, ყავა, კაკაო და კარტოფილი. ზოგიერთი მათგანის სახელდება ფრანგულ ენაში ნასესხობით შემოიფარგლა, ხოლო დანარჩენებმა ფრანგულ ენაში ასიმილაცია მოახდინა.

ამ პერიოდში ლექსიკის გამდიდრება რამდენიმე გზით ხდებოდა. ესენია:

- \* სესხება;
- \* სიტყვაწარმოება;
- \* სიტყვათხზვა.

ახალფრანგული პერიოდი (XVI-XVIII სს) ასახავს ფრანგული ეროვნული სამწერლო-სალიტერატურო ენის ნორმირებას. იწყება პირველი ლექსიკონების შექმნა და გამოცემა. ფრანგული სალიტერატურო ენა საფრანგეთის ფარგლებს სცდება. ენაში ჩნდება ნეოლოგიზმები, ხოლო ბევრი სინონიმი იკარგება. ნეოლოგიზმების წარმოქმნა ხდებოდა კონვერსიის, სუფიქსაციისა და პრეფიქსაციის გზით.

მაგალითად: *blanchi* - გათეთრება; *mouiller* - (სამზ.) ხარშის დროს წყლის დამატება; *abricoter* - გარგარის ჯემის თხელი ფენის ნამცხვარზე წასმა; *déglicer-ეინულის მოშორება*; *abaisse* - 1. საგორავით გაბრტყელებული ცომი; 2. ნამცხვრის ზედა ქერქი.

სამზარეულოსთვის უკვე მისაღები გახდა ახალი ტექნოლოგიური ხერხით მომზადებული კერძები. კულინარიაში „რევოლუცია“ მოხდა ანუ დაიწყო მზარეულებს შორის კრიტიკული კამათი. საფრანგეთის ნაღებ საზოგადოებაში კულინარიის გაკვეთილები მოდაში შემოვიდა.

1651 წელს მზარეულ არისტოკრატის *François Pierre la Varen* - ფრანსუა პიერ დე ლა ვარენის<sup>13</sup> ძალიან ცნობილი ფრანგული წიგნი გამოვიდა, რომლის ოცდაათი გამოცემა არსებობს. მზარეულებმა შეიმუშავეს მურაბების, კომპოტების, ჟელეს, მარმელადის რეცეპტები. პირველი კაფე *Le Procope-პროკოპი*<sup>14</sup> 1686 წელს გაიხსნა და პრივილეგირებული საზოგადოების, მწერლების, ფილოსოფოსების საყვარელი ადგილი გახდა. იმ დროის მეღვინემ - *Dom Pierre Pérignon* - პიერ პერინიონმა (ან დომ პერინიონმა) ლეგენდის მიხედვით დიდი როლი ითამაშა

<sup>13</sup>ფრანსუა პიერ დე ლა ვარენი (1618-1678), წიგნის "Le cuisinier françois" (ფრანგი მზარეული, 1651).  
<sup>14</sup>პროკოპი ერთ-ერთი უძველესი კაფე-რესტორანი პარიზში. მდებარეობს VI უბანში. კაფე მწერლებისა და ცნობილი პიროვნებების შეხვედრის ადგილად რჩება.

შამპანურის შექმნაში. ლა ვარენის ფენოვანი ცომის ტექნიკით შეიქმნა ჩვენთვის ცნობილი ნამცხვარი *mille feuilles*<sup>15</sup>, რასაც ქართულ სამზარეულო სივრცეში ნამცხვარი „ნაპოლეონი“ შეესაბამება. კულინარია ხელოვნებად იქცა, ახალი, დახვეწილი მანერებითა და სუფრის გაწყობით.

კულინარები იღონებენ ახალ სოუსებს. ფრანგული გასტრონომია დღემდე ინახავს მათ საიდუმლოს. ეს იტალიური, ესპანური, პორტუგალიური, გერმანული, ჰოლანდიური წარმოშობის სოუსებია, რომელთა სახელწოდებები უკავშირდება ამა თუ იმ ქვეყანას ან ხალხს, რაც მათ შესახებ ამა თუ იმ ენაზე ქმნის წარმოდგენას, თუმცა მათი მომზადების თავისებურება რომელიმე ქვეყნის ნაციონალურ სამზარეულოს არ ასახავს. ფრანგები, რომლებიც სოუსებს ქმნიდნენ, მათ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს წარმოსახვით უკავშირებდნენ. მაგალითად, სოუსი ტარტარი - *Sauce tartare* (*მაიონეზი ჯონჯოლითა და მდგოვეით*). ფრანგები თვლიდნენ, რომ მისი სახელწოდება თათრებს უკავშირდება და აქედან მოდის სოუსის დასახელება - ტარტარ სოუსის სახელწოდების მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ სოუსის შექმნის ადგილიც (რუანული, ნორმანდიული, პროვანსული), მაგრამ ასეთი „ხალხურობა“ მომზადების ტექნიკასთანაცაა დაკავშირებული. მაგალითად: *à l'anglaise-ორთქლზე მომზადება, au chinois-საცერით გაცრა*. 1782 წელს Antoine Beauvilliers - ანტუან ბოვილიე<sup>16</sup> ხსნის პირველ რესტორანს. XVIII საუკუნის ბოლოს კი მათი რიცხვი 3000-ს აღწევს.

კლასიკური პერიოდი ითვლება ფრანგული ენის ჩამოყალიბების ეპოქად. ვითარდება სამწერლო-სალიტერატურო ენა და ამასთან ერთად ენობრივი იდენტობა. ყველაფერი ეს კი ასახვას ლიტერატურაში პოულობს. დღის სინათლეზე გამოდის ფ. რაბლეს რომანი-ეპოპეა „გარგანტუა და პანტაგრუელი“, რომელშიც მოთხრობილია უთვალავი ტრაპეზის, კერძებისა და ღვინის შესახებ. დადგა ფრანგული სამზარეულოს აყვავების ხანა, რომელიც ლუდოვიკო XIV-ეს მეფობას ემთხვევა. *მეფე - მზემ* დიპლომატიის ხელოვნება გასტრონომიულ ხელოვნებას შეადარა. ამ დროს სამზარეულომ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. მზარეულები კულინარიულ პოლემიკას აწყობენ, უპირისპირებენ რა თანამედროვე სამზარეულოს ტრადიციულს. იმდროინდელი კონდიტერები

<sup>15</sup>სიტყვასიტყვით "ათასფურცელა".

<sup>16</sup>ანტუან ბოვიე (1754 -1817) ცნობილი ფრანგი შეფ-მზარეული. 1817 წელს პირველი რესტორანი გახსნა პარიზში.

იგონებდნენ ღვეზელებს, ნამცხვრებს, თაფლის კვერებს, დრაჟებს, ნამცხვრებს, მურაბებს, სხვადასხვა სახეობის ნუგას და ნაღების ნაყინს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ჩანგლის გამოყენება იყო, რამაც ფრანგების მენტალიტეტსა და საკვების მიღებისადმი დამოკიდებულებაში გადატრიალება მოახდინა. კულინარიის ეპიცენტრი პარიზი იყო, მაგრამ რეგიონალური სამზარეულოს განვითარებაც მიმდინარეობდა. ამას მოწმობს ის, რომ კერძების დასახელება აღნიშნულია გეოგრაფიული ადგილიმდებარეობით. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:

*A l'alsacienne*: კერძის შემადგენლობა-მუხავე კომბოსტო და მსხვილ ნაჭრებად დაჭრილი ლორი;

*A l'arlésienne*: შემწვარი ბადრიჯანი, პომიდორი და ყაბაყი;

*A la bourguignonne* : ხახვი, სოკო და მსხვილ ნაჭრებად დაჭრილი ბეკონი;

*A la bretonne* : თეთრი ლობიო, მსხვილად დაჭრილი ნიახურის ძირები (თაღამის ზომისაა), რასაც ჩვენ კერძებში არ ვიყენებთ.

*A la parisienne* : ამ კერძის რამდენიმე ვერსია არსებობს, უმეტესად იგი დაჭრილი სალათისა და კარტოფილისაგან შედგება;

*A la provençale* : ზეითუნის ზეთში შემწვარი პომიდორი, ნიორი, ზოგჯერ სოკო (კვერცხი, ფრინველი, თევზი და ა.შ.).

ყურადღება ექცეოდა გემოვნებას და ინგრედიენტების ვიზუალურ მთლიანობას. ფრანგულმა სამზარეულომ საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. შუა საუკუნეებიდან უნიკალურმა და შემოქმედებითმა ეროვნულმა სამზარეულომ ფორმირება დაიწყო. სხვადასხვა სოციალური მოძრაობები, პოლიტიკური მიმდინარეობები და დახელოვნებული მზარეულები ერთობლივად ამ მოძრაობის სულისჩამდგმელები გახდნენ. წლების განმავლობაში ფრანგულ სამზარეულოს სხვადასხვა სახელით იხსენიებდნენ, რომელსაც სხვადასხვა შეფ-მზარეულები საკუთარი გემოვნებისამებრ ცვლიდნენ. მათი ცხოვრების განმავლობაში ეს მზარეულები ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში შეტანილი ღვაწლისთვის დიდად ფასდებოდნენ. ეროვნული სამზარეულო უმეტესწილად ქალაქ პარიზში სამეფო კარის მზარეულთა მიერ განვითარდა, თუმცა დროთა განმავლობაში ის მთელ ქვეყანაში და საზღვარგარეთაც გავრცელდა.

ვითარდება გასტრონომიული ლიტერატურა და ჟურნალისტიკა, რომელიც „დარტემის ქვეშ“ აყენებს რესტორნების არსებობას. 1802 წელს რესტორნების



პირველი კრიტიკოსი Grimaud de Reynière- გრიმო დე ლა რეინიერი<sup>17</sup> აქვეყნებს თავის პირველ გამოცემას *L'Almanach des gourmands* - „გურმანების ალმანახი“. კიდევ ერთ ახალ აღმოჩენად იქცა Nicolas Appert - ნიკოლა აპერის<sup>18</sup> გამოგონება- პროდუქტების კონსერვირების შესახებ. იმ დროს კულინარებს კერძებისთვის სახელწოდებების მინიჭება უყვარდათ. მაგალითად: *les filets de sole à la Dugléré* – კერძს, რომელსაც ფრანგი მზარეულის Adolphe Dugléré -ადოლფ დუგლერეს<sup>19</sup> სახელი ეწოდა (თევზის ბულიონი, თეთრი ღვინო, პომიდვრით, ხახვით, დაჭრილი ოხრახუშით); *Le tournedos Rossini*-საქონლის ფილე, პაშტეტი, ქამა სოკო (ტურნედო ანუ ლორში გახვეული საქონლის ხორცი); *Sauce à la Soubise*- ბეშამელის სოუსი, ხახვი, კარაქი, არაჟანი, პილპილი და მარილი.

XX საუკუნეში ვითარდება ტურისტული ინდუსტრია, რაც ხელს უწყობს სუფრის ეტიკეტისა და მანერების განვითარებას. 1913წ. პირველი სასტუმრო სკოლა გაიხსნა ნიცაში ევროპული სტანდარტების მქონე რესტორნების მოსამზადებლად.

ფრანგულ კულინარიაში დიდი წვლილი შეიტანა Auguste Escoffier<sup>20</sup>-ოგიუსტ ესკოფიემ, რომელიც ფრანგი შეფ მზარეული და ახალი კერძების შემქმნელი იყო. იგი თვლიდა, რომ სამზარეულო უნდა იყოს ერთდროულად საუკეთესო და მოსანელებლად მსუბუქი. მას სისტემაში მოჰყავს რეცეპტები და „ამარტივებს“ მათ.

დღეს ფრანგულ სამზარეულოს ყოფენ შემდეგ ჯგუფებად: *cuisine régionale*- რეგიონული სამზარეულო, *cuisine bourgeoise* - ფრანგული სამზარეულო ყველასთვის და *haute cuisine* - დახვეწილი სამზარეულო. ეს დაყოფა პირობითია, მაგრამ ის ხაზს უსვამს ფრანგების სათუთ დამოკიდებულებას გასტრონომიასთან და მსოფლიოს დიდ ინტერესს ფრანგული სამზარეულოსადმი.<sup>21</sup>

<sup>17</sup> გრიმო დე ლა რეინიერი (1758-1837) გასტრონომიული ლიტერატურის დამაარსებელი. 1803-1812 წლებში აქვეყნებს „გურმანების ალმანახს“. ეს იყო პირველი პერიოდული კულინარიული ალმანახი, რომელიც მკითხველს პარიზის კვარტლების საუკეთესო კვების ობიექტებს რესტორნებს, კაფეებს, საკონდიტროებს და ა. შ. აცნობდა.

<sup>18</sup> ნიკოლა აპერი (1749-1841)-ფრანგი გამოგონებელი; გამოიგონა პროდუქტების დაკონსერვების მეთოდი. საფრანგეთში პირველი საკონსერვო ქარხანა დააარსა.

<sup>19</sup> ადოლფ დუგლერე (1805-1884)-ფრანგი შეფ მზარეული.

<sup>20</sup> ჟორჟ ოგიუსტ ესკოფიე (1846-1935) ფრანგი კულინარი, კრიტიკოსი, კულინარიული მწერალი, ფრანგული სამზარეულოს ნოვატორი მეტსახელად „მზარეულთა მეფე და მეფეთა მზარეული“ *roi de cuisinier et cuisinier des rois*.

<sup>21</sup> <http://www.cuisinealafrancaise.com/fr/articles/23-au-xixe-siecle> (12.11.2015).

ფრანგებს ძალიან აინტერესებთ ყველა სახის სამზარეულო. დღეს ისინი მარტო კი არ კითხულობენ, არამედ ქმნიან კულინარიულ წიგნებს. ძალიან პოპულარულია ელექტრონული გამოცემლობა. ეს ხელს უწყობს თანამედროვე ფრანგულ ენაში ახალი სიტყვების წარმოქმნას. ამით შეიძლება დავასკვნათ, რომ ფრანგულ გასტრონომიულ ლექსიკას ძალიან მდიდარი და საინტერესო ისტორია გააჩნია, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ფრანგების კულტურასთან, ტრადიციებსა და ცხოვრებასთან უძველესი დროიდან დღემდე. ხოლო, რაც შეეხება ქართულ სამზარეულოს, მას გადაჭარბებული ქება არ სჭირდება. ის, პრაქტიკულად, კარგი სამზარეულოს ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს. გემრიელია, მრავალფეროვანია, ჯანმრთელია და წარდგენის დახვეწილი ფორმები აქვს (გორგილაძე 2012:9).

კულინარიული და არა მხოლოდ კულინარიული მოდის დამკვიდრებას ევროპელები თურმე 789 წელს ბაღდადში დაბადებულ მუსიკოსს, ასტრონომს, გეოგრაფს, კოსმეტოლოგს, გასტრონომს და საერთოდ, სტილისა და დახვეწილობის მეტრს, აბუ ჰასან ალ ბენ ნაფის, მეტსახელად ზირიაბს<sup>22</sup> (შავ ჩიტს), უნდა უმადლოდნენ, რომელიც ზოგი მკვლევრის აზრით, წარმოშობით ქურთი უნდა ყოფილიყო.

თუ სტილისა და მოდის კანონმდებელს, ზირიაბს დაუბრუნდებით, ვნახავთ, რომ სწორედ მან შემოიტანა კერძების რიგითობა და მკაცრად განსაზღვრული წესი სუფრაზე. კერძოდ, ჯერ წვნიანისა, შემდეგ ფრინველის ან საქონლის ხორცის, ანდა თევზისა და ბოლოს დესერტისა. ასეთ წესს იმდროინდელ ბაღდადსა და დამასკოშიც კი არ იცნობდნენ. ამ წესის დამკვიდრება ზირიაბის პირად დამსახურებად და ინოვაციად უნდა ჩაითვალოს. იგი დღემდე ძალაშია ევროპასა და, ზოგადად, დასავლურ სამყაროში. რაც უნდა ირონიულად ედერდეს, სწორედ აღმოსავლელმა არაბმა თუ ქურთმა - ზირიაბმა დანერგა ტრაპეზის ისეთი წესი დასავლურ სამყაროში, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა აღმოსავლურისაგან.

დღეს, დასავლეთში ზირიაბი სრულიად დავიწყებული ან იგნორირებულია, ხოლო ეროვნულ მეხსიერებას, როგორც წესი, არ უყვარს თავის ამა თუ იმ ტრადიციის უცხოური, მით უფრო, დამპყრობელთან დაკავშირებული-წარმომავლობის აღიარება (გორგილაძე 2012:191/192).

---

<sup>22</sup> აბუ ჰასან ალ ბენ ნაფის (789-857) წარმოშობით ქურთი მუსიკოსი, გეოგრაფი, ასტრონომი.

მიიჩნევა, რომ კერძების რიგითობის დაცვისა და ულუფებად დაყოფის ეს წესი საფრანგეთში რუსეთიდან იქნა შემოტანილი. საფრანგეთში, მანამდე გავრცელებულ გამასპინძლების წესს, რომელიც ადრეული შუა საუკუნეებისა და რენესანსის პერიოდების მოდელის მიხედვით ჩამოყალიბდა, XVIII საუკუნეში „Service à la française“ ა ლა ფრანსეზ<sup>23</sup> ეწოდება. უზარმაზარი მაგიდები სავსე იყო სხვადასხვაგვარი საოცრად გაფორმებული კერძებით. სტუმრები მათ სიახლოვეს მდგარი კერძიდან მიირთმევდნენ ჩამონაჭერს. მიღებული იყო მოსამსახურეთათვის იმის თხოვნა, რომ მოშორებით მოთავსებული სასურველი კერძი გადმოეწოდებინათ. მაგრამ ამის რამდენჯერმე გამეორება ცუდ ტონად ითვლებოდა. მარგარეტ ვისერი თვლის, რომ სწორედ ამ დროს უნდა წარმოშობილიყო მოშორებით მჯდომი თანამეინახის პატივისცემისა და ყურადღების ნიშნად, ამა თუ იმ მიმზიდველი კერძის გაგზავნის ჩვეულება (ვისერი 1992: 200).

რაც შეეხება იმას, თუ ვინ შემოიტანა რუსული წესი საფრანგეთში, ასეთ პიროვნებად ზოგი ავტორი ფრანგ მზარეულ Marie-Antoine Carême<sup>24</sup> - მარია ანტუან კარემს მიიჩნევს, ზოგი კი გრაფ Александр Куракин - ალექსანდრ კურაკინს<sup>25</sup>, რომელიც 1808-1812 წლებში რუსეთის ელჩი იყო ავსტრიასა და საფრანგეთში. ნაპოლეონის, ტალეირანისა და როტშილდების მზარეული მარი ანტუან კარემი რუსეთში მეფე ალექსანდრე პირველის მიწვევით იმყოფებოდა, მაგრამ ისე მალე დატოვა რუსეთი, რომ თავისი ცნობილი კერძებიდან ერთის მომზადებაც ვერ მოასწრო მეფისთვის.

ახალი „რუსული“ მეთოდით მომსახურების წესის პოპულარიზაციაზე განსაკუთრებით უზრუნია თავად ორლოვის ფრანგ შეფ-მზარეულს, Felix Urbain Dubois<sup>26</sup>- ფელიქს ურბენ დიუბუას, რომელიც 1870-იან წლებში რუსეთიდან საფრანგეთში დაბრუნდა.<sup>27</sup>

<sup>23</sup>Service à la française-სუფრის გაშლის წესი, რომლის დროსაც ყველა კერძი მაგიდაზე ეწყოთ. ეს წესი სამეფო კარზე იყო გავრცელებული.

<sup>24</sup>ანტუან კარემი (1784-1833)-ცნობილი შეფ მზარეული, რომლის სახელთანაა დაკავშირებული თანამედროვე სამზარეულოს დაარსება.

<sup>25</sup>ალექსანდრე კურაკინი (1752-1818), რუსი პოლიტიკოსი, ვიცე კანცლერი.

<sup>26</sup>ფელიქს ურბენ დიუბუა (1818-1901), ფრანგი მზარეული. ცნობილია თავისი ნაშრომებით, რომლებიც კულინარული ხელოვნების კლასიკად იქცა.

<sup>27</sup>[https://fr.wikipedia.org/wiki/Urbain\\_Dubois](https://fr.wikipedia.org/wiki/Urbain_Dubois) (12.11.2015).

ნებისმიერი ხალხის სამზარეულო ისევე, როგორც მისი ენა, ცოცხალი ორგანიზმი ანუ სისტემაა. ის ცოცხლობს, განიცდის გავლენას, ზოგ რამეს ითვისებს და ტოვებს, თავისად აქცევს, ზოგს კი განდევნის, ვერ ჰგუობს. მაგალითად, ქართულ ენაში ბერძნულიდან, სპარსულიდან, არაბულიდან, თურქულიდან, ფრანგულიდან, გერმანულიდან და რუსულიდან უამრავი სიტყვა შემოსულა, ბევრი მათგანი იმდენად შეზრდია ქართულს, რომ ახალ კომპოზიციაში ძნელი შესამჩნევი გამხდარა მათი უცხოობა, ზოგი კი ვერ შეთვისებია ენას და გასცლია მას. ასევეა სამზარეულოც, როცა უცხო გარემოდან შემოსულ ცალკეულ პროდუქტსა თუ კერძს ეხება საქმე (გორგილაძე 2012:8).

დასავლეთში ტრაპეზი მკაცრად სტრუქტურირებულია, სადილად წინასწარ, დიდი ხნით ადრე იწვევენ. დანიშნულ დროს მისვლა აუცილებელია. მიწვეულმა ადამიანმა თითქმის ყოველთვის იცის თავის ადგილი და პრაქტიკულად შეუძლებელია, რომ მის ადგილზე შემთხვევით სხვა ვინმე აღმოჩნდეს. მან ისიც იცის, რას მიართმევენ და როგორი თანმიმდევრობით. დასავლეთში, როგორც წესი, საკვები გამოზომილი რაოდენობით მზადდება, მოწვეული სტუმრების ზუსტი რიცხვის მიხედვით. რაიმეს დაძალება ცუდ ტონად ითვლება. დესერტის შემოტანიდან სულ მალე სუფრა მთავრდება.

აღმოსავლეთი ასეთ მკაცრად განსაზღვრულ სტრუქტურასა და ინდივიდუალიზმს თავის თავისუფალ ლად სტილსა და ერთად ყოფნის სიხარულს უპირისპირებს. აქ შეიძლება ბოლო წუთში დაგპატიჟონ და ამას შეურაცხყოფად არავინ მიიღებს; შეიძლება დაგაგვიანდეთ, არც ამისთვის გაგიბრაზდებიან (საქართველოში დაგვიანებული - უფრო სწორად შემოსწრებული - სტუმრის სადღეგრძელოსაც კი სვამენ. მერე რა, რომ დაიგვიანეთ, მთავარია რომ მოხვედით). შეიძლება ვინმე დაუპატიუბელი სტუმარიც მოიყვანოთ, არც ამისთვის დაგძრახავენ. ყველა იქ ჯდება, სადაც სურს. კერძები შემოდის, შემოდის და სუფრაზე რჩება. მათი რაოდენობა, სიუხვე და დაძალება სტუმართმოყვარეობის გამოსატულებაა (გორგილაძე 2012:10).

საქართველო ტრადიციულად პურადი ქვეყანაა. წარმართობის ხანაში ქართლის მთავარი კერპის - არმაზის - თაყვანისცემის დღესასწაულს რიტუალური პურობა აგვირგვინებდა: „შემდგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჭამითა და ღვინის სმითა” (ვახუშტი 1973:24).

არტურ ლაისტი, რომელიც თამარის დროის საქართველოს „ოქროს ხანას“ აღწერს, აღნიშნავს : „ქართველებს უყვარდათ გატაცებული ქეიფი, რომელსაც აბჯრის და საჭურველის ტერციალი თუ შეწყვეტდა: და ამ შეწყვეტილ მეჯლისის შემდეგ კვლავ იწყებოდა პირვანდელი ღხინი და ნადიმობა, ან კი ბრძოლის ველზე გამარჯვებით დამთვრალ რაინდთა წოდებისა“ (არტურ ლაისტი, ციტირებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ 1935:35).

ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს ქართველებს: „ტაბლასა ზედა სჭამდიან და ნადიმობდნენ, სკამთა ზედა სხდიან, ბოდიშობდიან ქუდის მოხდით, ვითარცა აწ მთის კაცნიცა, სმიდიან ღვინოსა, სჭამდნენ ხორცთა პირუტყუთა და ნადირთათა, ნადიმობდნენ მეფისა თანა და ურთიერთთა თანა, და ამისთვის უწყოდნენ მოყსობა, ნათესაობა ღხინთა-ღხინობა და ჭირთა-ჭირობა“ (ვახუშტი 1973:24).

XVII საუკუნის საქართველოს სანადიმო კულტურის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად ფრანგი მოგზაურის Jean Chardin<sup>28</sup>- ჟან შარდენის მიერ აღწერილი ვახტანგ V-ის (შაჰნავაზის) ძმისწულის ქორწილი გამოდგება, რომელიც 1672 წელს გამართულა: „მერე ამგვარად გაშალეს სუფრა: გადაშალეს სუფრები ყველა სტუმრების წინ სეფის სამ მხარეს. სუფრები მაგიდების სიგრძისა იყო. შემდეგ მოიტანეს პური. პური სამნაირი სიგრძისა იყო: თხელი როგორც ქაღალდი, თითის სისხო და პატარ-პატარა დაშაქრებული პურები. ხორცი ამოიტანეს ვერცხლის დიდი ლანგრებით. ვერცხლისავე ხუფები ეხურა. ევროპაში ასეთ დიდ ლანგრებს არ ხმარობენ. ლანგარი ხუფით იწონის ასე, ორმოცდა ათ ან სამოც გირვანქას. შემოჰქონდათ და ამწკრივებდნენ ერთად. სხვებს მიჰქონდათ შემოტანილი ხორცი დამჭრელებთან; დასჭრიდნენ, ავსებდნენ საინებს და მიჰქონდათ სტუმრებთან მათი ღირსების მიხედვით. სამგვარი საჭმელი მოვიდა სუფრაზე, ყველა სამოცამდე ვეება ლანგრით. მოვიდა ყველა ჯურის ფლავი, ბრინჯი, ხორცთან ერთად მოხარშული. აკეთებენ სხვადასხვა ფერისას და გემოვნებისას: ყვითელ ფლავს შაქრით, დარიჩინით და ზაფრანით აზავენ, წითელს ბროწეულის წვენი. თეთრი ფლავი უფრო გემრიელი და კარგი საჭმელია. ფლავი საზოგადოდ საუცხოვო რამ სანოვაგაა, აზიზი და ფრიად შემრგე. მეორე თავად შემოიტანეს კუპატები, ყაურმა, მშვენიერი მომჟავოდ

<sup>28</sup> ჟან-ბატისტ შარდენი (1643-1713)-ფრანგი იუველირი, ძვირფასი ქვებით მოვაჭრე, მოგზაური. მისი ათ-ტომიანი კრებული *Voyage de monsieur le chevalier Chardin en Perse et aux lieux de l'Orient* „სერ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და ახლო აღმოსავლეთში“, ადრეული დასავლური კვლევების საუცხოო ნიმუშად ითვლება.

მოხრაკული ხორცი და სხვა ამგვარი საჭმელები. მესამე თავი შემწვარი იყო. ამ სამივე თავსაჭმელს მოსდევდნენ სამღვდელთათვის თევზი, კვერცი, მწვანილი, ჩვენ სახსნილოც და სამარხოც მოგვდიოდა: საკვირველი წესიერებით და სიჩუმით მიჰქონდ-მოჰქონდათ საჭმელები. ყველა უთქმელად აკეთებდა თავის საქმეს. სუფრაზე სამი ევროპელი ვიყავით და ჩვენ უფრო მეტს ვხმაურობდით, ვინემ ყველა ის ას ორმოცდათი კაცი, რომელიც სეფაში იყო. გარდა ამისა, მეტად საკვირველი იყო სუფრის იარაღი და ავეჯეულობა, ას ოცამდე ღვინის სასმელი ჭურჭელი იყო სუფრაზე: ბადიები,<sup>29</sup> თასები, ყანწები, კულები,<sup>30</sup> თორმეტი აზარფეშა და სხვა. აზარფეშები<sup>31</sup> თითქმის ყველა ვერცხლისა იყო. თასები, ბადიები, კულები, ზოგი სადა ოქროსი იყო, ზოგი დასვეადებული ოქროსი, ზოგი ძვირფასი თვლებით მოჭედილი, ზოგიც ვერცხლისა იყო. ყანწები ძვირფასი თასებივით იყო მოჭვილი. ყანწები სხვადასხვა სიდიდისაა; უფრო ხშირად ყანწი სიგრძით რვა გოჯია, სიგანით, პირში, ორი გოჯი. ყანწები შავებია და ძალიან სუფთად დათლილები. ხმარობენ აგრეთვე, მარტორქის და ჯიხვების ყანწებს. თუმცა საზოგადოდ საქონლის და ცხვრის რქების ყანწებს უფრო აკეთებენ. ყანწის ხმარება და მისი მორთვა ყოველთვის დიდად ჰყვარებიათ აღმოსავლეთში“ (შარდენი 1994: 344/347).

ქართული გასტრონომიის ისტორია თითქმის საერთოდ შეუსწავლელი სფეროა, არსებობს რამდენიმე თეორიული ნაშრომი, ძირითადად რეცეპტების კრებულების სახით, მაგრამ მთლიანობაში ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. წვნიანებით დაწყებული ტკბილეულით დამთავრებული, ჩვენი სამზარეულო ძალიან მრავალფეროვანია. ჩვენს კულინარიას დიდი კვალი დაამჩნია მეზობელმა კულტურებმა. აქ შესაძლებელია ვიპოვოთ არაბული, სპარსული, თურქული, სომხური, რუსული კვალი. მაგალითად, არაქართული ძირები აქვს ისეთ ქართულ კერძებს, როგორცაა ქაბაბი, ხაში, ბოზბაში, ყაურმა და მრავალი სხვა.

კულინარია შეიძლება ითქვას, ხელოვნების დარგია, სადაც ფერთა პალიტრას გემო ცვლის, ხოლო გამოსახულებაზე წინ კი არომატა ნაზავი დგას. მზარეულიც ხელოვანია, რომელიც თავისი გემოვნებისა და ფანტაზიის მიხედვით ქმნის ორიგინალურ რეცეპტებს და თავისი შტრიხები შეაქვს

<sup>29</sup> ბადია - ქუსლიანი დიდი ჯამი (უპირატესად ლითონისა).

<sup>30</sup> კულა - ხის სასმისი ხმინი (საბა), ვიწროყელიანი, მუცლიანი სასმისი ღვინისა (სმის დროს ღვინო რაკრაკით გადმოდის).

<sup>31</sup> აზარფეშა - ვერცხლის სასმისი, ტარიანი.

ტრადიციულ რეცეპტებში. ბოლო პერიოდში ძველი ქართული კერძების რეცეპტებიდან არაერთია დაკარგული, თუმცა ქართულ სოფლებში და უპირატესად მთის სოფლებში უძველესი ქართული რეცეპტებით დამზადებულ კერძებს დღემდე ვხვდებით. მეტად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს ყოველ კუთხეს აქვს არაერთი, საკუთარი ყოფისათვის დამახასიათებელი ტრადიციული კერძი, რომელიც მხოლოდ ამა თუ იმ ადგილებში გვხვდება. ასეთი კერძები, რომლითაც ხასიათდება მხარე, ან სოფელი, ხშირად მეზობელ სოფელშიც კი სრულიად უცხო და უცნობია. მაგალითად, ფშაური ტრადიციული „დამბალხაჭო“ მეზობელ ხევსურეთში არასოდეს უმზადებიათ. ასევე, მაგალითად აჭარული ხაჭაპური, ბორანო, ყურუთი, რაც მეზობელი გურიისთვის არასოდეს ყოფილა დამახასიათებელი. სვანური კუბდარი და ჭვიშტარი; მეგრული ელარჯი, გებუალია; რაჭული ღორი და ცულისპირული; მთიულური ხინკალი; თუშური კოტორი და ხმელი კალტი ... რაც შეეხება მწვადს, იგი მთელს საქართველოში გვხვდება. კერძების თავისებურება განსხვავებულია არა მხოლოდ საქართველოს მხარეების, არამედ, ზოგჯერ კონკრეტული სოფლების შემთხვევაშიც. საქართველოს სოფლებში მოსახლეობა ველურად მზარდი მცენარეებისაგან ამზადებს მრავალფეროვან კერძებს. ასეთი მცენარეებია: არჯაკელი, ღოღო, ეკალა, სატაცური, ყაყაჩო, ჭყიმა-მხალი, ბაღბა, ჭინჭარი, ღანძილი, მჟაუნა, დონდოლო, ბუსკანტურა, დვალური, დანდური, მეკენძელა-მხალი, ქუთქუტას მხალი, ანჩხლას მხალი და სხვ.<sup>32</sup>

ყველი საქართველოში ევროპისგან განსხვავებით, დესერტად არ გამოიყენება. ის სუფრაზე თავიდანვე შემოაქვთ. ქართული სუფრა პურით, ყველითა და მწვანილით იწყება. ქართულ სამზარეულოში ყველის სხვადასხვა სახეობისაგან მრავალფეროვანი კერძები მზადდება. ქართული სამზარეულოს მშვენიერების ხაჭაპურის მთავარი ინგრედიენტი ყველია და სწორედ მის ხარისხზე დამოკიდებული ხაჭაპურის გემო. დასავლეთ საქართველოში პოპულარულია გადახელილი ყველი პიტნით, რომელსაც გებუალიას ეძახიან, ასევე ელარჯი, შემწვარი სულგუნი. აჭარაში ბორანის უმეტეს ვარიაციაში ყველი გამოიყენება. ყველის მრავალფეროვნებით საქართველო საფრანგეთს ვერ შეედრება, რომლის შესახებაც შარლ დე გოლს უთქვამს, როგორ გინდა მართო ქვეყანა, რომელსაც მარტო ყველის ორასზე მეტი სახეობა აქვსო.

<sup>32</sup> <http://www.vinoge.com/samzareulo/qarTuli-kulinaria-fesvebidan-Tanamedrovebamde> (24.11.2015).

მთავარი განსხვავება ის იყო, რომ ხორცი ძალიან დიდი იშვიათობა იყო გლეხის სუფრაზე. გამონაკლისი ის იყო, რომ „ღორებს მოვლა არ სჭირდებოდა“ და არც ხარჯებთან იყო დაკავშირებული. კიდევ ერთი განსხვავება ის იყო, რომ ცხელი კერძი ხშირად არ მზადდებოდა გლეხის ოჯახში. მაგალითად, XIX საუკუნის დასაწყისში, კახეთში გლეხის ძირითადი საკვები იყო პური, ბალახეულ-მწვანეხეული, ყველი, ღორის ხორცი (ხშირად გამოყვანილი, ან გამომხმარი, ან ქვევრში შენახული), მარხვაში ღობიო და ა. შ.

გარდა ამისა აუცილებლად უნდა განვასხვავოთ აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს გასტრონომიული კულტურები. დასავლეთ საქართველოში ძირითადი საკვები ღობი იყო, რომელსაც სიმინდის ღერძისგან კი არ ამზადებენ, არამედ ღობისგან. სიმინდი საკმაოდ გვიან XVIII საუკუნეში შემოიტანეს საქართველოში.

გაცილებით მდიდრული იყო თავადური სუფრა. აქ მეტი იყო მრავალფეროვნება, ნანადირევი, თევზეული, სხვადასხვა კერძი. ე. წ. მაღალ, თავადურ სამზარეულოში გაცილებით მეტი საკაზმიც გამოიყენებოდა, ღვინოც დაძველებული ისმებოდა, განსხვავებით გლეხებისგან, რომლებიც ძირითადად იმავე წლის ღვინოს მოიხმარდნენ. აღმოსავლურ-ქართული სამზარეულო, მიუხედავად იმისა, რომ უგემრიელიესია, ძალზე მარტივია, იქ რამე განსაკუთრებული ინდივიდუალური ნიშნების პოვნა ძნელია. თუმცა გამონაკლისებიც არის, ამ მხრივ უდიდესი მონაპოვარია ჩაქაფული და ჩანახი, რომელთაგან ორივეს აღმოსავლური ძირები აქვს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სულ სხვა ვითარებას ვხედავთ, რადგან ფშავში, თუშეთსა და ხევსურეთში ვხვდებით სრულიად უნიკალურ პროდუქტს, როგორცაა ცხვრის გუდის ყველი, ხმელა კალტი, დამბალხაჭო, ალი (გამომხმარი ხორცი, ცხვრის, საქონლის, ჯიხვის ან დათვის), ლუდის ხარშვის ტრადიცია და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოში არის შედარებით ახალი, თანამედროვე კერძებიც, სხვადასხვანაირი ჩახრაკულები, ბუღლაძა და ა. შ. ასევე უძველესი შეჭამანდები (ძირითადად ქართლში). ჩვენი აზრით, ქართული სამზარეულოს მთავარი ნიშანი, პირველ რიგში, ორიგინალური პროდუქტია, ხშირად მომზადების წესიც, მაგრამ უმთავრესი საკაზმებია.<sup>33</sup>

მოპოვებული მასალის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფრანგული მასალა ქართულ მასალაზე უფრო მდიდარია, თუმცა დასკვნის სახით

<sup>33</sup> <http://www.vinoge.com/samzareulo/qarTuli-kulinaria-fesvebidan-Tanamedrovebamde> (24.11.2015).



შეგვიძლია აღვნიშნოთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო და არის სამზარეულო როგორც ფრანგებისთვის, ასევე ქართველებისთვის. ამის დასტურია უამრავი ლიტერატურა, რომელიც სამზარეულოს შესახებ გამოდის, კულინარიული წიგნები და ინტერნეტ საიტები, სადაც კერძების მომზადების წესია მოცემული. მნიშვნელოვანია ასევე ამ სფეროთი ლინგვისტების დაინტერესება. საკმაოდ ვრცელი მასალა არსებობს ფრანგული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების ეტიმოლოგიის თვალსაზრისით. ქართული მასალის მოძიებისას ძირითადად დავეყრდენით თედო სახოკიას ნაშრომს : „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.“

ქართული სამზარეულოსადმი ინტერესი დიდია უცხოელების მხრიდანაც. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ცნობილმა იტალიელმა ფოტოგრაფმა, მოგზაურმა, ღვინისა და გასტრონომიის შესახებ მწერალმა ქალმა კარლა კაპალობი<sup>34</sup> საქართველოში მოგზაურობის შემდეგ გადაწყვიტა ქართული ღვინისა და კულინარიის შესახებ დაეწერა წიგნი, რომელიც 2016 წელს გამოვა და იქ შეკრებილი იქნება იმ ადამიანების ამბები და ფოტოები, ვინც ამზადებენ ადგილობრივ კერძებს და აწარმოებენ ქართულ ღვინოს. კარლა კაპალობო თვლის, რომ საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს სათქმელი მსოფლიოსთვის. ჩვენი აზრით, ეს წიგნი საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება ქართველი გასტრონომიის მოყვარულთათვის.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას, როგორც ფრანგული, ასევე ქართული კულინარიის შესახებ, მაგრამ ჩვენი ნაშრომის მიზანია არა კულინარიის, არამედ კულინარიული ანუ გასტრონომიული შინაარსის მქონე ფრაზეოლოგიზმების შედარება-შეპირისპირება. ამიტომაც, დასკვნის სახით გვსურს მოვიშველიოთ ცნობილი და წარმატებული ფრანგი შეფ-მზარეულის Joël Robuchon<sup>35</sup> -ს უოელ რობიუშონის სიტყვები : „უნდა გიყვარდეს საკმე, რომელსაც აკეთებ, ხალხი, რომლისთვისაც აკეთებ და აუცილებლად გამოიყენო მხოლოდ ახალი და ხარისხიანი პროდუქტი. მისი აზრით, მზარეულის მთავარი იარაღი, ხელებთან

<sup>34</sup>[http://myrest.ge/?m=449&news\\_id=1746](http://myrest.ge/?m=449&news_id=1746) (08.11.2015).

<sup>35</sup> უოელ რობიუშონი-ცნობილი მოქმედი ფრანგი შეფ-მზარეული. მსოფლიოში ცნობილი რესტორნების მფლობელი. აქედან ორი პარიზში და ერთი ბორდოში. უამრავი ჯილდოსა და წოდების მფლობელი. 2007 წელს რობიუშონის რედაქტორობით ლარუსის კულინარიული ენციკლოპედია გამოიცა. უძღვება კულინარიულ სატელევიზიო გადაცემას და წერს წიგნებს.

ერთად, თავიც უნდა იყოს, რათა შეგვეძლოს კერძის გემოს, არომატისა და ტექსტურის ჰარმონიული შესამეგობა.“<sup>36</sup>

---


<sup>36</sup><https://chemisamzareulo.wordpress.com/2011/05/09/%E1%83%9F%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%9A-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98/> (08/11.2015)


## 2.2 გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრანგული ფრაზეოლოგიზმების თემატური კლასიფიკაცია

კულინარიული ლექსემების სხვადასხვაობიდან და გამოყენების თვალსაზრისიდან გამომდინარე შესაძლებელია მთელი მასალის კლასიფიკაცია და თემატურ ჯგუფებად დაყოფა. თემატური ანალიზის მეთოდი გასტრონომიული დისკურსის უნივერსალურ მეთოდს წარმოადგენს. სხვადასხვა წყაროებში (ინტერნეტ საიტები, გაზეთები, ჟურნალები და ა.შ.) მოცემულია უამრავი თემატური კლასიფიკაცია.

ნაშრომში წარმოგიდგენთ ჩვენს მიერ შემუშავებულ 1400 (1000 ფრანგული და 400 ქართული) ფრაზეოლოგიზმის თემატურ კლასიფიკაციას.

ცხრილი 1. გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების თემატური კლასიფიკაცია:





სემანტიკური და სტრუქტურული მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკვლევი მასალა დაეყავით 5 ჯგუფად.

პირველი ჯგუფი - შედგება გამოთქმებისგან, რომელთა ფორმა და შემადგენლობა სრულიად მსგავსია, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ერთი ენიდან მეორეზე პირდაპირ ვთარგმნოთ.

მაგალითად: *Manger comme un cochon* ღორივით ჭამა;  
*Manger (ან dévorer) des yeux* ხარბად ყურება, თვალებით ჭამა.

მეორე ჯგუფი - აერთიანებს გამოთქმებს, რომელთა მნიშვნელობა იდენტურია, ხოლო სტრუქტურა თითქმის ეკვივალენტურია.

მაგალითად: *Gagner son pain (ან sa vie) à la sueur de son front (ან de son corps)* ლუკმაპურს საკუთარი ოფლით შოულობს;

*Manger du pain sec - ხმელ პურზე ყოფნა.*

მესამე ჯგუფი-შედგება გამოთქმებისგან, რომელთა სტრუქტურა მთლიანად ეკვივალენტურია, მაგრამ მნიშვნელობა - განსხვავებული.

აქ საქმე გვაქვს ფრაზეოლოგიურ ომონიმებთან, „ცრუ მეგობრებთან“, რომლებიც ერთი ენიდან მეორეზე თარგმანისას ხშირად შეცდომების დაშვების მიზეზი ხდება.

მაგალითად: *Jouer de la prunelle - თვალის ჩაკერა, თვალების ქუქუნი;*

*Jeter du sel sur du lard - ცეცხლზე ნავთის დასხმა.*

მეოთხე ჯგუფი - შედგება გამოთქმებისგან, რომელთა მნიშვნელობა იდენტურია, მაგრამ სტრუქტურა განსხვავდება ერთი ან რამდენიმე ელემენტით.

მაგალითად: *Crème d'homme (ან des hommes) - საუკეთესოთა შორის საუკეთესო ადამიანი, უკეთესობილესი ადამიანი, სიკეთით სავსე ადამიანი;*

*Se faire un dieu de son ventre - მუცელმერთა, თვალი საჭმელზე უჭირავს, მუცელს აღმერთებს, მუცელს აღორებს, ღორმუცელა.*


მეხუთე ჯგუფი - შედგება გამოთქმებისგან, რომლის შემადგენლობა იდენტურია, მაგრამ ფორმა სრულიად განსხვავებული (არ არის არცერთი საერთო ელემენტი). უმეტეს შემთხვევაში იგი გამოსატავს წარსულს, ტრადიციებს, ჩვევებს, სამზარეულოს, ყოველდღიურ ცხოვრებას, ორი ხალხის მენტალიტეტს.

მაგალითად: *Vivre que de carotte - ხმელ პურზეა;*

*Cela est cher comme poivre - ძალიან ძვირია, მამახისხლად ღირს, ცეცხლის ფასი აქვს.*

ფრაზეოლოგიური ერთეულები სემანტიკური და სტრუქტურული ფორმების მიხედვით შეიძლება შემდგენაირად წარმოვადგინოთ:


ცხრილი 2. სემანტიკური და სტრუქტურული მნიშვნელობა:



გასტრონომიული ფრაზეოლოგიური ერთეულების თემატური ჯგუფები ქვეჯგუფებად დაყავით, რადგანაც ყველა ეს თვისება ადამიანს ახასიათებს და გამოხატავს მის საქციელს, მდგომარეობას და ა. შ. ესენია:

*მსუნაგობა, სიხარბე, გამოყენება, მოტყუება, თავქარიანობა, თავგანწირვა, თავდადება, სიღარიბე, სიღატაკე, პურმარილიანი, სტუმართმოყვარე, გადამეტებული სმა, სიბრიყვე, სიშტერე, მუქთახორობა, მუქთამჭამელობა, ქედმაღლობა, ღვინის ხარისხი (ხარისხიანი, უხარისხო).*

ცხრილი 3. კლასიფიკაცია ქვეჯგუფების მიხედვით:



მსუნავობა, სიხარბე, მაგალითად: *Manger à son appétit* - მაძღრისად ჭამა, კარგად გამოძღომა, კუჭის ამოვსება; *Garnir le bocal* - მუცლის ამოყორვა, კუჭის ამოვსება; *Se crever de boire et de manger* (ახვევ *se gorger de manger et de boire*) - ჭამა-სმით სკდება. გამოყენება, მოტყუება. მაგალითად: *Faire boire un bouillon à qqn* - მოტყუება, გაცურება ვინმესი, პირში ჩალის გამოვლება; *Tonner sur les choux* - სუსტის დაჩაგვრა, დაბალი დობის ნახვა; *Enlever à quelqu'un les morceaux de la bouche-*

საარსებო წყაროს მოსპობა, პირიდან ლუკმის გამოცლა; *Presser qn comme un citron* ღიმონივით გამოწურვა ვინმესი.

თავქარიანობა, სიბრიყვე. მაგალითად: *Boulotter de la galette* - ფულს ქარს ატანს, წყალში ყრის, ფლანგავს, აბნევს; *Avoir le vin tendre*- ქალებთან კურკური პირველი სირჩის მერე.

თავგანწირვა, თავდადება. მაგალითად: *Tirer les marrons du feu pour qn* - ვინმესთვის წყალში გადავარდნა, ცეცხლში ჩადგომა; *S'ôter le morceau (ან les morceaux) de la bouche* - პირიდან ლუკმას გამოიღებს, უკანასკნელ ლუკმას არ დაიშურებს.

სიღარიბე, სიღატაკე. მაგალითად: *Être de la champagne pouilleuse* - სიღარიბეში სული ამოსდის, შიმშილით სული ძვრება, ცივ ქვაზეა დარჩენილი; *Mendier son pain (ან sa vie)* - მათხოვრობა, კარდაკარ სიარული; *Être de la champagne pouilleuse* - სიღარიბეში სული ამოსდის, შიმშილით სული სძვრება, ცივ ქვაზეა დარჩენილი

პურმარილიანი, სტუმართმოყვარე. მაგალითად: *S'ôter le morceau (ან les morceaux) de la bouche* - პირიდან ლუკმას გამოიღებს, უკანასკნელ ლუკმას არ დაიშურებს.

*Partager le pain et le sel de l'amitié* - პურმარილის გაზიარება. *Vivre à la même table*- ლუკმას იყოფენ.

გადამეტებული სმა, მაგალითად: *Se noyer dans le vin* - ღვინოში ჩახრჩობა; *Gris comme un cordelier (ან comme un Polonais)* გაღეწილია, უგუნოდ მთვრალია, ღვინით გახეთქილია, გამტყვრალია; *Être plein de vin* - გამოთრობა, გაღეშვა.

სიბრიყვე, სიშტერე, მაგალითად: *Bête à couper au couteau* - ბატისტვინა.

*Quelle croûte* - რა შტერია, რა ბრიყვია.

მუქთახრობა, მუქთამჭამელობა. მაგალითად: *Aimer (les plaisirs de) la table* - ჭამის მოყვარული, ღორმუცელია, მუცელღმერთა. *Pique d'assiette* - მუქთამჭამელია, თეფშილოკიაა, ჯამიტლეკია

ქედმაღლობა. მაგალითად: *Défendre son pain* - საკუთარ ინტერესებს იცავს, თავს არავის აჩაგვრინებს. *S'enivrer de son vin* - თავის თავზე დიდი წარმოდგენის ქონა, ინდაურივით გაფხორვა. *Avoir avalé sa fourchette* - ქედმაღალია, მედიდურია, გულზეიალია, დიდ გულზეა.

ღვინის ხარისხი (უხარისხო, ან ხარისხიანი). მაგალითად: *Vin bleu* - უხარისხო წითელი ღვინო; *C'est trop sucré on dirait du sirop* - თაფლივით ტკბილი, მეტისმეტად ტკბილი; *Vin qui donne sur le casaquin* - მაგარი ღვინო; *Votre vin est trop catholique* -



თქვენი ღვინო მეტისმეტად სუსტია; *C'est un vrai vin de la comète* - ეს შესანიშნავი ღვინოა (1811 წელს, როდესაც კომეტა გამოჩნდა, ღვინო განსაკუთრებით მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა).

ენა დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ორივე ენაში გასტრონომიული ფრაზეოლოგიური კონცეპტების შემცველი ელემენტების ეტიმოლოგიური კუთხით შესწავლა და მათი შედარება-შეპირისპირება.

ყოველ სიტყვა-თქმას თავისი ისტორია აქვს, შეიძლება მივაგნოთ იმ პირველ წყაროს, რის საფუძველზედაც ამა თუ იმ გამოთქმას ესა თუ ის მნიშვნელობა მიუღია. როგორც უკვე ავღნიშნეთ, მოვახდინეთ გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიზმების თემატური კლასიფიკაცია. განვიხილოთ თითოეული მათგანი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით.

ადამიანის ქცევისა და მდგომარეობის შემცველი ფრაზეოლოგიზმები. სულ 120 ფრანგული კონცეპტი გამოვყავით. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი. თითოეული ფრაზეოლოგიზმის ისტორიის წყარო მოვიძიეთ ინტერნეტ წყაროებზე დაყრდნობით:

1) ადამიანის ქცევისა და მდგომარეობის შემცველი კონცეპტების ფრაზეოლოგიური ერთეულები. ეს ჯგუფი 120 ერთეულს აერთიანებს.

მაგალითად: *Mettre du beurre dans (ან sur) les (ses) épinards*<sup>37</sup> - წელში გამართვა, ფეხზე წამოდგომა, საქმეების გამოსწორება, სულის მოთქმა. მისი პირდაპირი მნიშვნელობაა: *კარაქის დამატება ისპანახში*. კარაქი (*faire son beurre, avoir le cul dans le beurre*), ცხიმებით და კალორიებით მდიდარი საკვები სიმდიდრესთანაა ასოცირებული. გადმოცემის თანახმად იგი მდიდრებისთვის განკუთვნილ პროდუქტს წარმოადგენდა. გამოთქმის მეტაფორული მნიშვნელობა გასაგებია. ვინაიდან ისპანახი კარაქის გარეშე დიეტური საჭმელია, ამიტომ იმისთვის, რომ საჭმელი გემრიელი გაეხადათ და გაეუმჯობესებინათ (ანუ ამ შემთხვევაში გადატანითი მნიშვნელობით იგულისხმებოდა ცხოვრების დონე), უმატებდნენ კარაქის საკმაოდ დიდ დოზას (ანუ ფულს). საინტერესოა კარაქის წარმოშობის

<sup>37</sup><http://www.expressio.fr/expressions/mettre-du-beurre-dans-les-epinards.php> (05.10.2015).

ისტორია. ისტორიისა და კვების დარგის სპეციალისტმა Jean Louis Flandrin<sup>38</sup> - უან ლუი ფლანდრენმა ინფორმაცია კარაქის მოხმარების შესახებ შუა საუკუნეების რეცეპტების წიგნში მოიძია. გაირკვა, რომ შუა საუკუნეებში კარაქი არ წარმოადგენდა არისტოკრატების საჭმელს, არამედ უფრო ღარიბებისთვის იყო განკუთვნილი. ხოლო საზოგადოებრივი დაყოფის სიმბოლოდ უფრო XIX, XX საუკუნეში გახდა. სხვათაშორის ავტორი წარმოადგენს ცხრილს, სადაც საუკუნეების მიხედვით კარაქის პროპორციები იზრდება. რეცეპტების წიგნში XIV საუკუნეში გამოყენებული იყო 1%-იანი კარაქი, ხოლო XVIII საუკუნის შუა პერიოდში მან 62 %-ი შეადგინა. ფლანდრინი კარაქის წარმოშობას ეკლესიის მიერ წამოყენებულ სტატუსს უკავშირებს. ვინაიდან პროდუქტი ცხოველური წარმოშობისაა, XV საუკუნემდე კარაქი მარხვის დროს აკრძალული იყო. XVI საუკუნეში კარაქის გამოყენებას იწყებენ ბოსტნეულისა და თევზეულის კერძებში (რაც მარხვის დროს ნებადართული იყო), მაშინ როდესაც შუა საუკუნეებში იგი გამოიყენებოდა კვერცხთან, ასევე ცომეულსა და საკონდიტრო ნაწარმში.

*Avoir un appétit d'oiseau*<sup>39</sup> - ჩიტვით იკიკნება. გამოთქმა XVIII საუკუნის შუა პერიოდს მიეკუთვნება. მისი შინაარსიდან გამომდინარე მნიშვნელობა გასაგებია, რომელიც სიტყვასიტყვით ჩიტის მადის ქონას ნიშნავს. ადამიანის ჩიტთან შედარება არასწორია, თუ ვიმსჯელებთ მათი აგებულების მიხედვით. ამიტომაც, რთული წარმოსადგენია ადამიანი, რომელიც ჩიტის სამყოფ საჭმელს ჭამდეს. ქართულში გვაქვს გამოთქმის შესატყვისი: *ჩიტვით იკიკნება*, რაც იმას ნიშნავს რომ ვერაფერს, ან ერთ ორ ლუკმას ჭამს. გამოთქმის მნიშვნელობაც აქედან მოდის.

*Faire chou blanc*<sup>40</sup> - მარცხი განიცადა, ხელი მოეცარა, საქმე ჩაეფუშა. გამოთქმას ორი მნიშვნელობა აქვს. პირველი მნიშვნელობა ბერიდან უნდა მოდიოდეს. Berry - (ბერი, ძველი რეკიმის დროს ისტორიული პროვინცია იყო ცნობილი თავისი გასტრონომიული კერძებით). XVII-ე საუკუნეში პეტანკით თამაში იყო მოდაში.

<sup>38</sup> უან-ლუი ფლანდრენი (1931-2001) ფრანგი ისტორიკოსი ცნობილია თავისი ნაშრომებით „ისტორია კვების შესახებ“ (1996); „კვების ისტორია და ეთნოლოგია“ (1999); „კერძების თანმიმდევრობა“ (2002). და ა. შ.

<sup>39</sup> <http://www.expressio.fr/expressions/avoir-un-appetit-d-oiseau-manger-comme-unmoineau.php> (05.10.2015).

<sup>40</sup> <http://www.expressio.fr/expressions/faire-chou-blanc.php> (05.10.2015).

თამაშის მიზანი შემდეგში მდგომარეობს: ორი გუნდის მოთამაშეებმა რიგრიგობით უნდა ისროლონ რკინის ბურთი ისე, რომ პატარა ხის ბურთის გვერდით *cochonnet-ს-პატარა ბურთი* დაჯდეს. თამაშის დროს მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება მეტი რკინის ბურთი შეეხოს *cochonnet-ს*. ყოველ ასეთ დარტყმაზე მოთამაშე ერთ ქულას იღებს. თამაში 13 ქულამდე გრძელდება. ბერიშონის დიალექტზე სიტყვას „დარტყმას“ წარმოთქვამდნენ როგორც *choup* ანუ *c(h)oup* უშედეგო დარტყმას ნიშნავდა. მეორე მნიშვნელობა, შესაძლებელია თეთრი კვამლისგან მოდიოდეს, რომელიც გასროლისას წარმოიქმნება და მარცხთან ასოცირდება.

*Faire ses choux gras de* <sup>41</sup>-*სარგებლის ნახვა, ხელის მოთბობა, ქერის ორმოში ჩავარდნა*. გამოთქმის ფესვები შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ. იმ დროს როცა ბოსტნეული ღარიბების კვების ძირითად პროდუქტს წარმოადგენდა, (ვინაიდან ხორცი მდიდრებისთვის განკუთვნილი საკვები იყო, ხოლო ცომეული და ბრინჯი ჯერ კიდევ არ არსებობდა). კომბოსტო გამძლე და ადვილად მოსაყვან პროდუქტად ითვლებოდა. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ იაფი იყო და სუფრასაც ხშირად ამშვენებდა. უბრალო მოხარშულ კომბოსტოს თუ შეუძლია ადამიანის დანაყრება, მისი ჭამა ნერწყვს ვერ მოჰგვრის ადამიანს. მაშასადამე, იმისთვის რომ კერძი გემრიელი ყოფილიყო, მოხარშულ წყალში ცხოველურ ცხიმს უმატებდნენ. XV საუკუნეში გამოთქმის პირველი მნიშვნელობა ამ ფორმითაა ცნობილი. XVII საუკუნეში გამოთქმამ *სარგებლის ნახვის* მნიშვნელობა მიიღო. ვინაიდან კომბოსტოს წვნიანი საჭმელი უკვე ცხიმინია, გადატანითი მნიშვნელობით გამოთქმა გაიგივდა ადამიანთან, რომელიც ყველა საქმიდან გამორჩენას ეძებს. დღესდღეობით გამოთქმას უფრო შეურაცხმყოფელი მნიშვნელობა აქვს. მოგება ან ინტერესი გაიგივებულია ვინმესგან ან რაღაცისგან სარგებლის ნახვასთან.

*Casser la (ან une) croûte* <sup>42</sup>- *ლუკმის გატეხა, წახემსება*. გამოთქმა 1871 წლიდან გახდა ცნობილი. თავდაპირველად, ამბობდნენ *პური (ქერქი) ვინმესთან გაიყო*, მაშასადამე, იგულისხმებოდა ვინმესთან ერთად ჭამა. პური გაგებული იყო,

<sup>41</sup><http://www.expressions-francaises.fr/expressions-f/356-faire-ses-choux-gras.html> (05.10.2015).

<sup>42</sup><http://www.expressio.fr/expressions/casser-la-crouete-la-graine.php>(05.10.2015).

როგორც საკვები, ან საჭმელი, რაც შეეხება მოტეხვას, თუ პურს ყუას მოატეხ ან მოაგლეჯ შეიძლება ის კნატუნთან ან ღეჭვასთან გავაიგივოთ. გამოთქმის დღევანდელი მნიშვნელობა მივიღეთ ამ ორი სიტყვის *გატეხვა* და *ქერქის* მნიშვნელობის გაერთიანებით, რაც *წახემსებას* ნიშნავს. გამოთქმის უფრო საინტერესო ვერსია Claude Duneton - კლოდ დუნეტონთან<sup>43</sup> გვხვდება. ლიონის რეგიონში XIX-ე საუკუნის მიწურულს *casser la graine* ან *casser la grune* ჭამას კი არა, *დაღევას* ნიშნავდა. უფრო ადრე, სიტყვებს *დაღევას* ან *დათრობას*, გადმოსცემდნენ გამოთქმით *écraser un grain*, სიტყვასიტყვით *მარცვლის დაჭყლეტა*. მარცვალი ამ შემთხვევაში არ ნიშნავდა პურის მარცვალს, არამედ ყურძნისას, რაც იმითაც არის დადასტურებული, რომ ლიონის რეგიონში *grume* ყურძნის მარცვალს აღნიშნავდა, რომელსაც სხვა ვარიანტიც *grune* ჰქონდა. ამგვარად, მნიშვნელობა *მარცვლის დაჭყლეტა* შეიცვალა *მარცვლის გატეხვით* ანუ *დაღევით*. უკვე შემდგომ, გამოთქმამ *casser la croûte*, *casser la graine* იგივე მნიშვნელობა მიიღო, რაც ამჟამად გააჩნია.

2) ადამიანის ხასიათისა და ბუნების შემცველი კონცეპტების ფრაზეოლოგიური ერთეულები. ეს ჯგუფი აერთიანებს 83 ერთეულს.

*მაგალითად: Soupe au lait*<sup>44</sup> - *ვიცხი ადამიანი*. პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს *რძიან წვნიანს*. გამოთქმა XIX საუკუნეში წარმოიშვა *monter comme une soupe au lait* (სიტყვასიტყვით: *რძის წვნიანით ამოსვლა*). საკმარისია, ერთხელ მაინც დავაკვირდეთ რძის (ან მაწვნის სუპის) მოქმედებას, როცა დუდილს იწყებს იმისთვის, რომ გავიგოთ ამ გამოთქმის მნიშვნელობა, რომელიც იმ ადამიანთან ასოცირდება, რომლის ხასიათი ისევე სწრაფად იცვლება როგორც რძე ამოდის დუდილისას ცეცხლიდან გადმოდგამდე.

*Avoir du pain (cuit) sur la planche*<sup>45</sup> - *თავშემონახულია, საქმე თავზე საყრელად აქვს*. XX-ე საუკუნემდე გამოთქმა სხვა მნიშვნელობით გამოიყენებდა. იგი მომავალის უზრუნველყოფის მიზნით სახსრის ქონას და თავშემონახვას ნიშნავდა. გამოთქმა შეიძლება შემდგენიარად ავსხნათ: იყო დრო როდესაც პურს დიდხანს ინახავდნენ და მისი მარაგი ოჯახში ყოველთვის არსებობდა, რათა ამ მარაგით

<sup>43</sup> კლოდ დუნეტონი 1935-2012) ფრანგი, მწერალი, მთარგმნელი, ენათმეცნიერი.

<sup>44</sup> <http://www.expressio.fr/expressions/soupe-au-lait.php> (05.10.2015).

<sup>45</sup> <http://www.expressio.fr/expressions/avoir-du-pain-sur-la-planche.php> (05.10.2015).

გარკვეული პერიოდი ოჯახს თავის შენახვის საშუალება ჰქონოდა. ის ფაქტი, რომ გამოთქმის მნიშვნელობა შეიცვალა, შეიძლება ორნაირად ავსხნათ. ხანგრძლივად „მოხმარების პური“, აღარ იყო საჭირო. შესაძლებელი გახდა პურის ყოველდღიურად შექმნა. წარმოვიდგინოთ კარგად მოხელილი ცომი ფიცარზე დალაგებული. მეპურეს პური მანამდე უწყვია ფიცარზე, სანამ ბოლომდე არ მორჩება ცხობას. კლოდ დუნეტონის მიხედვით, გამოთქმა არგოსთანაა დაკავშირებული. მისი თქმით იგი ქურდული სამყაროს მიერ იყო გამოყენებული. სიტყვა *la planche au pain* სასამართლოს ნიშნავდა. მონარქიის დროს, გამოთქმა შემდეგი მნიშვნელობით გამოიყენებოდა: *manger le pain du roi* გამოიყენებო მეფის პურით. ციხეში, კატორდაში ან ჯარში პურს უფასოდ არიგებდნენ. ორი გამოთქმის შედეგად მივიღეთ შემდეგი კომბინაციის გამოთქმა *pain sur la planche*, (ფიცარზე დალაგებული პური), რაც ციხეში ან სასჯელაღსრულების საკანში გატარებულ წლებს და მძიმე სამუშაოს ნიშნავდა, რომელსაც სასამართლო პატიმრებს უსჯიდა (რაციონის სახით) იმდენივე „პურს აძლევდნენ ფიცარზე“. ადრე, გამოთქმა *პურის მარავის* მნიშვნელობით გამოიყენებოდა.

*Couper la poire en deux*<sup>46</sup> - 1. ძმურად გაყოფა; 2. დათანხმება, კომპრომისზე წასვლა. მეტაფორა უფრო ადვილი მისახვედრია: რამის ორ თანაბარ ნაწილად გაყოფა. განაწილება ყოველთვის ორი მხრის მოლაპარაკების გზით ხდება, რომელსაც ნებაყოფლობით გადაწყვეტილებამდე მიყვავართ. მას თან ახლავს კომპრომისი ან კიდევ ერთი მხარის მიერ გადაწყვეტილება, უარი თქვას მნიშვნელოვან პრეტენზიებზე. თუმცა შეიძლება დაისვას კითხვა, რატომ მსხალი და არა საზამთრო, ან რომელიმე სხვა ხილი. მსხლის ნაცვლად შეიძლებოდა ყოფილიყო ბევრი სხვა რამ. დაისმის კითხვა, მაშინ რატომ მაინცდამაინც ეს ხილი? ლიტერატურაში გამოთქმა მხოლოდ 1880 წელს გამოჩნდა. 1882 წელს Félix Galipaux - ფელიქს გალიპოს<sup>47</sup> და Lucien Cressonois - ლუსიენ კრესონუას<sup>48</sup> მიერ სკენი გამოქვეყნდა, რომელსაც „მსხალი ორ ნაწილად“ ეწოდებოდა და სადაც ორი მთხრობელი პერსონაჟი და ამბის გადმომცემი სცენაზე კამათობენ. თითოეული თავის ტექსტს ამბობს. რამდენიმე სიტყვის გაცვლის შემდეგ, ერთი

<sup>46</sup><http://www.expressio.fr/expressions/couper-la-poire-en-deux.php> (07.10.2015).

<sup>47</sup> ფელიქს გალიპო (1860-1931) დრამატურგი, მსახიობი, იუმორისტი, მუსიკოსი;

<sup>48</sup> ლუსიენ კრესონუა (1860-1909) მსახიობი, დრამატურგი.

მეორეს სთავაზობს „გაჭერი მსხალი ორად“ და თოთოელმა მათგანმა ლექსი უნდა ოთხჯერ თქვას. თუმცა, საბოლოოდ, ისე შორდებიან ერთმანეთს, რომ თავიანთ ტექტს არ ამბობენ. როგორც სკეჩის, ისე გამოთქმის წარმოშობა უცნობია.

*Se croire le premier moutardier du pape*<sup>49</sup> - დიდი ვინმე ჰგონია, ცხვირს მაღლა წევს, ყოყლოხინობს. გამოთქმა პირველად 1771 წელს *Dictionnaire des Trévoux* - ტრევოს ლექსიკონში გამოჩნდა. თუმცა მისი რეალური წარმოშობა ბუნდოვანია. ერთადერთი ვერსია წარმოდგენილია Pierre Larousse<sup>50</sup>- პიერ ლარუსის მიერ, მაგრამ თანამედროვე ლექსიკოგრაფებს ის უფრო ფანტასტიკად მიაჩნიათ. ვინაიდან ამის არანაირი ახსნა არ არსებობს და კიდევ, ეს გამოთქმა იმ დროს განეკუთვნება, როდესაც ფსევდო-ისტორიული გამოთქმები ბუნდოვანი იყო. ისტორია, რომელსაც ლარუსი გეთავაზობს, დაკავშირებულია ავინიონელ პაპ ჟან XXII-თან, რომელმაც 1316 წელს კლემან V შეცვალა და 1334 წლამდე თავის მოვალეობას ასრულებდა. პაპს ძალიან უყვარდა მღოვვი და ამიტომ მან შემოიღო მღვოვზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, რომელიც თავის დისშივლს მიანდო. ამ უკანასკნელს პასუხისმგებლობის მასშტაბების გამო თანამდებობამ თავბრუ დაახვია. ლექსიკოგრაფებს გამოთქმის სისწორეში ეჭვი იმ ფაქტმა გაუჩინა, რომ ჟან XXII –ს მოღვაწეობასა და გამოთქმის პირველ გამოყენებას შორის ოთხი საუკუნის სიშორე არსებობდა. ამ ხნის განმავლობაში გამოთქმა არცერთ ნაწარმოებში არ ფიქსირდება.

3)ხილ-ბოსტნეულის კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები. ეს ჯგუფი აერთიანებს 110 ერთეულს.

მაგალითად: *Les carottes sont cuites*<sup>51</sup> - იმედის გაცრეუბა, ყველაფრის დაკარგვა; ყველაფერი მოგვარებულია. იმისთვის, რომ ამ გამოთქმის წარმოშობა გავარკვიოთ, უნდა გადავინაცლოთ XVII საუკუნეში. ამ დროს და უფრო ადრეც სტაფილო ღარიბების საკვებად მიიჩნეოდა. მაგრამ მსგავსი ფორმისა და გამოთქმასთან ახლოს ყოფნის გამო (პარონიმია), იგი ასოცირდებოდა

<sup>49</sup><http://www.expressio.fr/expressions/se-croire-le-premier-moutardier-du-pape.php> (07.10.2015)

<sup>50</sup> პიერ ლარუსი (1817-1875) ფრანგი ფილოლოგი, პედაგოგი, ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი და გამომცემელი.

<sup>51</sup><http://www.expressio.fr/expressions/les-carottes-sont-cuites.php> (07.10.2015).

ტერმინთან *crotte-ცხოველის ექსკრიმენტი*. სხვათაშორის, იმ ადამიანზე, რომელიც თავს ცუდად გრძნობდა, ასე ამბობდნენ, *chait des carottes*, რაც ძალიან ვულგარულია. ცოტა უფრო მოგვიანებით, მნიშვნელობა *მხოლოდ სტაფილოთი ცხოვრება* მიანიშნებდა ძალიან ხელმომჭირნედ ცხოვრებას. ეს დამამცირებელი შეფასება, რომლითაც სტაფილოს ახასიათებდნენ, დარჩა XIX საუკუნეში. *Avoir ses carottes cuites* და ნიშნავდა *სიკვდილის პირას ყოფნას*, მაგრამ ისე, რომ ზუსტად არ იცოდნენ, საიდან მოდიოდა შემწვარ ბოსტნეულთან სიკვდილის ასოციაცია. შესაძლებელია არსებობდა იმაზე მინიშნება, რომ ღარიბ ოჯახებში ხორციან საჭმელს მუდამ ახლდა მოხარშული სტაფილოც.

*Ce ne sont pas tes oignons; occupe-toi de tes oignons*<sup>52</sup> - *შენ საქმეს მიხედვ, შენ არ გეხება, ხახვის საქმეში ცხვირს ნუ ჰყოფ*. გამოთქმა XX-ე საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება, როდესაც ხახვი უკანალის და ფეხების მნიშვნელობით გამოიყენებოდა. გამოთქმა *Se le mettre dans l'oigne-ზიზღს* ნიშნავდა. დღესაც არსებობს მისი სინონიმური არგოტული წარმოშობის გამოთქმები *occupe-toi tes fesses* ან *occupe-toi de tes pieds* (შენ თავს მიხედვ). კლოდ დუნეტონის მიხედვით, გამოთქმას შეიძლება ჰქონდეს ორი ტიპის ეტიმოლოგია. ის აღნიშნავდა იმ *საფრთხეს*, რომელიც ზოგიერთ ადამიანს საამქროში მუშაობისას შეიძლება დამართნოდა, იგულისხმება მისი ფეხები. სიტყვა *oigne* ან *ogne* ფრჩხილსაც ნიშნავდა. მაგრამ, Jacques Celard et Alain Rey-სეღარი და რეი თავიანთ ლექსიკონში *Dictionnaire du français non conventionnel*, ამ გამოთქმას შემდეგნაირად ხსნიან: მათი ჰიპოთეზის თანახმად ცენტრალურ საფრანგეთში ქალებს, რომლებსაც სურდათ, რომ დამოუკიდებლები ყოფილიყვნენ, ბოსტანში ხახვი მოჰყავდათ და ჯიბის ფულის შოვნის მიზნით ბაზარში ყიდდნენ.

ამიტომ, ხშირი იყო, როცა ქალებს კაცების საქმეში სურდათ ჩარევა, კაცები კი მათ ეუბნებოდნენ: შენ (ხახვებს) საქმეს მიხედვ, ან კიდევ: შენი საქმე არ არის.

*Être dans les choux*<sup>53</sup> - *მძიმე სიტუაციაში ყოფნა*. რა კავშირი შეიძლება არსებობდეს ამ სასარგებლო ბოსტნეულსა და მარცხს შორის. პასუხი მარტივია. უბრალოდ,

<sup>52</sup><http://www.expressio.fr/expressions/occupe-toi-de-tes-oignons-ce-ne-sont-pas-tes-oignons.php> (09.10.2015).

<sup>53</sup><http://www.expressio.fr/expressions/etre-dans-les-choux.php> (09.10.2015).

პარონიმის გავლენით კომპოსტო *les choux* და ზმნა *é-chouer-r* მარცხი მსგავსად უღერს. გამოთქმის მნიშვნელობა XIX საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.

*Sucrer les fraises*<sup>54</sup> - *ნერვიული ალგ ზნება*. გამოთქმა XX საუკუნის დასაწყისში იქნა გამოყენებული, მაგრამ გასული საუკუნის მიწურულით თარიღდება. ჟურნალისტი და დრამატურგი Aurélien Scoll - ორელიენ სკოლი,<sup>55</sup> XIX საუკუნის მეორე ნახევრიდანაა ცნობილი. თავის ნაწარმოებში *Poivre et sel* (1901) „პილპილსა და მარილში,“ იგი ერთი სამხედროს შესახებ წერს: „50 წლიანი აბზინდის არყის<sup>56</sup> მოხმარებამ მას ისეთი კანკალი დაუტოვა, რომ როდესაც ჭიქაში სასმელის დასხმა სურს, ხელი ისე უკანკალებს, რომ სასმელი ჭიქის გარშემო ესხმება.

... არასასიამოვნოა, თქვა პოლკოვნიკმა, მაგრამ როცა შაქრის პუდრიან საცერს ვიდებ ... ვხედავ, როგორი უძლური ვარ, რომ *sucrer les fraises* - მარწყვი დაეშაქროთ“. კარგად არის ახსნილი ის კავშირი, რომელიც არსებობს მოხუცი ადამიანის ხელის კანკალსა და მარწყვის დაშაქვრის პროცესს შორის. 1936 წელს, Louis Ferdinand Celine<sup>57</sup> - ლუი ფერდინანდ სელინი თავის ნაწარმოებში მხოლოდ ზმნას *sucrer* - *დაშაქვრა* იყენებს ლოთისთვის დამახასიათებელი ხელის კანკალის გადმოსაცემად.

4) ზოონიმების კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები. ამ ჯგუფში გაერთიანებულია 64 ერთეული.

მაგალითად: *Manger (ასევე bouffer) la grenouille*<sup>58</sup> - *სხვისი ფულის დახარჯვა*. თუ არ იცით გამოთქმის მნიშვნელობა და ბაყაყის ფეხები გიყვართ, შეიძლება წარმოიდგინოთ, რომ ეს გამოთქმა ნიშნავს ისეთ რამეს, რისი „ჭამის სურვილი არ გაგაჩნიათ“, მაგრამ, როდესაც გამოთქმის მნიშვნელობა ცნობილია, ვსვამთ კითხვას: რა კავშირი შეიძლება არსებობდეს ბაყაყის ჭამასა და ყულაბას შორის? ამისთვის კი იმის ცოდნაა საჭირო, რომ XVII საუკუნეში, სანამ ჩვენი გამოთქმა გამოჩნდებოდა, ყულაბას ძირითადად ბაყაყის ფორმა ჰქონდა.

<sup>54</sup><http://www.expressio.fr/expressions/sucrer-les-fraises.php> (10.10.2015).

<sup>55</sup> ორელიენ სკოლი (1833-1902) ფრანგი ჟურნალისტი, დრამატურგი და მწერალი.

<sup>56</sup> აბზინდის არაყი არის დისტილაციის შედეგად მიღებული მაღალი ალკოჰოლური შემცველობის სითხე ანისულის არომატით, რომელიც იოლად ქროლდება.

<sup>57</sup> ლუი ფერდინანდ სელინი (1894-1961) ფრანგი მწერალი, განათლებით ექიმი.

<sup>58</sup><http://www.expressio.fr/expressions/manger-bouffer-la-grenouille.php> (08.10.2015).



გასაგებია ასევე ისიც, რომ სიტყვა *ბაეაი* გამოხატავდა „რეზერვში არსებულ თანხას“. (იმ დროისთვის არსებული ერთ-ერთი ოფიციალური მნიშვნელობა), *Manger la grenouille* შეესაბამებოდა *ფულის ხარჯვას*. მაგრამ, Alain Rey-ს მიხედვით, ამ გამოთქმის წარმოშობის ასეთი ახსნა ნაკლებად სარწმუნოა. თუ სიტყვის მნიშვნელობა *ჭამა, ხარჯვასთან* ან *მემკვიდრეობასთან* კავშირშია, მაშინ *la grenouille* წარმოიქმნა არგოტული ზმნისაგან *grenouiller*, რომელიც *ხარჯვას* ნიშნავდა. XIX საუკუნემდე ეს ზმნა ერთდროულად *ხარჯვას* და *კაბარეში დაღვევას* აღნიშნავდა, მაგრამ ასევე არაპატიოსანი გზით ნაშონი ფულის ხარჯვას.

*Manger, bouffer du lion*<sup>59</sup> - *აგრესიული ყოფნა; ბრძოლის სურვილის გამოხატვა*. ლომი ცნობილია, როგორც კეთილშობილი, მამაცი, ძლიერი, მაგრამ ასევე აგრესიული და სასტიკი ცხოველი. იგი უზარმაზარი ენერჯის პატრონია და ბრძოლაში შეუდარებელია. გამოთქმის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დაუშვათ, რომ ის ვინც *bouffer du lion* - ლომს შეჭამს, მის თვისებებს მიიღებს და ისეთივე ენერჯიული და აგრესიული გახდება, როგორც ლომია. გამოთქმა ხშირად გამოყენებულია იმ ადამიანთან მიმართებაში, ვისი ენერჯია, ან აგრესიულობა ჩვეულებრივი საქციელიდან გამომდინარე გაკვირვებას იწვევს.

*Manger (bouffer) de la vache enragée*<sup>60</sup> - *დიდ გაჭირვებაში, შავ დღეში, ხელმოკლედ ყოფნა*- სიტყვასიტყვით : *გაცოფებული ძროხის ჭამა* - გამოთქმა ამ ფორმით XVII საუკუნით თარიღდება. გაჭირვების უამს ღარიბებისთვის სულერთი იყო რას შეჭამდნენ. მათ გადაგდებული საქონლის ხორციც კი შეეძლოთ ეჭამათ, რაც ძალიან სახიფათო იყო. შემდგომში მოხდა ორი გამოთქმის *mener une vie enragée*-*გაცოფებულ ცხოვრებას ეწოდებოდა* და *manger de la vache malade*- *ავადმყოფი ხორცის ჭამას* შერწყმა, რაც ნიშნავდა, რომ ადამიანები გადარჩენისთვის იძულებული იყვნენ ავადმყოფი ხორცი ეჭამათ, რამაც გამოთქმის ამ ფორმით დამკვიდრებას ხელი შეუწყო.

<sup>59</sup><http://www.expressio.fr/expressions/manger-bouffer-du-lion.php> (10.10.2014).

<sup>60</sup><http://www.expressio.fr/expressions/manger-bouffer-de-la-vache-enragee.php> (10.10.2015).

5) სომატური კონცეპტების შემცველი ფრაზოლოგიური ერთეულები. ეს ჯგუფი აერთიანებს 103 ერთეულს.

მაგალითად: *Avoir l'estomac dans les talons*<sup>61</sup> - მგელივით შია, მიმშილისგან კუჭი ეწვის. კიდევ ერთი გამოთქმა, რომელიც თანამედროვე ლექსიკოგრაფებისთვის ამოუხსნელი დარჩა. გამოთქმა ამ ფორმითაც არსებობდა *avoir l'estomac aux talons*. არსებობდა ასევე განსხვავებული ვერსია, რომელსაც არგოს მნიშვნელობით იყენებდნენ. 1898 წელს, Gaston Esnault<sup>62</sup>-გასტონ ენო, არგოტოლოგი, იყენებს გამოთქმას *avoir l'estomac dans les gadins*; les gadins იმ დროს ფესხაცმელს ნიშნავდა, არგოს ეს მნიშვნელობა მივიწყებულია, ვინაიდან სიტყვა *gadin* დღეს *ქუდს* – *chapeau* ნიშნავს და ასევე *chute*- დაცემას. გასაგებია, ის ფაქტი, რომ მიმშილის დროს ჩვენი ძირითადი საზრუნავი კუჭი ხდება. მაგრამ რატომ ქუსლებამდე ან კიდევ ფეხებამდე ჩასვლა. აშკარაა, რომ გამოთქმის მნიშვნელობა უცნობია.

*Ventre affamé n'a pas d'oreilles*<sup>63</sup> - მშიერ მუცელს ყურები არა აქვს; მშიერ კაცს ცარიელი სიტყვებით ვერ გამოკვებავო, ლოცვით მუცელი არ გაძღვებაო. გამოთქმა განსხვავებული მნიშვნელობით დიდი ხანია, რაც ცნობილია და ქრისტეშობამდე II საუკუნით თარიღდება. ეს გამოთქმა ნიშნავდა *ნებისმიერ ფასად ჭამა, მიმშილის დაკმაყოფილებას*. შესაძლებელია, ამას ამბობენ ძალიან ღარიბ ადამიანზე, რომელიც არ დაეძებს აკრძალულ ან სახიფათო საშუალებებს იმისთვის, რომ თავისი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს. ამ შემთხვევაში დამშეული ადამიანი მუცლამდე დაყვანილია. მაშასადამე, შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი ადამიანის მდგომარეობა, რომლის სურვილი შინაგან ხმასაც ფარავს და ურჩევს არ გარისკოს მიმშილის დასაკმაყოფილებლად. ეს ფრაზა პირველად კატონმა<sup>64</sup> გამოიყენა. ანდაზური გამონათქვამი ასე უღერს: *Il est difficile de discuter avec le ventre, car il n'a pas d'oreilles* - ძნელია მუცელს ეკამათო, ვინაიდან მას ყურები არ აქვს. უფრო მოგვიანებით კი რაბლემ ამჟამინდელი მნიშვნელობით გამოიყენა. პირვანდელ ფორმას კი ჟან დე ლა ფონტენი იყენებს „ძერა და მერცხალში“. პლუტარქეს მიხედვით, რომელიც კატონის

<sup>61</sup><http://www.expressio.fr/expressions/avoir-l'estomac-dans-les-talons.php>(10.10.2015).

<sup>62</sup>გასტონ ენო (1874-1961) ფილოლოგი, ლინგვისტი, ლექსიკოგრაფი.

<sup>63</sup><http://www.expressio.fr/expressions/ventre-affame-n-a-pas-d-oreilles.php>(10.10.2015).

<sup>64</sup>კატონი (მოდვაწეობდა ქრისტეშობამდე 234-149 წლებში) რომაელი პოლიტიკოსი, მწერალი და სამხედრო მოღვაწე.

ბიოგრაფი იყო, ეს ფრაზა შიმშილობის წლებში წარმოთქვა მაშინ, როდესაც რომაელები დაჟინებით მოითხოვდნენ დაუგეგმავი ხორბლის განაწილებას. კატონი ამას მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა. მიიჩნევდა რა ასეთ ზომებს დემაგოგიურად და ეუბნებოდა თავის თანამოქალაქეებს: *Il est difficile de parler à un ventre, citoyens car il n'a pas d'oreilles* - *როულია მუცელზე ისაუბრო, ვინაიდან მას ყურები არ აქვს.*

*Avoir un cœur d'artichaut*<sup>65</sup> - *თაქარიანი, დღეს ერთი უყვარს, ხვალ მეორე (ძალიან ხშირად და ადვილად შეყვარება).* გული ამ შემთხვევაში მცენარის ცენტრს აღნიშნავს, არტიშოკის სიღრმეს, რომელსაც უამრავი ფოთოლი სცილდება. ერთი კი განსაკუთრებული პიროვნებისთვისაა განკუთვნილი. ყველა, ვისაც არტიშოკის გული აქვს, უნაწილებს ცოტა სიყვარულს თითოეულ მათგანს, რომელიც ამის ღირსად მიაჩნია. გამოთქმა XIX საუკუნეს მიეკუთვნება და ჩვენამდე ანდაზური ფორმითაა მოსული *არტიშოკის გული, ფოთოლი ყველასთვის.*

*En avoir gros sur le cœur /l'estomac /la patate*<sup>66</sup> - *გულზე ლოდი აწევს, გული უტირის, გული უკვდება, გულზე ცეცხლი უკიდია.* მსგავსი გამოთქმები, როგორცაა *avoir le cœur gros, avoir le cœur lourd* ან *avoir la gorge serée* გვხვდება არასასიამოვნო გრძნობებთან დაკავშირებულ გამოთქმებთან, როგორებიცაა მწუხარება და ცრემლი, იმედგაცრუება ან ღვარძლი. არ არსებობს იმის ზუსტი ახსნა, რომ არგოს მნიშვნელობით ტკბილი კარტოფილიც „გულს“ ნიშნავდა. გამოთქმის ეს ვარიანტი XIX საუკუნეში ჩნდება. მანამდე გამოთქმა ასეთი ფორმით არსებობდა „*en avoir gros sur la pomme de terre*“. სხვათაშორის, სიტყვების თამაშით, რომელიც კარტის თამაშთანაა დაკავშირებული XVII საუკუნეში ამბობდნენ „*coucher du cœur sur le carreau*“ სიტყვასიტყვით: დაარტყა გული აგურს და რაც ასევე *vomir* - *ვინმეს მიმართ ზიზღს* გამოხატავდა.

6) სამზარეულოს ჭურჭლის კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები. ეს ჯგუფი წარმოდგენილია 60 ერთეულით.

<sup>65</sup><http://www.expressio.fr/expressions/avoir-un-coeur-d-artichaut.php> (10.10.2015).

<sup>66</sup><http://www.expressio.fr/expressions/en-avoir-gros-sur-le-coeur-l'estomac-la-patate.php> (10.10.2015).

მაგალითად: *Être à couteaux tirés*<sup>67</sup> - დანა-სისხლად ყოფნა. გამოთქმა XVII საუკუნის მიწურულს მიეკუთვნება. წარმოშობაც საესეებით გასაგები ხდება, როცა იმ დროის წყაროებს ვეყრდნობით, როდესაც ჩხუბი და კამათი ხშირი იყო. XVI საუკუნეში ამბობდნენ *en être aux épées et aux couteaux*. მაშინ ხშირი იყო იარაღის შიშვლება სულ უბრალო გაუგებრობის დროსაც კი. მზად იყვნენ რა მოწინააღმდეგე გაენადგურებინათ სისხლის დაღვრის ფასადაც. XVI საუკუნის მიწურულს გამოჩნდა გამოთქმა *aux couteaux tirer*, რომლის მნიშვნელობაა *prêts à tirer les couteaux*, რაც დანის ამოსაღებად მზად ყოფნას ნიშნავდა. შემდგომში გამოთქმა უფრო დაიხვეწა და *ბრძოლაში გამბედაობის მომატებას* აღნიშნავდა. დღეს, თუ დიდი უთანხმოება გვარდება სასამართლოში ან ბრძოლის დროს, გამოთქმა უფრო გასაგები ხდება.

*Remuer/turner le couteau dans la plaie*<sup>68</sup> - მორალური ტანჯვის მიყენება. გამოთქმის წარმოშობა ადვილი გასაგებია. წარმოიდგინეთ Charlotte Corday - მარლოტ კორდეი Marat - მარატის პირისპირ, Jacques Clément- ჟაკ კლემანი Henri III- ანრი III ან კიდევ Ravillac - რავაიაკი, Henri IV – ანრი IV წინააღმდეგ. თითოეული ხანჯლით შეიარაღებულია და მეტოქე მიზანში ყავთ ამოღებული. უდავოა, რომ თუ დარტყმა სასიკვდილო არ არის, ძალიან მტკივნეულია. მაგრამ თუ მოწინააღმდეგე დამატებით ერთობა და დანას დარტყმულ ადგილას ატრიალებს ღია ჭრილობაზე სიკვდილის დადგომამდე, იგი ტკივილს აძლიერებს. მაშასადამე, გვაქვს ძალიან კარგი და სადისტური მეტაფორა, რომელსაც XIX საუკუნეში იყენებდნენ. იმ დროს დანა სიტყვასთან იყო გაიგივებული, იარაღად გესლიან სიტყვებსა და არასასაიმოვნო საქციელს იყენებდნენ, რომელიც ჭრილობას და ტანჯვის მიყენებას უკავშირდება. საბოლოოდ, სისხლი არაა და არც ადამიანი კვდება, მაგრამ რეალურად უდიდეს ფსიქოლოგიურ ტკივილს აყენებენ მას.

*Manger le morceau/se mettre à table*<sup>69</sup> – ანკესზე წამოეგო/მაგიდას მიუჯდე. გამოთქმებს არგოს მნიშვნელობა გააჩნიათ. პირველი - XVIII საუკუნეში გამოჩნდა, მეორე – XIX-ში. მათი წარმოშობა იდენტურია. ოდესღაც, როცა პოლიციელებს სურდათ,

<sup>67</sup><http://www.expressio.fr/expressions/etre-a-couteaux-tires.php> (11.10.015).

<sup>68</sup><http://www.expressio.fr/expressions/remuer-tourner-le-couteau-dans-la-plaie.php> (11.10.2015).

<sup>69</sup><http://www.expressio.fr/expressions/manger-le-morceau-se-mettre-a-table.php> (11.10.2015).

რომ დამნაშავეებს დანაშაული ეღიარებინათ, მათ საჭმელს არ აძლევდნენ. როცა მსჯავრდებული დათმობაზე მიდიოდა, მაშინ მათ ჭამის უფლება ეძლეოდათ. სწორედ ამიტომაც, არგოს მნიშვნელობით, თუკი დამნაშავე ჭამდა, ან მაგიდას მიუჯდებოდა, ნიშნავდა იმას, რომ მან დანაშაული უკვე აღიარა.

*Faire table rase*<sup>70</sup> - ნულიდან დაწყება, განადგურება. გამოთქმის პირველი მნიშვნელობა 1835 წელს გამოჩნდა, მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონში. თუმცა ამ მეტაფორის მნიშვნელობა უფრო შორი წარსულიდან მოდის. დასაწყისისთვის უნდა ავლნიშნოთ, რომ *ras* ზედსართავი სახელი, რომელიც XII საუკუნით თარიღდება, ლათინური ენიდანაა *rasus* წარმოშობილი სიტყვიდან *radere*, რომელიც *raboter*-გათლას ან *raser* - გაპარსებას ნიშნავდა. გამოთქმა მომდინარეობს ლათინური გამოთქმიდან *tabula rasa*, რაც ნიშნავდა ცარიელ დაფას, რომელზეც არანაირი წარწერა არ იყო. არისტოტელემ შექმნა ეს მეტაფორა, რითაც აღნიშნავდა სულს დაბადებისთანავე, რომელსაც არანაირი ცოდნა არ გააჩნია. *faire table rase* თარიღდება XIX საუკუნით და ნიშნავს ყველაფრის ნულიდან დაწყებას.

7) სასმელის შემცველი კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები. ის აერთიანებს 60 ერთეულს.

*მაგალითად: Boire du petit lait*<sup>71</sup> - თვითკმაყოფილი, პატივმოყვარე. გამოთქმის თავდაპირველი ფორმა *avalier doux comme lait* ნიშნავს რძის დაღვევას. გადატანითი მნიშვნელობით, იგი ასოცირდება იმ კმაყოფილებასთან, რომელსაც ჩვილი განიცდის დედის რძით კვების დროს, სანამ დანაყრდება. ზედსართავი *Petit*, XX საუკუნეში დაემატა, შესაძლოა იმიტომ, რომ აქცენტი გაეკეთებინათ იმაზე, თუ რა კმაყოფილებას განიცდის პატარა. *Petit-lait* ნიშნავს შრატს, რომელიც კარაქის და ყველის დამზადების შემდეგ რჩება და უზრუნველყოფს სიგრილის და სიტკბოს სასიამოვნო შეგრძნებას.

*Sabler /sabler le champagne*<sup>72</sup> - გადაკვრა, შამპანურის გახსნა დღესასწაულის აღსანიშნავად. გამოთქმა XVIII საუკუნეს მიეკუთვნება. იმ დროს ზმნის

<sup>70</sup><http://www.expressio.fr/expressions/faire-table-rase.php> (11.10.2015).

<sup>71</sup><http://www.expressio.fr/expressions/boire-du-petit-lait.php> (21.10.2015).

<sup>72</sup><http://www.expressio.fr/expressions/sabler-sabler-le-champagne.php> (13.10.2015).

მნიშვნელობა *sabler* ძირითადად *აღკოპოლური სასმელის ელუპ-ელუპად სმას* ნიშნავდა. ზმნა საზეიმო მნიშვნელობით მხოლოდ გასული საუკუნის დასაწყისიდან გამოიყენება. *Sabler le champagne*, ჩვეულებრივ, ნიშნავს შამპანურის ბოთლის თავის ხმლით გახსნას, რაც ძველ სამხედრო მფლანგველობასთანაა დაკავშირებული. ერთი მხრივ, ბევრი შამპანური იღვრებოდა ასეთი სახით და მეორე მხრივ, ბოთლის ნამსხვრევებით ან ფუჭერებით შეიძლებოდა ვინმე დაშავებულიყო, თუ ამ პროცედურას არასწორად განახორციელებდნენ.

*La mer à boire*<sup>73</sup> - *ირონ. (იხმარება უარყოფით კონტექსტში) ძალიან ძნელი საქმეა.* გამოთქმა, მხოლოდ უარყოფით კონტექსტში გამოიყენება *ce n'est pas la mer à boire*. ხშირად, იმ ადამიანთან მიმართებაში, რომელსაც მთების გადადგმის სურვილი გააჩნია და ამის ჯერა. მეტაფორა XVII საუკუნით თარიღდება და მას ჟან დე ლა ფონტენი იყენებს, იგავში „ორი ძალი და მკვდარი ვირი“. ეს მეტაფორაა, რომლის დროსაც ადარებენ იმ ფაქტს, რომ როგორც ზღვის დაღვეა შეუძლებელია, ასევე რთული საქმის შესრულება, დიდი დაბრკოლებების გადალახვისა და დიდი შრომის ფასად მიიღწევა.

8) საკვების შემცველი კონცეპტების ფრაზეოლოგიური ერთეულები. მასში გაერთიანებულია 242 ერთეული.

*მაგალითად: Rouler quelqu'un dans la farine*<sup>74</sup> – *გააცურო, მოატყუო ვინმე.* გამოთქმა XX საუკუნით თარიღდება და ასოცირდება სიტყვასთან *rouler-მოტყუება*. მაგალითად : *Je me suis fais rouler* და სიტყვის *farine - ფქვილი*, სხვა მნიშვნელობით გამოიყენებასთან, რაც *მცდარ არგუმენტებს* ნიშნავდა. გამოთქმის მეორე მნიშვნელობა უკავშირდება იმ ფაქტს, რომ მსახიობები მაკიაჟისთვის ფქვილს იყენებდნენ, რაც მათ ამოცნობას ხელს უშლიდა და რითაც ხალხის მოტყუებას ასერხებდნენ.

*Cracher dans la soupe*<sup>75</sup> - *უგულვებელიყო, მიაფურთხო, არად ჩააგდო, გამორჩენა, სარგებელი.* სუპი, რომელიც ცხოვრების საშუალებას აძლევდა ადამიანებს

<sup>73</sup><http://www.expressio.fr/expressions/la-mer-a-boire.php> (13.10.2015).

<sup>74</sup><http://www.expressio.fr/expressions/rouler-quelqu-un-dans-la-farine.php>(21.10.2015).

<sup>75</sup><http://www.expressio.fr/expressions/cracher-dans-la-soupe.php> (13.10.2015).

გაიგივებულია სარგებელთან. მნიშვნელობა, რომელიც გვხვდება ასევე *bonne soupe* სიტყვასიტყვით *კარგი წენიანი*, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით *ვისარგებლო, გამოვიყენო*.

მაშასადამე, *მიაფურთხო* დიდი ზიზღის კონოტაციით, ნიშნავს იმას, რომ ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭო იმ კერძს, რომელიც აუცილებელია, ან მნიშვნელოვანია, ან კიდევ სარგებელს და გამორჩენას, რომელიც შესაძლებელია მიიღო.

*Tremper comme une soupe*<sup>76</sup> - გაწუწვა, გალუმპვა. გამოთქმა ძალიან ძველია. ადრე სუპი არ ნიშნავდა იმ კერძს, რასაც დღეს ვეძახით. სინამდვილეში, უწინ სუპი, პურის ნაჭერი იყო, რომელსაც ბულიონში ასველებდნენ. XVIII საუკუნეში, იმ ადამიანს, ვინც თავსხმაში მოხვდებოდა, სწორედ დამბალ პურის ნაჭერს ადარებდნენ. გამოთქმაც აქედან მომდინარეობს.

*Faire revenir une viande / un aliment - passer un aliment dans son corps gras très chaud afin d'en dorer le pourtour*<sup>77</sup> გამოთქმის მნიშვნელობაა შესაწავად და დასაბრაწად ხორცის ნაჭრის ცხიმოვანი მხრიდან დადება. მისი წარმოშობა XVII საუკუნით თარიღდება და თავდაპირველად *გონზე მოხვლას* ნიშნავდა, როცა ადამიანს გული მისდიოდა. XVI საუკუნიდან იმისთვის, რომ მომბალ ხორცზე ესაუბრაო, რომელსაც ცეცხლზე დებდნენ, ამ გამოთქმას იყენებდნენ - დაბრუნდა, გონზე მოვიდა. იმავე დროს *faire revenir la viande* ნიშნავდა ხორცის ნახშირზე ან გრილზე დადებას. ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ ხორცი შეენახათ. შემდეგ შეეწვათ და მიერთვათ. გამოთქმამ, XVIII საუკუნის მიწურულს, დღევანდელი მნიშვნელობა მიიღო.

9) ანტროპონიმების კონცეპტების შემცველი კერძების დასახელებები. ჯგუფი აერთიანებს 66 ერთეულს.

მაგალითად: *Sauce Colbert - კოლბერის სოუსი*, სოუსის სახელწოდება Jean Baptiste Colbert<sup>78</sup>- ჟან ბატისტ კოლბერისგან მოდის, რომელმაც კერძის რეცეპტი გამოიგონა. შემადგენლობა: ათქვეფილი კარაქი, მარილი, პილპილი, ლიმონის

<sup>76</sup><http://www.expressio.fr/expressions/trempe-comme-une-soupe.php> (13.10.2015).

<sup>77</sup><http://www.expressio.fr/expressions/faire-revenir-une-viande-un-aliment.php> (13.10.2015).

<sup>78</sup> ჟან ბატისტ კოლბერი (1619-1683). ლუი XIV-ეს ერთ-ერთი მინისტრი იყო.

წვენი, დაჭრილი ოხრახუში, ტარხუნა და ხორცი. ამ სოუსს იყენებენ ბოსტნეულის, ხორცის და თევზის კერძებთან.

*Meringue à la Sardanapale*<sup>79</sup> ძალიან მსუბუქი ნამცხვარი, რომელიც კეთდება ათქვეფილი ცილისა და შაქრის პუდრისგან. გაზზე, ნელ ცეცხლზე ცხვება. სარდანაპალი ნიშნავს მდიდარ ადამიანს, რომელიც ორგიების და დღესასწაულების მოყვარულია.

*Panaché Chateaubriand*<sup>80</sup> - შატობრიანის პანაშე საქონლის ხორცის სქელი ნაჭერი გრილზე, კარტოფილთან და შატოს სოუსთან ერთად.

*Salade à la Bagration* - ბაგრატიონის სალათი (ანტონენ კარემის სხვადასხვა კერძების რეცეპტების სახელწოდებები, რომელიც პრინცესა ბაგრატიონს მიუძღვნა, რომლის სამსახურშიც იგი რუსეთში ყოფნის დროს 1819 წლის აგვისტოში იმყოფებოდა. ზოგიერთ კერძის მომზადების წესს საერთო აქვს Les macaronis , la salade russe, la purée de volaille ou un salpicon de truffes et de langue écarlate მაკარონთან, რუსულ სალათასთან, ფრინველის პიურესთან, ქამა სოკოსთან და საქონლის ენასთან.<sup>81</sup>

ამგვარად, მოყვანილი გამოთქმები ძირითადად მიეკუთვნება მეხუთე ჯგუფს, როგორც უკვე აღვნიშნეთ ეს ჯგუფი შედგება გამოთქმებისგან, რომელთა შემადგენლობა იდენტურია, მაგრამ ფორმა სრულიად განსხვავებული (არ არის არცერთი საერთო ელემენტი). უმეტეს შემთხვევებში ისინი გამოხატავს წარსულს, ტრადიციებს, ჩვევებს, ყოველდღიურ ცხოვრებას, ორი ხალხის მენტალიტეტს.

<sup>79</sup><http://www.cnrtl.fr/definition/Sardanapale> (26.10.2015).

<sup>80</sup><http://www.cnrtl.fr/definition/Chateaubriand> (26.10.2015).

<sup>81</sup> Larousse gastronomique , 2000, tome 1, p.165.



## 2.3 გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტები ფრანგულ ენაში

ფრაზეოლოგიზმის ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობის ერთიანობა ამ ერთეულის სემანტიკას იძლევა, სხვაგვარად რომ ვთქვათ მის ფორმასა და შინაარსს, რომლებიც სიტყვისგან განსხვავებით, განსაკუთრებული კომპონენტური შემადგენლობით განისაზღვრება. სწორედ ეს განსაკუთრებული ბუნება აქცევს ამ ერთეულს ფრაზეოლოგიზმად და განასხვავებს მას ენის სხვა ერთეულებისაგან.

ამგვარად, ფრაზეოლოგიზმი, როგორც ენის დამოუკიდებელი ერთეული, სიტყვის მსგავსად სამი საერთო კატეგორიული ნიშნით ხასიათდება:

- 1) ლექსიკური მნიშვნელობით;
- 2) კომპონენტური შემადგენლობით;
- 3) გრამატიკული კატეგორიებით.

თუ ფრაზეოლოგიურ ერთეულს არ გააჩნია თვისობრივი მაჩვენებლები, თუნდაც ერთი რომელიმე სპეციფიკური ნიშანი, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოცემული ერთეული ან არ არის ფრაზეოლოგიზმი, ან კიდევ ჯერ ისევ იმყოფება მისი განვითარების სტადიაზე, ე.ი. ჯერ კიდევ არ არის ფრაზეოლოგიზმად ჩამოყალიბებული. ამიტომ, შესიტყვებათა ანალიზის დროს საჭიროა ენაში გამოიყოს ფრაზეოლოგიზმები და თავისუფალი შესიტყვებები. უნდა მოიძებნოს ფრაზეოლოგიზმების ის თვისობრივი ნიშნები, რომლებიც განასხვავებენ მათ როგორც თავისუფალი შესიტყვებისაგან, ასევე სხვა მყარი შესიტყვებებისგანაც.

ფრაზეოლოგიზმებთან მიმართებაში ყველა ენაში უნდა იყოს გავლებული ზღვარი და არ უნდა ხდებოდეს მათი არევა სხვა ერთეულებთან, თუნდაც ეს იყოს ფრაზეოლოგიზმი განვითარების სტადიაში. ფრაზეოლოგიზმად უნდა მივიჩნიოთ ის ენობრივი ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს კონკრეტულ მოთხოვნას და გააჩნია ფრაზეოლოგიზმებისათვის დამახასიათებელი შინაარსი და დატვირთვა.

როგორც აღვნიშნეთ, ფრაზეოლოგიზმი განსაკუთრებული ენობრივი ერთეულია, რომელიც თავის თავში მოიცავს კონკრეტული ენის თავისებურებებს და მას ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. ამგვარად, ფრაზეოლოგიური ერთეულის ცნების, კრიტერიუმების, წარმომშობი

წყაროების და მისი შემადგენელი კომპონენტების განხილვა საჭიროდ მივიჩნით, რათა უკეთ გავრკვეულიყავით ფრაზეოლოგიზმების არსში, რაც საშუალებას მოგვცემს შევაპირისპიროთ ფრანგული და ქართული ენის გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები და ასევე მოვახდინოთ მათი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, რაც ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ფრანგულმა ენამ განვითარების ისტორიულ გზაზე მკაფიოდ გამოხატული ანალიტიკური ხასიათი მიიღო, თუმცა სინთეზური წყობის ნიშნებიც შეინარჩუნა. საყურადღებოა, რომ ფრაზეოლოგიზმებმა ყველაზე მეტად სინთეზური წყობის არქაული ელემენტები შემოინახეს, იქნება ეს სიტყვების რიგი, არტიკლი და სხვ. მათ გვერდით გვხვდება შინაარსის მიხედვით არქაული ელემენტებიც. ესენია, ხმარებიდან გამოსული სიტყვები. მასში ასევე ანალიტიკური წყობის წვლილი ჩანს. ნაცვალსახელის გამოტოვება, ნაწყვეტობა, ელიფსისი, სინტაქსური ჯგუფის ლექსიკალიზაცია. ამასთან ერთად, ფრანგულ ფრაზეოლოგიზმებს ახასიათებთ მეტისმეტი ლაკონიზმი.

ნაშრომში დავეყრდნობით ა. ნაზარიანის ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაციას, რომელიც თავის მხრივ ფრაზეოლოგიზმებს ყოფს კომუნიკაციურ და არაკომუნიკაციურ ერთეულებად (ნაზარიანი 1976:63). განვიხილავთ თითოეულ მათგანს. კომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმები თავის მხრივ მოიცავს ორ ქვეჯგუფს:

1) კომუნიკაციური ტიპის არაანდაზური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც გამოირჩევიან მყარი სინტაქსური სტრუქტურით. აქ განასხვავებენ ორ სტრუქტურულ სახეს: ღია სტრუქტურას, რომელიც სინტაქსურად და აზრობრივად დაუმთავრებელი ფორმითაა გამოხატული.

მაგალითად: *Avoir faim de* - ვ შიოდეს.

*Avoir soif de* - ვ წყუროდეს.

*Être de la gueule* (ასევე *être porté sur la gueule*)-გემრიელად ჭამა უყვარს, პირის გემო იცის.

*Avoir de l'estomac* - 1.გაბედულია, კადნიერია, მოურიდებელია; 2. გამძლეა, ამტანია, თავშეკავებულია;

*Avoir l'estomac creux* (*avoir l'estomac dans les bottes, dans les talons, au talon, en bas des talons*)- მგელივით შია, შიმშილისგან კუჭი ეწვის.

ასეთი გამოთქმები ძირითადად წინადადებებშია წარმოდგენილი და მხოლოდ შიდა ფრაზეოლოგიურ კონტექსტს ქმნის. უმეტეს შემთხვევებში, მათ სტრუქტურაში შედის ზმნა, იშვიათ შემთხვევებში - წინადადების სხვა წევრები. ღია სტრუქტურაში გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების რიცხვი უმნიშვნელოა.

დახურულ ფრაზეოლოგიურ სტრუქტურას, რომელიც სინტაქსურად და აზრობრივად დამთავრებელი ფორმითაა გამოსატული.

მაგალითად: *Cela fait bouillir la marmite*-ოჯახის რჩენა, შენახვა; თავის სარჩენი ფულის შოვნა.

*Croyez cela et buvez de l'eau*-სანამდეც საბანი გავგვწვდებო.

*Les carottes sont cuites*-ყველაფერი ნათელია; საქმე დასრულებულია, საქმეს წერტილი დაესვა.

*C'est pas nos oignons* - ეს ჩვენ არ გვეხება.

*Ça lui est resté sur l'estomac* - არ დავიწყებია, ვერ აპატია, გულში ჩაიდო.

ენაში ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმები უფრო მეტად გავრცელებული, პროდუქტიულია და გამოირჩევა სინონიმების სიმრავლით. ფრაზეოლოგიზმებში ზმნები უმეტეს შემთხვევაში ახლანდელ დროშია მოცემული. არაანდაზური კომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმების განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათში ზმნური კომპონენტი გამოსატულია უფრო აქტიური ფორმით.

2) კომუნიკაციური ტიპის ანდაზური ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ პრედიკატულ შეთანხმებებს დახურული სტრუქტურით, ე. ი სინტაქსურად ორგანიზებულია ისევე, როგორც წინადადებები. არაანდაზური ფრაზეოლოგიზმებისაგან განსხვავებით, მათ აქვთ დამრიგებლური ხასიათი, შეიცავენ რაიმე მორალს ან გამოსატავენ ამა თუ იმ ცხოვრებისეულ სიბრძნეს. ეს ხასიათი აძლიერებს და ხაზს უსვამს ბევრ ანდაზაში ლექსიკურ-სტილისტური და ფონეტიკური საშუალებების გამოყენებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთი მკვლევარი ანდაზებს არ მიაკუთვნებს ფრაზეოლოგიზმებს, ზოგი კი მათ ხალხური ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევს და ფოლკლორისტიკას მიაკუთვნებს; მაგრამ ფაქტები ამტკიცებენ, რომ ყველა ანდაზისათვის, მათ შორის იმათთვისაც, რომლებსაც პირდაპირი მნიშვნელობა აქვთ, დამახასიათებელია საერთო, ძალიან სპეციფიკური, სემანტიკური გარდაქმნის ფორმა.

მაგალითად: *C'est au fruit qu'on connaît l'arbre*- ხე ნაყოფით იცნობა.

*Qui casse les verres les paie*- როგორც აურიე საქმე ისე დააღაგე, ვინც ძაღლს მოკლავს, იმასვე გადაათრევენებნო.

*Qui fait la faute la boit* - ვინც შეცდომას უშვებს, მის შედეგსაც იტანს.

*Il ne faut pas dire : Fontaine, je boirai pas de ton eau*-არ უნდა თქვა ამ წყაროდან წყალს არ დავლევო.

*Quand le vin est tiré, il faut le boire* - საქმე თუ დაიწყო, ბოლომდე უნდა მიიყვანო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფრაზეოლოგიზმების მეორე ტიპი- არაკომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულები.

3) არაკომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულების შემდეგ ფორმებს განასხვავებენ.

არსებითი სახელის შემცველს:

მაგალითად: *Pot de fleur* - წარმატებით, ყურადღებით არ სარგებლობს;

*Casseur d'assiettes* - ტრაბახა ადამიანი;

*C'est un grenier à sel* - ძალიან ენამახვილი, გონებამახვილია;

*Couteau de tripière* - ორპირი კაცი;

*Homme de beurre* - რბილი ხასიათის, ბუნჩულა, თვინიერი, ხათრიანი, დამყოლი ადამიანი.

ზედსართავი სახელის შემცველს (ეს სახეობა ყველაზე მეტია):

მაგალითად: *Sourd comme un pot* - ყრუანჩულა;

*Ivre comme une soupe* - ღვინოში ჩამხრჩვალა; ვაღეშილი;

*Au gros sel*- ხუმრობა;

*Une drôle de brioche* - სასაცილო სიფათი;

*Folle farine* - 1. წისკვილის მტვერი; 2. წმინდა ნაფქვაკი;

*Grosse légume* 1. დიდი ვინმე, უფროსი, თანმდებობის კაცი, ბობოლა; 2. თავმომწონე კაცი.

ზმნიზედის შემცველს:

მაგალითად: *Fondre comme le beurre dans la poêle*- სანთელივით ჩამოდნობა;

*Manger à sa faim* - გამოძლობა, გატყვერობა;

*En rang d'oignon*- წალიკ-წალიკ; დაწალიკებით;

*Pour tout potage* - მხოლოდ და მხოლოდ, სულ ეს *Pour renfort de potage*- დამატებით, ამას გარდა;

*C'est comme des pommes* - ვერ მოგართვეს !

ზმნური ფორმების შემცველს, რომელიც ყველაზე მეტია ფრანგულ ენაში:

მაგალითად : *Monter comme une soupe au lait* - ფიცხია, ფხუკიანია, გაცხარება, აპილილება, გულის მოხვლა, გულზე ცეცხლის მოკიდება

*Avoir du pain sur la planche*- თავშემონახულია; საქმე თავზე საყრელად აქვს; დულს და გადმოღის.

*Faire chou blanc* - მარცხის განცადა, ხელი მოეცარა, საქმე ჩაეფუშა.

*Manger son gâteau dans la (ან sa) poche* - პარტნიორთან მეწყვილესთან ვერ მორიგდა.

*Manger à la croque au sel* (ან *avec un grain de sel*) - შეუზავებელი (მხოლოდ მარილმოყრილი) კერძის ჭამა.

გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით, ფრანგული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულები იყოფა არაპრედიკატულ (ერთწევრიანები და ფრაზემები), ნაწილობრივ პრედიკატულ და პრედიკატულ (დახურული და ღია სტრუქტურით) ფრაზეოლოგიზმებად.

არაპრედიკატული (ყველაზე მრავალრიცხოვანი)

ერთწევრიანები

მაგალითად : *Dans le goût de-* ვინმეს გემოვნებით;

*Aux pommes* - მაგარია;

*A la noix* - 1. ცუდი, უხარისხო, ცუდად; 2. სულელი, სულელური;

*Chou* (ან *chouchou de ses parents*) - საყვარელი შვილი, ნებიერი ბავშვი, დედის ნებიერა;

*En salade* - არეულ -დარეული.

სიტყვათშეერთებები (ფრაზემები) - ორი ან მეტი სიტყვისგან შემდგარი

მაგალითად : *Vin à deux feuilles* - ორწლიანი ღვინო;

*Vin d'adieu*- გამოსამშვიდობებელი სუფრა;

*Le pot au noir*- სახიფათო მდგომარეობა, ბნელი საქმე; საშიშროება;

*Fatiguer la salade* სალათის კარგად არევა;

*Lait de poule* - გოგლიმოვლი.

ნაწილობრივ პრედიკატული (ამ შემთხვევაში მთავარ წინადადების წევრს დამატება ახლავს)

მაგალითად: *Vin qui fait danser les chèvres* - მუავე ღვინო, ყვავს რომ დაახსავლებს;

*Manger les pois chauds* - ენა მუცელში ჩაუვარდა (მორცხვობის, დაბნეულობის გამო) ;

*Regretter les oignons d’Egypte* - დაკარგულ ქონებაზე ტირილი, გოდება;

*Se faire un dieu de son ventre* - მუცელდმერთა, თვალი საჭმელზე უჭირავს, მუცელს აღმერთებს, მუცელს აღორებს, ღორმუცელა;

*Jeter son lard aux chiens* - ქონების განიავება.

პრედიკატული ფრაზეოლოგიზმები:


მაგალითად: *Perdre le goût du pain*- ფხეები გაფშიკა, საიქიოს გაემგ ზავრა, წერილი წაიღო;

*Tomber dans les pommes*- გულის წასვლა, გრძნობის დაკარგვა;


*S’ôter le pain de la bouche pour qn* - პირიდან ლუკმას იღებს და იყოფს, უკანასკნელ ლუკმას უყოფს ;

*Manger son pain dans sa (ან la) poche (ან dans son sac)* - 1. ძუნწია კურკაწონიაა, ხელიდან ვერფერს გაავდებიან; 2 მალულად, ქურდულად ჭამს; 3. კარხაკეტილია, პურაძვირია

ცხრილი 4 სტრუქტურული თავისებურებები :



ცხრილი 5. ფუნქციური თავისებურებები :



ეს ფრაზეოლოგიზმები როგორც სემანტიკური მნიშვნელობით, ასევე სტრუქტურული აგებულებით, აღნიშნულ ენებში იდენტურია და ხასიათდება სინონიმურობით. სემანტიკური თვალსაზრისით ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ კომპონენტებით ისინი არ ემთხვევა ერთმანეთს. როცა ვსაუბრობთ გასტრონომიულ ფრაზეოლოგიზმებზე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჭამასთან დაკავშირებული ყველა გამოთქმა, ძირითადად, ემსახურება ადამიანის დახასიათებას, მის დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან.

## 2.4 გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების სტილისტური თავისებურებები ფრანგულ ენაში

ფრანგული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულები გამოყენების სფეროდან გამომდინარე მეტყველების სხვადასხვა სტილს მიეკუთვნება. სტილისტური თავისებურებების განხილვისას, დავყვრდებით ა. ნაზარიანის შემდეგ სტილისტურ კატეგორიებად დაყოფას:

1) ნეიტრალური ანუ ნეიტრალურ-ლიტერატურული ფრაზეოლოგიზმები. მათი გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოა, ამიტომ ისინი შეიძლება ყველა ფუნქციურ სტილში შეგვხვდეს. (საყოფაცხოვრებო, მხატვრული, პუბლიცისტური, სამეცნიერო და ა.შ.). ნეიტრალური ფრაზეოლოგიზმები სხვა მეტყველების სტილის ფრაზეოლოგიზმების სტილისტური დიფერენციაციის საფუძველს შეადგენენ, ამიტომ ისინი ლექსიკონში ნიშნის გარეშე არის მოცემული. თუმცა არ ნიშნავს, რომ ნეიტრალური ფრაზეოლოგიური ერთეულებისთვის უცხოა ექსპრესიულობა.

2) სალაპარაკო-ფამილარული ფრაზეოლოგიზმები უპირატესად სალაპარაკო ენაში გამოიყენება. ამ კატეგორიის ფრაზეოლოგიზმები, სტილისტურ – ნეიტრალურ სტილთან შედარებით, გამოირჩევა უფრო ფართო გამოხატულებით. ლექსიკონებში მათ ახლავთ ნიშანი fam. შემოკლებით სიტყვა familier - ფამილარული.

3) ხალხური ფრაზეოლოგიზმები გამოიყენება სალაპარაკო ენაში. ისინი ისევე როგორც სალაპარაკო-ფამილარული ფრაზეოლოგიზმები საკმაოდ მაღალ სტილისტურ შეფერილობას და ექსპრესიულობას ფლობენ. მათი გამოყენებისთვის აუცილებელია ახლო და ინტიმური დამოკიდებულება მოსაუბრეებს შორის. ისინი შეიძლება შეიცავდეს სიტყვებს, რომლებიც უბრალო ლექსიკას მიეკუთვნება, ლიტერატურული ნორმებისგან შორს მდგარს. ლექსიკონებში ისინი აღნიშნულია ნიშნით pop. (შემოკლებით სიტყვა Populaire - ხალხური).

4) ჟარგონული ფრაზეოლოგიზმები – გამოთქმები, რომლებიც საკმაოდ ვიწრო წრეში გამოიყენება, რომლებიც გართიანებულია პროფესიული, სოციალური და სხვა ნიშნით. ისინი თავისთავად შემდეგ ქვეჯგუფებად იყოფა. ესენია:

ა. პროფესიული ჟარგონები - წარმოგვიდგენენ ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც ძირითადად ვრცელდება გარკვეულ პროფესიულ გარემოში.



ბ. სოციალური ჟარგონები - ფრაზეოლოგიზმები რომლებიც გარკვეულ სოციალურ გარემოში ვრცელდება.

გ. არგოტიზმები - ჟარგონული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც გამოყენებულია საზოგადოების დაბალი ფენის მიერ.

დ. წიგნური ფრაზეოლოგიზმები - იგი გამოიყენება სამეცნიერო და პუბლიცისტურ სტილში, ლექსიკონებში ავი აღნიშნულია შემდეგი ნიშნით *littér.* (შემოკლ. სიტყვისგან *littéraire* - ლიტერატურული).

5) პოეტური ფრაზეოლოგიზმები - ესაა გამოთქმები, რომლებიც პოეტური მეტყველების სტილში გამოიყენება (ნაზარიანი 1976:259).

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ფრაზეოლოგიზმების თითოეულ სტილისტურ კატეგორიას ერთი განსაზღვრული ფუნქციური სტილი მიეკუთვნება, რომლებშიც ეს ფრაზეოლოგიზმები რეალიზდება. ამგვარად, სალაპარაკო-ფამილარული და სასაუბრო ფრაზეოლოგიზმები გამოიყენება სასაუბრო-სამეტყველო სტილში, მწიგნობრულ-სამეცნიერო, პუბლიცისტურსა და ოფიციალურ-საქმიან სტილში და ა. შ. თუმცა ამის დაცვა ყოველთვის არ ხდება. ხშირადაა, რომ ერთ ფუნქციურ სტილში გვხვდება ისეთი ფრაზეოლოგიზმი, რომელიც სხვა სტილისთვისაა დამახასიათებელი.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების სტილისტური ანალიზი. განვიხილოთ გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები სტილისტური თვალსაზრისით.

გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმებისთვის უფრო მეტად დამახასიათებელია სალაპარაკო, ფამილარული სტილი.

*მაგალითად: Faire boire un bouillon - მოტყუება, გაცურება ვინმესი, პირში ჩაღის გამოვლება;*

*Être dans le même bouillon - ერთ ბედქვეშ არიან, ერთ ტაფაში იწვიან, ერთ ქვაბში იხარშებიან;*

*Pleurer à gros bouillon - ცრემლით ღვრა, ტირილით თვალების დასიება;*

*Mangeur du pain mollet - აზიზი არსება, ხელისგულზე ნატარები, ნაფერები, ნალოლიავეები;*

*Manger de plus d'un pain - 1. ხად არ ყოფილა, რა არ უნახავს, ბევრის მომსწრეა, გამოცდილია; 2. რა არ იღონა, რა ხერხს არ მიმართა.*

*Dans le potage - უხერხულ მდგომარეობაში.*

გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც უარგონულ სტილს მიეკუთვნება.

მაგალითად: *N'écuse que du lait de coco* – თავშეუკავებელია;

*Mangeur des choux* – მარტოხელა ქურდი;

*Mangeur des prunes* - თერძი, მკერავი;

*Mangeuse de viande crue* – მეძავი;

*Marron sculpté* – სასაცილო, უშნო სიფათი; მაიმუნი ;

*Rester comme une tomate* – გაოგნებულია, გაოცებულია, დათრგუნულია.

ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც არგოს სტილს მიეკუთვნება.

მაგალითად: *Eau d'aff(e)* – არაყი;

*Bouillon pointu* – ოყნა;

*Sucrer des fraises* – გადაკვრა, გადაყლურწვა, გადახუხვა (მაგარი სასმელისა).

ხალხური სტილს შემდეგი ფრაზეოლოგიზმები მიეკუთვნებიან:

მაგალითად: *Faire du biscuit* – პურის მომარაგება;

*Tomber dans le bouillon* – კინაღამ დაიხრჩო;

*Une drôle de brioche* – სასაცილო სიფათი;

*T'en fais pas pour la croûte* – ტყუილად ნუ ბრაზობ, ნუ ცხარობ;

*Boulotter de la galette* – ფულს ქარს ატანს, წყალში ყრის, ატანს, ფლანგავს, აბნევს;

*Claquer sa galette* – მთელი ქონება შეჭამა, გაანიავა, წყალში გადაყარა, ქარს გაატანა;

*Quelle bonne poire* – რა კარგი სიფათი გაქვს.

გვაქვს ასევე მოძველებული სტილის გამოთქმები:

*Dîner de chien* – პური და წყალი;

შეგვიძლია გამოვეყოთ ირონიული სტილი; მაგალითად:

*Eau bénite de cave* – ღვინო;

*Medecin d'eau douce* – შარლატანი, უვიცი ექიმი, ჯარა ექიმი;

*Aux petits oignons* – 1. უხეშად, მკვეთრად ; 2. გულმოდგინედ, მონდომებით;

გაჩარხულია, კარგად მიდის საქმე;

*Un (très )bon plat* – კარგი კომპანია, კარგი საზოგადოება.

ბიბლიური შინაარსის გამოთქმები :

მაგალითად : *Nourriture du ciel* – ციური მანანა;

*Regretter les oignons d’Egypte* – დაკარგულ ქონებაზე ტირილი, გოდება;  
დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ გასტრონომიული ფრაზეოლოგიის  
უმეტესობა სალაპარაკო (ფამილარულ), ან ჟარგონულ სტილს მიეკუთვნება.

## დასკვნები

განხილული მასალის მიხედვით ფრანგული და ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების შედარება-შეპრისპირებისათვის, აუცილებლად ჩავთვალეთ გაგვეკეთებინა მოკლე ისტორიული მიმოხილვა ამ ორი ერის სამზარეულოსი დასაბამიდან დღემდე. მოპოვებული მასალის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფრანგული მასალა ქართულ მასალაზე უფრო მდიდარია, თუმცა, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო და არის სამზარეულო როგორც ფრანგებისთვის, ასევე ქართველებისთვის. ამის დასტურია უამრავი ლიტერატურა, რომელიც გამოდის სამზარეულოს შესახებ, კულინარიული წიგნები და ინტერნეტ საიტები, სადაც მოცემულია კერძების მომზადების წესები. ასევე მნიშვნელოვანია ლინგვისტების დაინტერესება ამ სფეროს მიმართ. საკმაოდ ვრცელი მასალა მოვიპოვეთ ფრანგული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების ეტიმოლოგიის კუთხითაც. ქართული მასალის მოძიებისას, ძირითადად, დავეყრდენით თედო სახოკიას ნაშრომს „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“.

მოვახდინეთ ფრანგული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების შემდეგი თემატურ კლასიფიკაცია: 1. ადამიანის ქცევისა და მდგომარეობის კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები; 2. ადამიანის ხასიათისა და ბუნების კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები; 3. ხილ-ბოსტნეულის კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები; 4. ზოონიმების კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები; 5. სომატური კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები; 6. სამზარეულოს ჭურჭლის კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები; 7. სასმელის კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები; 8. საკვების შემცველი კონცეპტების ფრაზეოლოგიური ერთეულები; 9. ანტროპონიმების კონცეპტების შემცველი კერძების დასახელებები.

მოვახდინეთ ფრაზეოლოგიური ერთეულების თემატური კლასიფიკაციის ქვეჯგუფებად დაყოფა ყველა ეს თვისება, რომელიც გამოვყავით, ადამიანს ახასიათებს. ესენია:

მსუნაგობა, სიხარბე, გამოყენება, მოტყუება თავქარიანობა, თავგანწირვა, თავდადება, სიღარიბე, სიდატაკე, პურმარილიანი, სტუმართმოყვარე, ლოთობა, სიბრიყვე, სიშტერე, მუქთახორობა, მუქთამჭამელობა, ქედმაღლობა.

მოვასდინეთ ასევე ფრანგული გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების ლექსიკურ-სემანტიკური დახასიათება.

1) ფრაზეოლოგიზმებისათვის, სხვა ენობრივი ერთეულების მსგავსად, დამახასიათებელია განვითარების განსაზღვრული დიაქრონიული და სინქრონიული კანონზომიერებანი.

ფრაზეოლოგიური სისტემის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ იგი ეყრდნობა ლექსიკურსა და გრამატიკულ სისტემებს, მაგრამ აქვს აგრეთვე განსხვავებული ფუნქცია და საკუთარი კანონზომიერებანი. ფრაზეოლოგიზმები, რომელთა განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ ექსტრალინგვისტური ფაქტორები, უფრო ადვილად ექვემდებარება ცვლილებებს, რადგან მათ მიერ განპირობებული ენის სფერო დაკავშირებულია მოსაუბრეთა გრძნობებსა და ემოციებზე.

2) ფრაზეოლოგიზმებისთვის დამახასიათებელია აგრეთვე სტრუქტურული თავისებურებანიც. ისინი იყოფიან კომუნიკაციურ და არაკომუნიკაციურ ფრაზეოლოგიზმებად.

კომუნიკაციურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს აქვთ პრედიკატული სტრუქტურა და მათ აქვთ წინადადების სახე. ისინი იყოფიან ორ ქვეკლასად:

არაანდაზური კომუნიკაციური და ანდაზური კომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულები. გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით, ფრანგული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულები იყოფიან არაპრედიკატულ (ერთწევრიანები და ფრაზემები), ნაწილობრივ პრედიკატულ და პრედიკატულ (დახურული და ღია სტრუქტურით) ფრაზეოლოგიზმებად.

გამოყოფენ ფრაზეოლოგიური ერთეულების სტილისტურ კატეგორიებს: ნეიტრალური, სალაპარაკო, ფამილიარული, ხალხური მეტყველების, უარგონული, მწიგნობრული, პოეტური ფრაზეოლოგიზმები.

ფრანგული ენის ფრაზეოლოგიზმები იყოფიან სამ ძირითად სტრუქტურულ ტიპად:

- 1) არაპრედიკატული ფრაზეოლოგიზმები;
- 2) ნაწილობრივ პრედიკატული ფრაზეოლოგიზმები;
- 3) პრედიკატული ფრაზეოლოგიზმები.

სტრუქტურულად, ფრანგული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები განსხვავდებიან ქართული ენის გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმებისაგან. როგორც ფრანგულ, ისევე ქართულ ენაში, შეიძლება შეგვხვდეს ისეთი

ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა მნიშვნელობის განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ მათი წარმოშობის დადგენის შედეგად. მოვახდინეთ გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების სტილისტური ანალიზი. განვიხილოთ რამდენიმე სტილი, რომლებიც უფრო მეტად ახასიათებთ გასტრონომიულ ფრაზეოლოგიზმებს. გამოიკვეთა, რომ გასტრონომიული ფრაზეოლოგიის უმეტესობა სალაპარაკო-ფამილიარულ და ჟარგონულ სტილს მიეკუთვნება.

## თავი III გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების ტიპოლოგიური კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში

### 3.1 გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტები ქართულ ენაში

ყველა ენის ფრაზეოლოგია, სტრუქტურითა და წარმოქმნის პრინციპით, ძირითადად, ერთმანეთის მსგავსია. არსებობს მათი შექმნის საერთო გზები. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს: გარკვეული ისტორიულ რეალია, ბიბლია-მითოლოგიისა და ლიტერატურის მასალის გამოყენება, ენაში არსებული თავისუფალი შესიტყვების მეტაფორული გადააზრება, სიტყვის ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობის რეალიზაცია და სხვ.

ყოველი ენის ფრაზეოლოგიას (ისევე როგორც ენის სისტემის სხვა ელემენტსაც), ამ საერთო ნიშნების გარდა, აქვს სპეციფიკური ნიშნებიც, მისი ბუნებიდან გამომდინარე. ფრაზეოლოგიზმების ანალიზი ენის ისტორიასთან უნდა იყოს კავშირში იმდენად, რამდენადაც ეს თავისებურებანი განპირობებულია ენის განვითარების შინაგანი კანონებით (თაყაიშვილი 1961:123).

ა. თაყაიშვილი, იდიომის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, ოთხ ნიშანს გამოყოფს:

- 1) იდიომა სემანტიკურად დაუშლელია და სიტყვის ეკვივალენტურია;
- 2) იდიომის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს;
- 3) ექსპრესიულობა იდიომის სპეციფიკური მხარეა;
- 4) იდიომს აქვს შესიტყვების ფორმა.

ეს ნიშნები ურთიერთქმედებენ, ერთმანეთს ავსებენ და იდიომის საერთო დახასიათებას იძლევიან. რა თქმა უნდა, ოთხივე ნიშანი მხოლოდ იდიომის საკუთრება არაა. ყოველი მათგანი შეიძლება ახასიათებდეს მოსაზღვრე ერთეულებსაც, ზოგს - სამიც კი. იდიომს ქმნის სწორედ ოთხივე ნიშნის ერთობლიობა; თუ რომელიმე მათგანი გამოთქმას აკლია, მას იდიომად ვერ ჩავთვლით (თაყაიშვილი 1961:37).

ქართული ფრაზეოლოგიზმები თავიანთი სტრუქტურით ახლოს დგანან თანამედროვე ენის სინტაქსურ-მორფოლოგიურ ნორმებთან.

შეიძლება ითქვას, რომ ფრაზეოლოგიური შენაზარდების ჯგუფი არქაული და ხმარებიდან გამოსული სიტყვების შემცველი გამოთქმებითაა წარმოდგენილი. საკმაოდაა მათში არაბულ-სპარსულ-თურქული წარმომავლობის სიტყვები, რომლებიც ამ ფრაზეოლოგიური კონტექსტების გარეშე აღარ გამოიყენება.

რაც შეეხება ხატოვანი იდიომების ჯგუფს, მათ დიდი მოქნილობა ახასიათებთ. ენობრივი ტექნიკის მხრივ, ისინი გაცილებით დინამიკურია. ამ მოქნილობის მაჩვენებელია:

- 1) იდიომთა უმრავლესობაში ზმნათა მთლიანი პარადიგმული სქემის გამოყენება;
- 2) იდიომის სახელადი ნაწილის ორივე რიცხვში ხმარება;
- 3) იდიომის კომპონენტების სინონიმებით შეცვლის ფართო შესაძლებლობა;
- 4) აქტივიდან პასივში ფრაზეოლოგიზმების გადაყვანის დიდი შესაძლებლობა;
- 5) რედუცირებისადმი მიდრეკილება, რაც ხშირად ფრაზეოლოგიზმის ერთ სიტყვამდე დაყვანას გვაძლევს (თაყაიშვილი 1961:125).

ასეთი თავისუფლება მიიღწევა იმით, რომ ქართულში იდიომის საფუძვლის მხატვრული სახის აღქმა ხელშესახებია და გამოთქმა, თავისი მოდელით, ენაში არსებულ ცოცხალ თავისუფალ შესიტყვებებს უტოლდება. ქართულ ენაში გვაქვს უამრავი ერთსიტყვიანი გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმი, რომელიც დასრულებულ აზრს გადმოსცემს.

მაგალითად: *მუცელღმერთი* - პრდ.<sup>82</sup> ვისაც მუცელი გაღმერთებული აქვს. ხტვ.<sup>83</sup> ჭამა-სმას გადაყოლილი, სულ საჭმელისათვის რომ ფიქრობს, სულ მუცლისათვის რომ ზრუნავს;

*პირწყლიანი* - პრდ. ვისაც პირი წყლიანი აქვს. ხტვ. ლამაზი;

*მომწვანილება* - პრდ. მწვანილის მობერება, მისი უვარგისობა სახმარად. ხტვ. მობეზრება, გულის აცრუება, შეჯავრება, გულის აყრა, თავიდან მოშორება, დარდის გადავლა დავიწყება მწუხარებისა;

*გაწიწმატება* - პრდ. წიწმატივით გახდომა. ხტვ. გაჯავრება, გაცხარება;

*გახხვაპურება* - პრდ. სახლის გარეშე სხვაგან პურის ჭამა. ხტვ. კარის-კარს სიარული, ოჯახისათვის თავის მინებება, გაგარეულება.

ქართული ენის სიტყვათა წყობის სპეციფიკის გამოხატულებათა ის ფაქტი, რომ ზმნური კომპონენტი ფრაზეოლოგიზმში ჩვეულებრივ ბოლოშია. ქართულში კი სიტყვათა რიგის თავისუფლება გვაქვს. ის განსაზღვრული წყობა, რომელსაც

<sup>82</sup> პირდაპირი მნიშვნელობა (შემოკლ. პრდ).

<sup>83</sup> ხატოვანი მნიშვნელობა (შემოკლ. ხტვ).



მაინც იცავს ქართული, იდიომის ბუნებიდან კი არა, არამედ თვით ენის ტენდეციიდან, გარკვეული თანმიმდევრობა დაიცვას შესიტყვებაში, გამომდინარეობს. მაგალითად, ქართულში ფრაზეოლოგიზმი თავისუფალი შესიტყვების მსგავსად ზმნა - შემასმენელს ბოლოში აქცევს (თაყაიშვილი 1961:22).

მაგალითად : *ნატვრის სუფრა გაუშაღეს* - პრდ. ყოველგვარ სასმელ-საჭმელით საესე სუფრა დაუდგეს წინ. ხტვ. მზარმზარეულად, უშრომლად და გაურჯელად. მიართვეს ყოველივე ცხოვრებისათვის საჭირო სიკეთე;

*ქვევრში თავის ჩახრჩობა* - პრდ. გაგუდვით თავის მოკვლა ქვევრში. ხტვ. ღვინის უზომოდ სმა;

*შამფურივით ტრიალებს*- პრდ. შამფურის მსგავსად თავის გარშემო ბრუნავს. ხტვ. მოუსვენრად არის, იტანჯება, სწუხს, მოუსვენრობს, წვალობს;

*ჭურში ვზივართ* - პრდ. ქვევრში ვართ მოთავსებულნი. ხტვ. ჩაკეტილები ვართ სადმე, არაფერი გვესმის, არაფერი გაგვეგება ქვეყნიერებისა, უმეცრები ვართ;

*გახურებულ თონეში ჩაყენება* - ხტვ. დიდ გაჭირვებაში ჩაგდება, უკიდურს დღეში თავის ამოყოფინება.

ლაკონიზმის დადასტურებაა ისიც, რომ ქართული ფრაზეოლოგიზმი არ საჭიროებს ნაცვალსახელის ჩართვას. ნაცვალსახელის მაგივრობას ქართულ ფრაზეოლოგიზმში (ისე როგორც თავისუფალ შესიტყვებაში) ზმნაში წარმოდგენილი პირის ნიშნები ასრულებენ.

მაგალითად: *ჭურში ვზივართ (ჩვენ);*

*რა სუფრას გამიშლი ?! (მე);*

*სავსე სუფრაზე ზის (ის);*

*შამფურივით ტრიალებს (ის);*

*გიჟანა ხომ არ გიჭამია ?! (შენ)*

სიტყვათა რიგის ცვლის მიხედვით, ყოველი ენის ფრაზეოლოგიზმები განსხვავებული ხასიათისაა, დამოკიდებულია ამა თუ იმ ენის ანალიზურ თუ სინთეზურ ბუნებაზე. ცხადია ქართულ ფრაზეოლოგიზმებში სიტყვათა რიგი მყარია, რამდენადაც იქ თავისუფალი შესიტყვებაც გარკვეულ თანმიმდევრობას ემორჩილება: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება.

იდიომის დაუშლელობის გამოხატულებად თვლიან აგრეთვე მისი წევრების შეცვლის შეუძლებლობას. ირკვევა, რომ არც ეს ნიშანია აბსოლუტური. ამ

მსრივ თავისუფლება შეიმჩნევა ქართულში. დაუშლელობის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ იდიომის სემანტიკური მთლიანობა, ერთი ცნების გამომხატველობა (თაყაიშვილი 1961:31).

მაგალითად: *ერთ ტაფაში წვა* პრდ. ორსავე (ყველას) ერთ ტაფაში შეწვა .ხტვ. ერთნაირი ტანჯვა, ერთნაირი გაჭირვება;

*ერთ ქვაბში ვიხარშვით* – პრდ. ერთ ქვაბში ვართ ჩაყრილები და ერთად ვიხარშებით. ხტვ. საერთო უბედურება გვადგა ყველას „ერთ ტაფაში ვიწვით.“

ქართული ენის გასტრონომიული სუბსტანციური ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოადგენენ არაპრედიკატულ შეთანხმებას, არსებითი სახელის წამყვანი წევრის ფუნქციით. ქართულ გასტრონომიულ ფრაზეოლოგიაში ნაკლებად არის წარმოდგენილი სუბსტანციური ფრაზეოლოგიური ერთეულები ნახევრად-პრედიკატული და პრედიკატული სტრუქტურით. არაპრედიკატულ სუბსტანციურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს მიეკუთვნება ფრაზემები მაქვემდებარებელი, მაერთებელი და მაქვემდებარებელ-მაერთებელი სტრუქტურით.

განვიხილოთ თითოეული მათგანი: სუბსტანციური ფრაზეოლოგიზმები მაქვემდებარებელი სტრუქტურით აგებულია შემდეგი სტრუქტურული გრამატიკული მოდელით.

განვიხილოთ ქართული კომუნიკაციური და არაკომუნიკაციური გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები. როგორც ვიცით, კომუნიკაციური, თავის მხრივ, მოიცავს ორ ქვეჯგუფს:

1) კომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც არაა გამოყენებული ანდაზები, მაგრამ გამოირჩევიან მყარი სინტაქსური სტრუქტურით. აქ განასხვავებენ ორ სტრუქტურულ სახეს:

ღია სტრუქტურას, რომელიც სინტაქსურად და აზრობრივად დაუმთავრებელი ფორმითაა გამოსატული და გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების რიცხვი უმნიშვნელოა.

მაგალითად: *ძროხა მოიხარშება შივ (ქვაბში)* - პრდ. მთელი ძროხა ჩაეტევა შივ (ქვაბში) მოსახარშავად. ხტვ. მეტად დიდია ქვაბი, ვეება ტევადობა აქვს;

*ჭრელტარა კოვზით ჩაეჩრება* - პრდ. ჭრელტარიან კოვზის მსგავსად თავი მოსწონს. ხტვ. მეტიჩრობს, ამაყოფს.

*სუფრა ქვეყნისა* - პრდ. სუფრა, რომელსაც ბევრნი უნდა შემოსხდნენ საჭმელად. ხტვ. ცხოვრება, კეთილდღეობა;

*კატკატს დაახსავლებსო* – პრდ. კატკატსაც კი ჩხავილის გუნებაზე დააყენებს. ხტვ. ღვინო მეტად მჟავაა.

*მისი მუცლის გერება* – პრდ. მისი მუცლის ტკივილი. ხტვ. მისი გაჭირვება, მისი სადარდებელი, მისი თავში საცემი.

ასეთი გამოთქმები, ძირითადად, წინადადებებშია წარმოდგენილი და მხოლოდ შიდა ფრაზეოლოგიურ კონტექსტს ქმნის. დახურული ფრაზეოლოგიური სტრუქტურა, რომელიც სინტაქსურად და აზრობრივად დამთავრებული ფორმითაა გამოხატული:

*ცხრა საცრის პური მიჭამია* - პრდ. ცხრა საცერი სანამ გაძლებდა და ამ საცრებით რაც გაიცრებოდა, ის პური მიჭამია. ხტვ. ბევრ ალაგას ვყოფილვარ, ბევრი რამ მინახავს, ბევრი ავი და კარგი გამომიცდია;

*ბევრი საცრის პური მიჭამია* - პრდ. ბევრ საცერში გატარებული ფქვილისაგან გამომცხვარი პური მიჭამია. ხტვ. ბევრი რამ გამომიცდია, დიდხანს მიცოცხლია, ბევრი ავი და კარგი მინახავს.

*შენს თონეში ჭინჭარიმც ამოსულაო* - შენი თონე ისე უპატრონოდ და უხმარად დარჩენილიყოს, რომ შიგ ჭინჭარს შეძლებოდეს ამოსვლა. ხტვ. შენი ოჯახი ამოწყვეტილიყოს;

*პურსა და წყალზე ყოფნა* – პრდ. ვისიმე მოცემულ პურითა და წყლით საზრდლობა. ხტვ. სხვის კმაყოფაზე ცხოვრება, სხვისი ხარჯით არსებობა, სამოწყალოდ დარჩენა, სხვისი შესანახი.

ენაში ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმები უფრო მეტად გავრცელებული, პროდუქტიულია და გამოირჩევა სინონიმების სიმრავლით.

არაანდაზური კომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმების განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათში ზმნური კომპონენტი გამოხატულია უფრო აქტიური ფორმით.

კომუნიკაციური ანდაზური ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ პრედიკატულ შეთავსებებს დახურული სტრუქტურით, ე. ი სინტაქსურად ორგანიზებულია ისევე, როგორც წინადადებები. არაანდაზური ფრაზეოლოგიზმებისაგან განსხვავებით, მათ აქვთ დამრიგებლური ხასიათი, შეიცავენ რაიმე მორალს ან გამოხატავენ ამა თუ იმ ცხოვრებისეულ სიბრძნეს. ეს ხასიათი აძლიერებს და ხაზს უსვამს ბევრ ანდაზაში ლექსიკურ-სტილისტური და ფონეტიკური საშუალებების გამოყენებას.

ისინი კონკრეტულ ინდივიდუალურ სიტუაციაში კი არ გამოიყენება, არამედ სიტუაციათა კლასში (ნაზარიანი 1974:62/64).

მაგალითად: თუ კი გ შია ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია;  
შიმშილმა სანუკვარი არ იცის და ძილმა სასთუმალიო;  
მთელ დღესა მოქეიფესა არ დარჩა რა ვახშმადო;  
არც წყალია, არც ღვინო.

2) ქართულ გასტრონომიულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში შესაძლებელია განვასხვაოთ არაკომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულების შემდეგი ფორმები:

არსებითი სახელის შემცველი:

მაგალითად : კუჭის ამოვსება;  
მუცლის ამოვორვა;  
პირის გახველება;  
აჯაფსანდალი ვახდაო;  
პურს მაჭმევს.

ზედსართავიანი სახელის შემცველი:

მაგალითად : დანივრული ხაშლაძა;  
თაფლი კაცი;  
თბილი პური მეგონა;  
დამპალი კომში;  
საპურყველო ლაპარაკი (რომელიმე ენაზე).

ზმნიზედის შემცველი:

მაგალითად: როგორც თევზი უწყლოდ;  
როგორც თევზი წყალში;  
შაქარი ამოსდის პირიდან;  
შაქარსავით გაუტკბილდა;  
წყალივით იცის.

ზმნური ფორმების შემცველი:

მაგალითად: თვალს წყალი დავალევიინოთ;  
ღვინო ისეთი, რომ კაჭკაჭს დაახსავლებს;  
წყალი წაიდებს;  
ტყემაღზე ზის;  
ხახვივით შემრჩა.

გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით, ქართული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულები დაგყავით არაპრედიკატულ (ერთწევრიანები და ფრაზემები), ფრაზეოლოგიზმებად. ერთწევრიანები იყოფიან არსებითი სახელის შემცველ და ზედსართავი სახელის შემცველებად:

არაპრედიკატული (ყველაზე მრავალრიცხოვანი)

ერთწევრიანები - არსებითი სახელის შემცველი :

მაგალითად: მომწვანილება;  
გაწიწმატება;  
წყალწასადები;  
ცხრამუცვლა.

ერთწევრიანები - ზედსართავის სახელის შემცველი:


გაღორებული - პრდ. ღორად ქცეული. ხტვ. გაუმადლარი მარად მდომი ჭამისა;  
გაწყალებული - პრდ. წყლად ქცეული. ხტვ. ღარიბი, უქონელი, მოსპობილი, არაფრად ქცეული, უღონო, განადგურებული, დასუსტებული;  
მოლოკილი - პრდ. ჯამზე ან თეფშზე თხელი რამ საჭმელი ენით მოწმენდილი. ხტვ. დაცარიელებული, გაღარიბებული, ყველაფერზე ხელაღებული;  
გუდამშიერი- პრდ. ვისაც გუდა ცარიელი აქვს. ხტვ. ღარიბი, უქონელი, საწყალი, ცარიელი, ხელმოკლე, გაჭირვებული.

სიტყვათშეერთებები (ფრაზემები) - ორი ან მეტი სიტყვისგან შემდგარი.


მაგალითად : ცხვირ-პირს მაჭამენ;

დანიერული ხაშლამა;  
თავისი პური მოუჭამია;  
თაფლი სცხია ენაზე.

ცხრილი 6. ქართული ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურული თავისებურებები:



ცხრილი 7. ქართული არაკომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულები:



ცხრილი 8. გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით:



3.2 გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების სტილისტური თავისებურებები ქართულ ენაში

სტილი არის ენის არსებობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ტრადიციულად იხმარება მოცემული ენობრივი კოლექტივის სოციალური ცხოვრების ცალკეულ სფეროებში და რომელიც სხვადასხვა ენობრივ დონეზე ნაწილობრივ განსხვავდება ამავე ენის არსებობის სხვა ფორმებისაგან (გამყრელიძე 2008: 379).

განვითარებულ საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობები რთული და მრავალმხრივია. ეს გარემოება ენაშიც აისახება და განაპირობებს მის სტილისტურ დიფერენციაციას. ძირითად სტილისტურ ოპოზიციას ქმნიან სტილისტურად ნეიტრალური ანუ სტილთაშორისი და სტილისტურად შეფერილი, არანეიტრალური ენობრივი საშუალებები.

ფრაზეოლოგიური ერთეულები, შესაძლებელია, მეტყველების სხვადასხვა სტილს მივაკუთვნოთ;

- 1) ნეიტრალური ან ნეიტრალურ-ლიტერატურული ფრაზეოლოგიზმები;
- 2) სასაუბრო-ფამილარული ფრაზეოლოგიზმები;
- 3) ხალხური ფრაზეოლოგიზმები;
- 4) ჟარგონული ფრაზეოლოგიზმები.

ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების გაანალიზებისას გამოვავლინეთ შემდეგი სტილის ფრაზეოლოგიზმები:

*სასაუბრო – ფამილარულ სტილს შემდეგი გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები მიეკუთვნება :*

მაგალითად: *ამოყორვა მუცლისა, კუჭისა* - ხტვ. ზომაზე მეტად ამოვსება მუცლისა;

*აჯაფსანდალი გახდაო* - პრდ. აჯაფსანდლად გადაიქცა. ხტვ. ძალიან აირია საქმე, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ;

*გემოს ჩატანება* – ხტვ. გემრიელობა საჭმლისა, ანდა გასაკეთებელი საქმისა, სასიამოვნოდ მიჩნევა რისამე;

*გამოცხობა* - პრდ. საჭმლის მომზადება, ცეცხლის საშუალებით. ხტვ. დაცინვით: შეთხზვა, გამოგონება, მაგ. ტყუილისა;

*პირში ლუკმას მითვლის* – პრდ. იმას უყურებს პირში რამდენ ლუკმას ჩავიდებ. ხტვ. ჩემთვის საჭმელი არ ემეტება, მაყვედრის – გაჭამეო.

*სასაუბრო ირონიულ სტილს - მიეკუთვნება შემდეგი ფრაზეოლოგიზმები.*

მაგალითად: *ვერ მოგართვი დანიერული ბადრიჯანი* - პრდ. დანიერული ბადრიჯნის მწნილი ვერ მიიღე ჩემგან. ხტვ. ცარიელზე დაგხვი, ვერას გამომჩი, თავი არ მოგატყუებინე, დამარცხდი.

*გოგრა* – პრდ. ბოსტნეულის მსხვილი ხილი. ხტვ. ვითომ ჭკუიანია!

*ბოლოკი და ხბოს თავი* – პრდ. შეძლევა ბოლოკისა და ხბოს თავისა. ხტვ. არაფერი. ეს თქმა დაცინვითაა.

*ხახვის ფრანტი* – ძვ. ირონ. უქნარა ახალგაზრდა, რომელიც ცდილობდა ფრანტებისთვის მიებაძა.

ხალხურ (კუთხურ) სტილს მიეკუთვნება:

მაგალითად: *დანასისხლად* - კუთხ. სამკვდრო სასიცოცხლოდ არიან გადაკიდებული;



დანას გაუერის ყელში - კუთხ. იგივეა, რაც დანით ყელს გამოჭრის.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმებიდან გამოიკვეთა სამი სტილი: სასაუბრო-ფამილარული, ირონიული და ხალხური. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთსიტყვიანი ფრაზეოლოგიზმების უმეტესობა ფამილარულ სტილს მიეკუთვნება. ქართული და ფრანგული ფრაზეოლოგიზმების შედარებისას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფრანგულ ფრაზეოლოგიზმებში, ისევე როგორც ქართულში, გამოიკვეთა სასაუბრო-ფამილარული და ხალხური სტილი.

### 3.3 კერძების აღმნიშვნელი დენოტატების ეტიმოლოგიური თავისებურება ფრანგულ და ქართულ ენებში

ლექსიკურ დისკურსში „გასტრონომია“ კერძების სახელწოდებებით წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემატურ ჯგუფს. ამ ჯგუფში შეიძლება გამოიყოს მთელი რიგი კერძების სახელწოდებები, რომლებიც საკუთარ სახელებს შეიცავენ.

ანთროპონიმების კლასიფიკაცია შესაძლებელია მოხდეს შემდეგნაირად:

- 1) კერძის შემქმნელის სახელისაგან (*potage Vuillemot*);
- 2) პიროვნება, რომლის სახელშიც პირველად იქნა წარმოდგენილი ეს კერძი (*côtellete de volaille Agnès Sorel*); მეფე შარლ VII -ეს ფავორიტმა ანიეს სორელმა, უამრავ კერძს დაუტოვა თავი სახელი „იმისთვის, რომ მიეზიდა და შეენარჩუნებინა შარლ VII, მან იმ დროის საუკესო მზარეულები დაიქირავა. იგი თვითონაც ჩადიოდა სამზარეულოში. შთამომავლებს მან შედეგრი დაუტოვა.“<sup>84</sup>
- 3) იმ დროის ცნობილი ისტორიული პიროვნების სახელი (*jambon à la reine Victoria*);
- 4) ცნობილი მწერლის სახელი (*Gigot de mouton de Jean- Jacques Rousseau*);
- 5) რელიგიური სფეროს წარმომადგენლის სახელი (*Oeuf au père Douillet*);

<sup>84</sup>Le salmis de bécasse et les petites timbales, Christian Guy, une histoire de la cuisine française, éd., Les productions de Paris ; (Larousse Gastronomique ,2000 ; I tome , p.50).

ბ) გამოგონილი ლიტერატურული პერსონაჟის სახელი (*Écrivisses à la d'Artagnan*).

მსგავსი ტენდენცია აიხსნება იმით, რომ გასტრონომია ფრანგებისთვის ხელოვნებაა და მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ამიტომაც ფრანგული სამზარეულო ასახავს ეროვნულ ხასიათს და გავლენას ახდენს ფრანგულ ლინგვოკულტურაზე.

ანთროპონიმია, ანთროპოკულინარული სტრუქტურის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

მარტივი ანთროპოკულინარია შეიძლება დავეოთ:

1) მარტივ სახელებად *Bressolles, Bresolles-კერძი რაგუს სახელწოდებით*, რომელიც მარკიზ დე ბრესოლის მსახურმა მოიგონა თავისი პატრონის შეიდწლიან ომში ყოფნის დროს)<sup>85</sup>და

2) რთულ სახელებად (*gâteau Marie-Louise*)-დედოფალ მარი-ლუიზას სახელობის ნამცხვარი;

რთული ანთროპოკულინარული სახელები, რომელთაც აღწერთი ხასიათი აქვთ და შედგება წინდებულისგან:

1) წინდებული à - *Tortue à la Victoria-კუსგან მომზადებული კერძი* (ვიქტორია დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის დედოფალი, რომლის სახელიც უამრავ კერძს დაერქვა მათ შორის სოუსებს და გარნირებს); *Gâteaux de volaille à la Tourville-ფრინველის პაშტეტის ნამცხვრები*; *Salade à la Dumas* - სალათა, რომელიც ალექსანდრე დიუმას სახელს ატარებს.

2) წინდებული de - *Tête de veau à la Girardin-ქორადენის ხბოს თავი*; *Croustade de gibier aux Trois mousquetaires* - ხორცისგან მომზადებული ღვეზელი.

ყველა საკუთარი არსებითი სახელი კერძის დასახელებას წინდებულის გარეშე უერთდება, როგორც ეს მარტივ ანთროპოკულინარიაშია, ან კიდევ, როგორც ეს რთული წინადადების ფორმითაა მოცემული.

ხოლო, რაც შეეხება აზრობრივ შემადგენლობას, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დასახელებული კერძის სახელწოდებები გავლენას ახდენენ და ასევე აღნიშნავენ მომზადების გარკვეულ ტექნიკას, ან კიდევ კულინარიის განვითარების ტენდენციას.

<sup>85</sup><http://cnrtl.fr/definition/bressolles> (25.11.2015).

ანთროპონიმია გარკვეული ექსპრესიულობით გამოირჩევა. მაგალითად, *Rots oie à la Nelson* - ბატის ხორცისგან დამზადებული კერძი, დაკავშირებულია გენერალ ნელსონის გამარჯვებასთან. ამ კერძის სახელწოდებით კი შეეცადნენ სახელი გაეთქვათ ადამიანისთვის და აღებუჭდათ ეს მოვლენა გასტრონომიაში. ხშირად მსგავსი სახელწოდებების უკან დგას გარკვეული ისტორია ან შემთხვევა. ანთროპონიმია ასევე შესანიშნავ საშუალებას იძლევა რეკლამა გაუკეთოს კერძს, მომზადების ტექნიკას ან კერძის შემქმნელს.

შესაძლებელია კერძის აღმნიშვნელი კულინარიული ტერმინების შემდგენიერი კლასიფიკაცია მოვახდინოთ. ესენია:

- 1) კვების პროდუქტები და სასმელები (*lait, fromage, pomme de terre*); სამზარეულოს ჭურჭელი (*le fouet électrique, couteau, balance*);
- 2) საჭმლის მომზადების მეთოდები (*cuire à l'anglaise*);
- 3) პროფესიები, რომლებიც მიეკუთვნება კულინარიას (*le cuisinier, le boucher*);
- 4) კვების დაწესებულებები (*restaurant, café, bistrot*).

კულინარიული კერძების დასახელებები შეიძლება დავყოთ ასევე გეოგრაფიული ადგილმდებარეობის და რეგიონების მიხედვით:

1) რეგიონის კერძები, რომლებიც ამავე რეგიონის სახელწოდებებითაა ცნობილი:  
*A la flamande*: შემწვარი კომბოსტო, სტაფილო, თაღგამი, ქონი, ძეხვი, ვაშლი ინგლისურად (ორთქლში ან მდუღარე წყალში; მსხვილ ნაჭრებად დაჭრილი);

*A la languedocienne* : ბადრიჯანი, პომიდორი და ზეთში შემწვარი ქამა სოკო;

*A la lorraine*: მოხარშული წითელი კომბოსტო და კარტოფილი (მსხვილ ნაჭრებად დაჭრილი);

*A la marseillaise*: ზეითუნის ხილით ჩაწობილი პომიდორი და სარდალას ფილე;

*A la mentonnaise*: ყაბაყი, არტიშოკი და შემწვარი კარტოფილი (მსხვილ ნაჭრებად დაჭრილი);

*A la nantua*: კიბორჩხალას ფეხები და სოკო (თევზისთვის).

2) გეოგრაფიული ადგილმდებარეობების მიხედვით კერძების სახელწოდებები:

*A l'Algérienne* - მოგრძო კარტოფილი და პატარა კანგაცლილი ზეთში შემწვარი პომიდვრები. თან ახლავს ფარშირებული ხბოს ხორცი, ან შემწვარი წიწილა.

*A l'Allemande* - კერძი შედგება გერმანული სოუსისგან, ნანადირევისგან, რომელიც შთაგონებულია გერმანული სამზარეულოთი, თხის, კურდღლის შემწვარი ხორცი ბოსტნეულის სოუსთან ან მარინადთან ერთად.

*A l'Américaine* - ასთაკვი ამერიკულ სოუსთან ერთად.

*A l'Autrichienne* - სხვადასხვანაირად მომზადებული კერძი წიწაკით, ზოგჯერ ხახვით, კამით ან კრემით.

*A l'Anglaise* - ბოსტნეული, ხორცი ან თევზი სხვადასხვანაირად შემწვარი.

*A la Française* - სატაცური, ყვავილოვანი კომბოსტო, ჰოლანდიური სოუსით და კარტოფილით.

ფრანგულ ენაში არსებობს ზმნები, რომლებსაც კულინარიაში შეიძლება თავისებური მნიშვნელობა ჰქონდეს. ამის მიხედვით მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია.

1) ზმნები, რომელთა მნიშვნელობა მსგავსია ორივე ენაში და კულინარიული მნიშვნელობა გააჩნიათ:

*blanchir vt.* - კულინ. ცილის ამოყვანა, გათეთრებამდე; ბოსტნეულის ცხელი წყლით დამღვლვრა, სალ. გათეთრება, შეთეთრება;

*colorer vt.* - კულინ. კულინარიული ინგრედიენტების შეფერადება; შეღებვა, შეფერვა;

*larder vt.* - კულინ. ღორის ქონით დატენვა; სალ. ღურსმნების ჩატენვა, ჩხველვა.

*réchauffer vt.* - კულინ. წვნიანის, კერძის გათბობა; სალ. გათბობა;

*blondir vt.* გაყვითლება, გაქერავება, გაოქროსფერება;

*arroser vt.* მორწყვა, დასველება; კულინ. ყავაში კონიაკის, ან რაიმე სასმელის გარევა.

2) ზმნები, რომელთაც სალაპარაკო ფრანგულში განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნია:

*Allonger vt.* - კულინ. გაბრტყელება; სალ. დაგრძელება; წაგრძელება; გაჭიმვა;

*Poser vt.* - კულინ. დასვენება; დაჯდომა; სალ. დადება; ჩამოყალიბება, ფორმულირება, წამოჭრა, წოლა, დგომა, დაყრდნობილია.

*Braiser vt.* - კულინ. დაბალ ცეცხლზე შეწვა (ხორცის, თევზის, ბოსტნეულის);

*Déglacer vt.* - კულინ. ცხიმიანი ტაფიდან ცხიმის მოშორება ცხელი სითხით; სალ. ყინულის მოშორება;

*Dégorger vt.* - კულინ. 1. ჩაღობა; 2. დაწრება (ლოკოკინების, პომიდვრის, კიტრისა და სხვ.); სალ. ამონთხევა, ამოფრქვევა, გალიცლიცება, გადმოდინება;

*Etuver vt.*- კულინ. ხორცის, თევზის, ბოსტნეულის ორთქლზე მოხარშვა, მოთუშვა; სალ. ჭრილობის მობანვა, გაწმენდა; გაშრობა, გამოშრობა, ორთქლით დეზინფიცირება, ან სტერილიზება.

*Foncer vt.* კულინ. *foncer un moule* – ტაფის, ფორმის ფსკერზე ცომისა ან ქონის ნაჭრების დადება; სალ. გამუქება; შეტევა, წინ გაჭრა;

*mouiller vt.* -კულინ. ხარშვის დროს წყლის დამატება; სალ. დასველება;

*sauter vi* .- *faire sauter* კულინ. მაღალ ცეცხლზე შეწვა (ცხიმში); სალ. ხტომა, სწრაფად შეხტომა, ჩამოხტომა; წამოდგომა;

*napper vt.* - კულინ. ხორცზე ან ნამცხვარზე სოუსის, უელეს ან მარმელადის გადასხმა; სალ. სუფრის გადაფარება.

*masquer vt.* კულინ. გემოს ან სუნის ჩახშობა სხვა გემოთი ან სუნით; სალ. დამალვა, შენიღბვა, თავის მოჩვენება;

გავაანალიზეთ ასევე ქართული კულინარიული ზმნები.

1) ზმნები, რომელთაც მხოლოდ კულინარიული მნიშვნელობა გააჩნიათ; მაგალითად: *მოხარშვა* – კულინ. ხორცის მოხარშვა, ლობიოს მოხარშვა;

*შეწვა* –კულინ. ცეცხლზე (ნაკვერჩხალზე ან, ჭურჭლით) წვით საჭმელად მომზადება;

*შუშვა* - კულინ. მცირედ წვა ცხიმში, დაღვა;

*ადუღება* - კულინ. ცეცხლზე წყლის;

*ათქვევა* - კულინ. კვერცხის ათქვევა;

*გაბრტყელება* - კულინ. ცომის გუნდის.

2) ზმნები, რომლებსაც სალაპარაკო ქართულში მნიშვნელობა განსხვავებული აქვთ.

მაგალითად: *არევა* - კულინ. ერთმანეთში ავურიოთ ინგრედიენტები; სასაუბ. კვალის არევა;

*შეზავება* - კულინ. საჭმლის შეზავება, შენელება; სხვადასხვა ნივთიერებათა განსაზღვრული რაოდენობით შერევა, შეერთება;

*გამოცხობა* - კულინ. ცომის გამოშუშვა, გახურებულ ღუმელში (თონეში, კეცზე) საჭმელად გამოყენების მიზნით; გადატ. ძილის გამოცხობა.

*მოყრა* - კულინ. თავზე რამის მოყრა, მარილის, პილპილის; გარკვეულ ასაკამდე მიღწევა.

*ზელა* - კულინ. რაიმე ფხვიერი ნივთიერების, ფქვილის; მასაჟის ერთი სახე.

ქართული კერძები შესაძლებელია რეგიონების მიხედვით დაგვით. მაგალითად:

*ფშაური სამზარეულო:* ფშაურ სამზარეულოზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით ხინკალს. მის წარმოშობაზე მკვლევარები ბევრს დავობენ, თუმცა ერთზე ყველა თანხმდება, რომ იგი ფშაური კულტურის ნაწილია და სწორედ იქიდან გავრცელდა ჯერ მის მოსაზღვრე რაიონებში, შემდეგ კი ბარშიც ჩამოაღწია. ხინკლის განმარტება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ცოტა განსხვავებულია, აქ იგი „ღუმის მაშხად“ არის მოხსენიებული. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ხინკლის ფორმა თავისი ნაოჭებით წააგავს ბორჯღაღს. ქართველებისთვის ხომ ბორჯღაღი მზის, სიცოცხლის მარადი მოძრაობის სიმბოლოა, რომელსაც სავსებით შესაძლებელია, თავისი ასახვა კულინარიაშიც ჰქონოდა, თუმცა ეს მაინც ვარაუდია და არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია.

*აჭარული სამზარეულო:* აჭარული სამზარეულოს გამორჩეული კერძია ბორანო. მის მოსამზადებლად საჭიროა: იმერული (დაქუცმაცებული) ყველი, რძე, კარაქი (ან მზესუმზირის ზეთი). ყველაფერი ეს ნახევარი საათის განმავლობაში ცხვება და შემდგომ ღვეზლის სახით მიაქვთ სუფრასთან.

*მჭადი დასავლეთ საქართველოშია პოპულარული,* რომელიც ტრადიციულად კეცზე ცხვება (შესაძლოა ტაფაზეც). მას იმერულ ყველთან ან სულუგუნთან ერთად მიირთმევენ. ასევე უხდება ნიგვზიან სალათებსაც.

*შქმერული* – რაჭული კერძია, რომლის სახელწოდებაც სოფელ შქმერიდან მოდის. ეს გახლავთ კეცზე (ან ტაფაზე) ცხიმში, ცოტაოდენ რძეში და გატარებულ ნიორში შემწვარი წიწილა (ქათამი), რომელიც სუფრასთან ცხელი სახით მიაქვთ.

ქართული კულინარიული ზმნების გაანალიზებისას შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ რეცეპტებში ისინი ბრძანებით ფორმის I პირის მრავლობით რიცხვშია მოცემული; მაგალითად:

*მოხარშოთ, ათქვიფოთ, გაგათბოთ, გავხსნათ, მოვზილოთ, მოვამზადოთ, გავფცქენათ, დაჭკრათ, გავატაროთ, შევაზავოთ, გავხეხოთ, დავასხათ, მოვშუშოთ და ა. შ.*

ფრანგული კულინარიულ რეცეპტებშიც ზმნები ბრძანებით ფორმაშია, მხოლოდ მრავლობითი რიცხვის II პირში:

*lavez - გარეცხეთ, sechez - გააშრეთ, épluchez - გაფცქენით, coupez- დაჭერით, versez - დაასხით, ajoutez - დაუმატეთ, parsemez - მოაყარეთ, servez- მიირთვიეთ და სხვ.*

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ფრანგულ-ქართული სამზარეულოს შედარებისას, გამოვავლინეთ საერთო ნიშნები; ესაა: რეგიონული კერძების სახეობები და რეცეპტები, რომლებშიც ზმნები ორივე ენაში ბრძანებით ფორმაშია. იმ განსხვავებით რომ ქართულში *ჩვენ მოხარშოთ* იგულისხმება, ფრანგულში კი *თქვენ მოხარშეთ*. ფრანგულ-ქართულ კულინარიულ რეცეპტებში გამოვლინდა ზმნები, რომლებსაც მარტო კულინარიული მნიშვნელობა გააჩნიათ და ისეთები, რომელთაც სასაუბრო ენაში განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნიათ.

### 3.4 გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ქართული ფრაზეოლოგიზმების თემატური კლასიფიკაცია

შოთა ძიძიგური თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანის“ წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ერთი მხრივ, გვქონია ისეთი ცალკეული სიტყვები, რომელთაც გადატანითი მნიშვნელობით ვხმარობთ. ეს გადატანითობა, პირველ რიგში, კონტექსტის საფუძველზე იქმნება. მეორე მხრივ, გვქონია გადატანითი მნიშვნელობის სიტყვათშეთანხმებანიც.

რაკი სიტყვა ჩვეულებრივ ფრაზაში იხმარება, ამ ნიადაგზე ზოგჯერ კონტექსტი გაქვავებული სახით ყალიბდება და ვღებულობთ იდიომებს, იდიომატურ თქმებს (ფრაზეოლოგიას). იდიომატურ შესიტყვებაში შემავალ კომპონენტებს – ცალკე სიტყვების სახით დაკარგული აქვს თავისი ლექსიკური ფორმა და მნიშვნელობა და ერთ სემანტიკურ მთლიანობად წარმოგვიდგება. ამგვარი სიტყვათშეთანხმება ფუნქციურად ცალკე სიტყვის მაგივრობას სწევს. სხვანაირად რომ ვთქვათ, იდიომა ისეთი „გაქვავებული“ კონტექსტია, სიტყვათშეთანხმებაა, რომელიც ენაში გამოყენებულია როგორც მთლიანობა (მასში შემავალი ელემენტების გადაადგილება ჩვეულებრივ არ შეიძლება) და მთლიანობას თავისი სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს. მაშასადამე, ფრაზეოლოგიური შეხამებანი ენაში წარმოშობენ სემანტიკურ მთლიანობებს (ძიძიგური 1950: VI).

ფრაზეოლოგიზმებში აისახება მსოფლიოს ენობრივი სურათი, ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ ბევრი ავტორი იდიომს როგორც კულტურულ მარკირებულ, ეროვნულ სპეციფიკურ ენობრივ ელემენტს განიხილავს (დობროვოლსკი 1977:37).

ენის ფრაზეოლოგიური ფონდი, როგორც კვლევის საგანი ლინგოკულტუროლოგიაში, ხალხის კულტურული და მენტალური მონაცემების მნიშვნელოვანი წყაროა, მასში თითქოსდა შემონახულია ხალხის წარმოდგენა მითოლოგიაზე, წეს-ჩვეულებებზე, თვისებებზე, მორალზე, ქცევაზე და ა.შ. (მასლოვა 2001:43).

დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქართულ ენაში ყველაზე უფრო ეროვნული ელფერით გამოირჩევა შემდეგი ლექსემები:

- 1) *პური* (*პურ-მარილობა; პურსა და წყალზე ყოფნა; პურს მაჭმევს*);
- 2) *ღვინო* (*ღვინო ისეთი, რომ კაჭკაჭს დაახხავლებს; ღვინო მოეკიდა; ღვინოში სული ამოსდის*);



3) წყალი (ზაილოურის წყლის დაღევა, ჩვენის წყლისა, ცეცხლზე წყლის დასხმა (ვისთვისმე).

ვ. თელია ენის ფრაზეოლოგიურ შემადგენლობას სარკეს უწოდებს, რომელშიც განსაზღვრულია ეროვნული საზოგადოების ლინგვოკულტურული თვითშეგნება, ამასთან ერთად ფრაზეოლოგიზმების სხვადასხვა ტიპი სხვადასხვანაირად ასახავს კულტურას (თელია 1966:23).

ითვლება, რომ უფრო ადვილია გაიგო და ახსნა იმ ფრაზეოლოგიზმების კულტურული ასპექტი, რომელთა მნიშვნელობისთვისაც დიდ როლს თამაშობს დენოტატიური ასპექტი. გავაანალიზოთ რამდენიმე ფრაზეოლოგიზმის მაგალითი ერთი ან რამდენიმე კომპონენტით, რომელთა დასახელებებიც ეროვნული კულტურის ნივთებითაა გამოხატული.

მაგალითად: *დომხალი* - პრდ. დო და სხვადასხვა მხალი. ერთმანეთში არეული. ხტვ. ალუფხული, უწესრიგოდ არეული, ასვრილი. დომხალი შეჭამანდია, შედგება დოსა და სხვადასხვა ერთიმეორეში არეული მხალისაგან. დომხალი სიმბოლოა უწესრიგობისა, ორგულობისა, ერთიმეორის მოწინააღმდეგე თვისების საგანთა, თუ ერთმანეთში არევისა.

*აჯაფსანდალი გახდაო* -პრდ. აჯაფსანდლად გადაიქცა. ხტვ. ძალიან აირია საქმე, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ.

*თორნეში ჩაყენება (ვისიმე)* - პრდ. ვინმე რომ აიძულონ გახურებულ თორნეში ჩადგეს. ხტვ. საშინელი ტანჯვა, უზომო გამწარება.

*ლაგაშის ჭმევა* - თხელ და გრძელ ფურცლად გამომცხვარი პურის მიცემა საჭმელად. ხტვ. გარტყმა ლოყაში, ცემა და ა. შ.

ვინაიდან თემატური ანალიზის მეთოდი გასტრონომიული დისკურსის უნივერსალურ მეთოდს წარმოადგენს, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გაგვეკეთებინა ასევე ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების თემატური კლასიფიკაცია, რომელიც საშუალებას მოგვცემს ფრანგულ გასტრონომიულ ფრაზეოლოგიზმებთან შედარება-შეპირისპირებას. საკვლევე მასალად გამოვიყენეთ თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.“ მასალა (7000 ერთეულის რაოდენობით) აღებულია კლასიკოსთა თხზულებებიდან, ასევე დიალექტებიდან და სასაუბრო ენიდან. როგორც სათაურიდან ჩანს წიგნი არ წარმოადგენს წმინდა ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კრებულს. მასში შესულია გადატანით მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები და კომპოზიტები.

მოვახდინეთ ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების შემდეგი თემატური კლასიფიკაცია:

1) საკვების კონცეპტების შემცველი გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები. ეს ჯგუფი აერთიანებს 73 ფრაზეოლოგიურ ერთეულს.

სიტყვა *პურიდან* ქართულში ბევრი ახალი სიტყვაა ნაწარმოები: *პურადი*, *დაპურება*, *პურობა* და სხვ. აი, ზოგიერთი მათგანის სულხან-საბასეული განმარტება: *პურადი* - პურად უხვი, *პურაძვირი* - ძუნწი, *პურობა-ნადიმი*, *პურისმტე* - ერთად პურის მჭამელი.

ჩვენს მიერ მოყვანილ გასტრონომიულ ფრაზეოლოგიზმებში სიტყვა *პურს* დიდი დატვირთვა აქვს. ქართველის წარმოდგენით, ადამიანს აცოცხლებს უთავრესად პურის ჭამა. უპუროდ სიცოცხლე წარმოუდგენელია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ქართველის მეტყველებაში *პურისჭამა* გამხდარა ადამიანის სიცოცხლის სინონიმად.

მაგალითად: *ბევრი საცრის პური მიჭამია* – პრდ. ბევრ საცერში გატარებული ფქვილისაგან გამომცხვარი პური მიჭამია. ხტვ. ბევრი რამ გამომიცდია, დიდხანს მიცოცხლია, ბევრი ავი და კარგი მინახავს.

„საცერი“ დროის გამომხატველია, უმეტესწილად, ხანგრძლივობისა, რომლის განავლობაში ემსახურება ოჯახს და შიგ გატარებული ფქვილისაგან გამომცხვარი პურიც ასაზრდოებს ოჯახის წევრთ. ბევრი საცერი ხატოვნად გულისხმობს დიდ ხანს, მრავალჟამიერებას, წელმრავლობას, დღეგრძელობას, რომლის განმავლობაში უცხოვრია ადამიანს, ვიზედაც ლაპარაკია;

*დიდი ხნის პურს ვერა სჭამს!* - პრდ. დიდხანს არ გაგრძელდება მისი პურის ჭამა. ხტვ. დიდ ხანს ვერ გასძლებს, დიდხანს ვერ იცოცხლებს. ვინაიდან ქართველის წარმოდგენით, ადამიანს აცოცხლებს უთავრესად *პურის ჭამა*. ხტვ. უპუროდ სიცოცხლე წარმოუდგენელია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ქართველის მეტყველებაში *პურის ჭამა* ადამიანის სიცოცხლის სინონიმად გამხდარა;

*თბილი პური მეგონა* - პრდ. თბილ პურად მივიჩნიე. ხტვ. რაიმე გასაკეთებელი საქმე იოლად ჩავაგდე, მძიმე არ მეგონა.

*თბილი პური* - ხატოვნად გვიჩვენებს ადამიანს, რომელიც ზერეულად ეკიდება რაიმე საქმეს და არ ზომავს მისი ასრულების სიძნელე - სიადვილეს და იძახის : *თბილი პური მეგონათ.*

კაი ლუკმა - პრდ. გემრიელი საჭმელია. ხტვ. მიმზიდველი, სახარბიელო რამაა. კარგი, სახირო, მომგებიანი რამ საქმეა, რაც ადამიანს მოულოდნელად ჩაუვარდება ხელში, დადარებულია პირში მოხვედრილ გემრიელსა და მამდრისს ლუკმას, რომლის ჭამით განვიცდით სიამოვნებას.

2) სასმელის კონცეპტების შემცველი გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები (სულ 44 ფრაზეოლოგიური ერთეული).

*წყალს* სიმბოლური დატვირთვა აქვს: *წყლის ძალა მოგცეს ღმერთმა!* ქართული სადღეგრძელო. მაგალითად: *ჩაიღურის წყლის დაღევა* – პრდ. მდინარე ჩაიღურის წყლის შესმა. ხტვ. უკვალოდ, უიმედოდ დაკარგვა რისამე, მორჩომა, წასვლა, გათავება.

*ჩაიღური* პატარა, უპრეტენზიო სოფელია ქიზიყში. ზედ ჩამოდის პატარავე მდინარე - ჩაიღურის წყალი, ღრმა კალაპოტიანი, მაღალნაპირებიანი. სოფლები სარწყავად ვერ იყენებენ. თან თითქმის მუდამ მღვრიედაა, თუ არა გაჭირვების დროს, სასმელად ერიდებიან მის ხმარებას. ძველად შიდა კახეთიდან მოპარულ საქონელს ქიზიყში გასასაღებლად რომ წამოასხამდნენ ქურდი ლეკები, თუ ჩაიღურის წყალზე გამოატარებდნენ, უკვე სამშვიდობოს ეგულებოდათ თავი.

ასე, რომ საქიზოყოდ წამოყვანილი ან აქედან წასაყვანი საქონელი, ერთი და ერთი, ჩაიღურის წყალზე რომ გამოივლიდა, უკვე დაკარგულად ითვლებოდა, ანუ როგორც ხალხმა სურათხატოვნად გამოთქვა, *ჩაიღურის წყალს დაჰლევედა*. ამგვარად, *ჩაიღურის წყალდაღვევებულად* ითვლება ყველაფერი, რაც ხელიდან წასულია, რაც დაკარგულია, რის უკანდაბრუნების იმედი პატრონს აღარ უნდა ჰქონდეს, რასაც სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს.

*პურ-ღვინისათვის ფეხი დამიდგა* - პრდ. ჩემი პური და ღვინო ფეხით გათელა. პურ-ღვინო როგორც პურ-მარილი ქართული სუფრის მთავარი ელემენტებია. სუფრაზე მარტო პური და ღვინოც თუ არის, ესეთი სუფრა სავსედ ითვლება. კაცის პატივსაცემად საკმარისია გქონდეს პური და ღვინოც თუ არის ესეთი სუფრა სავსედ ითვლება.

*დაძმარება* - პრდ. ძმრად გადაქცევა. ხტვ. დაღონება, შეურვება, მჭმუნვარება, სასოწარკვეთილება, უიმედობა, მოწყენილობა, გულნატკენობა, სევდიანობა. ადამიანის სასოწარკვეთილი მდგომარეობა, დარდიანობა, ნაღველი ქართულში დადარებულია ღვინოს, რომელიც დაჭანკებულა, დაჰკარგვია, თავისი როგორც

კარგი სასმელის, თვისება და, სიმჟავის გავლენით, ძმრადგადაქცეულა, მხოლოდ საჭმელში სახმარებლად და მის შესაზავებლად თუ გამოდგება.

*ღვინომ თავი დაიჭირა* - პრდ. ღვინომ თავი შეინარჩუნა. ხტვ. კარგის ღირსების დადგა, კარგი ღვინო დადგა;

*ღვინო მოეკიდა* - პრდ. მსმელს ღვინომ ხელები ჩასჭიდა, ღვინო დაებლაუჭა. ხტვ. ბევრი დალია, დაითვრა.

3) ხილისა და ბოსტნეულის კონცეპტების შემცველი გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები (სულ 18 გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმი).

მაგალითად: *კიტრის ფასი* - პრდ. კიტრის ღირებულება. ხტვ. მეტად მცირე ფასი, უფასურობის სადარი. კიტრი ხილად არ ითვლება, თუმცა ხილობის პრეტენზია აქვს. ხომ გაგვიგონია: *მწვანე კიტრით თავს იქებსო*, ერთადერთი ღირსება ისაა, რომ ზაფხულის სიცხეში მაგრილებელი საჭმელია. ასე რომ, ქართველს, სხვა (შაქრიან) ხილთან შედარებით, კიტრისთვის ფასი არაფერი მიუცია და როცა რაიმე საგნის უფასურობა უნდა გამოხატოს, იტყვის: *კიტრის ფასად ღირსო*.

*გაუჭრელი ნესვი* – პრდ. ნესვი გაჭრელი არ არის, ესე იგი არ ჩანს, მწიფეა თუ არა. ხტვ. ვისიმე (ან რისამე) თვისების შინაარსის შეტყობა გარეგნულად, შორიდან – შეუძლებელია, უნდა დაუხლოვდეთ, რომ გამოიცნოთ გამოუცნობი.

*ხახვივით შემრჩა* – პრდ. ხახვს უკან არავინ მართმევს. ხტვ. იოლად გადავურჩი პასუხისგებას;

*ღობიო* - პრდ. ცერცვოვანი ოჯახის მცენარე, რომელსაც მრავალი სახე აქვს როგორც საჭმელი, ისე დეკორატიული. ხტვ. ყველაფერში უშნო ადამიანი, უგერგილო, ყოელსავე უნარს მოკლებული, მძიმე, თავის ინიციატივით არაფრის გამკეთებელი.

4) სამზარეულოს ჭურჭლის კონცეპტების შემცველი გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები (სულ 44 ფრაზეოლოგიური ერთეული).

მაგალითად: *კოვზის ჩაეარდნა ნაცარში* - პრდ. კოვზის ნაცრით მოსვრა. ხტვ. ცუდი საქმის დამართება, ხელის მოცარვა, გაუმარჯვებლობა, წაგება, ზარალი, დამარცხება, გაუბედურება.

როდესაც კერძის ჭამის დროს, კერძის პირას კაცს კოვზი ხელიდან გაუფარდება, ჭამის პროცესი ბრკოლდება, და დღეს, როცა მოულოდნელად ხელი მოგვეცარება საქმეში, ჩვენი იმედი არ გამართლდება, ჩვენს მდგომარეობას ასე გამოვხატავთ: კოვზი ნაცარში ჩამივარდაო.

*თაროზე კოვზი იპოვა* – პრდ. თაროზე კოვზი აღმოაჩინა. ხტვ. *ვითომ დიდი საქმე გააკეთა! მას ხომ ყველაც გააკეთებდა! რა დიდი ძებნა იმას უნდოდა!*

საციქველი<sup>86</sup> და მათ შორის კოვზი, თაროზე ულაგია ხოლმე სოფლად დიასახლისს და კოვზის პოვნა ამ ადგილას დიდ სიმარჯვეში არ ჩამოერთმევა ვინმეს. ეს თქმა დაცინვითი თქმაა და ხმარობენ ისეთი ადამიანის შესახებ, რომელსაც თავის მიერ სულ უბრალო, ყველასათვის ხელმისაწვდომი საქმის გაკეთება უკვირს და ასე ჰგონია, სხვა უჩემოდ ვერავინ შეძლებდა იმის გაკეთებასო.

*ლართხი<sup>87</sup> გამოუჩინე ჭიქას* - პრდ. ფსკერი გამოუჩინე ჭიქას. ხტვ. ჭიქა დასცალე, შიგ ერთი წვეთი ღვინო არ ჩარჩეს. ლართხი არის ურემში გაწყობილი ფიცარი, ანუ ფსკერი ურმისა, რომელზედაც უდებენ ტვირთს. აქ ანალოგიაა ურმის ფსკერსა და ჭიქის ძირს შორის. ლართხი ჭიქის ან ქვევრის ძირის მნიშვნელობით მეგრულშიაც იხმარებოდა ამ ნახევარი საუკუნის წინათ. *ქვევრი ისე დაუცლიათ, რომ ლართხი გამოუჩენიათო*, იტყოდნენ ღვინისაგან დაცარიელებულ ქვევრზე;

*ერთ ტაფაში წვა* – პრდ. ორსავე (ყველას) ერთ ტაფაში შეწვა. ხტვ. ერთნაირი ტანჯვა, ერთნაირი გაჭირვება.

5) სომატური კონცეპტების შემცველი გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები (სულ 60 გასტრონომიული ერთეული).

*მაგალითად: კეფაზე წვენი არ დამასხა!* - პრდ. თავზე წვენს ვერ დამასხამ. ხტვ. ვერას დამაკლებ, ვერ შემარცხვენ, ვერას მიზამ. კეფაზე, თავზე წვენის დასხმა ეკუთვნის ძველებურ სასჯელთა ისეთ კატეგორიას, როგორცაა თავლაფის დასხმა, პირსახეზე მურის წასმა და სხვ. კეფაზე წვენს დაასხამდნენ ისეთ ადამიანს, რომელიც კანონების რომელსამე მუხლს დაარღვევდა. ხატონად ეს ნიშნავდა შერცხვენას. ვისაც წვენს ასხამდნენ კეფაზე, იგი თამამად ვერ

<sup>86</sup> საოჯახო ნივთები (ჭურჭელი, ავეჯი და სხვა იარაღი), რომლებიც შეიძლება მეზობლებმა ერთმანეთს ათხოვონ.

<sup>87</sup> ურემზე დაგებული ფიცარი.

გამოყოფდა თავს მეზობლებში. სხვები ხომ ერიდებოდნენ ასეთ ადამიანს და თვითონაც უნდა მორიდებოდა ყველას, სანამ რამდენიმე ხანი გავიდოდა და მეზობლებს დაავიწყდებოდათ მისი ცუდკაცობა.

*კუჭი ეწვის შიმშილით, კუჭი უცხვება შიმშილით, კუჭი უხმება შიმშილით* – უჭმელობისაგან კუჭი უცარიელდება. ხტვ. შია, ღარიბია, არაფერი აბადია, გაჭირვებულია. *კუჭი უცხვება* ეტოლება თქმას *კუჭი უხმება*: -როცა კუჭში არაფერი ჩადის მას სითხე, სისველე აკლდება ანუ ხატონად, უცხვება. ეს იგივეა, რაც უხმება;

*მუცლის გაღმერთება* - პრდ. ღმერთად მუცლის დასახვა. ხტვ. ერთთავად მუცლისათვის (ჭამა-სმისათვის) ფიქრი და ზრუნვა. უგულვებელყოფა გონებრივი თუ ზნეობრივის ცხოვრებისა, ცხოველს, დაბალ არსებას მიტოლება;

*პირიდან ლუკმის გამოგლეჯა, პირიდან ლუკმის გამოცლა, პირიდან ლუკმის წართმევა* - პირში ჩადებული ლუკმის წართმევა. ხტვ. ქონების წართმევა, ძარცვა, გლეჯა, ცარიელზე დასმა.

6) კლასიფიკაციაში შევიყვანეთ ასევე ერთსიტყვიანი იდიომატური გამოთქმები, რომლებიც საკმაოდ მრავლადაა ქართულ ენაში და უფრო მეტია, ვიდრე ფრანგულ გასტრონომიულ ფრაზეოლოგიზმებში (სულ 100 გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმი).

მაგალითად: *ლობიო* - პრდ. ცერცვოვანი ოჯახის მცენარე, რომელსაც მრავალი სახე აქვს როგორც საჭმელი, ისე დეკორატიული. ხტვ. ყველაფერში უმნო ადამიანი, უგერგილო, ყოველსავე უნარს მოკლებული, მძიმე, თავის ინიციატივით არაფრის გამკეთებელი.

*გაწყალება* - პრდ. წყლის მიმატება მაგარი სამსელისათვის სიმაგრის შესასუსტებლად; მაგარი სხეულის გათხევადება, გადნობა, წყლად ქცევა. ხტვ. განადგურება, დასუსტება, ღონის გამოცლა, დაღაღვა, მოსპობა.


*დადუღება* - პრდ. დუღილს გამოივლის ღვინისა თუ ლუდის მსგავსად. ხტვ. გამოიცდება, ჭკუაში ჩავარდება, დადინჯდება, დადარბაისდება.

*დამლაშება* - პრდ. ზედმეტი მარილის მოკიდება საჭმელისათვის. ხტვ. ზომიერების გადაცილება ლაპარაკში, რაც სათქმელი არ არის, იმის თქმა.

გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ 400 გასტრონომიული ფრაზეოლოგიური ერთეულიდან ყველაზე ხშირად გამოყენებული კონცეპტი *იყო პური (სულ 28 ერთეული); წყალი (სულ 42), ღვინო (სულ 11), ლუკმა (სულ 10), სუფრა (სულ 14), პირი (სულ 20), და ა. შ.*

ფრანგული 1000 გასტრონომიული ერთეულიდან 42-ია, სადაც *პურია* გამოყენებული; 22 ერთეული შეიცავს სიტყვა *ღვინოსთან* დაკავშირებულ ფრაზეოლოგზმს, 14 - *კარაქთან*, 15 - *თევზთან*, 12 - *დანასთან*, 14 - *კომბოსტოსთან*, 20 - *ვაშლთან* და ა.შ

ცხრილი 9. ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიური კონცეპტების კლასიფიკაცია :



ქართული გასტრონომიული კონცეპტების შემცველ ფრაზეოლოგიზმებში, რომელთა კლასიფიკაციაც მოვახდინეთ გამოვლინდა შემდეგი ქვეჯგუფები:

1) სიკეთე, სტუმართმოყვარეობა.

მაგალითად: *პურით გავსება ბეღლისა* - პრდ. ბეღელში ბლომად პურის ჩაყრა. ხტვ. სამსახური, თავის ნაოფლარის მიცემა ვისთვისმე.

*პურმარილზე ფეხის დადგმა, პურ-მარილი* - პრდ. პური და მარილი. ხტვ. პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა.

*პურს მაჭმევს* - პრდ. პურს მაძლევს საჭმელად. ხტვ. მარჩენს, შემინახავს, მაცხოვრებს.

*გრძელი სუფრა* - პრდ. გრძლად გაშლილი სუფრა. ხტვ. დიდხანს რომ უსხედან ასეთი სუფრა, გვიანობამდე აუღებელი სუფრა.

2) სიღარიბე, სიღატაკე.

მაგალითად: *ლუკმა-პური* - პრდ. პურის ნატეხი იმდენი, რამდენიც პირში ჩაეტევა. ხტვ. სარჩო, საცხოვრებელი, სახსარი არსებობისა; მცირე.

*მჭადის კუტი<sup>88</sup> ენატრება* - პრდ. ნეტავი მჭადის კუტი მომცაო. ხტვ. ძალზე ღარიბია. საჭმელი არ აბადია.

*პურსა და წყალზე ყოფნა* - პრდ. ვისიმე მოცემულ პურითა და წყლით საზრდოობა. სხვის კმაყოფაზე ცხოვრება, სხვისი ხარჯით არსებობა, სამოწყალოდ დარჩენა, სხვისი შესანახი.

*სულისა და ხორცის გაყრა* - პრდ. სულის გაშორება ხორცისგან. ხტვ. მეტისმეტი გაჭირვება, სიკვდილი, უსახსრობა.

3) სიბოროტე, სიჯიუტე.

მაგალითად: *დანიერული ხაშლამა* - პრდ. ნიორგარეული ხაშლამა (საჭმელი). ხტვ. ვერ მოგართვეს კარგი რამ, ვერ ეღირსები სიკეთეს.

---

<sup>88</sup> თონეში ჩავარდნილი (ან ნაკვერჩხლებზე გამომცხვარი) პური; გადატანითი მნიშვნელობით კუტი ადამიანია, რომელსაც ფეხები არ ემორჩილება, სიარული არ შეუძლია.



*ვერ მოგართვი ღორის თავი, ვერ მოგართვი გოჭის თავი* - პრდ. ჩემგან ღორის თავს ვერ მიიღებ, ისიც ალილობა დღეს. ხტვ. ჩემგან ვერას მიიღებ, ტყუილი იმედი გაქვს.

*შენი ლავაში დავხიე !* პრდ. შენს ქელესში ლავაში დამეხიოს (საჭმელად). ხტვ. შენს სიკვდილს მოვწრებოდე, ცოცხალი არ გადაგარჩინოს.

*შენი ხორცი შემაჭამა* - პრდ. იმას მოვესწრებოდე შენი ხორცი შეეჭამო საქონლის ხორცივით. ხტვ. ცოცხალი არ გადამიჩე, შენი სიკვდილი მენახოს.

*პურშავი* - პრდ. შავპურიანი. ხტვ. პურადვირი, უპურმარილო, სხვისათვის პური რომ არ ემეტება.

#### 4) მსუნაგობა, გაუმადლობა.

მაგალითად: *ამოყორვა მუცლისა, კუჭისა* -

ხტვ. ზომაზე მეტად ამოვსება მუცლისა.

*მუცელდმერთი* - პრდ. ვისაც მუცელი გაღმერთებული აქვს. ხტვ. ჭამა-სმას გადაყოლილი, სულ საჭმელისათვის რომ ფიქრობს, სულ მუცლისათვის რომ ზრუნავს.

*მუცლაობა* - პრდ. მუცლისათვის ფიქრი. ხტვ. უზომოდ ჭამა

*მუცლის ამოყორვა* - პრდ. მუცლის სიცარიელის ამოვსება. ხტვ. ძალზე გაძღობა, ბევრის ჭამა.

#### 5) სასმელის სიყვარული

მაგალითად: *ღვინის მიერ თავის მოტაცება* (მსმელისათვის) - პრდ. ღვინის მიერ თავის წართმევა მსმელისათვის. ხტვ. ვისაც ცნობა დაკარგული აქვს ღვინისაგან, ვინც უგონოდ მთვრალია.

*ღვინო მოეკიდა* - პრდ. მსმელს ღვინომ ხელები ჩასჭიდა, ღვინო დაებლაუჭა. ხტვ. ბევრი დაღია, დაითვრა.

*ღვინოში სული ამოსდის* - პრდ. მის სხეულს სული ეცლება, თუ ღვინო არ დაღია. ხტვ. ღვინის სმას გადაყოლილია, ღლოთია, ერთთავად სვამს.

*ღვინო ჩაცეცხლა* - პრდ. ღვინო ცეცხლივით ჩაუვიდა. ხტვ. არ უნდა დაეღია და მაინც დაღია.

#### 6) ხარისხიანი და უხარისხო სასმელი

მაგალითად: *ღვინომ თავი დაიჭირა* - პრდ. ღვინომ თავი შეინარჩუნა. ხტვ. კარგი ღირსების დადგა, კარგი ღვინო დადგა.

*ღვინო ისეთი, რომ კაჭკაჭს დაახხავლებს* - პრდ. კაჭკაჭმა რომ დალიოს ღვინო, დაახხავლებს. ხტვ. მეტად მუავეა.

*წყალწასადები* - ვინც ღირსია წყლის მიერ წადებისა. ხტვ. დასაღუპავი, გამოსადეგარი, უმაქნისი, თავიდან მოსაშორებელი.

*წყალ-წყალა* - პრდ. წყლის თვისებისა, მოჭარბებით წყლიანი (ღვინო, წვენი, რძე და სხვ.). ხტვ. უშინაარსო, უფერული, უაზრო (სიტყვები თუ ნათქვამი).

### 7) უვარგისი, უფასური

მაგალითად: *დამპალი კიტრის ფასი* - ხტვ. უღირალი, სრულიად უვარგისი, სრულიად უფასური;

*ტყემლის ჩირად მიხნევა* - პრდ. ტყემლის ჩირის ღირსებისა. ხტვ. უფასური, ძალზე მდარე, სულ უბრალო;

*პირში არ ჩაიშვება* - პრდ. შეუძლებელია პირში ჩაშვება რისამე. ხტვ. უგემურია, ცუდია, მწარეა, არ იჭმევა;

*ყვავს დაახხავლებს ღვინო* - პრდ. ყვავს რომ დააღვეინო, ისიც კი ვერ მოითმენს და დაახხავლებს. ხტვ. მეტად ცუდია, სასმელად მუავეა.

### 8) ქეიფი, სუფრის სიყვარული

მაგალითად: *აუღებელი სუფრა* - პრდ. სუფრა, რომელიც აღებული არ არის, ისევ თავის ალაგზეა. ხტვ. განუწყვეტელი, გაბმული ქეიფი, სმა-ჭამა, სუფრასთან ერთთავად ჯდომა.

*გრძელი სუფრა* - პრდ. გრძლად გაშლილი სუფრა. ხტვ. დიდხანს რომ უსხედან, ასეთი სუფრა, გვიანობამდე აუღებელი სუფრა;


*სადილის ვახშმად გარდაქმნა* - პრდ. სადილისათვის ვახშმის მიყოლება. ხტვ. გაბმით ჭამა, სუფრის აუღებლობა.

### 9) ბარაქა, სიუხვე

მაგალითად: *სავსე სუფრაზე ზის* – პრდ. მის სუფრაზე აუარებელი საჭმელ-სასმელია. ხტვ. მდიდარია, არაფერი აკლია, საჭმელ-სასმელი საძებარი არა აქვს. *სუფრის ამატება* - პრდ. სუფრაზე ახალი ხორაგის მოტანა და ალაგება სუფრისა.

*სუფრის გაშლა* - პრდ. დაკეცილი სუფრის გაშლით გაწყობა. ხტვ. სუფრაზე მოტანა ყველაფრისა, რაც საჭიროა ჭამა-სმისათვის, საჭმელად (ან ვისიმე დასაპატიუებლად) მომზადება

ცხრილი 10. გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ქვეჯგუფები:



### 3.5 გასტრონომიული კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი ფრანგულ და ქართულ ენებში

ქართულ-ფრანგული მასალის მსგავსება-განსხვავების დადგენა ხანგრძლივი კვლევის საქმეა. ქართულ ენაში მყარ შესიტყვებათა სემანტიკური გარდაქმნის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა მათი კომპონენტების გადააზრება. ახალი ფრაზეოლოგიზმების უმეტესობა შექმნილია სწორედ თავისუფალი შესიტყვების გადააზრების შედეგად. გადააზრებაში იგულისხმება ნებისმიერი აზრობრივი ძერა, რომელსაც მიყვავართ კომპონენტების (ან კომპონენტების ნაწილის) საკუთარი მნიშვნელობის დაკარგვასთან და მათში ახალი მნიშვნელობის წარმოქმნასთან, რომელიც მხოლოდ მოცემულ ერთეულში რეალიზდება.

მეტაფორული გადააზრება ფრანგული და ქართული ენების ფრაზეოლოგიური ფონდის გამდიდრების უმნიშვნელოვანესი წყაროა. იგი გამოიხატება მნიშვნელობის გადატანაში, რაც ორ საგანს თუ მოვლენას შორის მსგავსებაზე დაყრდნობით.

მიუხედავად იმისა, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შესწავლა თამნამედროვე ლინგვისტიკაში რამდენიმე ათეულ წელს ითვლის, თეორიული დისკუსია ფრაზეოლოგიური სისტემის სტრუქტურის ირგვლივ ჯერ კიდევ საკმაოდ მწვავეა. ფრაზეოლოგიური ერთეულის ცნება, რომელსაც უკვე დიდი ხნის ისტორია აქვს, და თვითონ ფრაზეოლოგია, როგორც ლინგვისტური დისციპლინა, დიდ გარდაქმნებს განიცდის.

ა. ნაზარიანი ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობას განიხილავს, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულის შინაარსობრივი სტრუქტურის უმნიშვნელოვანეს ერთეულს და ახასიათებს მას როგორც ლინგვისტურ ნიშანს, თვისობრივად განსხვავებულს ყველა სხვა ნიშნისგან.

ფრაზეოლოგიზმის სიმყარეს განაპირობებს ის, რომ ფრაზეოლოგიზმი ენის ერთეულია და არა ინდივიდუალურად წარმოებული. მის სემანტიკურ სიმყარეს განაპირობებს:

- მნიშვნელობის გადააზრების სტაბილურობა; ფრაზეოლოგიურ ვარიანტებში ამოსავალი მნიშვნელობისა და ლექსიკური ინვარიანტის არსებობა;
- სემანტიკური და ლექსიკური ინვარიანტების არსებობა ყველა შესაძლო სხვაობისა და სტრუქტურული სინონიმების თანაარსებობასთან ერთად.

ფორმისა და მნიშვნელობის მიხედვით, ფრანგული ფრაზეოლოგიზმები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ:

ა) ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ქართულ ენაში პირდაპირი მნიშვნელობით ითარგნება, ანუ იმავე ლექსიკური შემადგენლობით.

მაგალითად: *Mettre le couteau sur la gorge à qn* - დაადო ყელზე დანა ვინმეს;

*Doux comme le miel* – თაფლივით ტკბილი;

*Rouge comme une pomme* - ვაშლივით წითელი;

*Il est tout sucre et tout miel* - თაფლი და შაქარია;

*Manger comme une mauviette (un moineau)*- ბელურასავით ჭამს, იკიკნება.

ქართული თარგმანის ფრანგულთან ასეთი მსგავსების მიზეზი სხვადასხვაა. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შეიძლება ერთნაირი აზროვნება ჩავთვალოთ და რასაკვირველია ფრაზეოლოგიზმების წარმოშობის საერთო წყარო (ბერძნულ-რომაული მითოლოგია, ბიბლია, უძველესი ისტორია და სხვ.).

ბ) მეორე ტიპის ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც არაპარალელური ეკვივალენტებით ითარგმნება, სტრუქტურულად მსგავსია, მაგრამ განსხვავებულია ლექსიკური ძირით;

მაგალითად: *Faute des grives on mange des merles* - უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო; თევზი თუ არ არის, კიბორჩხალაც თევზია;

*S'enrouler comme un escargot* - კუს ნაბიჯებით სიარული;

*Casser du sucre sur la tête de qn* - ჯოხი სხვის კისერზე გადატეხო;

გ) ერთნაირია ლექსიკური შემადგენლობით, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით.

მაგალითად: *Ne pas être dans une assiette* - თავის უხერხულად გრძნობა, უგუნებოდ ყოფნა; თევში სიმბოლურად ფიზიკურ და მორალურ გაწონასწორებას გამოხატავს. ასევე დაკავშირებულია ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან.

*Se croire le premier moutardier du pape* – თავი დიდი ვინმე ჰგონია, ცხვირს მაღლა იწევს, ყოყლოხინობს;

*Carotte de longueur* - თითიდან გამოწოვილი, ყურით მოთრეული ამბავი;

*Envoyer qn planté ses choux* - სამსახურიდან დაითხოვებს, გაუშვებს.

ფრანგული და ქართული ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებისას ვლინდება მათ შორის მსგავსება. ცხადია, ეს არ გულისხმობს მათ ერთგვარ წარმოშობას ამ სტრუქტურულად განსხვავებულ ენებში. ჩვენი აზრით, ეს მხოლოდ აზროვნებისა და მეტყველების განვითარების ლოგიკური შედეგია.

ფრანგულ გასტრონომიულ ფრაზეოლოგიზმებში გვხვდება შედარებები, ძირითადად *comme* (როგორც) შედარებითი მაკავშირებლით.

მაგალითად: *Rouge comme un homard* - კიბოსავით წითელი, ჭარხალივით წითელი, ყაყახოსავით წითელი;

*Plein comme une huître* - უზომოდ მთვრალი;

*Bailler comme une huître* - ფართოდ დაღებული პირით მთქნარება;

*Muet comme un poisson* - თევზივით უტყვი;

*Manger comme un cochon* - ღორივით ჭამა.

მოყვანილი მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შედარება-შეპირისპირების დროს ქართულ-ფრანგული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები, ფრანგულში კავშირით *comme* და ქართულში როგორც, მეტწილად ემთხვევა ერთმანეთს.

როგორც აღვნიშნეთ, გასტრონომია ფრანგი და ქართველი ხალხის ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. გამორჩეულია როგორც ქართული, ასევე ფრანგული სამზარეულო.

აქედან გამომდინარე სიმბოლურია სიტყვა *მაგიდა* - *table*, რომელიც ჭამის სიყვარულს და სტუმართმოყვარეობას ასახავს.

მაგალითად: *Aimer la table* - ჭამის მოყვარული, ღორმუცელა;

*Tenir la table ouverte* - სტუმართმოყვარე, პურ-მარილიანი კაცი, მისი კარი ყველასთვის ღიაა;

*Vivre à la même table* - ლუკმას იყოფენ;

*De la table au lit, du lit à la table* - ჭამა და ძილი, მცონარობა.

ფრანგულ გასტრონომიაში გემო ძირითადი კომპონენტია, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით.

მაგალითად: *Être en goût de* - ვინმეს გემოვნებით;

*Être au goût de tout le monde* - ყველას მოწონდეს;

*Avoir le mauvais goût* - უტაქტოდ მოქცევა;

*Prendre goût à qch* - ძალიან მიეჩვია, შეუყვარდა;

*N'avoir goût à rien*- ყველაფრის მიმართ სიძულვილს გრძნობდეს.

სამზარეულოს თითქმის ყველა ნივთია გამოყენებული ფრანგულ ფრაზოლოგზმებში. უფრო ხშირად გვხვდება ისეთი ნივთები, როგორებიცაა: *ქოთანი, ქვაბი* - *un pot, une marmite*.

მაგალითად: *Il n'y a pas de pot sans couvercle* - არ არსებობს ქოთანი სახურავის გარეშე, ეს ნიშნავს რომ ყველა აღხანას თავისი ჩაღხანა ჰყავსო;

*Pot de fleur* - ყვავილის ქოთანი. ასე უწოდებენ გოგონას, რომელსაც საცეკვაოდ არ ეპატიებოდა;

*Pot au lait (de Perette)* - აუხდენელი ოცნება (ლაფონტენის იგავიდან);

*Visage de pot de chambre* - ჯოჯოხეთის მაშხალა;

*Avoir du pot* - ბედი სწყალობს.

თუ გავანალიზებთ სიტყვა *ქვაბს*, შევამჩნევთ, რომ იგი ძირითადად ირონიით და უარყოფითი მნიშვნელობით გამოიყენება.

მაგალითად: *Chanter comme une casserole* - არასასიამოვნო ხმა ჰქონდეს;

*Trainer une casserole* - შემხნეული იყო საეჭვო საქმეში;

*Penser comme une casserole* - სულელი;

*Manger les fonds de casserole* - ნარჩენების ჭამა;

*Remuer la casserole* - პოლიციაში მუშაობს.

დანა თავიდანვე წარმოადგენდა ისეთ იარაღს, რომელიც სიმბოლურად საფრთხესთან და არასასიამოვნო სიტუაციასთან ასოცირდებოდა.

მაგალითად: *Mettre le couteau sur la gorge* - დანა ყელზე მიაბჯინა;

*Jouer des couteaux* - დანით თამაში;

*Être à couteaux tirés* - ძაღლსა და კატასავით არიან, დანასისხლად არიან ;

*Bête à couper au couteau* - ბატისტვინა;

*Couteau de tripière* - ორპირი კაცი.

კოვზი, რომელიც ჭამის პროცესის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, ადამიანის ქცევას ახასიათებს.

მაგალითად: *Deux coups de cuiller à pot* - სწრაფად, ერთი ამოსუნთქვით;

*Être à ramasser à la petite cuiller* - არაქათი აქვს გამოცლილი, სიქს აქვს გაცლილი;

*Ne pas y aller avec le dos de la cuiller* - პირდაპირ მოქმედებაზე გადადიოდე;

*Manger l'or à la cuiller* - სიმდიდრეში ბანაობდე.

ფრანგულში ჩანგალი უფრო საჭმელთან დამოკიდებულებას ასახავს, ხოლო ქართულში გულუბრყვილო, მიამიტ ადამიანს.

მაგალითად: *Belle fourchette* - გურმანი, ჭამა-სმის მოყვარული;

*Le déjeuner à la fourchette* - მსუყე საუზმე (ხორცითა და ღვინით);

*Avoir un joli coup de fourchette* - შესანიშნავი მადა აქვს, უმაღლობს არ უზივის;

*Avoir avalé sa fourchette* - ქედმაღალია, მედიდურია, გულზეადაია, დიდ გულზეა.

სიტყვა ჭიქა გამოიყენება გამოთქმებში, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ქცევასთან.

მაგალითად: *Choquer les verres* - ჭიქების მიჭახუნება;

*Qui casse les verres les paie* - როგორც აურიე საქმე, ისე დააღაგე;

*Mon verre n'est pas grand, mais je bois dans mon verre* - დღევანდელი კვერცხი მირჩვენია;

*Ne pas mesurer son verre* - თავშეუუკავებლად სმა.

სუფრის ერთ-ერთ ძირითად პროდუქტს პური წარმოადგენს, როგორც ქართველებისათვის, ასევე ფრანგებისთვის. პური სიკეთეს, არსებობას, საზრდობას, კეთილმოსურნეობას გამოხატავს, თვით ირონიულ ფორმაშიც კი.

მაგალითად : *Bon comme le pain* - კეთილი;

*Tendre comme du pain frais* - ახალი პურივით ნაზი, ფაფუკი, რბილი;

*Triste comme un jour sans pain* - ნაღვლიანი, დარდიანი, სევდიანი;

*Avoir le pain et le couteau* - არაფერი აკლია, ჩიტის რძეც არ აკლია;



*Avor du pain sur la planche*- ლუკმაპური განადღებული აქვს, ხვალინდელი დღე არ აშინებს.

სიტყვა *კარაქთან* დაკავშირებული გამოთქმები ძირითადად ასახავს სიმდიდრეს. ქართულ ფრაზეოლოგიზმებში სიტყვა *კარაქთან* დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები არ გვაქვს.

მაგალითად: *Avoir le cul dans le beurre* - ძალიან მდიდარი იყო;

*Un vrai beurre* - ეკვლავური რიგ ზეა;

*Promettre plus de beurre que de pain* - ოქროს მთების დაპირება;

*Faire son beurre (ses beurres)* - ხელის მოთბობა, ხეირის ნახვა.

ფრანგული და ქართული სამზარეულო წარმოუდგენელია *ყველის* გარეშე. ფრანგები მას მიირთმევენ დესერტზე სადილის შემდეგ, რამაც თავისი მნიშვნელობის ასახვა ჰპოვა შემდეგ გამოთქმებში, რომელიც ასევე ასოცირდება კეთილდღეობასთან.

მაგალითად: *Fromage et dessert* - ფუფუნება.

*Entre la poire et le fromage* - დესერტზე.

სამზარეულოს ძირითადი ატრიბუტებია ასევე *ხილი* და *ბოსტნეული*, რაც ასევე ჩართულია ფრანგულ და ქართულ ფრაზეოლოგიზმებში, განსაზღვრავს რა ადამიანურ ურთიერთობებს.

მაგალითად: *Grosse légume* - მნიშვნელოვანი პიროვნება;

*Mon chou* - ამბობენ საყვარელ ადამიანზე, ნებიერა;

*Chouchou de la classe* - მასწავლებლის თვალისჩინი;

*Être né dans un chou* - კომბოსტოში დაიბადა (ანუ დაბალი სოციალური საზოგადოების წარმომადგენელი, ამბობენ მხოლოდ ბიჭებზე) ;

*Feuille de chou* - უინტერესო გაზეთი, ყვითელი პრესა ;

*Pomme de terre en chemise* (ან *en robe de chambre*) - კანიანად მოხარშული კარტოფილი ;

*Bonne pomme* - გულუბრყვილო, გულკეთილი.

აღმოჩნდა, რომ წითელი ფერი მრავალ პროდუქტთან შედარებისთვის გამოიყენება.

მაგალითად : *Rouge comme une betterave (une cerise, une guigne, une framboise, une fraise, une pomme, une tomate)*- ჭარხალივით წითელი, (ალუბალი, ბალი, მარწყვი, ჟოლო, ვაშლი, პომიდორი).

ქართულ ფრაზეოლოგიზმებში „წითელი ფერი“ აღნიშნავს მოფერება, მოაღერსებას, სააღერსებელ ადამიანს.

მაგალითად: *წითელი კვერცხი* - პრდ. წითლად შეღებილი კვერცხის მსგავსი. ხტვ. სააღერსებელი, მოსაფერებელი ადამიანი;

*წითელი კვერცხის გორება ვისთვისმე* – პრდ. წინ წაგდება წითელ კვერცხისა. ისე, რომ ინერციით თავის გარშემო ტრიალებდეს. ხტვ. მოფერება, მოაღერსება

ფრანგული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების უდიდესი რაოდენობა შეიცავს სიტყვა *სუპს*, რაც იმით აიხსნება, რომ ამ კერძს ფრანგები საღამოობით მიირთმევენ. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ამ კერძთანაა დაკავშირებული ფრანგულ გასტრონომიულ ფრაზეოლოგიზმთა დიდი ნაწილი.

მაგალითად: *(Arriver, tomber) comme les cheveux sur la soupe* - *უდროო დროს*;

*Qu'un potage, soit immangeable, cela ne vaut parfois qu'à un cheveu* - *ერთი თმის ღერის გამო მთელი ქვაბი არ იჭმევა*;

*Pour tout potage* - *სულ ესაა*;

*S'emporter comme une soupe au lait* - *აფეთქდვ, წყობილებიდან გამოხვიდვ*;

*Mouillé (trempé) comme une soupe* - *გაიღუმბა, გაიწუწა*.

ქართულში სიტყვა *სუპის* მსგავსი ფრაზეოლოგიზმი არ არის, სამაგიეროდ გვაქვს სიტყვა *ხაბა-ხუბა*,<sup>89</sup> რომელიც ნიშნავს უბრალო რამეების კმარებას საჭმელად.

მაგალითად: *ხაბა-ხუბაზე გადასვლა* - პრდ. ხაბა-ხუბას ჭამა. ხტვ. უბრალო რამეების კმარება საჭმელად;

<sup>89</sup> 1.უმწიფარი, უხეირო ხილი; მდარე საჭმელი (უწვნო) ; 2. ძველმანი, ხარახურა.

*ხაბა-ხუბას* მიერა – პრდ. უბრალო, ცუდად და უვარგისი საჭმელების მიცემა. ხტვ. ნარჩენი, მავნებელი, უსარგებლო რამეების მიცემა საჭმელად.

ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიური ერთეულები-ესაა ფრაზეოლოგიური ერთეულების სახესხვაობა, რომლებიც მსგავსია მნიშვნელობათა ხარისხითა და რაოდენობით, სტილური და სინტაქსური ფუნქციებით, მაგრამ ნაწილობრივ განსხვავებულია ლექსიკური შედგენილობის სიტყვაფორმებისა ან კომპონენტთა რიგის მიხედვით.

ქართულ გასტრონომიულ ფრაზეოლოგიზმებშიც გვაქვს შეპირისპირება, მაკავშირებლით როგორც,

მაგალითად: *როგორც თევზი უწყლოდ* - პრდ. როგორც თევზი უწყლოდ ვერ გასძლებს. ხტვ. აუცილებელი, ურომლისოდაც შეუძლებელია; მოკვდება.

*როგორც თევზი წყალში* - როგორც თევზი წყალში, კარგად გრძნობს თავს. ხტვ. სრულიად ბედნიერია, თავის გემოზე ცხოვრობს.

*როგორც კოკას წყალი გადაუვდო* - პრდ. კოკის პირიდან წყლის გადაღვრა. ხტვ. სწრაფად, ხელად, თვალის დახამხამებაზე.

თუმცა აღმოჩნდა, რომ ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში არ აღმოჩნდა *მაგიდის* მსგავსი შესატყვისი. სამაგიეროდ, გვაქვს გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები სიტყვა *სუფრის* მნიშვნელობით.

მაგალითად: *აუღებელი სუფრა* - პრდ. სუფრა, რომელიც აღებული არ არის, ისევ თავის ალაგზევა. ხტვ. განუწყვეტელი, გაბმული ქეიფი, სმა-ჭამა, სუფრასთან ერთთავად ჯდომა;

*სუფრაზე ფეხის დადგმა* - პრდ. სასმელ-საჭმელზე ფეხის დაბიჯება. ხტვ. დიდი უმადურობა, პატივისცემის დაუფასებლობა;

*სუფრა კოჭლობს* - პრდ. სასმელ-საჭმელზე ფეხის დაბიჯება. ხტვ. დიდი უმადურობა, პატივისცემის დაუფასებლობა და ა. შ. სიტყვა *სუფრა* ქართულში, ძირითადად გაუთავებელ ქეიფს და სმა-ჭამას გამოხატავს.

ქართულში სიტყვა *გემოსთან* დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები ღვინოსთან და მის ხარისხთან ასოცირდება;

მაგალითად: *ტოლხის გემო, გოგირდის გემო - goût de bock ;*

*ობის გემო, ბრკის გემო - goût de moisi;*

*მწვადის გემო, გადამწიფებული ყურძნის გემო - goût de rôti.*

რაც შეეხება ქართულ სამზარეულო ჭურჭლის კონცეპტების აღმნიშვნელი (ქვაბი, ტაფა, ჯამი..), ფრაზეოლოგიზმები ძირითადად უბედურებას, გაჭირვებას გამოხატავს.

მაგალითად: *ერთ ქვაბში ვიხარშვით -* პრდ. ერთ ქვაბში ვართ ჩაყრილები და ერთად ვიხარშებით. ხტვ. საერთო უბედურება გვადგა ყველას, *ერთ ტაფაში ვიწვით;*

*ერთ ტაფაში წვა -* პრდ. ორსავე (ყველას) ერთ ტაფაში შეწვა. ხტვ. ერთნაირი ტანჯვა, ერთნაირი გაჭირვება;

*ერთ ჯამში ვჭამთ -* პრდ. ორს (ან მეტს) ერთი ჯამი გვაქვს კერძისათვის. ხტვ. მეგობრები ვართ, თანაშეზრდილები, ერთმანეთს უნდა ვუშველოთ გაჭირვების დროს.

ქართულში „დანა“ ასოცირდება დარდთან, მწუხარებასთან, გაჭირვებასთან.

მაგალითად: *დანა რომ დაარტყა, სისხლი არ გამოუვა -* ხტვ. შეშინებულია, დადარდიანებულია, დანადვლიანებულია;

*დანა კრიჭას არ უხსნის, დანა პირს არ უხსნის -* პრდ. დანასაც არ შეუძლია ერთმანეთს დაჭერილი კბილების გახსნა, ერთმანეთისაგან დაშორება. ხტვ. უსიცოცხლოა, მეტისმეტი დარდისა ან ბრაზისაგან მკვდარს დამსგავსებულია, მწუხარებისაგან სიტყვა ვერ უთქვამს.

*დანის მიბჯენა ყელთან -* პრდ. დანის მიღება ყელთან, როცა ადამიანი იძულებულია თავის სურვილის წინააღმდეგ გააკეთოს რამე. ხტვ. დიდი გაჭირვება, რომელიც სიკვდილს უდრის, უკიდურესი მდგომარეობა.

ქართულში სიტყვა *კოვზი* ფრაზეოლოგიზმი ძალიან მცირე რაოდენობისაა და აღნიშნავს ხელის მოცარვას, ზარალს, სიგამხდრეს.

მაგალითად: *კოვზის ჩავარდნა ნაცარში -* პრდ. კოვზის ნაცრით მოსვრა. ხტვ. ცუდი საქმის დამართება, ხელის მოცარვა, გაუმარჯვებლობა, წაგება, ზარალი, დამარცხება, გაუბედურება;

*კოვზისპირა* - პრდ. კოვზის პირის მსგავსი. ხტვ. ძალზე გამხდარი, კნაჭა, თხელი.

*ჭიქასთან* დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმი ქართულში პესიმისზმისა და ოპტიმიზმის მაჩვენებელია (ოპტიმისტებს მიაჩნიათ, რომ ჭიქა ნახევრად სავსეა, ხოლო პესიმისტებს ნახევრად ცარიელი).

მაგალითად: *ნახევრად ცარიელი და ნახევრად სავსე ჭიქა* - პესიმისტისა და ოპტიმისტის მავენებელია.

*გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები პურთან დაკავშირებით მრავლად გვაქვს ქართულ ენაშიც.*

მაგალითად: *პური არსობისა* - პრდ. არსებობისათვის საჭირო საზრდო. ხტვ. საჭირო აუცილებელი საზრდო ჩვენი ცხოვრებისათვის;

*პური ერთად გაგვიტეხია* - პრდ. პური ერთად ნატეხებად გვიქცევია. ხტვ. პური ერთად გვიჭამია; ერთად გვიცხოვრია, ერთმანეთის მახლობელნი, მეგობარნი ვართ;

*პურ-მარილობა* - პრდ. სადაც სუფრაზე პური და მარილია და სჭამენ. ხტვ. პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა.

ქართულში *ყველი* ჭამასთან არის დაკავშირებული, ან კიდევ ირონიული ფორმითაა გადმოცემული.

მაგალითად: *ყველის გუდასებრ გატენა* - პრდ. ყველის გუდას მსგავსად გავსება. პირთამდე მოყრა. ხტვ. ზომაზე მეტის ჭამა;

*ყველის ვაჭარივით იცინის* - პრდ. ყველის ვაჭრის მსგავსად ეცინება. ხტვ. ერთთავად სიცილი, უმიზეზოდ სიცილი.

ქართულ ფრაზეოლოგიზმებში შემდეგი *ხილ-ბოსტნეული* კულტურების ფრაზეოლოგიზმებია წარმოდგენილი *გოვრა, კიტრი, კომში, ლობიო* და ა. შ და იტყვიან უფასურ რამეზე და უგერგილო ადამიანზე.

მაგალითად: *გოვრა* - პრდ. ბოსტნეულის მსხვილი ხილი. ხტვ. ვითომ ჭკუიანია; *დამპალი კომში* - ხტვ. გარეგნულად ვითომ ცუდი, შიგნით კი კარგი. იტყვიან ყმაწვილზე;

დამპალი კიტრის ფასი - ხტვ. უღირალი, სრულიად უვარგისი, სრულიად უფასური.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს ფრანგული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების გამოყენების აზრობრივი მსგავსება ქართულთან, მაგრამ შემადგენლობის მიხედვით მკვეთრი განსხვავებაა. ფრანგული წინადადებები გასტრონომიულ სიტყვებს შეიცავს, მაშინ როდესაც ქართულში მსგავსი შესატყვისი საერთოდ არ მოიპოვება.

მაგალითად: *Faire de la poire de curé* - ცოდვის დამალვა, საყვარელზე დაქორწინება;

*Quelle bonne poire* - რა კარგი სიფათი აქვს; ამ შემთხვევაში მსხალი სახესთან ასოცირდება, შესძლებელია *Louis-Philippe* - მეფე ლუი-ფილიპის ცნობილი კარიკატურის მსხლის ფორმის გამო.

*Être dans les choux* - მძიმე სიტუაციაში ყოფნა.

ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულების ქართულ ფრაზეოლოგიზმებთან შეპირისპირებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმებიც განსხვავდებიან აზრობრივად. წინადადებები გასტრონომიულ სიტყვებს შეიცავენ, მაშინ როდესაც აზრობრივად გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები არ მოიძიება.

მაგალითად: *Manger (ან dévorer) des yeux* - ხარბად ყურება, თვალებით ჭამა;

*Se manger les yeux* - მაგრად ჩხუბი, შებმა, დატაკება;

*Avoir mangé ses pieds* - პირიდან მყრალი სუნი ამოსდის;

*Les yeux lui mangent la figure* - ძალიან გამხდარია, თვალებილა დარჩა.

განსახვავება ფრანგულ - ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების შესაძლებელია შემდეგ მიზეზებში ვეძიოთ: ფრაზეოლოგიზმების ლექსიკური შემადგენლობის სპეციფიკა ორი ფაქტორით განისაზღვრება:

ა) ფრანგულ ფრაზეოლოგიზმებში გამოიყენება სიტყვა, რომელიც რეალობას გამოხატავს, უცნობი ან ნაკლებად გამოყენებული ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში; *un coeur d'artichaut; manger l'huître et laisser les écailles*.

ბ) თვით ანალოგიური ლექსიკური შემადგენლობის შემთხვევაშიც კი სხვადასხვა ენები სხვადასხვანაირად იყენებენ ერთნაირ მნიშვნელობებს. ბევრი მათგანი სხვა სემანტიკური ჯგუფის სიტყვებით ითარგმნება.

გ) ზოგჯერ ფრანგული და ქართული ენების მსგავსი გამოთქმების ლექსიკური შემადგენლობის განსხვავება აიხსნება იმით, რომ სიტყვები ანალოგიურია თავისი ძირითადი მნიშვნელობით, მაგრამ ორ ენაში გააჩნიათ განსხვავებული მოცულობის მნიშვნელობა. მაგალითად, სიტყვა *წყალს* ორ ენაში განსხვავებული მოცულობა გააჩნია. ქართულში იგი აღნიშნავს არა მარტო წყალს, არამედ ცოდნას, ნაყვას და ა.შ.

მაგალითად: *წყალივით იცის* - პრდ. მისი ცოდნა წყალივით (თავისუფლად) მოდის. ხტვ. ზედმიწევნით იცის. დაუბრკოლებლად აჩენს თავის ცოდნას რაიმე საგნისას;

*წყლის ნაყვა* - პრდ. წყლის მსხვრევა ფილთაქვით. ხტვ. უსარგებლო, ტყუილი შრომა.

ფრანგულში:

*მაგალითად : Cela fait venir l'eau à la bouche - ნერწყვის მოგვრა;*

*Ne sentir que l'eau - 1. უგემური, უმარილო, წყალწყალა (კერძი); 2. დუბელა<sup>90</sup>*


*3. უფერული, უგვანო.*

დ) რაც შეეხება ფრანგული ფრაზეოლოგიზმების გამოყენების თავისებურებებს, გამოხატვის საშუალებების ძირითადი ტენდენცია ფარავს ასევე მყარ გამოთქმებს. ცვლილება ძირითადად დამახასიათებელია ფრანგული ფრაზეოლოგიზმებისთვის. იგი ეხება ასევე გრამატიკული ფორმის გამოხატვას. განსაკუთრებით კი მის ლექსიკურ შემადგენლობას. ცვლილება ორი მიმართულებით შეიძლება წავიდეს: სიტყვის ორმხრივი ჩანაცვლება სახეობების მნიშვნელობებით და ზოგადი მნიშვნელობით; ან კიდევ ცვლილება ორი დამოუკიდებელი სიტყვის სახეობების მნიშვნელობებით (გაკი 1977: 247).

---

<sup>90</sup>ნელ-თბილი უგემური (მდგარი) წყალი.

ცხრილი 11. ფრანგულიდან ქართულ ენაზე თარგმნის თავისებურება:



დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მესამე თავში მოვახდინეთ ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიური ერთეულების ლექსიკურ – სემანტიკური დახასიათება. ქართული ფრაზეოლოგიზმები თავიანთი სტრუქტურით ახლოს დგანან თანამედროვე ენის სინტაქსურ-მორფოლოგიურ ნორმებთან.

შეიძლება ითქვას, რომ ფრაზეოლოგიური შენაზარდების ჯგუფი არქაული და ხმარებიდან გამოსული სიტყვების შემცველი გამოთქმებითაა წარმოდგენილი, საკმაოდაა მათში არაბულ-სპარსულ-თურქული წარმომავლობის სიტყვები, რომლებიც ამ ფრაზეოლოგიური კონტექსტების გარეშე აღარ გამოიყენებიან.

1) განვიხილეთ ქართული კომუნიკაციური და არაკომუნიკაციური გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები. ენაში ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმები უფრო მეტად გავრცელებულნი და პროდუქტიულნი არიან.



2) გამოვეყავით არაკომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულების შემდეგი ფორმები: არსებითი სახელის შემცველი, ზედსართავი სახელის შემცველი, ზმნიზედის და ზმნის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები. გამოვავლინეთ ერთსიტყვიანი ფრაზეოლოგიზმები (არსებითი სახელისა და ზედსართავი სახელის), რომელიც საკმაოდ დიდი რაოდენობითაა ქართულ ენაში.

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზის წარმოება ფრანგული და ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების კუთხით. შეპირისპირების საფუძველზე დადგინდა შემდეგი: ორი ენის გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები მსგავსია მნიშვნელობათა ხარისხითა და რაოდენობით, სტილური და სინტაქსური ფუნქციებით, მაგრამ ნაწილობრივ განსხვავებულია ლექსიკური შედგენილობის სიტყვაფორმებისა ან კომპონენტთა რიგის მიხედვით. ცხადია, ეს მსგავსება არ გულისხმობს მათ მსგავს წარმოშობას ამ სტრუქტურულად განსხვავებულ ენებში.

ჩვენი აზრით, ეს მხოლოდ აზროვნებისა და მეტყველების განვითარების ლოგიკური შედეგია. თუმცა აღმოჩნდა, რომ მათ ბევრი განმასხვავებელი ნიშანიც აქვთ. ფრანგული წინადადებები გასტრონომიულ სიტყვებს შეიცავს, მაშინ როდესაც ქართულში მსგავსი შესატყვისი საერთოდ არ მოიპოვება. ასევეა ქართულშიც.

3) მოვახდინეთ ასევე ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების შემდეგი თემატური კლასიფიკაცია: 1. საკვების კონცეპტების შემცველი გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები; 2. სასმელის კონცეპტების შემცველი გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები; 3. ხილ-ბოსტნეულის კონცეპტების შემცველი გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები; 4. სამზარეულოს ჭურჭლის კონცეპტების შემცველი გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები; 5. სომატური კონცეპტების შემცველი გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები; 6. ერთსიტყვიანი კონცეპტების შემცველი გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები. განვიხილეთ თითოეული მათგანი და შევეცადეთ წარმოგვედგინა მაგალითები თავიანთი ისტორიული წარმოშობის წყაროების მიხედვით.

თემატური კლასიფიკაცია დავეყავით ქვეჯგუფებად და გამოვლინდა შემდეგი თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია ამ ფრაზეოლოგიზმებისთვის: ესენია: *სიკეთე, სტუმართმოყვარეობა, სიღარიბე, სიღატაკე, სიბოროტე, სიჯიუტე, მსუნავობა გაუმაძღრობა, სასმელის სიყვარული, ხარისხიანი, უხარისხო სასმელი, უვარგისი, უფასური, ქეიფი, სუფრის სიყვარული, ბარაქა, სიუხვე.*

თემატური კლასიფიკაციის დროს ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეული შეიძლება ერთდროულად სხვადასხვა ჯგუფში მოხვდეს. ეს განპირობებულია მასში შემავალი კომპონენტების მნიშვნელობით. ამ მოვლენას ხშირად ვხვდებით ფრანგულ ფრაზეოლოგიაში და არ არის დამახასიათებელი ქართული ფრაზეოლოგიზმებისთვის.

ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების (400 ერთეული) გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებული კონცეპტი იყო წყალი – 10,5%, პური - 7%, პირი – 5,0 % , სუფრა – 3,5%, ღვინო – 2,75%, ღუკმა – 2,5%, და ა. შ.

ხოლო ფრანგული 1000 გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმის გაანალიზებისას, სადაც პურია გამოყენებული - 4,2%, ღვინო - 2,2%, ვაშლი - 2,0%, თევზი - 1,5%, კარაქი - 1,4%, კომბოსტო - 1,4%, დანა - 1,2% და ა.შ

## ზოგადი დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ განვიხილეთ ფრაზეოლოგიური კვლევები შ. ბალის ნაშრომებიდან დაწყებული თანამედროვე მეცნიერების კვლევებით დამთავრებული.

სხვადასხვა ლიტერატურაზე დაყრდნობის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- 1) ფრაზეოლოგიის შეწავლა მხოლოდ სინქრონიული მეთოდის გამოყენებით შეუძლებელია. კვლევისთვის გამოყენებული უნდა იქნეს დიაქრონიული მეთოდიც.
- 2) განვიხილეთ სხვადასხვა სპეციალისტის მიერ მოცემული ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურული და ფუნქციური კლასიფიკაცია. ჩვენს მიერ ყველაზე მისაღები აღმოჩნდა ა. ნაზარიანის კლასიფიკაცია, რომელსაც ვეყრდნობით ჩვენს ნაშრომში: იგი ფრანგული ენის ფრაზეოლოგიზმებს გრამატიკული სტრუქტურიდან გამომდინარე ყოფს: არაპრედიკატულ (ერთსიტყვიანები და ფრაზემები), ნახევრადპრედიკატულ და პრედიკატულად (ღია და დახურული სტრუქტურით) ერთეულებად.

ფრანგული ენის ფრაზეოლოგიზმები თავიანთი ფუნქციის მიხედვით იყოფა: კომუნიკაციურებად და არაკომუნიკაციურებად. არაკომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმები თავიანთი მხრივ იყოფა ნომინაციურ, რთულ (წინდებულიანი და კავშირიანი), ასევე შორისდებულიან და მოდალურ ერთეულებად.

- 3) მოვახდინეთ ფრანგული ფრაზეოლოგიის სემანტიკური დაყოფა:

1. იდიომები, ანუ ფრაზეოლოგიზმები ორაზროვანი კომპონენტების დამოკიდებულებით.
2. ცალმხრივი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ხასიათდებიან კომპონენტების ცალმხრივი აზრობრივი დამოკიდებულებით.

- 4) მიმოვიხილეთ 2014 წელს პარიზში სორბონის უნივერსიტეტში ჩატარებული EUROPHRAS-ის კონფერენცია. მოკლედ წარმოვადგინეთ თანამედროვე უცხოელი და ქართველი ლინგვისტების კვლევები ფრაზეოლოგიის დარგში.

დავასკვნით, რომ XXI საუკუნეშიც, როგორც ფრანგული, ისე ქართული ფრაზეოლოგიის კვლევა გრძელდება თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გათვალისწინებით. კვლევის ობიექტად რჩება სხვადასხვა ენობრივი მასალა. მატულობს ასევე კვლევების ტიპოლოგიური რაოდენობაც.

ამის დასტურია EUROPHRAS ევროფრაზის მორიგი კონფერენცია, რომელიც 2016 წელს ტრირის უნივერსიტეტში (გერმანია) ჩატარდება. კონფერენციის თემატიკა საკმაოდ აქტუალურია. მნიშვნელოვანია ფრაზეოლოგიისა და პარემიოლოგიის კვლევების ინტეგრაცია სხვა დარგებთან (ხელოვნების ისტორიასთან, სამართალთან, ლიტერატურასთან, სოციოლოგიასთან, პოლიტიკური მეცნიერებებთან, ეთნოლოგიასთან, ფსიქოლოგიასთან) და ა. შ.

განხილული მასალის მიხედვით, ფრანგული და ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების შედარება-შეპრისპირებისათვის, აუცილებლად ჩავთვალოთ გაგვეკეთებინა მოკლე ისტორიული მიმოხილვა ამ ორი ერის სამზარეულოსი დასაბამიდან დღემდე. მოპოვებული მასალის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფრანგული მასალა ქართულ მასალაზე უფრო მდიდარია, თუმცა, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო და არის სამზარეულო როგორც ფრანგებისთვის, ასევე ქართველებისთვის. ამის დასტურია უამრავი ლიტერატურა, რომელიც გამოდის სამზარეულოს შესახებ, კულინარიული წიგნები და ინტერნეტ საიტები სადაც მოცემულია კერძების მომზადების წესები. ასევე მნიშვნელოვანია ლინგვისტების დაინტერესება ამ სფეროს მიმართ. საკმაოდ ვრცელი მასალა მოვიპოვეთ ფრანგული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების ეტიმოლოგიის კუთხითაც. ქართული მასალის მოძიებისას ძირითადად დავეყრდნით თედო სახოკიას ნაშრომს „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“.

5) ქართული და ფრანგული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების შედარებისას გამოვლინდა, როგორც მსგავსება, ასევე განსხვავება. ძალიან ხშირად ისინი როგორც კომპონენტების, ასევე გრამატიკული მნიშვნელობით შეესაბამებიან ერთმანეთს სტრუქტურულად, ფრანგული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები განსხვავდებიან ქართული ენის გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმებისაგან;

6) მოვახდინეთ ფრანგული და ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების თემატური კლასიფიკაცია და გამოვყავით შემდეგი ჯგუფები: 1. ადამიანის ქცევისა და მდგომარეობის შემცველი კონცეპტების ფრაზეოლოგიური ერთეულები; 2. ადამიანის ხასიათისა და ბუნების შემცველი კონცეპტების ფრაზეოლოგიური ერთეულები; 3. ხილ-ბოსტნეულის კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები; 4. ზოონიმების კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები; 5. სომატური კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები; 6. სამზარეულოს ჭურჭლის კონცეპტების

შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები; 7. სასმელის შემცველი კონცეპტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები; 8. საკვების შემცველი კონცეპტების ფრაზეოლოგიური ერთეულები; 9. ანთროპონიმების კონცეპტების შემცველი კერძების დასახელებები;

7) თემატური კლასიფიკაციიდან გამომდინარე გამოვყავით ქვეჯგუფები და გამოვავლინეთ თვისებები, რომლებიც ადამიანებს ახასიათებთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს თვისებები საერთოა ორივე ენის გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმებისთვის. ესენია:

*მსუნაგობა, სიხარბე, გამოყენება, მოტყუება, თავქარიანობა, თავგანწირვა, თავდადება, სიღარიბე, სიღატაკე, პურმარილიანი, სტუმართმოყვარე, გადამეტებული სმა, სიბრიყვე, სიშტერე, მუქთახორობა, მუქთამკამელობა, ქედმაღლობა.*

8) თემატური კლასიფიკაციის დროს ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეული შეიძლება ერთდროულად სხვადასხვა ჯგუფში მოხვდეს. ეს განპირობებულია მასში შემავალი კომპონენტების მნიშვნელობით. ამ მოვლენას ხშირად ვხვდებით ფრანგულ ფრაზეოლოგიაში და არ არის დამახასიათებელი ქართული ფრაზეოლოგიზმებისთვის.

9) ფრანგული და ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირების საფუძველზე დადგინდა შემდეგი: ორი ენის გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმები მსგავსია მნიშვნელობათა ხარისხითა და რაოდენობით, სტილისტური და სინტაქსური ფუნქციებით, მაგრამ ნაწილობრივ განსხვავებულია ლექსიკური შედგენილობის სიტყვა-ფორმებისა ან კომპონენტთა რიგის მიხედვით. ცხადია, ეს მსგავსება არ გულისხმობს მათ ერთგვარ წარმოშობას ამ სტრუქტურულად განსხვავებულ ენებში. ჩვენი აზრით, ეს მხოლოდ აზროვნებისა და მეტყველების განვითარების ლოგიკური შედეგია. თუმცა, აღმოჩნდა, რომ მათ ბევრი განმასხვავებელი ნიშანიც აქვთ;

10) ფრანგული წინადადებები გასტრონომიულ სიტყვებს შეიცავენ, მაშინ როდესაც ქართულში მსგავსი შესატყვისი საერთოდ არ მოიპოვება. ასევეა ფრანგულშიც;

11) შევადარეთ ასევე ფრანგულ-ქართული მასალა სტილისტურად. შედარების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: ორივე ენაში ფრაზეოლოგიზმების უმეტესობა სასაუბრო-ფამილარულ სტილს მიეკუთვნება;

12) მოვახდინეთ ასევე კერძების აღმნიშვნელი დენოტაციების ეტიმოლოგიური თავისებურებების კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში. გამოვაკლინეთ მარტივი და რთული კერძების სახელწოდებები.

კულინარიული კერძების დასახელებები დავეყავით შემდეგ ჯგუფებად:

1. რეგიონის კერძები;

2. კერძები გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით.

13) ასევე გამოვაკლინეთ კულინარიული ზმნები ქართულ და ფრანგულ ენებში, ერთი მხრივ, მხოლოდ კულინარიული მნიშვნელობით და მეორე მხრივ, სალაპარაკო მნიშვნელობით;

14) შევადარეთ ფრანგულ-ქართული კერძები, რის შედეგადაც გამოვლინდა საერთო - რეგიონალური კერძების სახით (რა თქმა უნდა, კერძები სრულიად განსხვავებულია), ასევე რეცეპტებში ორივე ენის ზმნები ბრძანებით ფორმაში გვაქვს მოცემული;

ფრანგული 1000 გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმის გაანალიზებისას, დადგინდა კონცეპტების ასეთი შეფარდება: სადაც პურია გამოყენებული - 4,2%, ღვინო - 2,2%; ვაშლი - 2,0%, თეფში - 1,5%, კარაქი - 1,4%, კომბოსტო - 1,4%, დანა - 1,2%, და ა.შ.

ხოლო ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების (400 ერთეული) გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებული კონცეპტები იყო წყალი - 10,5%, პური - 7%, პირი - 5,0 %, სუფრა - 3,5%, ღვინო - 2,75%, ლუკმა - 2,5%, და ა. შ.

პერსპექტივაში გვაქვს ფრანგულ-ქართული გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგიური კვლევის გაგრძელება. ვგეგმავთ, როგორც საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, ასევე პუბლიკაციების ბეჭდვას, როგორც ქართულ საერთაშორისო ჟურნალებში, ასევე - უცხოურში. ჩვენი მიზანია ასევე ქართულ-ფრანგული გასტრონომიული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის გამოცემა, რომელიც საინტერესო იქნება როგორც ლინგვისტ მკვლევარებისთვის, სტუდენტებისთვის და ყველა იმათთვის, ვინც დაინტერესებულია ფრაზეოლოგიის პრობლემებით.

## ბიბლიოგრაფია:

- ბაბუხაღია 2005:** ბაბუხაღია მ. ნ. ი. მარის ლინგვისტური მოძღვრება და ენათა ტიპოლოგია“. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005.
- ბატონიშვილი 1973:** ბატონიშვილი ვ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი: მოსე ჯანაშიელის გამოცემის შესაბამისად, 1973.
- გამყრელიძე 2008:** გამყრელიძე თ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი (მეორე გამოცემა), თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.
- გორგილაძე 2012:** გორგილაძე რ. კერძთაყვანისცემა – კულინარიული მოგზაურობა დროსა და სივრცეში. თბილისი: გამომცემლობა „სეზანი“ 2012.
- თაყაიშვილი 1961:** თაყაიშვილი ა. ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961.
- კანდელაკი 1953:** კანდელაკი ა. ქართული ანდაზები. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“ 1953.
- კაპანაძე ... 2012:** კაპანაძე ო., შტაინერი ე., „ლინგვისტიკა ენის ტიპოლოგიიდან ენის ტექნოლოგიამდე“, თბილისი: შპს „მწიგნობარი“, 2012
- მანიუაშვილი 2003:** მანიუაშვილი ი. სუბსტანციური ფრაზეოლოგიური ერთეულები ფრანგულ და ქართულ ენებში, ფილოლ. მეცნ. კან. თბილისის ენისა და კულტურის სახ. უნივერსიტეტი, 2003.
- ნებიერიძე 1999:** ნებიერიძე გ. ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1999.
- ონიანი 1966:** ონიანი აღ. ქართული იდიომები. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1966.
- ჟორჟოლიანი 1987:** ჟორჟოლიანი დ. ფრაზეოლოგიური ნომინაციის თეორიული საფუძვლები და შეპირისპირებითი ლინგვისტიკა, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1987.
- ჟორჟოლიანი 2005:** ჟორჟოლიანი ე. ნუმერაციული კომპონენტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები (ფრანგული და ქართული ენების მიხედვით), ფილოლ. მეცნ. კანდ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტი: 2005.
- სახოკია 1950:** სახოკია თ. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტომი I, თბილისი: „სახელგამი“, 1950.
- სახოკია 1954:** სახოკია თ. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტომი II, თბილისი: „სახელგამი“: 1954.

**სახოკია 1955:** სახოკია თ. *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*, ტომი III, თბილისი: „სახელგამი“: 1955.

**სოსიური 2002:** სოსიური ფ. *ზოგადი ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2002.

**სურგულაძე 2004:** სურგულაძე ნ. *ზოონიმთა და ანიმალურ სომატიზმთა შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულ და ფრანგულ ენებში*. ფილოლ. მეცნ. კანდ. თბილისის ენისა და კულტურის სახ. უნივერსიტეტი: 2004.

**ფოჩხუა 1974:** ფოჩხუა ბ. *ქართული ენის ლექსიკოლოგია*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974.

**ღლონტი 1984:** ღლონტი ალ. *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*, თბილისი, “განათლება”, 1984.

**ღლონტი 1988 :** *ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები* (III გამოცემა), თბილისი : გამომცემლობა „განათლება“, 1988.

**შარდენი 1935 :** შარდენი ჟ. *მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში*, თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1935.

**ჯავახიშვილი 1986 :** ჯავახიშვილი ი. *მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის*, ტ. III, ნაწ. II, თბილისი: საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემია, 1986.

**ჯავახიშვილი 1996 :** ჯავახიშვილი ი. *საქართველოს ეკონომიური ისტორია*. წიგნი მეორე, ტფილისი : საქ, სსრ მეცნ. აკადემია, 1996.

**ჯაში 1990:** ჯაში ქ. *ანდაზების სემანტიკურ-სინტაქსური სტრუქტურა ფრანგულ და ქართულ ენებში*. საკანდიდატო დისერტაცია. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტი, 1990.

**ჯორბენაძე 1997:** ჯორბენაძე ბ. *ენა და კულტურა*. თბილისი: ქართული ენა, 1997.

**ჯორჯაძე 1924:** ჯორჯაძე ბ. *სრული სამზარეულო*, თბილისი: სტამბა „სორაპანი“, 1924.

**ჯორჯაძე 1874:** ჯორჯაძე ბ. *ქართული სამზარეულო და ნაცადნი ცნობანი*. ტფილისი : ე. ხელადის სტამბა, 1874.

**Амосова 1963:** Амосова, Н. Н. *Основы английской фразеологии*. Ленинград: Издательство Ленинградского университета, 1963.



- Архангелский 1964** : Архангелский, В. Л. *Устойчивые фразы в современном русском языке. Основы теории устойчивых фраз и проблемы общей фразеологии.* Ростов: Издательство Ростовского университета, 1964.
- Балли 1961**: Балли Ш. *Французская Стилистика, перевод Французского К. А. Долинина,* Москва: Издательство Иностранной Литературы, 1961.
- Балли 1955**: Балли Ш. *Общая лингвистика и вопросы французского языка.* Москва: Издательство Иностранной Литературы, 1955.
- Бенвенист 1974**: Бенвенист Э. *Общая лингвистика.* Москва: Издательство прогресс, 1974.
- Береговская 1986**: Береговская Э. М. *Хрестоматия по Французской Стилистике, на фр. яз.* Москва : Издательство просвещение , 1986.
- Будагов 1963**: Будагов Р. А. *Сравнительно семасиологические исследования.* Романские языки, Москва : Издательство МГУ 1963.
- Виноградов 1977** : Виноградов, В. В. *Об основных типах фразеологических единиц в русском языке.* Москва : Лексикология и лексикография, 1977.
- Виноградов 1977**: Виноградов, В. В. *Основные типы лексических значение слова.* Москва: Вопросы языкознания : 1977.
- Виноградов 2001**: Виноградов, В. В. *Русский язык (грамматическое учение о слове)* Москва: Русский язык. 2001.
- Гаврин 1974**: Гаврин, С. Г. *Фразеология современного русского языка в аспекте теории отражения.* Пермь: Издательство Пермского гос. пед. института, 1974.
- Гак 1975**: Гак, В. Г. *Русский язык в сопоставлении с французским.* (Учебное пособие для студентов иностранцев). Москва : Русский язык, 1975.
- Гак 1989**: Гак, В. Г. *Сравнительная типология французского и русского языков,* Москва: “Просвещение” : 1989.
- Гак 1977**: Г. „*К типологии лингвистических номинаций. Языковая номинация. Общие вопросы*“, Москва : Наука, 1977.
- Гак 1981**: Гак, В. Г. *Теоретическая грамматика Французского языка. Синтаксис.* Москва: Высшая школа, 1981.
- Джикия 1973**: Джикия, Н Б *Вариации и тождество фразеологических единиц в их отношении к лексической системе языка .* Автореф. дисс. канд. филол. наук. Тбилиси: 1973.
- Долинин 1978**: Долинин, К. А. *Стилистика Французского Языка,* Ленинград: Издательство Просвещение , 1978.

- Жоржوليани 1987:** Жоржوليани, Д. *Теоретические Основы Фразеологической Номинации и Сопоставительная Лингвистика*, Тбилиси: Издательство, „Ганатлеба”, 1987.
- Жуков 1975:** Жуков, В. П. *„О знаковости компонентов фразеологизма*. Москва: „Вопросы языкознания “, 1975.
- Жуков 1978:** Жуков, В. П. *„Семантика фразеологических оборотов*. Москва: „Просвещение “, 1978.
- Жуков 1975:** Жуков, В. П. *Семантика фразеологических оборотов*. Москва: языкознания, 1975.
- Квижинадзе 1975:** Квижинадзе, Н.Р. *фразеологические сращения современного французского языка* : Автореф. дисс. канд. филол. наук, Тбилиси,1975.
- Кунин 1964:** Кунин, А. В. *„О переводе английских фразеологизмов в англо-русском фразеологическом словаре*. “ Тетради переводчика, 1964.
- Кунин 1970:** Кунин, А.В. *„ Англиская фразеология: Теоретический курс*. Москва : Высшая школа, 1970.
- Кунин 2005:** Кунин, А. В. *„Курс фразеологии современного английского языка*.Москва : Феникс, 2005.
- Кунин 1972:** Кунин, А. В. *„Фразеология современного английского языка. Опыт систематизированного описания* . Москва : Международные отношения, 1972.
- Кунин 1964:** Кунин, А. В. *Основные понятия английской фразеологии как лингвистической дисциплины и создание англо-русского фразеологического словаря*. Докт. дис. Москва: 1964.
- Лавров 1983:** Лавров, Н. И. *„Факультативные элементы фразеологического значения диалектных ФЕ “ Актуальные проблемы русской фразеологии*, Ленинград: 1983.
- Ларин 1977:** Ларин, Б. А. *„О народной фразеологии“ История русского языка и общее языкознание*. Москва : 1977.
- Лишицене-Забудайте 1971:** Лишицене-Забудайте Э. И. *Фразеологические синонимы французского языка*. Ленинград: Высшая школа, 1971.
- Лопатникава ... 1971:** Лопатникава, Н. Н. Мовшович Н. А. *Лексикология современного французского языка*. Москва: Высшая школа,1971.
- Мокиенко 1995:** Мокиенко, В. М. *Идеография и историко-этимологический анализ фразеологии*. Вопросы языкознания. 1995. № 4.
- Маслова 2001 :** Маслова, В. А. *Лингвокультурология: Учеб. Пособие для студ. высш. учеб. заведений*. Масква , 2001.

- Мельчук 1960:** Мельчук, И. А. *„О терминах „устойчивость“ и „идиоматичность“* Москва: Вопросы языкознания, 1960.
- Мельчук 1999:** Мельчук, И. А. *Опыт теории лингвистических моделей „СМЫСЛ-ТЕКСТ“* Москва: Языки русской культуры, 1999.
- Морен ... 1960:** Морен, М. К., Тетеревникова, И. Н. *Стилистика современного Французского Языка*, Москва: Изд -во лит. на иност. языках, 1960.
- Назарян 1965:** Назарян, А. Г. *Образные Сравнения Французского Языка*, Москва: Издательство, “Наука”, 1965.
- Назарян 1968:** Назарян, А. Г. *Почему так говорят по-французски?* (Происхождение и толкование идиоматических выражений), Москва : Издательство „Наука”, 1968.
- Назарян 1976:** Назарян, А. Г. *Фразеология современного французского языка*. Москва: “Высшая школа”, 1976.
- Назарян 1981:** Назарян, А. Г. *История развития французской фразеологии*, Москва: Издательство, „Высшая школа”, 1981.
- Ожегов 1957:** Ожегов, С. И. *О Структуре Фразеологии* . Лексикографический сборник, вып. 2. Москва : 1957.
- Потебня 1990:** А. *Теоретическая поэтика*. Москва : „Высшая школа”, 1990
- Потоцкая 1936:** Потоцкая, В. В. *Французские идиоматические выражения*. Москва : Гос. уч. под. изд -во Печатный двор. типография Коминтерна. 1936.
- Реформатский 1962:** Реформатский, А. А. *Введение в языкознание*. Москва: Просвещение , 1962.
- Рецкер 1950 :** Рецкер, Я. И. *“О закономерных соответствиях при переводе на родной язык”* Теория и методика учебного перевода, 1950.
- Тархова 1967:** Тархова, В. А. *Лексикология современного французского языка*. Ленинград: Просвещение, 1967.
- Телия 1966:** Телия, В. Н. *Что такое фразеология*. Москва: Наука, 1966
- Телия 1972:** Н. *Фразеология. Общее языкознание Внутренняя структура языка*. Москва: Наука, 1972.
- Телия 1996:** Телия, В. Н. *Русская Фразеология. Семантический, прагматический и лингвокультурологический аспекты*. Москва : Языки славянской культуры , 1996
- Чернишева 1970:** Чернишева, И. И. *Фразеология современного немецкого языка*. Москва: Высшая школа, 1970.
- Шадури 1983:** Шадури, Т. Н. *Общее языкознание*. Тбилиси: Ганатлеба, 1983.

**Шанский 1969** : Шанский Н. М. *Фразеология современного русского языка*. Москва: Высшая школа, 1969.

**Adam 2008** : Adam, J-M., *La linguistique textuelle*, Paris : Armand Colin, 2008.

**Antoine 1959** : Antoine V., *Stylistique française, sa définition, ses buts, ses méthodes*, Paris : *Revue de l'enseignement supérieur*, 1959.

**Amossy ...1997** : Amossy, R., Pierrot, A. H *Stéréotypes et clichés, langue, discours, société*. Paris : édition Nathan 1997.

**Ancombre ... 2011** : Ancombre, J., C. Mejri, S. *Le figement linguistique*. Paris: La parole entravée, 2011.

**Apicius 1936**: Apicius (Verling e.) "Cookery and Dining in Imperial. Rome", 1936.

**Bally 1905** : Bally, Ch. *Précis de stylistique française*, Genève: 1905.

**Bally 1951** : Bally, Ch. *Traité de stylistique française*, Paris : Heidelberg 1951.

**Bally 2011** : Bally, Ch. *Phraséologie et collocation : approche sur un corpus en français L1 et L2*. Bruxelles : P.lang, 2011.

**Berger 1996** : Berger, D. *L'explication du texte littéraire*, Paris : VUEF Armand Colin, 1996.

**Bonhomme ... 1997** : Bonhomme, M., Adam, J.M. *L'argumentation publicitaire. Rhétorique de l'éloge et de la persuasion*. Paris : édition Nathan 1997.

**Bonhomme 1987** : Bonhomme, M. *Linguistique de la métonymie*, Berne : Peter Lang Sa, 1987.

**Cellard 1982** : Cellard, J. *Ça mange pas de pain ! 400 expressions familières ou voyoutes de France et du Québec*, .l.: Hachette, 1982.

**Bologne 2005** : Bologne J.C. *Q'importe le flacon. Dictionnaire commente des expressions d'origine littéraire*. Paris : Larousse, 2005.

**Bordas 2003** : Bordas, E. *Les chemins de la métaphore*, Paris : PUG, 2003.

**Buvet 2012** : Buvet, P.A. *La dimension lexicale de la détermination en français*, Paris : Champion, 2012.

**Cerquiglini 2003** : Cerquiglini, B. *Les langues de France*. Paris : PUG, 2003.

**Charaudeau 1971** : Charaudeau, P. *Grammaire du sens et de l'expression*, Paris : Hachette, 1992.

**Chomsky 1971** : Chomsky, N. *Aspects de la théorie syntaxique*. Editions du Seuil (édition française) 1971.

**Chovelon ...2005** : Chovelon, B., Barthe, M. *Expression et style*, Paris : PUG, 2005.

**Cohen 1966** : Cohen J. *Structure du langage Poétique*. Paris : édition Flammarion, 1966.

- Collet 2000** : Collet, G. *Langage et modélisation scientifique – Le verbe, levier de l'apprentissage*, Paris : CNRS Éditions, 2000.
- Cressot 1959** : Cressot, M. *Le style et ses techniques*, Paris : Cressot marcel, 1959.
- Cruse 1986**: Cruse, A. *Lexical Semantics*. Cambridge University Press, 1986.
- Desmet ...1994** : Desmet, I., Boutaeb, S. *Terme et mot: propositions pour la terminologie*, Paris : La Banque des Mots, Nr. Spécial, CILF, 1994.
- Dobrovine ...1981** : Dobrovine M. I., Antonian A.T., *Locutions russes en image*, Moscou, 1981.
- Ducrot ...1972**: Ducrot, O., Todorov T. *Dictionnaire encyclopédique des sciences du langage*. Paris : Édition du Seuil, 1972.
- Dumas 2002** : Dumas, A. *Voyage au Caucase*. Paris : Hermann, 2002.
- Duneton 1990** : Duneton, C. *La Puce à l'oreille. Anthologie des expressions populaires avec leurs origines*. Paris : Claude Duneton, 1990.
- Duchesne ...1994**: Duchesne, A., Leguay Th. *La Nuance. Dictionnaire des subtilités du français*. Paris: Larousse, 1994.
- Eluerd 2000** : Eluerd, R. *La lexicologie*. Paris : PUF, 2000.
- Flandrin 1999** : Flandrin, J. L. *Food A CulinaryHistory*, Columbia University Press; 1st edition (September 15,1999).
- Fontanier 1977** : Fontanier, P. *Les figures du discours*. Paris : édition Flammarion, 1977.
- Gagnière 1996** : Gagnière, C. *Pour tout l'or des mots. Au bonheur des mots et merveilles* .Paris : édition Robert Laffont, S. A. 1996.
- Gardes-Tamine 1992** : Gardes-Tamine, J. *La Stylistique*. Paris, Armand Colin, 1992.
- Gardes-Tamine 1998** : Gardes-Tamine, J. *La Grammaire. Lexicologie Méthode et exercices corrigés*. Paris: Armand Colin, 1998.
- Gary-Prieur 1985** : Gary-Prieur, M. N. *De la Grammaire à la linguistique*, Paris : L'étude de la phrase, 1985
- Georgin 2000** : Georgin, R. *Les secrets du style*, Paris : editon Arley, 2000.
- Gonzalez 2002** : Gonzalez, R. *La phraséologie du français*. Toulouse : Presses Universitaires du Murail, 2002.
- Gouadec 1994** : Gouadec, Daniel, *Nature et traitement des entités phraséologiques*. Paris : La Maison du Dictionnaire, 1994.
- Gouadec 1996** : Gouadec, Daniel. *Terminologie et phraséologie pour traduire*. Paris : La Maison du Dictionnaire, 1996.

- Greimas 1993** : Greimas, A. J., Courtés J. *Sémiotique. Dictionnaire raisonné de la théorie du langage*. édition Hachette. 1993.
- Greimas 1986** : Greimas, A.J. *Sémantique structurale. Recherche de méthode*. Paris : PUF, 1986.
- Gross 1996** : Gross, G. *Les expressions figées en français : noms composés et autres locutions*. Paris : OPHRYS, 1996.
- Guillemard 1987** : Guillemard, C. *les mots pittoresques de la table*, édition Belin, 1987.
- Guiraud 1961** : Guiraud, P. *Les locutions françaises*. Paris : PUF, 1961.
- Guiraud 1974** : Guiraud, P. *La syntaxe du français*. Paris : PUF, 1974.
- Guiraud 1986** : Guiraud, P. *Structure étymologique du lexique français*. Paris: Payot, 1986.
- Hagège 1982** : Hagège, Cl. *La structure des langues*. Paris: PUF, 1982.
- Hagège 1985** : CIL *l'homme de paroles. Contribution linguistique aux sciences humaines*. Paris : édition Fayard ,1985.
- Hagège 1996** : Hagège, Cl. *Le français histoire d'un combat*. Paris : Michel Hagège, 1996.
- Hénault 1992** : Hénault, A. *Histoire de la sémiotique*. Paris: PUF, 1992.
- Henry 1971** : Henry, A. *Métonymie et métaphore*, Paris : Klincksieck, 1971.
- Himelfarb 2002** : Himelfarb, G. *Sigles et acronymes*. Paris: édition Belin, 2002.
- Hombert 2005** : Hombert, J. M. *Aux origines des langues et du langage*. Librairie Arthème Fayard, 2005.
- Jakobson, 1973** : Jakobson, R., *Essais de linguistique générale*, Paris : les éditions de minuit, 1973.
- Jouet 2004** : Jouet, J. *A bouche que veux-tu. Les corps dans les expressions de la langue française*. Paris : Larousse, 2004.
- Khovanskaia ...1991** : Khovanskaia, Z., Dmitrieva, L. *Stylistique française*. Moscou, V.S, 1991.
- Klinkenberg 1996** : Klinkenberg, J. M. *Précis de sémiotique*. De Boeck Université, 1996.
- Legallois 2013** : Legallois , D., Tutin , A., *Vers une extension du domaine de la phraséologie*. langages 189, 2013.
- Legallois 2014** : Legallois, D. „*La grammaire d'une langue peut-elle être enseignée à partir de ses unités phraséologiques*“ dans M Izabel Gonzalez Rey, Outils et méthodes d'apprentissage en phraséodidactique, Cortil-Wodon. E.M.E(sous presse), 2014.
- Loiseau 2010** : Loiseau, L., *Ça vient d'où?* Paris, Les Almaniaks, 2010.
- Lopatnikova 2006** : Lopatnikova, N., *Lexicologie du français moderne*, Moscou : Vischaja schkola, 2006.

- Martin 1996** : Martin, D. „*Sur les facteurs du figement lexical* “dans la locution entre langue et usage, ENS Fontenay, Saint-Cloud : 1996.
- Matoré 1950** : Matoré, G., *La méthode en lexicologie, Domaine français*, Paris : Didier, 1950.
- Picoche 1992** : Picoche, J. *Précis de lexicologie française. L'étude et l'enseignement du vocabulaire* Paris :Nathan Université, 1992.
- Marouzeau 1969** : Marouzeau, J., *Précis de stylistique française*, Paris : Masson, 1969.
- Martinet 1970** : Martinet, A. *Eléments de linguistique générale*. Paris : Armand Colin, 1970.
- Mejri 1997** : *Le figement lexical*. Tunis : publication de faculté des lettres de Manouba, 1997.
- Mejri 2011** : Mejri, S. *La parole entravée : étude sur le figement*. Paris : Champion, 2011.
- Mel'cuk ... 1995** : Mel'cuk , I. Clas, A., et Polguere, A., *Introduction à la lexicologie explicative et combinatoire*, Louvain : Duculot, 1995.
- Merle 2002** : Merle, P. *Précis de français précieux au XXIe siècle* ; Belgique : la renaissance du livre, 2002.
- Molinié 1991** : Molinié, G. *Le français moderne*, Paris : PUF, coll. Que sais-je? 1991.
- Molinié 1994** : Molinié, G., *Eléments de la Stylistique française*, Paris : PUF, 1994.
- Molinié 1998** : Molinié, G. *Sémiostylistique. L'effet de l'art*. Paris : PUF, 1998.
- Mounin 1974** : Mounin, G. *Dictionnaire de la linguistique*. Paris : Quadrige/PUF, 1974.
- Murin ...2013** : Murin , T., Mejri S, *La phraséologie entre langues et cultures*. Paris : Peter Lang, 2013.
- Niklas-Salminen 1997** : Niklas-Salminen, A., *La lexicologie*, Paris : Armand Colin / Masson, 1997 (coll. Cursus, Lettres /Linguistique).
- Patillon 1997** : Patillon, M., *Précis d'analyse littéraire*, Paris : Natan, Université, 1997.
- Perrin 1989** : Perrin, H., *Stylistique, Pragmatique du commentaire*, Paris : PUF, 1989.
- Polguère 2003** : Polguère, A. *Lexicologie et sémantique lexical*, Montréal : Les Presses de l'Université de Montréal. 2003.
- Pottier 1992** : Pottier B. *Sémantique générale*. Paris : PUF, 1992.
- Reboul 1989** : Reboul, O., *Introduction à la rhétorique*, Paris : PUF, 1989.
- Rey 2006** : Rey, A. *A mots découverts. Chronique sur fil de l'actualité* . Paris : Robert Laffont , 2006.
- Rey 1977** : Rey, A. *Le lexique : Images et modèles. Du dictionnaire à la lexicologie*. Armand Colin, 1977.
- Saussure 1971** : Saussure, F. de, *Cours de linguistique générale*, Paris : édition Bally et Sechehaye, 1971.
- Suhamy 1981** : Suhamy, H. *Le figures de style*. Paris : PUF, 1981.

- Tesnière 1965** : Tesnière, L. *Éléments de syntaxe structurale*, Paris : édition Klincksieck, 1965.
- Touratier 2010** : Touratier, Ch. *La sémantique*. 2<sup>E</sup> édition. Paris : Armand Colin éditeur, 2010.
- Timeskova 1967** ... Timeskova I., Tarkhova, N. *Essai de lexicologie du français moderne*, Leningrad : 1967.
- Vigerie 2004** : Vigerie, P. *Quand on parle du loup... Les animaux dans les expressions de la langue française*. Paris : Larousse, 2004
- Visser 2001**: Visser, M. *The Rituals of Diner*. Canada : Harper Collins, 2001.
- Visser 2008**: Visser, M. *The Gift of Thanks: The Roots and Rituals of Gratitude*, Toronto : Harper Collins, 2008.

#### დამხმარე ლიტერატურა:

- ბიბილეიშვილი ... 2010** : ბიბილეიშვილი ც. დარაშვილი ლ. გაჩაგა რ. *ფრანგულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“ : 2010.
- გამრეკელი ... 1966** : გამრეკელი ნ. ნ., მგალობლიშვილი ე. ა., *ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა საბჭ. საქართველო, 1966.
- გვარჯალაძე ... 1981** : გვარჯალაძე ი., მიქელაძე კ., *ფრანგული ანდაზები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი ქართული თარგმანითა და შესატყვისებით*. თბილისი: გამომცემლობა საბჭ. საქართველო, 1981.
- ქადეიშვილი ... 1999-2000**: ქადეიშვილი ნ., ახვლედიანი ც., წულაძე-კალატოზიშვილი ნ. *ფრანგულ-ქართული ლექსიკონი*. თბილისი: მთარგმნელთა გამომცემლობა, ელფი: 1999-2000.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, შვიდტომეული, თბილისი : გამომცემლობა საქ. სსრ. მეცნ. აკადემია, 1950, 1951, 1953, 1955
- ჩუბინაშვილი 1961** : ჩუბინაშვილი ნ. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. თბილისი : 1961



- Ахманова 1966:** Ахманова, О. С. *Словарь лингвистических терминов*. М., Прогресс: 1966.
- Гак ... 1963:** Гак, В., Рецкер Я. *Французско-русский фразеологический словарь*. Москва : изд-во иностранных и национальных словарей ,1963.
- Молоткова 1968 :** Молоткова. М., *Фразеологический словарь русского языка /* Под ред. А.И. Молоткова. М., 1968.
- Dubois 1973 :** Dubois, I. *Dictionnaire de la linguistique*. Paris : Larousse, 1973.
- Dumas 2000 :** Dumas, A. *Grand Dictionnaire de Cuisine*. Paris : Editions Phébus, 2000.
- Dictionnaire 2001 :** *Dictionnaire pratique du français*, Paris : Hachette, 2001.
- Larousse 2000 :** *Larousse gastronomique. Tome 1, tome 2, tome 3*. Paris : Larousse, 2000.
- Le Petit Larousse 1992 :** *Le Petit Larousse illustré*. Paris : Larousse, 1992.
- Le Robert 1992 :** Le Robert illustré. *Dictionnaire d'aujourd'hui*. Paris :Le Robert, 1992.
- Merle 2007 :** Merle, P. *Nouveau dictionnaire de la langue verte*. Paris: Éditions Denoël, 2007.
- Mounin 1998 :** Mounin, G. *Dictionnaire de la linguistique*. Paris : PUF, 1998.
- Rat 2007 :** Rat, M. *Dictionnaire des Expressions et Locutions traditionnelles*. Paris: Éditions Larousse, 2007.
- Rey 1993 :** Rey A., Chantreau, S. *Dictionnaire des expressions et locutions*. Paris : Le Robert, 1993.
- Rey 1998 :** Rey, A. *Dictionnaire historique de la langue française*. Dictionnaire de Robert. Paris, 1998.
- Weil 1981 :** Weil, S., Rameau, L. *Trésor des expressions françaises*, Paris : Belin, 1981.

### გამოყენებული ინტერნეტ რესურსები:

**Georges Planelles 2013 :** Les expressions françaises décortiquées : expressions :fr pqr Revers

[http://www.expressio.fr/toutes\\_les\\_expressions.php](http://www.expressio.fr/toutes_les_expressions.php)

[https://fr.wikipedia.org/wiki/Cuisine\\_francaise](https://fr.wikipedia.org/wiki/Cuisine_francaise) dernière modification de cette page le 27 décembre 2015 à 20 :53

**Chloe derangere 2011/12 :** Chloe derangere , Jenna Laskar , Thibaut Couvert Alexandre Gueniffey - <http://tpe-gastronomie-stjoseph.e-monsite.com/pages/i-la-gastronomie-reflet-de-l-identite.html> - consulte le 15.12 2015

**Geraud Bsman- Deszons 2015 :** <http://www.rfi.fr/france/20150316-gastronomie-gout-france-good-chef-ducasse-monde-afrique-cuisine- publie le 18.03.2015>; modifie le 19.03.2015 a 11 :51

[https://fr.wikipedia.org/wiki/Histoire\\_de\\_la\\_cuisine\\_fran%C3%A7aise](https://fr.wikipedia.org/wiki/Histoire_de_la_cuisine_fran%C3%A7aise) - dernière modification de cette page le 27 septembre 2015 à 18 :37

**Michel Phélizon 2015** : - <http://www.cuisinealafrancaise.com/fr/articles/17-histoire-de-la-cuisine> - consulté le 21.11.2015

**Nadine alias @nadasto** <http://gourmandisesansfrontieres.fr/2012/07/les-expressions-gastronomiques-pourquoi-dit-on-tomber-dans-les-pommes/>

Nadasto - <http://gourmandisesansfrontieres.fr/2012/10/les-expressions-gastronomiques-pourquoi-dit-on-avoir-la-peche-ou-la-banane/>

**Lionel Allorge** \_ [http://www.lunerouge.org/spip/article.php3?id\\_article=324](http://www.lunerouge.org/spip/article.php3?id_article=324)

**Université Lyon2 ; Le français imagé** :

[http://perso.univlyon2.fr/~mollon/M1FLES/12\\_13/Chenal/Index.html](http://perso.univlyon2.fr/~mollon/M1FLES/12_13/Chenal/Index.html)

**Lintern@ute .com Encyclopedie** : <http://www.linternaute.com/expression/theme/10/manger---boire/>

<http://www.dictionnaire-cuisine.com/m.html>

**Jean Hugues ; cuisine facile** : <http://cuisine-facile.com/lexique.php>

**Thomas Marko ; l'équipe cuisines en fête** - <http://www.cuisinesenfete.com/fete-gastronomie.php>

ശ ഹ ണ ഹ ള ത റ

## გასტრონომიული ფრაზეოლოგიზმების თემატური კლასიფიკაცია

ადამიანის ქცევისა და მდგომარეობის შემცველი კონცეპტების ფრაზეოლოგიური ერთეულები

1. Avoir un appétit d'oiseau - ჩიტოვით იკიკნება.
2. Manger à son appétit - მაძღრისად ჭამა, კარგად გამოძღომა, კუჭის ამოვსება.
3. Casseur d'assiettes- შფოთისთავი, ჩხუბისთავი, აურზაურის ამტეხი.
4. Sortir de son assiette - მოთმინებიდან გამოსვლა, წონასწორობის დაკარგვა.
5. Mettre du beurre dans (ან sur) les (ses) épinards-წელში გამართვა, ფეხზე წამოდგომა, საქმეების გამოსწორება, სულის მოთქმა.
6. Faire son beurre (ან ses) beurres-ხელის მოთბობა.
7. Promettre plus de beurre que le pain - ოქროს მთების დაპირება.
8. Manger son bifteck - ენა გადაყლაპა, ენა მუცელში ჩაუვარდა.
9. S'embarquer sans biscuit -1. უსაგზლოდ გამგზავრება; 2. საქმის წამოწყება უსაფრთხოების ზომების მიუღებლად.
10. Servir un biscuit- მონიშნული კარტით თამაში.
11. Se manger le blanc des yeux- იჩხუბეს, იკამათეს, ერთმანეთს თვალები დათხარეს, ამოკორტნეს.
12. Garnir le bocal- მუცლის ამოვორვა, კუჭის ამოვსება.
13. Manger du bœuf- წელებზე ფეხის დადგმა.
14. Se crever de boire et de manger (ან se gorger de manger et de boire)- ჭამა-სმით სკდება.
15. Boire comme un chantre - ხარივით სვამს.
16. Ne faire qu'une (ან faire une) seule bouchée de - 1. ერთ ლუკმად გადაყლაპა;
17. სწრაფად, ერთი ხელის მოსმით, ერთი დაკვრით გააკეთა, ერთ ლუკმადაც არ ეყო.
18. Manger une bouchée - წახემსება, ლუკმის გატეხა.
19. Ne pas pouvoir avaler une bouchée- ეელში ლუკმა არ გადახდის.
20. Bouillie pour les chats - წყლის ნაყვა, ქვის კოდვა.

21. Faire boire un bouillon à qn- მოტყუება, გაცურება ვინმესი, პირში ჩაღის გამოვლება.
22. Pleurer à gros bouillon -ცხარე ცრემლის ღვრა, ტირილით თვალების დასივება.
23. Vous voulez prendre le café aux dépens de qn -სხვის კისერზე გინდათ ცხოვრება, მუქთა კუბოში გინდათ ჩაწოლა.
24. Tirer une carotte de longueur - ბანზე აგდება, საუბრის სხვა კალაპოტში გადაგდება.
25. Tirer une carotte-გამოტყუა, დასტყუა, გამოსცინცლა, თვალსა და ხელს შუა გამოაცალა.
26. Etre de la champagne pouilleuse- სიღარიბეში სული ამოსდის, შიმშილით სული ძვრება, ცივ ქვაზეა დარჩენილი.
27. Faire chou blanc- მარცხი განიცადა, ხელი მოეცარა, საქმე ჩაფუჭა.
28. Faire ses choux gras de ...- სარგებლის ნახვა, ხელის მოთბობა, ქერის ორმოში ჩავარდნა.
29. Répondre à qn chou pour chou- პასუხი მზადა აქვს, ენაზე ჭალი არ მოედება, სიტყვა არ დაეღევა.
30. Tonner sur les choux - სუსტის დაჩაგვრა, დაბალი ღობის ნახვა.
31. Presser qn comme un citron - ლიმონივით გამოწურვა ვინმესი.
32. Aller planter ses choux- გადასახლება, სოფლად განმარტოება.
33. Crêpages de chignon (s)- ქალების ჩხუბი, თმებით თრევა.
34. Casser la (ან une) croûte - ლუკმის გატეხა, წახემსება.
35. Gagner sa croûte (ასევე travailler pour la croûte)- ლუკმა პურის შოვნა, თავის გატანა.
36. Se ruer en cuisine - მუცლის ამოყორვა, ჭამით გასკდომა.
37. Avoir une belle cuite (ასევე avoir sa cuite, prendre une cuite)- ღვინოში ჩახრჩობა.
38. Se tester d'estomac - გაუბედავია.
39. Etourdir la grosse faim- შიმშილის მოკვლა, საჭმელს ითხოვს.
40. Manger à sa faim- ძლომამდე ჭამა, მუცლის ამოყორვა.
41. Rouler dans la farine- თვალში ნაცრის შეყრა, თვალის ახვევა.

42. Boulotter de la galette - ფულს ქარს ატანს, წყალში ყრის, ფლანგავს, აბნევს.
43. Claquer sa galette - მთელი ქონება შეჭამა, გაანიავა, ქარს გაატანა.
44. Faire passer le goût de qch - გემოს გამოკეთება, რისამე დაყოლება (მწარის, უგემურის შემდეგ), ყელის ჩაკოკლოზინება.
45. Faire passer (ან faire perdre le goût du pain à qn)-სული გააცხებინა, წუთისოფელს გამოასალმა.
46. Mettre qn en goût (ან donner le goût à qn) de (ან pour)-გემო გააგებინა, შეაყვარა, მიაჩვია.
47. Gris comme un cordelier (ან comme un Polonais)- გაღეწილია, უგუნოდ მოვრალია, ღვინით გახეთქილია, გამტყვრალია.
48. Être de la gueule (ასევე être porté sur la gueule)- გემრიელად ჭამა უყვარს, პირის გემო იცის.
49. Se souïler la gueule -გამობრუჟვა, დათრობა.
50. Manger en harpie - ხარბად ჭამა.
51. Manger l'huître et laisser les écailles-საუკეთესო ნაჭერი თვითონ გადაიღო.
52. Ivre mort (ან perdu) - უგონოდ მოვრალი, გადადებული მოვრალი.
53. Ivre comme une soupe (comme une tranche de pain mouillée de vin)-ღვინოში ჩამხრჩვალა, გაღეშილი, გამობრუჟული.
54. Se caler les joues- პირის გამოტენა, მაღიანად ჭამა, ღმურძლია.
55. Faire son jabot (se remplir le jabot)- მუცლის ამოყორვა, გასკლომა, გაძღომა.
56. Boire la joie - ხსნას ღვინოში ეძებს, დარდს ღვინით იქარვებს.
57. Bouillir du lait à qqn- ასიამოვნა, სასიამოვნო სიტყვები უთხრა, მიეპერფერა, აამა, თავზე ხელი გადაუსვა.
58. Il se croit pétri d'un autre limon que le reste des hommes- თავი მწვანე კიტრით მოაქვს, თავი მწვანე კიტრი ჰგონია, კუდი ყავარზე აქვს გადაებული.
59. Manger comme un maçon- ხარივით ჭამს.
60. Doubler la mâchoire- ხარბად ჭამს.
61. Manger comme un cochon - ღორივით ჭამა.
62. Manger comme un (gros) crevé - შესანსვლა, გასკლომამდე ჭამა, გატყვრომა.

63. Manger comme un loup (ან comme un ogre) comme un tigre-ხარბად ჭამა, მივარდა, საჭმელს ეცა.
64. Manger comme une mauviette (ან comme un moineau)-ჩიტივით, ბელურასავით ჭამს, იკიკნება.
65. Manger comme quatre (ან comme un bœuf, comme un maçon, comme un Hospitalier)-ხარივით ჭამს, ოთხის სამყოფს ჭამს.
66. Tirer les marrons du feu pour qqn- ვინმესთვის წყალში გადავარდნა, ცეცხლში ჩადგომა.
67. Faire aller (ან faire bouillir, faire marcher) la marmite (de ...) ასევე faire bouillir le pot - ოჯახის რჩენა შენახვა, თავის სარჩენი ფულის შოვნა.
68. Enlever à quelqu'un les morceaux de la bouche -საარსებო წყარო მოუსპო, პირიდან ლუკმა გამოაცალო.
69. Mâcher (manger les morceaux à qn) - დაუღეჭა და პირში ჩაუღო.
107. Manger l'huître et laisser les écailles- საუკეთესო ნაჭერი თვითონ გადაიღო.
108. Plein comme une huitre- უზომოდ მთვრალი.
109. Mangeur de soupe apprêté -მუქთახორა, მუქთამჭამელი, პარაზიტი.
110. Mangeuse de viande crue - ჟარგ. მეძავი.
111. Attraper les marrons- (მუშტები)მოხვდა, გვერდები დაუზიღეს.
112. Coller des marrons-მიბეგვა, დაჟუჟვა (მუშტებით).
113. Tirer les marrons du feu pour qn- ვინმესთვის წყალში გადავარდნა, ცეცხლში ჩადგომა (სიტყვასიტყვით „ვინმესთვის ცეცხლიდან წაბლის ამოღება“ ლაფონტენის იგავიდან „მაიმუნი და კატა“.
114. Morceau de pain - პატარა თანხა, მცირე შემოსავალი.
115. Pour un morceau (ან pour une bouchée de pain avoir, acheter, obtenir)-ორ შაურად, მუქთად, ჩალის ფასად.
116. S'amuser à la moutarde - სისულელეებით გართობა; უმნიშვნელო საქმეებით თაქეშეკცევა.
117. Faire monter la moutarde au nez à qn- ყელში ამოუყვანა, მოთმინება დააკარგინა, გააბრაზა.
118. Sucre la moutarde - მდგომარეობის, ნათქვამის გალამაზება, შერბილება.
119. Noix confite - სასიყვარულო თამაშები.
120. Noix dure à briser- კერკეტი კაკალი.
121. Vielle noix- ჩერჩეტი, შტერი, ბრიყვი.

122. A la noix-1. ცუდი, უხარისხო, ცუდად; 2. სულელი, სულელური.
123. En avoir noix- ბევრი სამკაულის, ძვირფასეულობის ქონა.
124. Marcher sur des noix-ძლივს დადის.
125. Ce sont des noix - სისულელეა, ტყუილი, ფუჭი დაპირება.
126. C'est du nougat (ან fraindise, profit facile, c'est du nanon, du gateau, de la tarte)- 1. ეს ძალიან ადვილია; 2. მუქთად ხელში ჩაგდება.
127. Œuf nain - კვერცხი გულის გარეშე.
128. L'œuf du Colomb- ამის გაკეთებას რა უნდა, ამის მოფიქრებას რა უნდა.
129. Œuf au (ან sur le) plat Œuf au miroir - აუთქვეფელი, ჩახლილი ერბოკვერცხი.
130. Aux œufs ძალიან კარგად, მშვენივრად.
131. Depuis les œufs jusqu'aux pommes - თავიდან ბოლომდე, ანიდან ჰომემდე.
132. Avoir des œufs de fourmis sous les pieds -ფეხები ექავება, მოგზაურობის უინითაა შეპყრობილი.
133. Casser son œuf (ან ses œufs)- მუცლის მოწვევტა, ფესმიძიმობის უდროოდ შეწვევატა.
134. Couvrir (ან pondre sur) ses œufs - რენტით ცხოვრობს, კაპიტალის დივიდენდით ირჩენს თავს.
135. Écraser (ან étouffer, tuer) dans l'œuf -მოკვლა, ჩანასახშივე მოსპობა, დასაწყისშივე აღკვეთა.
136. Faire d'un œuf un bœuf- ბუზის სპილოდ მონვენება, გაზვიადება.
137. Marcher sur les œufs - დიდი სიფრთხილით მოქმედება, დიდი წინდახედულება.
138. Avoir l'air de marcher sur des œufs - გაუბედავად, ფრთხილი ნაბიჯით სიარული.
139. Il marcherait sur des œufs sans en casser un - ძალიან მსუბუქად დადის.
140. Mettre tous ses œufs dans un (ან dans le meme panier) -რისკზე წასვლა, საფრთხეში ჩაგდება რამისა.
141. Gagner son pain (ან sa vie) à la sueur de son front (ან de son corps)- ლუკმა-პურს საკუთარო ოფლით შოულობს.
142. Lâcher un pain - ჰაერის გაფუჭება.

143. Manger le pain de qn (ასევე manger du pain d'un autre)-1. სხვას ემსახურება; 2. სხვის ხარჯზე ცხოვრობს, სხვისი ფულის შემყურეა, სხვის პურსა ჭამს.
144. Ne pas manger de ce pain (là) - ამაზე არ წავაღ.
145. Manger (de)plus d'un pain- 1. საღ არ ყოფილა, რა არ უნახავს, ბევრის მომსწრეა, გამოცდილია; 2. რა არ იღონა, რა ხერხს არ მიმართა.
146. Ne manger que d'un pain- ერთფეროვნად ცხოვრობს, მოწყენილია.
147. Manger son pain à la fumée du rô- უყურებს და ნერწყვს ყლაპავს.
148. Manger son pain dans sa (ან la) poche (ან dans son sac)- 1. ძუნწია, ხელიდან ვერაფერს გააგდებინებ; 2. მალულად, ქურდულად ჭამს; 3. კარჩაკეტილია, პურაძვირია.
149. Manger du pain sec- ხმელ პურზე ყოფნა.
150. Mandier son pain (ან sa vie)- მათხოვრობა, კარდაკარ სიარული, ხელის გაშვერა.
151. Mettre à qn le pain à la main- ლუკმა-პურის მიცემა, საარსებო სახსრის გაჩენა (ვინმესთვის).
152. S'ôter le pain de la bouche pour qn - პირიდან ლუკმას იღებს და უყოფს, უკანასკნელ ლუკმას უყოფს.
153. Partage le pain et le sel de l'amitié - პურმარილის გაზიარება.
154. Pleurer le pain qu'on mange- ჯამში ჩაეტირება, ხელიდან ვერაფერს გააგდებინებ.
155. Rompre le pain avec qn -პურის გატეხა ვინმესთან ერთად, პურმარილის გაზიარება.
156. Savoir (plus que) son pain manger, il sait son pain manger -თავს არ შეირცხვენს, სახელს არ გაიტეხს (თავზე ლაფს არ დაისხავს).
157. C'est du pain bien dur - 1. ლუკმა-პურის შოვნა ძვირი უჯდება, თავს ძლივს ირჩენს; 2. მოთმენა, გადაყლაპვა მოუწევს.
158. C'est du pain bien long - ღმერთმა იცის როდის ...
159. Cela ne mange point de pain- პურს და წყალს არ ითხოვს (ითქმის წიგნებსა და ისეთ ნივთებზე, რომელთა შენახვაც ძვირი არ ჯდება).
160. Il y a là un (bon) pain manger - ამაზე ხელის მოთბობაც შეიძლება.

161. Le petit pain des noces dure encore - ახლაც ისევე უყვართ ერთმანეთი, როგორც ქორწინების დღეს უყვარდათ.
162. Avoir (sa) part au gâteau- წილი აქვს, სარგებელი ეკუთვნის.
163. Pâte molle- ჩვარი, ჭობიო, უნებისყოფო ადამიანი.
164. Une bonne (ან excellente) la meilleure pâte d'homme - კეთილი, გულითადი ადამიანი.
165. Avoir de la pâte à modeler dans la tête- დაბნეულია, თავგზა აქვს არეული
166. Gros pâte - ბუთხუზა.
167. Pâté de maison- კვარტალი, სახლების ჯგუფი.
168. Y a une couille dans le pâté - მოულოდნელი თესატეხია.
169. Donner la pâtée à- დაპურება (ცხოველების, ფრინველების ბავშვის ენაზე).
170. Blancheur persil- ქათქათა თეთრი.
171. Aller au persil (ასევე faire son persil)- 1. ბულონის ტყეში სეირნობს, მოდურ, მდიდრულ ადგილას სეირნობა; 2. კლიენტის გამოჭერა (ითქმის ქურდზე ან მეძავზე).
172. Grêler sur le persil- 1. დაბალი ღობის მოძებნა; 2. დაწვრილმანება.
173. Vouloir faire son persil - შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი.
174. Plat du jour- კერძი, რომელიც მუდამ აქვთ (კაფეში, რესტორანში).
175. Plat (ან pièce) de resistance- ძირითადი კერძი, შემწვარი ხორცი.
176. Un (très ) bon plat- კარგი კომპანია, კარგი საზოგადოება.
177. Un fort méchant plat- საძაგელი ტიპი.
178. (Bien) chasser au plat- 1. ნანადირევის ჭამა; 2. მაღიანად ჭამა, ყბების ქნევა, ღმურძვლა, 3. მესუფრობა.
179. Donner (ან servir) à qn un plat de son metier (ან de sa façon)-  
4.1. შესაძლებლობების წარმოჩენა; 2. ოინის მოწყობა (ვინმესთვის).
180. En faire un plat - 1. თავის მობეზრება, ასევე en faire tout un plat გაზვიადება, კულის გამობმა; 3. il en fait un plat რა სიცხეა, კვერცხი შეიწვება.
181. Faire les plats nets (ასევე nettoyer les plats)- თევზის მოკრიალება, მოსუფთავება.
182. Faire trois plats (ან pot) dans les grands -ზარ-ზეიმით მიღება (ვინმესი).

183. Pêcher au plat- სხვის ხარჯზე გამოთრობა.
184. Plein comme un œuf- 1.სავსე, გაჭედილი, ნემსიც არა ჩავარდება; ასევე plein comme un boudin ან comme un sac - მთვრალი, გამომტყვრალი.
185. Manger de pois chauds- ენა მუცელში ჩაუვარდა (მორცხვობის, დაბნეულობის გამო).
186. Souffler des pois- 1. ფშვინვა (ძილში), 2. თავი მოაქვს, ცხვირს მაღლა სწევს.
187. Je ne lui ai pas vendu de pois qui ne veulent pas cuire- მე რა შუაში ვარ.
188. Moudre du poivré- ლასლასი, ფეხების თრევა.
189. Piler du poivré- 1. ადგილის ტკეპნა; 2. ცხენზე უხეიროდ ჯდომა.
190. Cela est poivré- ცეცხლის ფასი ღირს, ცეცხლი უკიდია.
191. Va t'en faire cuire un œuf- მომშორდი თავიდან.
192. Pain béni- სეფისკვერი, ნაკურთხი პური.
193. C'est pain béni- 1. ასე მოუხდება; 2. კიდევ კარგი, რომ.
194. Pain dérobé - აკრძალული პური.
195. Pain quotidien- 1. პური არსობისა; 2. დღიური ლუკმა, ლუკმაპური; 3. ხელფასი.
196. Comme des petits pains - (იხმარება ზმნებთან se vendre, s'écouler, partir) კარგად.
197. Long comme un jour sans pain- უსაშველოდ გრძელი.
198. Au pain sec (იხმარება ზმნებთან être, mettre)-ხმელ პურზე.
199. Pain des anges - ზიარება.
200. Pain de la parole (de Dieu)- ქრისტიანული მოძღვრება.
201. Pain du roi- ციხის ულუფა.
202. Manger du pain du roi- 1. ციხეში ჯდომა, ციხის ხეხვა; 2. სამხედრო სამსახურში ყოფნა.
203. Manger de pain mollet - აზიზი არსება, ხელისგულზე სატარები, ნაფერები, ნალოლიავეები.
204. Au pain et à l'eau - ცარიელ პურზე და წყალზე.
205. Être au pain et à l'eau- ცარიელ პურზე და წყალზე, მარხულობს.
206. Mettre qn au pain et à l'eau - წყალზე და პურზე დასმა (ვინმესი).



207. Vivre au pain et à l'eau- ცარიელ პურზე და წყალზეა, შიმშილით კუჭი უხმება.
208. Du pain et des jeux-პური და სანახაობა.
209. Avoir le pain et le couteau -არაფერი აკლია, ჩიტის რძეც კი არ აკლია, ქვაცა აქვს და კაკალიც.
210. Avoir son pain cuit (ან assuré) -ლუკმაპური განადღებული აქვს, სვალინდელი დღე არ აშინებს.
211. Avoir du pain (cuit) sur la planche -1. დუღს და გადმოდის; 2. თავშენახულია; 3. საქმე თავზე საყრელად აქვს.
212. Chercher son pain - ღარიბ-ღატაკია; თავი ძლივს გააქვს, ცხოვრებას მიაჩანხალებს.
213. Coller (flanquer un pain sur la gueule) à qn - სილა გააწნა, ალიყური აჭამა.
214. Défendre son pain -საკუთარ ინტერესებს იცავს, თავს არავის აჩაგვრინებს.
215. Donner plus de pain qu de beurre - გულუხვი არ ეთქმის, ხელმოჭერილია.
216. Emprunter (prendre) un pain sur la fournée - უკანონო შვილი ჰყავს.
217. Enlever (ôter, retirer) le pain de la main à qn- პირიდან ლუკმის გამოცლა.
218. Gagner son pain – ლუკმა-პურის შოვნა, თავის რჩენა.
219. Dans le potage- უხერხულ მდგომარეობაში.
220. Être dans le potage-უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნა.
221. Pour tout potage-მხოლოდ და მხოლოდ, სულ ეს.
222. Verser le potage à la seringue- კურკაწონიაა, ხელიდან ვერაფერს გააგდებინებ, ზამთარში თოვლი დაეღევა.
223. Purée de pois - სქელი ნისლი.
224. Purée septembrale - ღვინო (გამოთქმა ეკუთვნის რაბლეს).
225. Être dans la purée –ჯიბე გამოფხეკილი, გროში არ გააჩნია.
226. Purée de nous autres-ვაი, ჩვენი ბრალი.
227. Le rôti brûle - დრო არ ითმენს.
228. Salade russe- 1.ვინიგრეტი, 2.გაუგებრობა, დომხალი; 3. ჩხუბი, აყალმაყალი, ორომტრიალი, მეორედ მოსვლა.
229. En salade -არეულ-დარეულად.

230. Sucre la tarte - გაპუდვრა.
231. C'est la tarte - ამას რა უნდა.
232. C'est pas de la tarte - არც თუ ისე ადვილია.
233. Être (rouge) comme une tomate- 1. ჭარხალივით წითელი; 2. დარცხვინილი.
234. Rester comme une tomate - გაოგნებულია, გაოცებულია, დათრგუნულია.
235. Viande creuse -1.მჭლე ხორცი; 2. არაყუათიანი საკვები;3. საუბ. ფუჭი იმედი.
236. Viande froide - გვაში, ლეში, მძორი.
237. Sac à viande -სადილე ტომარა.
238. Mettre la viande dans les torchons- დასადინებლად წასვლა, დაწოლა.
239. Vivre de sa viande-საკუთარი სხეულით ვაჭრობა, პროსტიტუცია.
240. Aboule (ან amène, apporte) ta viande - ფეხი გამოადგი, აქეთ წამოდი.
241. Ce n'est pas viande pour vos oiseaux - თქვენ ამას ვერ შეძლებთ, ვერ შეწვდებით.
242. Ce n'est pas du sucre-შენ ჭკუაზე ვერ ატარებ.

### ანტროპონიმების კონცეპტების შემცველი კერძების დასახელებები

1. Gâteau Marie-Louise-მარი ლუიზას ნამცხვარი.
2. Gâteaux de volaille à la Tourville- ტურვილის ფრინველის ნამცხვარი.
3. Cotelette de volaille Agnès Sorel-ანეს სორეს ფრინველის ნეკნი.
4. Panaché Chateaubriand- შატობრიანის პანაშე .
5. Filet de poularde à la Mazarine-ფილე მაზარინის (ქათმის ფილე).
6. Salade à la Bagration-ბაგრატიონის სალათი.
7. Tortue à la Victoria- ვიქტორიას კუ.
8. Bâton de Charles VII- შარლ VII-ის ბატონი (პური).
9. Meringue à la Sardanapale -ძალიან მსუბუქი ნამცხვარი.
10. Gâteau à la Gorenflot-გორენფლოს ნამცხვარი.
11. Salade à la Dumas-სალათა დიუმასებურად.
12. Crème à la reine Christine-დელოფალ ქრისტინეს ნაღები.

13. Bombe à la Dame de Montsoreau-ქაღბატონ მონსოროს სახელობის ნაყინი
14. Écrevisses à la d'Artagnan - დარტანიანის ხამანწკები.
15. Bouchées à la reine Margot - დედოფალ მარგოს სახელობის ნამცხვარი.
16. Filet de bœuf à la Monte-Cristo- მონტე კრისტოს სახელობის საქონლის ფილე.
17. Sauce Colbert- კოლბერის სოუსი.
18. Côtelettes de veau à la Robert Peele- რობერ პილის ხბოს რბილი ხორცი.
19. Manchon de veau à la Gérard - ჟერარის სახელობის ხბოს ხორცი.
20. Sauce Robert-რობერის სოუსი.
21. Côtelettes de sanglier à la Saint-Hubert- შმინდა უბერის ტახის რბილი ხორცი.
22. Potage Vuillemot-ვიემოტის წვნიანი.
23. Potage à la Benoy- ბენოის წვნიანი.
24. Pigeon à la Gautier- გოტიეს სახელობის მტრედი.
25. Omelette au thon de Brillat-Savarin - ბრია-სავარენის სახელობის ომლეტი  
თონთან ერთად.
26. Potage à l'oignon Vuillemot- ვიემოტის ხახვის წვნიანი.
27. Œufs au père Douillet-მამა დუიეს კვერცხები.
28. Œufs au lard à la vis Coigny-კოინის სახელობის კვერცხი ღორში.
29. Perdreau à la Cimarosa-სიმაროზას კაკაბი.
30. Tête de veau à la Girardin-ჟირარდენის ხბოს თავი.
31. Poulet nouveau à la nelaton -ნელატონის სახელობის წიწილა.
32. Jambon à la reine Victoria -ლორი დედოფალ ვოქტორიასებურად.
33. Cochon de lait à la Washington- ვაშინგტონის ღორის რძე.
34. Oie à la don Carlos - ბატი დონ კარლოსისებურად.
35. Filet de bœuf à la Jules Cesar- იულიუს ცეზარის ხორცის ფილე.
36. Filet de turbot au prince Humbert -პრინც უბერის სახელობის ფილე.
37. Gigot de mouton à la Jean-Jacques Rousseau – ჟან-ჟაკ რუსოს სახელობის ცხვრის  
ბრკალი.
38. Pièce de bœuf à la Napoleon III – ნაპოლეონის სახელობის საქონლის ნაჭერი.
39. Petits sufflés à la Cellini – სელინის სახელობის სუფლე.
40. Bâton à la Palmerston - პალმერსტონის სახელობის ბატონი.

41. Soufflés à la marque Aurele - მორელის სუფლე.
42. Rots Oie à la Nelson– ნელსონის სახელობის ბატისგან მომზადებული კერძი.
43. Homard à la Borgia - ბორჯიას სახელობის ასთაკვი
44. Mayonnaise de thon à la Vespucci - ვესპუჩის სახ. თევზი მაიონეზში მომზადებული.
45. Timbales d’huîtres à la Raphaël – რაფაელის სახ. ხამანწკები.
46. Chaud-froid de caille à la Charles-Albert - შარლ ალბერის ცივად მომზადებული მტრედი.
47. Pain de caneton à la Michel Ange -წმინდა მიქაელის იხვისებური პური.
48. Saumon à la don Juan-სომონი დონ ჟუანისებურად.
49. Croustade de gibier aux Trois mousquetaires – სამი მუშკეტერის სახელობის ნანადირევისგან მომზადებული კერძი.
50. Perdrie rouge à la Maréchal Ney- მარშალ ნეის წითელი კაკაბი.
51. Godiveau la Richelieu - რიშელიეს სახ. გარნირი.
52. Fraise de veau à la Brissac - ხბოს ხორცი მარწყვით ბრისაკისებურად.
53. Brésolles – რაგუ.
54. Asperges à la Pompadour - სატაცური პომპიდესებურად.
55. Artichauts à la Grimod de la Reynière - გრიმო დე ლა რეინიერის არტიშოკი
56. Flan d’abricots à la Metternich - გარგარის კრემი.
57. Potage à la d’Artois à l’essence de racines - წვნიანი თეთრი ლობიოთი და შემწვარი ბატკნის საკაზმით.

ფრანგული გასტრონომიული ანდაზები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი ქართული შესიტყვებებით

1. A bon vin point de bouchon - კარგ ღვინოს საცობი არ უნდა;

\* <sup>91</sup>კარგ ღვინოს რეკლამა არ სჭირდება.

2. A bon vin bon Latin - როგორც ხელფასია, ნახელავიც ისეთია.

3. A bon vin il ne faut point de bouchon ; A bon vin point d’enseigne - \*კარგს ქება არ უნდაო; კარგი ისედაც კარგიაო; კარგი კაცი სარკეაო; საქმემან შენმან გამოგაჩინოსო.

---

<sup>91</sup> ქართული ეკვივალენტი.

4. A bonne faim il n'y pas mauvais de pain - ძლიერი შიმშილის დასაკმაყოფილებლად ცუდი პური არ არსებობს ; \*თუ კი გშია ზაქარია, ცუდი მჭადიც შაქარიაო; შიმშილმა სანუკვარი არ იცის და ძილმა სასთუმალიო; მშიერი პურსა აქებდა, უმსა და უმარილოსაო.
5. A chair de loup, sauce de chien - მგლის ხორცს ძაღლის კბილები სჭირდება; \*სოლი სოლით ამოიღებო; დიდ ნადირს დიდი ნაგაზები ჰყეფენო; დიდ საღუღარს დიდი სარქველი უნდაო; დიდ ცეცხლს დიდი ბერვა უნდაო; დიდ ქვაბს დიდი ქაფქირი უნდაო.
6. A chaque bon sa marotte (chacune sa marotte)- ყოველ სულელს თავისი აკვირებული აზრი აქვს; \*ყველა თავისებურად გიჟდებაო; კაცია და გუნებაო, თავში ებრაგუნებაო.
7. Grasse cuisine pauvreté voisine - სიღარიბე სიმდიდრის მეზობელია; \*მთელ დღესა მოქეიფესა არ დარჩა რა ვახშმადო.
8. A la faim tout est pain - შიმშილობისას ყველაფერი პურია.
9. Après bon vin, bon cheval- ღვინო ადამიანს მეტ გამბედაობას აძლევს.
10. Après grand banquet, petit pain - დიდი წვეულების შემდეგ, მხოლოდ პურის პატარა ნატეხი დარჩა; \*გუშინ ჰქონდა წვეულება, დღეს პურიც არ ეგულება; მთელ დღესა მოქეიფესა, არა დარჩა რა ვახშმადა.
11. A table bien servie beaucoup d'amis - გაშლილ სუფრაზე ყველა შენი მეგობარია.
12. Au pauvre un œuf vaut un bœuf- ღარიბისთვის ერთი კვერცხი ერთ ხარად ღირს; \*ოდეს მაშვრალს მოწყურდების, მაშინ წყალი ღვინოდ ღირსო.
13. Aux bonnes fêtes les bons coups- კარგ დღესასწაულებს, ძლიერი დარტყმები მოჰყვება; \*ორაგული თუ გინდა, ტანიც სველი გინდოდესო; წყალში დაუსველებლად თევზი არ დაიჭირებაო.
14. A ventre plein toute viande est amère - საესე მუცელს ყველა ხორცი ემწარება; \*მაძღარს გემო წაუხდებაო; ბალი წვერში გამწარდებაო.
15. Avoir du pain quand on n'a pas de dents - კაკალი მაშინ მიუტანეს, როცა კბილები აღარ ჰქონდა.
16. Avoir un grain (de folie dans la tête)- გამოსულელება, გამოტვინება; თავის ჭკუაზე არააო.
17. Battre l'eau avec un bâton - ჯოხით წყლის ნაყვა; \*წყალი ნაყეს, ნაყეს და ისევ წყალი დარჩაო; წყალი რამდენიც გინდა ნაყო, მაინც წყალიაო.

18. Belles paroles ne fait pas bouillir la marmite - ლამაზი სიტყვები ქვებს არ აადუღებს; \*ცარიელი სიტყვით ვალს ვერ გაისტუმრებო; ყეფითა და ყვირილითა სოფელი არ აშენდებაო.
19. Belle vigne sans raisin ne vaut rien - ლამაზი ვაზი ყურძნის გარეშე რა მოსახმარია; \*შორიდან მტერს მოუკლავს გულს, ახლოდან მოყვარესო.
20. Bon accueil vaut bien un mets - კარგი მიღება კარგ კერძს სჯობია; \*ტკბილი სიტყვა რკინის კარს გაადებსო; ტკბილი სიტყვით მთამ ირემი მოიწველაო; ტკბილი ენის მქონე კრავმა დედაც მოიწოვა და არა დედაცაო.
21. Bon fruit vient de bonne semence - კარგი ნერგისაგან კარგი ხილი გამოვა; რასაც დასთეს, იმას მოიმკიო; \*კაცი რასაც დასთესს ღმერთიც იმას მისცემს; რასაც გაასესხებ, იმასვე ჩაისესხებო ; კარგი თესლი კარგ მიწაში არ დაღპებო; კარგ მოხნულზე თესლი ერთიანად მოიმკებო.
22. Bon vin donne bon vinaigre- კარგი ღვინო კარგ ძმარს იძლევა; \*კაი ყმის ნასახლარში ყორე არ დაიშლება და შეშა არ გათავდებაო; კაი კაცის ნაცოლარი, კაი ღვინის ნაძირალი.
23. Bouche de miel cœur de fiel - ენამოთაფლული, მაგრამ გულმოწამლული; \*თეთრი კბილი და შავი გულიო; შავ გულს თეთრი კბილი ფარავსო; ენით ცხვარია, საქმით ცხარეაო.
24. Casser la (une) croûte - წახემსება, წასაუზმება; \*ჭიის მოკვლა.
25. Cela ne vaut pas un trogne de chou- კომბოსტოს მურკადაც არ ღირს; გახვრეტილ გროშად არ ღირსო; არაფრად არ ღირსო.
26. Celui louer devons de qui le pain mangerons - ვის პურსაც ვჭამთ ის უნდა ვაქოთ; \*ძალდი საყასბოს არ მოშორდებაო; ვის პურსაც ჭამდე, იმისივე ხმალი მოიქნო; ძალდი სადაც სალაფავს სვლეპავს, იქვე ყეფავსო; ძალლო ვისთვის ყეფხარო: ვის კარზედაც ვწევარო; ძალდი სადაც თქვლეფსო, იქა ყეფსო.
27. Celui qui mange les durs, mangera les murs- ვინც მკვახეს ჭამს, ის მწიფესაც შეჭამს; \*ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა; სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების.
28. Celui qui veut tirer le miel de la ruche ne doit craindre les pique - ვისაც სკიდან თაფლის გამოღება უნდა, მას არც ფუტკრის კბენის უნდა ეშინოდეს;\* ვისაც თევზი უნდაო, ფეხიც სველი უნდაო.

29. Ce n'est pas le tout que des choux, il faut encore de la graisse - ნაფოტისაგან შეჭამანდს, ვერ დაამზადებ; \*ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.
30. Ce n'est pas viande pour nos oiseaux - ეს ხორცი ჩვენი ჩიტების საჭმელი როდია; \* არა შეჯდა მწვერი ხესა, არა იყო გვარი მისიო.
31. Ce n'est pas pour vous que le four chauffe - თონე თქვენთვის არ ხურდება; \*შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯგარი დამიწერეო; შენი ხმელი პური გერჩიოს სხვის ფლავსაო; შენი ჯაგლაგი გერჩიოს სხვის ბედაურსაო.
32. Ce qui ne cuit pour vous, laissez-le brûler - რაც თქვენთვის არ იწვის, გაუშვით დაიწვას; \*ჩემი ურგები ქოთანი ქვასაო და შეჭამანდი ძალღსაო; ურგები შვილიც წყალსაო.
33. C'est au fruit qu'on connaît l'arbre - \*ხე ნაყოფით იცნობაო.
34. C'est de la moutarde après (le) dîner - ვახშმის შემდეგ მდოგვი; \* მოლა რომ მოკვდა, ფლავი მაშინ მიუტანესო.
35. C'est du pain bien long - ლოკოკინა მოდის, მაგრამ ვინ იცის, როდის მოვა.
36. C'est la faim qui épouse la soif - შიმშილი წყურვილზე იწერს ჯვარს. \*მკვდარი მკვდარს აეკიდა სამარემდის მიმიტანეო.
37. C'est la moutarde après le dîner - სადილის შემდეგ მდოგვი; \*მკვდარს რაღას არგებს წამალიო; მოლა მოკვდა და საფლავში ფლავი ჩააყარესო.
38. C'est viande mal prête un lièvre en buisson - აღდგომა და ხვალეო \*ბავშვი არ დაბადებულყო და აბრამს არქმევდნენო.
39. Chaque vin a sa lie - კარგ ღვინოსაც ლექი აქვს.
40. Crier famine sur un tas de blé - ბევრი ხორბლის მქონე მშიას იძახდა ; \*ფუტკარს თავი თაფლში ეღო, კიდევ თაფლს ეძებდაო; წყალში ვღვევარ, მაგრამ მაინც მწვეურიო.
41. Croûte de pate vaut bien pain - ნამცხვარს ქერი სჯობია უბრალო პურს.
42. De bon vin bon fin, de bonne terre bon pépin - კარგ ცხოვრებას კარგი ბოლო ექნება, კარგ მიწას კარგი მარცვალი; \*რასაც დასთეს, იმას მოიმკიო; კაცი რასაც დასთესს, ღმერთიც იმას მისცემსო.
43. De mauvais grain jamais bon pain - ცუდი ხორბლისგან კარგი პური არ გამოვა; \*უჯიშოსგან ჯიშიანი არ ნახულა, არ იქნებისო; თუ ქერს დათესავ, ხორბალი არ ამოვაო.

44. *Donnez des fèves pour des pois* - ლობიოს გაცემა ცერცვის მისაღებად ; \* პატარა ძღვენო სად მიხვალო სადაც დიდს გამოველიო.
45. *D'un sac charbon, il ne saurait sortir blanche farine*- ნახშირის ტომრიდან თეთრ ფქვილს ვერ გადმოყრი; \* კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების.
46. *Eau stagnante devient puante* - დამდგარი წყალი ყროლდება; \* მგორავ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო; წყალი რომ დაგუბდება – აყროლდებაო.
47. *Eau trouble gain du pêcheur* - მღვრიე წყალი მეთევზისთვის ხეირია; \*მღვრიე წყალში თევზი ადვილად დაიჭირებაო.
48. *Elle fait bien valoir ses choux* - ის ძვირად აფასებს თავის კომბოტოს; \*თავს იწონებს მწვანე კიტრიო; თავის ქება კიტრად ღირსო.
49. *Être le chien du jardinier qui ne mange point de choux et n'en laisse pas manger aux autres* - მებაღის ძაღლი კომბოსტოს არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს; \*ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევსო; დათვი მეველედ დადგა, არც ვინ შეუშვა და არც ვინ გაუშვა.
50. *Faute de pain on mange de la brioche* - უპურობის გამო ფუნთუშას ჭამენ.
51. *Homme affamé ne pense qu'à faim* - მშიერი კაცი მხლოდ პურზე ფიქრობს; \* მშიერ ქათამს ყველგან ფეტვი ელანდებოდაო; მელას ძიღშიაც ქათამი ესიზმრებოდაო.
52. *Homme seul est viande à loup* - მარტოხელა კაცი მგლის ლუკმაა; \*ძალა ერთობაშია; მარტოხელა კაცი ჭამაშიც ბრალიაო.
53. *Il a mangé de plus d'un pain* - მას ბევრი აქვს ნაჭამი; \*ბევრის მომსწრე ვარო: ჩემს თავზე მარტო წისქვილის ქვა არ დატრიალებულაო.
54. *Il attend que les alouettes lui tombent toutes rôties dans la bouche* - ელის როდის ჩაუვარდება შემწვარი ტოროლა პირში; \* თავისით არაფერი მოვაო; წყალი რომ წყალია იმასაც მოტანა უნდაო.
55. *Il est bête à manger du foin* - ისე სულელია, რომ შეიძლება თივა ჭამოს; \* ბატისტვინააო; დიდი ნიჭის პატრონი არ არისო, დიდი ჭკუის არ არისო.
56. *Il est comme la mouche du pape qui ne boit et ne mange qu'à ses heures* - ის მაშინ ჭამს და მაშინ სვამს, როცა მოეპრიანება.
57. *Il faut garder une poire pour la soif* - წყურვილის დასაკმაყოფილებლად ერთი მსხალი უნდა შემოინახო; \*ახალგაზრდობით მოგებული, სიბერის დროს ხმალიაო, სიჯიელით მოგებული, დაკეცილი ქამხაო .



58. Il faut travailler qui veut manger - ვისაც ჭამა უნდა, უნდა იმუშაოს  
\*ვინც არ გაირჯებაო, პურსაც ვერ მისწვდებაო; ვინც არ შრომობს, არც ჭამსო.
59. Il ne faut pas dire : Fontaine, je ne boirai pas de ton eau -არ უნდა თქვა: ამ წყაროს წყალს არ დავლევო; \* ნუ ჩააფურთხებ წყაროში, თორემ კიდევ მოგწყურდებაო; ყველა წყალში, რომ ჩააფურთხო, რომელიღაც უნდა დალიო; ქაჩალი ისე არ მოკვდება, დალაქი არ დაჭირდესო.
60. Il ne faut pas manger son blé en herbe - მოწვეამდე ხორბლის ჭამა არ შეიძლება; \* მოსაცალს მოცდა უნდაო.
61. Il ne faut pas mettre tous les œufs dans le même panier - ყველა კვერცხს ერთ კალათაში ნუ ჩააწყობ; \*დიდ რისკს ნუ გასწევო; სიფრთხილეს თავი არ სტკივაო.
62. Il n'est bon ni à rôtir, ni à bouillir - არც შესაწვავად ვარგა და არც მოსახარმად; \* არც წყალია, არც ღვინო; არც თევზია, არც ხორციო; არც თავისთვის უქნია ღმერთს, არც ღვთისთვისო.
63. Il n'est pire que l'eau qui dort - ყველაზე ცუდი მდორე წყალია; \* ჩუმჩუმა და კუდაგრძელაო; ცეცხლს ნუ ეხუმარები და წყალს ნუ ერწმუნებო.
64. Il n'y a pas (point) de viande sans os - უძველოდ ხორცი არ შეიძლება; \* ვარდი უეკლოდ არავის დაუკრეფიაო.
65. Il sait de quel côté son pain est beurre - მან იცის, რომელი მხრიდან აქვს მის პურს კარაქი წასასმელი; \*მან იცის, სად მარხია ძაღლის თავიო.
66. La (plus) belle cage ne nourrit pas l'oiseau - ლამაზი გალია ჩიტს ვერ გამოკვებავს; \* შენი ჭირიმეთი შვილი არ გაიზრდებაო.
67. La chair nourrit la chair - ხორცი ხორცს კვებავს; \* ხორცი ყველაზე უფრო მასაზრდოებელი საჭმელიაო.
68. La faim est le meilleur assaisonnement - შიმშილი საუკეთესო საწებელია; \* შიმშილმა „ხმელა“ არ იცის და სიცივემ „ძველა“; თუ კი გშია ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარიაო.
69. La faim chasse le loup hors du bois - შიმშილი მგელს ტყიდან ერეკება; \* გაჭირვებული კაცი ზღვას გავაო; გაჭირვება აღმართში აგახტუნებსო; გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო; გაჭირვებამ მტრის კარს მიმიყვანაო.
70. La faim est mauvaise conseillère - შიმშილი ცუდი მრჩეველი.

71. La faim épouse la soif - შიმშილი წყურვილზე თხოვდება; \* ღარიბს ღარიბი ითხოვსო.
72. La faim regarde la porte de l'homme laborieux, mais elle n'ose pas entrer - შიმშილი მშრომელი კაცის სახლში იხედება, მაგრამ შიგ შესვლას ვერ ბედავს; ერთგული შრომა სიღარიბის მტერია.
73. La sauce fait manger (passer) le poisson (la sauce vaut mieux que le poisson)- საწებელი თევზს ჯობია.
74. La soupe fait le soldat- კარგ ულუფაზე მეოფი ჯარისკაციც კარგია.
75. Le bon vin fait le bon vinaigre - კარგი ღვინოსგან კარგი ძმარი დადგება; \* კარგმა მარცვალმა კარგი მოსავალი იცისო.
76. Le feu se coupe de son couteau - საკუთარი დანით გამოიჭრის ყელს; \* სულელს ბასრი იარაღი არ ენდობაო; სულელი სულელად დარჩებაო.
77. Le fruit ne tombe jamais loin de l'arbre - ნაყოფი ხისგან შორს არ ვარდება; \* კვიცი გვარზე ხტისო; კვიცი იყიდე და დედა უკითხეო.
78. Le fruit pourri ne pourrit pas l'arbre - დამპალი ვაშლი ხეს არ აფუჭებს; \* ერთი გონჯი ყველა ოჯახში არისო
79. Le vin délie la langue - ღვინო ადამიანს აალაპარაკებს; \* რაც ფხიზელს გულში აქვს, ის მთვრალს ენაზეო; ღვინო კაცს სწორეს ათქმევინებსო.
80. Le vin noie de gens que l'eau - ღვინო უფრო მეტ ადამიანს აღრჩობს, ვიდრე წყალი; \* ღვინომ ქვევრი გახეთქა და კაცს რაღას უზამსო; ღვინო ქვევრსაც ხეთქავსო.
81. Les bons vins coulent agréablement - კარგი ღვინო კარგი დასალევია.
82. Les gros poissons mangent les petits - დიდი თევზები პატარა თევზებს ჭამენ; \* დიდი პატარას ჩაგრავსო; დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალიო.
83. Les mains noires font manger le pain blanc - შავი ხელები თეთრ პურს გვაჭმევს ; \* მხენელს შავი ხელები აქვს, მაგრამ თეთრ პურს ჭამსო.
84. Les maris sont comme les melons, il faut en essayer plusieurs pour trouver un - ქმრები როგორც საზამთროები რამდენიმე უნდა შეამოწმო, სანამ კარგს იშოვიდე.
85. Les morceaux caquettes se digèrent plus aisément - სადილობისას საუბარი ძალია სასარგებლოა.

86. L'amour fait perdre le repas et le repos - სიყვარული ძაღასაც დაგაკარგვინებს და მადასაც; სიყვარული გონებას არ ემორჩილებაო.
87. L'âne de la montagne porte le vin et boit de l'eau - ვირი ღვინოს ზიდავს და წყალს სვამს; \* ერთი მუშაობს, მეორე ჭამსო
88. L'appétit et le meilleur cuisinier - მადა საუკეთესო მზარეულიაო; \* შიმშილი საუკეთესო მზარეულიაო.
89. L'appétit vient en mangeant - \* მადა ჭამაში მოდისო.
90. L'eau va (vient) toujours à la rivière - წყალი ყოველთვის მდინარისაკენ მიედინება; \* წყალი წყლისკენ მიდისო; წყალი ნაგუბარში ჩადგებაო.
91. L'hiver mange le printemps, l'été et l'automne - ზამთარი ჭამს გაზაფხულს, ზაფხულსა და შემოდგომას; \* ზაფხული ზამთრის მუშა არისო; ზაფხულში შემონახული ზამთარში ცივი ქვაც თბილიაო.
92. L'homme ne vit pas seulement de pain - ადამიანი მარტო პურით არ ცოცხლობსო.
93. Manger des pois chauds - ენის მუცელში ჩაგდება.
94. Manger son gâteau dans le (sa) poche - პარტნიორებს შორის არ განაწილება.
95. Manger son pain blanc le premier - ჯერ თეთრი პური უნდა ჭამო, შემდეგ შავი.
96. Marchand d'oignon se connaît en ciboules - ხახვის ჯიშს ხახვის მოვაჭრე იცნობს; \* ქოთნის ამბავი ციცხვსა კითხეო; ქოთანში რა არის „კოვზმა იცისო „
97. Moitié figue, moitié raisin - ნახევრად ლეღვია, ნახევრად - ყურძენი; \* არც წყალია, არც ღვინოო; არც თევზია, არც ხორციო; არც თავისთვის უქნია ღმერთს, არც სხვისთვისაო.
98. Morceau avale n'a plus de goût.- გადაყლაპულ ლუკმას გემო არ აქვს; \* წარსულს ადვილად ივიწყებენ; ღამემ გაიარაო, ამაგმაც ჩაიარაო; სიკეთე ადვილად ავიწყდებათო.
99. Morceau de pain reproche s'arrête dans le gosier - დაყვედრებული პური ყელში ჩერდება; \* დაყვედრებული ლუკმა ყელს ვერ გადაივლისო.
100. Mi- figue, mi-raisin (moitié figue, moitié raisin) - არც ლეღვი, არც ყურძენი; \* არც ღვინოა, არც წყალიო; არც თავისთვის უქნია ღმერთს, არც თავისთვისაო.
101. Mieux vaut pain sec et la paix, que bonne chair et querelle - კარგ ხორცსა და ჩხუბსა, მშრალი პური და მშვიდობა სჯობიაო.
102. Nourriture passe nature - აღზრდა მემკვიდრეობაზე ძლიერია; \* ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

103. Nul miel sans fiel - არ არის თაფლი ნაღველის გარეშე; \* ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო.
104. On connaît l'arbre à ses fruits - ხე ნაყოფით იცნობა; \* როგორც ტყე ისეთი ნადირიცო; ხილის ხე ხილით იცნობაო.
105. On fait de bonne soupe dans un vieux pot - ძველ ქოთანში კარგი წვენი კეთდება; \* ძველი ქვევრი კარგ ღვინოს ინახავსო; ბებერი ხარისა რქაც კი ხნავსო; გამოცდილება სიბრძნის შვილიაო.
106. On mange bien des perdrix sans oranges - კაკაბს უფორთოხლოდაც კარგად ჭამენ; \* გემრიელ საჭმელს საწებელი არ სჭირდებაო; კარგ ფაფას ერბო არ უნდაო.
107. On n'apprend pas au fils du pêcheur à manger du poisson - მეთევზის შვილს თევზის ჭამას ვერ ასწავლი; \* შვილიშვილი ბაბუას ძველ დროს ასწავლიდაო; შვილი მამას თამაშს ასწავლიდაო.
108. On ne connaît pas le vin au cercle, ni l'homme à l'habit - როგორც ღვინოს ვერ გამოიცნობ კასრის მიხედვით, ასე ადამიანს ტანისამოსით.
109. On ne dîne pas quand on est de noce le soir - საქეიფოდ თუ მიდიხარ არ უნდა ისადილო.
110. On ne fait pas l'omelette sans casser les œufs - კვერცხები თუ არ გატეხე ერბო კვერცხს ვერ გააკეთებ; \* ვინც არ გაირჯება, პურსაც ვერ მისწვდებაო.
111. On ne peut juger de la farine que quand le pain est cuit - პურის გამოცხობამდე ფქვილი არ შეფასდება; \* ღორმა თქვა: დამკალი და შემაფასეო; ღორი როცა დაიკვლება, მისი წონა მაშინ გამოჩნდებაო.
112. On ne saurait faire une omelette sans casser les œufs - თუ კვერცხები არ გატეხე ერბო კვერცხს ვერ გააკეთებ; \* თუ ნაჭუჭი არ გააცილე ისე კაკლის გულს ვერ შეჭამო.
113. On ne saurait pas manier du beurre qu'on ne s'en graisse les doigts - კარაქში ხელს ისე ვერ ჩაყოფ, რომ არ მოგეცხოს.
114. On peut mener un âne à l'eau, mais on ne peut pas le faire boire - შეიძლება ვირი წყალთან მიიყვანო, მაგრამ ძალით ვერ დააღვინო; \* ძალად დასმული კრუხი წიწილებს ვერ გამოჩეკავსო.
115. On prend plus de mouches avec du miel qu'avec du vinaigre - თაფლით უფრო ბევრ ბუხს იჭერენ, ვიდრე ძმრით; \* ტკბილი სიტყვა რკინის კარს გაადებსო.

116. Où il y a pain, il y a souris - სადაც პურია, თავიცი იქ არის; \* ბუზი იქ გაჩნდება, სადაც თავლიო.
117. Pain acquis avec sueur est plus chéri que tartes et rôti - თავლით ნაშოვარი პურის ნატეხი სჯობია ტორტსა და მოხრაკულს; \* შენი შრომით შეძენილი ლუკმა ტკბილიაო.
118. Pain coupé n'a pas (point) de maitre - პურის ნატკერი ყველას ეკუთვნის.
119. Pain dérobé réveille l'appétit - მოპარული პური მადას აღვიძებს; \* აკრძალული ხილი გემრიელიაო; მოპარული ლუკმა ტკბილიაო; სხვისი ლუკმა გემრიელიაო.
120. Pain tendre et bois vert mettent la maison au désert - სახლის დოვლათის არათანაბრად განაწილება; \* დღეს ბევრი ხვალ არაფერიო.
121. Plus il y a de cuisiniers, moins la soupe est bonne - რამდენადაც ბევრი მზარეულია, იმდენად ნაკლებია წვენი ხარისხი; \* ბევრი მზარეული კერძს გააფუჭებსო; ბევრი ჰოი-ჰოი კამეჩსაც გააგიჟებსო
122. Porter de l'eau à la rivière - მდინარესთან წყლის მიტანა; \* ზღვას ქვიშას უმატებდნენო; ქონი აიღეს და მსუქანს მიაკრესო.
123. Pour manger la noix, il faut casser la coque - თუ გინდა კაკალი ჭამო, ნატუჭი უნდა გატეხო; \* გარჯილობასა მოჰქონდა, საწუთრო დაუღვევლიო.
124. Pour se dire ami, il faut avoir mangé ensemble un minot de sel - კაცი რომ გაიცნო, მასთან ერთი ფუთი მარილი უნდა ჭამო; \* კაცი გამოსცადე და მერე ეძმეო; კაცს საქმე გამოსცდის, ცხენს გზაო.
125. Puisque le vin est tiré, il faut le boire - დასხმულ ღვინოს შესმა უნდა; \* წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვნება ხანისაო; სათქმელი დროზე უნდა ითქვასო.
126. Quand le vin est tiré il faut le boire - ღვინოს რომ ამოიღებ, უნდა დალიო კიდევ; სათქმელი დროზე თქვიო; დაწყებულ საქმეს დამთავრება უნდაო.
127. Quand nous serons morts fera les vignes qui pourra - ჩვენ რომ დაგოხოცებით, ვენახს ის მოუვლის ვინც შეძლებს; \* ჩემს იქით გინდ კუნძს მოხვდეს, გინდ კაცსაო; შენს იქით კაცის ისრის კვრა ბუკის ცემას დაადარეო.
128. Quand on a pressé l'orange on jette l'écorce - როცა ფორთოხალს გამოწურავენ, კანს გადააგდებენ; \* ღამემ გაიარაო, ამაგმაც ჩაიარაო.
129. Qui a bu boira - ვისაც დაუღვევია, ის კვლავაც დაღვევსო; \* კუზიანს სამარე გაასწორებსო; ჩველება რჯულზე უმტკიცესიაო.

130. Qui a fait la faute, la bois (il a fait la faute, qu'il en boive la sauce) - ვინც დააშავა, იმან გამოასწოროსო; \*ძაღლი ვინც მოკლა, მანვე გადაათრიოსო; ვინც ძაღლს მოკლავს, იმასვე გადაათრევენებნო.
131. Qui a pris un œuf prendra un bœuf - ვინც კვერცხს მოიპარავს, ის ხარსაც მოიპარავს: \*აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო; ნემსის ქურდობას აქლემის ქურდობა სჯობიაო.
132. Qui a tiré le vin le boit - ღვინო ვინც დაასხა, იმან დალიოს; \*ძაღლი ვინც მოკლა, იმანვე გადაათრიოსო.
133. Qui casse les verres, le paie - ვინც ჭიქას გატყეს, ის გადაიხდის; \* ვინც ჭამსო, ის ზღვაგსო; ძაღლი ვინც მოკლა, მანვე გადაათრიოსო.
134. Qui chapon mange, chapon lui vient - ვინც ყვერუღს ჭამს, ყვერუღიც მასთან მიდის ; \* ნადირი მონადირეს ეტანებაო.
135. Qui dort, dîne - ვისაც სძინავს, ის სადილობას; ძილი ადამიანს ძაღლსაც აღუდგენს და საკვების მაგივრობასაც გაუწევს.
136. Qui garde de son dîner, il a mieux à souper - ვინც სადილიდან მარავს მოიტოვებს, ის უკეთ ივასშმებს.
137. Qui ne travaille pas, ne mange pas - ვინც არ მუშაობს, არ ჭამსო; ვინც არ გაირჯება, პურსაც არ მისწვდებაო
138. Qui ne vient à l'heure, dîne pas cœur- დროზე ვინც არ მოდის, ის უსადილოდ რჩება; \* დროზე მთესველი დროზე მოიმკისო; ვინ დროზე არ მოდის, ის უსადილოდ რჩებაო; ვინც დაიხარაო, არ გაიხარაო.
139. Qui s'attend à l'Ecueille d'autrui a souvent mal dîné - ვინც სხვის თეფშს უცდის, ხშირად უსადილო რჩება; \*ვინც მეზობლის იმედით იქნება, უვასშმოდ დარჩებაო; სხვის იმედზე ფართო ლოგინს ნუ დააგებო; სხვისი იმედით მდინარეში არ უნდა შესვიდეო.
140. Qui sème bon grain, recueille bon pain - ვინც კარგ თესლს თესავს, ის პურსაც კარგს იმკის; \* რასაც დასთესავ, იმას მოიმკიო; კარგი თესლი კარგ მიწაში არ დალპებაო; რასაც გაასესხებ, იმასვე ჩაისესხებო.
141. Qui va à noce sans prier s'en revient sans dîner - ვინც დაუპატიუებლად მოდის, ის მშიერი მიდის; \* დაუპატიუებელ სტუმარს აბუჩად აიგდებნო.
142. Qui veut l'œuf, doit supporter la poule - ვისაც კვერცხი უყვარს, ქათმის კაკანიც უნდა აიტანოსო; ვისაც თევზი უნდაო, ფეხიც სველი უნდაო.

143. Se servir de la partie du chat pour tirer les marrons du feu (tirer les marrons de la patte du chat)-სხვისი ხელით წაბლის ცეცხლიდან გამოღება; \* სხვისი ხელით ნარის გლეჯა; სხვისი ხელით ჯოხი მსუბუქი სასროლიაო.
144. Si on lui tordait le nez, il en sortirait du lait-ცხვირზე რომ ხელი მოუჭირო, რძე გადმოსდინდება; \*ჯერ პირზე დედის რძე არ შემრობიაო; ჯერ უღვაში არ ამოსვლიაო.
145. Si tu veux du beurre, il en faut battre-ერბო თუ გინდა, მისი დღეებაც უნდა გინდოდეს; \* ვისაც თევზი უნდა, ფეხიც სველი უნდაო; ვინც ჭამსო, ის ზღვავესო; ვისაც კვერცხი უყვარს ქათმის კაკანიც უნდა აიტანოსო.
146. Tant de bruit pour une omelette-ბევრი ხმაური ერბო კვერცხისთვის; \* ტკაცატკუცი ბევრია, ნაკვერჩხალი კი არა ჩანსო; ისე არა წვიმს, როგორც ქუხსო.
147. Tant va la cruche à l'eau qu'elle se brise-კოკა წყალზე მანამ ივლის, სანამ არ გატყდება; \* კოკა მუდამ წყალს არ მოიტანსო.
148. Tant vaut l'eau, tout vaut la terre-რამდენადაც მეტს მორწყავ მიწას, იმდენად უკეთესი მოსავალი იქნება.
149. Tel grain tel pain - როგორიც ხორბალია, პურიც ისეთია; \* რაც ხეა, ნაფოტიც იგივეა; დედა ნახე, მამა ნახე შვილი ისე გამონახეო
150. Tout ce qui est blanc, n'est pas farine - რაც თეთრია ყველაფერი ფქვილი როდია; \* აგურის ნატეხი ლალს შეუდარეს, აქაო და წითელიაო. ბუზი ბევრი ბზუისო და ფუტკართან ყველა ტყუისო.
151. Tout pain est sain à qui a faim - მშიერისათვის ყველა პური კარგია; \*შიმშილმა ხმელა არ იცის და სიცივემ - ძველაო; მშიერი პურსა აქებდა უმსა და უმარილოსა.
152. Trop boire noie la mémoire - ლოთობა მეხსიერებას აჩლუნგებს; \*ლოთობა მეხსიერების მტერიაო.
153. Trop vieux ne mord pas à l'appât - ბებერი თევზი ანკესზე არ წამოეგება; \*დაგეშილი ჩიტი ბადეში არ მოხვდებაო.
154. Un dîner réchauffé ne valut jamais - გაცხელებული სადილი არ ვარგა; \* ყველაფერს თავის დრო აქვსო; თავის დროზე დალეული შესამიც კი ტკბილიაო.

155. Un peu de fiel gâté beaucoup de miel - ცოტა ნაღველი ბევრ თაფლს აფუჭებს; \*ერთმა ბილწმა თავგმა ასკოკიანი ქვევრი წაბილწაო; წუწკი ღორი სხვებსაც გასვრისო.
156. Ventre affamé n'a point d'oreilles - მშიერ მუცელს ყურები არა აქვს; \*მშიერ კაცს ცარიელი სიტყვებით ვერ გამოკვებავო, ლოცვით მუცელი არ გაძღებაო.
157. Ventre affamé prend tout en gré - დამშეული კუჭი ყველაფერს სიამოვნებით მიირთმევს; \* შიმშილმა ხმელა არ იცის და სიცივემ ,, ძველაო“.
158. Veux-tu des œufs ? Souffre le caquetage des poules - თუ კვერცხი გინდა, ქათმების კაკანიც უნდა აიტანო; \* თუ ცხელი პური გინდა მუგუზლის ბოლიც აიტანეო.
159. Vin versé n'est pas avalé - დასხმული ღვინო შესმულად არ ჩაითვლება.
160. Vivre d'un hareng - ცუდად კვება (საზრდობაა); \*ხმელა პურზე გადავლა (გაჭირვებით ცხოვრება).
161. Votre vin est trop catholique - თქვენი ღვინო ძალიან თხელია.
162. Vous viendrez encore cuire à mon four - კიდევ მოხვალთ ჩემს თონეში პურის გამოსაცხობად; \*კიდევ ვნახავ ივანესა კარზე შემომჩივანესა; კიდევ დაგვჭირდებიო.

**მაგალითები თედო სახოკიას წიგნიდან : "ქართული ხატოვანი სიტყვა –თქმანი"**

1. ამოყორვა მუცლისა, კუჭისა – ხტვ. ზომაზე მეტად ამოვსება მუცლისა.
2. არც კუჭსა ხვდეს, არც სულსა – პრდ. არც კუჭს ერგოს რამე (საჭმელი) და არც სულს. ხტვ. მეტად მცირე საჭმელი, რომელიც შიმშილს სრულებით ვერ დააყუჩებს.
3. არც ქვაბი აქვს და არც ქოთანი (ოჯახში) - პრდ. ოჯახში ჭურჭელი არაფერი მოეძებნება. ხტვ. მეტად ღარიბია, უქონელი.
4. ასქეიფა – პრდ. ვისაც ასნაირი ქეიფი აქვს. ხტვ. ხუმტურიანი, ახირებული, უხიაგი, უინიანი (ითქმის ისეთ ვინმეზე, ვინც წამდაუწუმ გუნებას იცვლის: ამ წუთს კარგ გუნებაზე, რომ იყოს, მეორე წამს სულ საწინააღმდეგოდ შეიცვლის ამ გუნებას; კაცი ვერ გაუგებს, რა უნდა, რა მოსწონს, ან რა ეჯავრება .. ) .
5. აუღებელი სუფრა - პრდ. სუფრა, რომელიც აღებული არ არის, ისევ თავის ალაგზევია. ხტვ. განუწყვეტელი, გაბმული ქეიფი, სმა-ჭამა, სუფრასთან ერთავად ჯდომა.



6. აღდგომის კვერცხი – პრდ. ქათმის კვერცხი, რომელსაც ღებავდნენ წითლად აღდგომისთვის. ხტვ. გულის გამხარებელი, სალოლიავებელი, სასიამოვნო.
7. ახალი ხილია - პრდ. მებაღეობის ნაყოფი, ახლად შემოსული საჭმელად. ხტვ. უცნობი, მაგრამ სასურველი, ბევრის მქადაგებელი, ახლად დაწყებული.
8. აჯაფსანდალი გახდაო - პრდ. აჯაფსანდალად გადაიქცა. ხტვ. ძალიან აირია საქმე, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ. (საუბ).
9. ბალი დაუკრა – პრდ. „დიას“ უთხრა. ხტვ. სხვის წინაშე ქედის მოხრა, სხვას მორჩილება გამოუცხადა.
10. ბევრი კოკა წყალი ჩაივლის მანამდე – პრდ. ბევრ კოკაში ჩასატევი წყალი ჩაივლის მანამდე. ხტვ. ბევრი დრო გავა მანამდე, ბევრი რამ გამოიცვლება, სანამ ეს (რაიმე) მოხდებოდეს ...
11. ბევრი საცრის პური მიჭამია – პრდ. ბევრ საცერში გატარებული ფქვილისაგან გამომცხვარი პური მიჭამია. ხტვ. ბევრი რამ გამოიცვლია, დიდხანს მიცოცხლია, ბევრი ავი და კარგი მინახავს.
12. ბოლოკი და ხბოს თავი – პრდ. შეძლება ბოლოკისა და ხბოს თავისა. ხტვ. არაფერი. ეს თქმა დაცინვითაა.
13. გამგელება - პრდ. მგლური თვისების შეთვისება. ხტვ. გაძლიერება, აშლა, მადის გახსნა.
14. გატეხილი კოვზით ჩარევა რაშიმე – პრდ. გატეხილის კოვზით მონდომება საქმის გაკეთებისა. ხტვ. მეტიჩრობა, კაცის მიერ მონდომება იმის გაკეთებისა, რაც არ შეუძლია.
15. გემოს ჩატანება – ხტვ. გემრილება საჭმლისა, ანდა გასაკეთებელი საქმისა, სასიამოვნო მიჩნევა რისამე.
16. გამოცხობა - პრდ. საჭმლის მომზადება, ცეცხლის საშუალებით. ხტვ. დაცინვით: შეთხზვა, გამოგონება, მაგ. ტყუილისა.
17. გასუქება – პრდ. ქონის მოკიდება. ხტვ. გამდიდრება, ქონების შექენა.
18. გასხვაპურება - პრდ. სახლის გარეშე სხვაგან პურის ჭამა. ხტვ. კარის – კარს სიარული, ოჯახისათვის თავის მინებება, გაგარეულება.
19. გაუჭრელი ნესვი – პრდ. ნესვი გაჭრილი არ არის, ესე იგი არ ჩანს , მწიფვა თუ არა. ხტვ. ვისიმე (ან რისამე) თვისების შინაარსის შეტყობა გარეგნულად, შორიდან – შეუძლებელია, უნდა დაუხლოვდეთ რომ გამოიცნოთ გამოუცნობი.
20. გაღორებული – პრდ. ღორად ქცეული. ხტვ. გაუმაძღარი მარად მდომი ჭამისა.

21. გაწიწმაცება - პრდ. წიწმაცივით გახდომა. ხტვ. გაჯავრება, გაცხარება.
22. გაწყალება - პრდ. წლის მიმაცება მაგარი სამსელისათვის სიმაგრის შესასუსტებლად ; მაგარი სხეულის გათხევადება, გადნობა, წყლად ქცევა. ხტვ. განადგურება, დასუსტება, ღონის გამოცლა, დაღალვა, მოსპობა.
23. გაწყალებული - პრდ. წყლად ქცეული. ხტვ. ღარიბი, უქონელი, მოსპობილი, არაფრად ქცეული, უღონო, განადგურებული , დასუსტებული.
24. გახურებული თონე -პრდ. ძალიან ცხელი თონე. ხტვ. გაჭირვება, სატანჯველი.
25. გახურებულ თონეში ჩაყენება - ხტვ. დიდ გაჭირვებაში ჩაგდება, უკიდურს დღეში თავის ამოყოფინება.
26. გემოს ჩატანება - ხტვ. გემრიელება საჭმლისა, ანდა გასაკეთებელი საქმისა, სასიამოვნო მიჩნევა რისამე.
27. გველი შემიწვა - პრდ. შემწვარი გველი მაჭამა. ხტვ. დამიშავა, მეტად წამიხდინა საქმე, დამღუპა, დამანელა, კერაზე ცეცხლის ჩამიქრო.
28. გიჟანა ხომ არ გიჭამია !? ხტვ. ხომ არ გაგიყდი , ხომ არ გადაირიე ?
29. გირაო ქვაბივით დაათრევენ - პრდ. დასაგირაველ ქვაბივით ყველგან დააქვთ. ხტვ. რაიმე საგანი, ყველგან და ყოველთვის რომ ატარო, ადგილსა თუ უადგილოსა.
30. გოგრა - პრდ. ბოსტნეულის მსხვილი ხილი . ხტვ. ვითომ ჭკუიანია ! (საუბ. ირონ).
31. გრძელი სუფრა - პრდ. გრძლად გაშლილი სუფრა. ხტვ. დიდხანს რომ უსხედან ასეთი სუფრა, გვიანობამდე აუღებელი სუფრა.
32. გუდამშიერი - პრდ. ვისაც გუდა ცარიელი აქვს. ხტვ. ღარიბი, უქონელი, საწყალი, ცარიელი, ხელმოკლე, გადაჭირვებული.
33. გულს გიპოვის - პრდ. გულს მოგანახვინებს. ხტვ. დაგამშვიდებს, კარგ გუნებაზე დაგაყენებს, მადაზე მოგიყვანს, შეგებას მოგანიჭებს, გილხენს.
34. გულს დანა მასვია - გულში დანა მაქვს ჩარჭობილი, გული დანითა მაქვს განგმირული. ხტვ. დიდი უბედურება დამატყდა თავს, დიდ მწუხარებას განვიცდი, ვკვდები.
35. გულს დასძმარავს - პრდ. გულზე ძმარს მოასხამს, გულს აზიდებს, გულს აურევს. ხტვ. აწყენს, დაადონებს, დაანადვლიანებს, გულს გაუტეხს.
36. დაღუდება - პრდ. დუდილს გამოივლის ღვინისა თუ ლუდის მსგავსად. ხტვ. გამოიცდება, ჭკუაში ჩავარდება, დადინჯდება, დადარბაისდება.

37. დამლაშება – პრდ. ზედმეტი მარილის მოკიდება საჭმელისათვის. ხტვ. ზომიერების გადაცილება ლაპარაკში, რაც სათქმელი არ არის, იმის თქმა.
38. დამპალი კომში – ხტვ. გარეგნულად ვითომ ცუდი, შიგნით კი კარგი. იტყვიან ყმაწვილზე.
39. დამპალი კიტრის ფასი – ხტვ. უღირალი, სრულიად უვარგისი, სრულიად უფასური.
40. დამრჩა ნივრის ნაქურხალი – პრდ. შემრჩა ნიორის უგულო გარსი. ხტვ. ყველაფერი წამერთვა.
41. დამუაგება – პრდ. მუაგედ გახდომა, დაძმარება. ხტვ. გასათხოვრად დარჩენა ქალისა, გაუთხოვრად დაბერება.
42. დამრჩა ნივრის ნაქურხალი – პრდ. შემრჩა ნიორის უგულო გარსი. ხტვ. ყველაფერ წამერთვა.
43. დამწვარზე მღუღარე გადმესხა- პრდ. ჯერ ცეცხლით დავიწვი და მერე დამწვარზე მღუღარე წყალი გადამესხა. ხტვ. ერთ უბედურებას მეორე უარესი უბედურება დაემატებოდა.
44. დამწვარი – ხტვ. ძუნწი, გამოუმეტებელი, პურაძვირა, ხელმოჭერილი.
45. დანა რომ დაარტყა, სისხლი არ გამოუვა - ხტვ. შეშინებულია, დადარდიანებულია, დანადგლიანებულია.
- დანასისხლად – კუთხ . სამკვდრო სასიცოცხლოდ არიან გადაკიდებული
46. დანა კრიჭას არ უხსნის, დანა პირს ვერ უხსნის – პრდ. დანასაც არ შეუძლია ერთმანეთს დაჭერილი კბილები პირისა გახსნას, ერთმანეთს დააშოროს. ხტვ. უსიცოცხლოა, მეტისმეტი დარდისა ან ბრაზისაგან მკვდარს დამსგავსებულია, მწუხარებისაგან სიტყვა ვერ უთქვამს.
- დანას გაუყრის ყელში – კუთხ. იგივეა რაც დანით ყენს გამოჭრის
47. დანივრული ხაშლამა – პრდ. ნიორგარეული ხაშლამა (საჭმელი). ხტვ. ვერ მოგართვეს კარგი რამ, ვერ ეღირსები სიკეთეს.
48. დანის ლესვა – პრდ. გაფხავება, გამახვა დანისა, დანისათვის ჭრის უნარის მომატება . ხტვ. მზადება ვისიმე სამტროდ, თავზე დასაცემად, ვისთანმე საბრძოლველად, მოსაკლავად.
49. დანის მიბჯენა ყელთან – პრდ. დანის მიღება ყელთან, როცა ადამიანი იძულებულია თავის სურვილის წინააღმდეგ გააკეთოს რამე. ხტვ. დიდი გაჭირვება, რომელიც სიკვდილს უდრის, უკიდურესი მდგომარეობა.

- 50 დაუკრეფავში გადასვლა –პრდ. გადასვლა იქ, სადაც ყურძენი ჯერ ისევ დასაკრეფია. ხტვ. აკრძალულ რისამე გაკეთება, უწესოდ მოქცევა, უხამსი სიტყვა-პასუხი, სხვისი საკუთრების მითვისება.
51. დაუყვედრებელი ლუკმა - პრდ. ლუკმა-პური, რომელსაც არავინ ამუნათებს. ხტვ. პატიოსანი შრომით შექენილი სარჩო –საბადებელი.
- 52 დაფქვა –პრდ. საფქვავის საშუალებით ფხვნილად ქცევა მარცვლეულისა. ხტვ. ყველაფერში ერთბაშად თქმა მოურიდებლად; საიდუმლოების გამჟღავნება; ტყუილისა და მართლის თქმა; სისულელის როშვა .
53. დაშაქვრა ხმისა (ან ენის) . დაშაქრული ენა – პრდ. შაქრის ფენის მოკიდება ხმაზე (ან ენაზე). ხტვ. სასიამოვნოდ, ტკბილად ხმიანობა.
54. დაძმარება – პრდ. ძმრად გადაქცევა. ხტვ. დაღონება, შეურვება, მჭმუნვარება, სასოწარკვეთილება, უიმედობა, მოწყენილობა, გულნატკენობა, სევდიანობა.
55. დაწვა –პრდ. ცეცხლის საშუალებით მოსპობა, სიმწრის განცდა ცეცხლის მიკარებისაგან. ხტვ. მოსპობა, გაუბედურება, დაჩაგვრა, რაიმე გრძნობის მწვავედ განცდა, ტანჯვა.
56. დაჭმა (ერთანეთისა) - პრდ ერთმა მეორე პირში ჩაიდო, კბილებით დაღეჭოს და გადაყლაპოს. ხტვ. მოსპობა, განადგურება.
57. დიდი ხნის პურს ვერა სჭამს ! პრდ. დიდხანს არ გაგრძელდება მისი პურის ჭამა . ხტვ. დიდ ხანს ვერ გასძლებს, დიდხანს ვერ იცოცხლებს.
58. დომხალი – პრდ. დო და სხვადასხვა მხალი. ერთმანეთში არეული. ხტვ. ალუფხული, უწესრიგო და არეული, ასვრილი.
59. დრო მოჭამა - პრდ. თავისი დრო და ხანი შესჭამა. ხტვ. თავის ცხოვრება დაასრულა, განვლო, მეტს ვეღარ იცოცხლებს.
60. ენამოთაფლული – პრდ. ენაზე თაფლდასხმული. ხტვ. მლიქვნელია, პირში მაქებელი, ტკბილად მოუბარი, ალერსიანი.
61. ენისა და პირის დაშაქვრა- პრდ. ენაზე და პირზე შაქრის დაყრა. ხტვ. ტკბილად, თვალთმაქცურად ლაპარაკი.
62. ერთი ლუკმის შეჭმა – პრდ. პირში ჩასატყევი საჭმლის გადაყლაპვა. ხტვ. მცირე რამ საჭმლის ჭმევა.
63. ერთ ტაფაში წვა – პრდ. ორსავე (ყველას) ერთ ტაფაში შეწვა. ხტვ. ერთნაირი ტანჯვა, ერთნაირი გაჭირვება.
64. ერთ ქვაბში ვიხარშვით –პრდ ერთ ქვაბში ვართ ჩაყრილები და ერთად ვიხარშებით. ხტვ. საერთო უბედურება გვადგა ყველას “ერთ ტაფაში ვიწვით”

65. ერთ ჯამში ეჭამთ – პრდ. ორს (ან მეტს) ერთი ჯამი გვაქვს კერძისათვის. ხტვ. მეგობრები ვართ, თანაშეზრდილები, ერთმანეთს უნდა ვუშველოთ გაჭირების დროს.
66. ეჭაშნიკა – პრდ. გემო ნახა. ხტვ. მოეწონა, ეგემრიელა, ჭკუაში დაუჯდა.
67. ვახშმის შებმა - პრდ. უღელში შეყენება ვახშმისა. ხტვ. დაწყება, შედგომა ვახშმისა.
68. ვერ მოგართვი დანიერული ბადრიჯანი - პრდ. დანიერული ბადრიჯნი მწნილი ვერ მიიღე ჩემგან. ხტვ. ცარიელზე დაგსვი, ვერას გამომრჩი, თავი არ მოგატყუებინე, დამარცხდი.
69. ვერ მოგართვი ღორის თავი, ვერ მოგართვი გოჭის თავი – პრდ. ჩემგან ღორის თავს ვერ მიიღებ, ისიც ალილობა დღეს. ხტვ. ჩემგან ვერას მიიღებ, ტყუილი იმედი გაქვს.
70. ვინც ამას არა სჭამს, ან დღე მოკვდება, ან ღამე – პრდ. ეს საჭმელი უნდა სჭამოს ყველამ, თორემ უეჭველად მოკვდება. ხტვ. კარგია უნდა სჭამო, წააგებ.
72. ვირის ტვინის ჭმევა - პრდ. საჭმელად ვირის ტვინის მიცემა ვისთვისმე. ხტვ. გამოსულელება, თვითონ რომ არ იცოდეს, რასა შერება, რაც უნდათ იმის გაკეთებინება.
73. თავზე ცივი წყლის გადმოსხმა – პრდ. ცივი წყლით დასველება ვისიმეთავისა. ხტვ. გულის გატეხა, იმედის გაცრუება.
74. თავი მომაჭამა ხვეწნით – პრდ. იმდენი მეხვეწა, რომ ჩემი თავი შემოეჭამა. ხტვ. ბევრი მეხვეწა, არ მომასვენა.
75. თავისა და ფეხების მოჭმა – პრდ. ვისიმე სხეულის თავისა და ფეხების მოშორება კბილებით. ხტვ. რისამე დაშავება, შეწუხება, დაკლება, დაზარალება.
76. თავის დრო მოიჭამა – პრდ. თავისი სიცოცხლის ხანი გაატარა. ხტვ. იცოცხლა, რაც ხანი უნდა ეცოცხლა, სიცოცხლე გაათავა, დაასრულა.
77. თავისი პური მოუჭამია – პრდ. შეუჭამია, რაც თავის სიცოცხლეში პური უნდა ეჭამა. ხტვ. თავისი სამყოფი დრო უცხოვრია, თავისი დრო წაუღია.
78. თავის წვენი მოხარშვა – პრდ. უწყლოდ მოხარშვა. ხტვ. საშინელი ტანჯვა, წამება.
79. თავში შეჯდომა ღვინისა – პრდ. თავში ასვლა ღვინისა და შიგ დაჯდმა. ხტვ. შეღვინიანება, ნასვამობის დამჩნევა, დათრობა.
80. თაროზე კოვზი იპოვა – პრდ. თაროზე კოვზი აღმოაჩინა. ხტვ. ვითომ დიდი საქმე გააკეთა! მას ხომ ყველაც გააკეთებდა! და დიდი ძებნა იმას უნდოდა !

81. თაფლი კაცი – პრდ. თაფლის მსგავსი კაცი. ხტვ. ტკბილი უწყინარი ყველას მოკეთე ადამიანი.
82. თაფლი სცხია ენაზე- თაფლმოსხმული ენის პატრონია. ხტვ. ტკბილი ლაპარაკი იცის; მლიქვნელი, პირფერი, მიმფერებელი.
83. თბილი პური მეგონა – პრდ. თბილ პურად მივიჩნიე. ხტვ. რაიმე გასაკეთებელი საქმე იოლად ჩავაგდე, მძიმე არ მეგონა.
84. თბილი პური ხატონად გვიჩვენებს ადამინს, რომელიც ზერეულედ ეკიდება რასმე საქმეს და არა ზომავს მისი ასრულების სიძნელე სიადვილეს და იძახის: თბილი პური მეგონაო ...
85. თვალებს წყალი ვასვათ – პრდ. თვალებს წყალი დავალევივით. ხტვ. სასიამოვნო რამ დავინახოთ, გავერთოთ, კარგ რასმე შევხედოთ, გულიდან დარდი გადავიყაროთ.
86. თვალს წყალი დავალევივით – პრდ. მოწყურებულ თვალს წყალი ვასვათ. ხტვ. მივიხედ-მოვიხედოთ, გავმხიარულდეთ, გავერთოთ.
87. თითების ჩაკვებტა საჭმელში – პრდ. თითების ბოლოების მოჭმა. ხტვ. მეტად გემრიელად ჭამა.
88. თორნე გაუქრობელი – პრდ. თორნე, რომელშიაც ცეცხლი ნიადაგ ანთია, წვა განუწყვეტელია. ხტვ. საშიშროება მუდმივი, უბედურება ნიადაგ მოსალოდნელი.
89. თორნეში ჩაყენება (ვისიმე) - პრდ. ვინმე რომ აიძულონ გახურებულ თორნეში ჩადგეს. ხტვ. საშინელი ტანჯვა, უზომო გამწარება.
90. იმათ ეზოში-ყურეში დაღვრილი ერბო აიკრიფებაო – პრდ. იმათ ეზოში ერბო რომ დაიღვაროს, ისე შეიძლება აჰკრიფოს კაცმა, რომ ერთი ბეწო მტვერი თუ ტალახი არ აჰყვეს. ხტვ. ძალიან დასუფთავებულია, წმინდადაა შენახული იქაურობა.
91. კაი კაცი - სუფრაზეო - პრდ. კარგი კაცი სუფრას უნდა უჯდეს. ხტვ. კარგი კაცი ღირსია იმისი, რომ კარგს ადგილას იყოსო.
92. კაი ლუკმაა - პრდ. გემრიელი საჭმელია. ხტვ. მიმზიდველი, სახარბიელო რამაა.
93. კატაც ვერ გაძლება მის ოჯახში – პრდ. მის ოჯახში კატის გასაძლომი, საჭმელიც კი არ არის. ხტვ. ძალზე დარბია, გაჭირვებული, უქონელი, ულუკმაპუროდ დარჩენილი.
94. კაცს პური არ ეჭმევა (ვისთანმე) - პრდ. იმასთან ერთად კაცს არ შეუძლია პური სჭამოს. ხტვ. საზიზღარი, გულის ამრევი.

95. კატკატს დაახსავლებსო – პრდ. კატკატსაც კი ჩხავილის გუნებაზე დააყენებს. ხტვ. ღვინო მეტად მჟავია.  
ეს ითქმის ნაკლებ ღირსებიან, მომჟავო ღვინოზე. ვითომ კატკატიც კი დაიწუნებსო, ადამიანის პირში არ ჩაეშვებაო!
96. კერძი – პრდ. წილი, ხვედრი. ხტვ. მოსახმარი, გამოსარჩენი, სასარგებლო.
97. კეფაზე წვენი არ დამასხა ! პრდ. თავზე წვენს ვერ დამასხამ. ხტვ. ვერას დამაკლებ, ვერ შემარცხვენ, ვერას მიზამ.
98. კვერცხში გამოწივის – პრდ. კვერცხის შიგნიდან ისმის მისი წივილი. ხტვ. ყოჩაღია, შნო აქვს ყველაფრის კეთებისა, გაჭირვებას ადვილად დაადწევს თავს, მარჯვია, ხელიდან ყველაფერი გამოუდის.
99. კენესის ჭამა ცერზე - პრდ. ცერზე მოჭერა კბილებისა კენესის გასაქარვებლად. ხტვ. გაჭირვების გაძლება, სახეზე დაუმჩნევლობა სიმწარე ტკივილისა.
100. კიტრის ფასი - პრდ. კიტრის ღირებულება. ხტვ. მეტად მცირე ფასი, უფსურობის სადარი.
101. კოვზისპირა – პრდ. კოვზის პირის მსგავსი. ხტვ. ძალზე გამხდარი, კნაჭა, თხელი.
102. კოვზის ჩავარდნა ნაცარში - პრდ. კოვზის ნაცრით მოსვრა. ხტვ. ცუდი საქმის დამართება, ხელის მოცარვა, გაუმარჯვებლობა, წაგება, ზარალი, დამარცხება, გაუბედურება.
103. კუჭი ეწვის შიმშილით, კუჭი უცხვება შიმშილით, კუჭი უხმება შიმშილით – უჭმელობისაგან კუჭი უცარიელდება. ხტვ. შია, ღარიბია, არაფერი აბადია, გაჭირვებულია.
104. კუჭის ამოვსება – პრდ. კუჭში ბევრი საჭმლის ჩაშვება. ხტვ. არსებობა, გაძლება, სიცოცხლე.
105. კუჭის მოფხანა – პრდ. ფრჩხილებით ფხეკა კუჭისა. ხტვ. შიმშილის დაყუჩება, მუცლის გაძღომა საჭმლით.
106. კუჭის შეჭკნობა – პრდ. კუჭის შეჭმუხვნა. ხტვ. კუჭის სიცარიელე, უჭმელობა, შიმშილი.
107. ლავაშის ჭმევა – თხელ და გრძელ ფურცლად გამომცხვარი პურის მიცემა საჭმელად. ხტვ. გარტყმა ლოყაში, ცემა.
108. ლართხი გამოუჩინე ჭიქას – პრდ. ფსკერი გამოუჩინე ჭიქას. ხტვ. ჭიქა დასცადე, შიგ ერთი წვეთი ღვინო არ ჩარჩეს.

109. ლეღვია – პრდ. ლეღვის მსგავსი. ხტვ. ზღაზნია, უწადინო, უშნო, დონდლო, უენერგო, გაუბედავი.
110. ლობიო - პრდ. ცერცვოვანი ოჯახის მცენარე, რომელსაც მრავალი სახე აქვს როგორც საჭმელი, ისე დეკორატიული. ხტვ. ყველაფერში უშნო ადამიანი, უგერგილო, ყოელსავე უნარს მოკლებული, მძიმე, თავის ინიციატივით არაფრის გამკეთებელი.
111. ლობიო არ მოგვიხარშა – პრდ. ლობიო არ დაგვიმზადა საჭმელად . ხტვ. პატივი არ გვცა, კარგად არ დაგვიხვდა, შესაფერად არ გაგვიმასპინძლდა
112. ლუკმა – საჭმელის ნაწილი, რამდენიც პირში ჩაეტევა ადამიანს. ხტვ. სარჩო, საცხოვრებელი, ხარჯი, მცირე რამ.
113. ლუკმა გაწყვეტილი – პრდ. ვისაც ლუკმა არა აქვს. ხტვ. ძალზე ღარიბი, სარჩო საბადებელს მოკლებული, უსახსრო, მშიერი.
114. ლუკმა-პური – პრდ. პურის ნატეხი იმდენი, რამდენიც პირში ჩაეტევა. ხტვ. სარჩო, საცხოვრებელი, სახსარი არსებობისა; მცირე.
115. ლუკმის მოთლა – პრდ. საჭმლის ნაწილის მოპოვება. ხტვ. ცხოვრების სარჩოს შოვნა, შეძენა.
116. მარილზე წასვლა, მარილზე გაგზავნა აღზევანს – პრდ. მარილის მოსატანად წასვლა (გაგზავნა ) აღზევანს. ხტვ. გარდაცვალება.
117. მაძღარი შემოდგომა – პრდ. შიმშილ მოკლული. ხტვ. კმაყოფილი; როცა სავსებაა ყველაფრისაა, ჭირნახული ბლომადაა.
118. მგლისა და ყორნის ლუკმა – პრდ. მგლისა და ყორნის შესაჭმელი. ხტვ. უპატრონოდ დასაკარგი, უგზოუკვლოდ დასაღუპავი.
119. მეტი ლუკმა გულზედ დაადგება - პრდ. მომეტებული საჭმელი გულზე დააწვება, დაამძიმებს. ხტვ. და დაცინვით მოჭარბებულ ქონებაზე უარს აბა ვინ იტყვისო !
120. მზა სუფრა - პრდ. სუფრა, სადაც საჭმელ-სასმელი ყველაფერი ალაგია .ხტვ. უშრომლად, ხელისგაუნძრევლად ნაშოვნი, შეძენილი სიკეთე.
121. მზაჭამია – პრდ. ვინც მზა-მზარეულსა ჭამს. ხტვ. ზარმაცი, ვისაც შრომა ეზარება, ვინც სხვის გაკეთებულსა ჭამს.
122. მზით გაუმაძღარი – პრდ. ვისაც მზე საძღომად არ ჰქონია. ხტვ. ვისაც მოხუცებულობამდე არ უცხოვრია, ვინც ჯერ ისევ ახალგაზრდა გარდაცვლილა.



123. მინამ პურს ნუ ჰსჯამ ! პრდ. მანამდის (სანამ რამე საქმე არ იქნება) პური ნუ გექნება საჭმელად. ხტვ. მუქარა; საწადელს ვერ ეწევი, სურვილი არ აგისრულდება.
124. მისთვის (ეს) ჩირი და ჩამიჩია – პრდ. იმას ეს (რამე) უბრალო ჩირად და ჩამიჩად უჩანს. ხტვ. არაფრად მიაჩნია, ადვილია, დარდი არა აქვს.
125. მისი მუცლის გვრემა – პრდ. მისი მუცლის ტკივილი. ხტვ. მისი გაჭირვება, მისი სადარდებელი, მისი თავში საცემი.
126. მის ნათქვამს წყალი ვერ გაატანს – პრდ. ის ნათქვამში წყალიც ვერ გავა. ხტვ. მტკიცე სიტყვის პატრონია, პირიანია, პატიოსანია.
127. მიწის ლუკმა – მიწის შესაჭმელი, ხტვ. სასიკვდილე, მიწაში დასამარხად გასახდომი.
128. მოთაფვლა - პრდ. თაფლის დასხმა რაზედმე. ხტვ. ტკბილი სიტყვების თქმა, შესაცდუნებლად, მოსატყუებლად ლაპარაკი.
129. მოთაფლული ენა აქვს - თაფლმოსხმული ენის პატრონია. ხტვ. ტკბილი ლაპარაკი იცის; მლიქვნელი, პირფერი, მიმფერებელი.
130. მოლოკილი – პრდ. ჯამზე ან თევზზე თხელი რა საჭმელიენით მოწმენდილი. ხტვ. დაცარიელებული, გაღარიბებული, ყველაფერზე ხელაღებული.
131. მომწვანილება – პრდ. მწვანილის მობერება, მისი უვარგისობა სახმარად. ხტვ. მობეზრება, გულის აცრუება, შეჯავრება, გულის აყრა, თავიდან მოშორება, დარდის გადავლა დავიწყება მწუხარებისა.
132. მოღორება – პრდ. ღორს მიმსგავსება. ხტვ. მოტყუება, შეცდენა, გაცურება.
133. მტკნარი – პრდ. უმარილო, სასმელი წყალი. ხტვ. წმინდა, ნამდვილი სუფთა. თუმცა ესეა, მაგრამ ყოველივე ეს მტკნარი ტყუილია .
134. მუქთაჭამია – პრდ. ვინც უსასყიდლოდ წამს პურს. ხტვ. მცონარა, ზარმაცი, უქნარა.
135. მუქთა პურის ჭამა – პრდ. უსასყიდლოდ ნაშონი პურის ჭამა. ხტვ. უშრომელად ცხოვრება, მუქთახორობა.
136. მუცელს ჩასტირის – პრდ. მუცელში იხედება და სტირის. ხტვ. სულ იბახის: მშიაო, სულ გაძღომისათვის ზრუნავს.
137. მუცელდმერთი – პრდ. ვისაც მუცელი გაღმერთებული აქვს. ხტვ. ჭამა-სმას გადაყოლილი, სულ საჭმელისათვის რომ ფიქრობს, სულ მუცლისათვის რომ ზრუნავს.
138. მუცლაობა –პრდ. მუცლისათვის ფიქრი. ხტვ. უზომოდ ჭამა.

139. მუცლების ჩამოცმა თავზე – პრდ. მუცელი რომ თავს ზემოდან დაიხუროსკაცმა. ხტვ. ერთავად წამა-სმაზე ფიქრი, გაუმაძღრობა.
140. მუცლის ამოყორვა – პრდ. მუცლის სიცარიელის ამოვსება. ხტვ. ძალზე გაძღომა, ბევრის ჭამა.
141. მუცლის გაღმერთება – პრდ. ღმერთად მუცლის დასახვა . ხტვ. ერთავად მუცლისათვის (ჭამა-სმისათვის) ფიქრი და ზრუნვა. უგულვებელყოფა გონებრივი თუ ზნეობრივის ცხოვრებისა, ცხოველს, დაბალ არსებას მიტოლება.
142. მწვანე კიტრივით თავი მოაქვს - პრდ. ახალშემოსულ კიტრივით თავს იწონებს. ხტვ. უსაფუძვლო ტრახახი, ბაქი-ბუქი, თავის განდიდება, ცუდმედიდობა.
143. მჭადაზნაურა – პრდ. მჭადის მჭამელი აზნაური. ხტვ. მშიერი, ღარიბი, ხელმოკლე, უქონელი, გაჭირვებული.
144. მჭადივითა ცხვება –პრდ. მჭადის მსგავსად ცხობით მზადდება საჭმელად. ხტვ. უხვად და ადვილად კეთდება რამე. იოლი საშოვარი, ყველასათვის ხელმისაწვდომი.
145. მჭადის კუტი ენატრება – პრდ. ნეტავი მწადის კუტი მომცაო. ხტვ. ძალზე ღარიბია. საჭმელი არ აბადია.
146. ნადიმის გაყრა – პრდ. ნადიმისაგან მოშორება. ხტვ. ნადიმის გათავება, ნადიმის შეწყვეტა.
147. ნადიმის დადება - ხტვ. ნადიმის გამართვა, გაწყობა.
148. ნასუფრალის გადაყრა – პრდ. ჭამის შემდეგ სუფრაზე ნარჩენის შექლევა ვისთვისმე. ხტვ. აგდება, ადამიანად ჩაუგდებლობა.
149. ნატვრის სუფრა გაუშალეს – პრდ. ყოველგვარ სასმელ (საჭმელით სავსე სუფრა დაუდგეს წინ. ხტვ. მზარმზარეულად, უშრომლად და გაურჯელად. მიართვეს ყოველივე ცხოვრებისათვის საჭირო სიკეთე.
150. ნაღების მოხდა - პრდ. რძეს ზემოდან მოქცეული ცხიმი რომ მოაცილო. ხტვ. რასმე რაც საუკეთესო აქვს, მოაცილო. სხვის ნაკეთებით სარგებლობა, ადება საუკეთესოსი.
151. ნაღები – პრდ. ჩხიმი, რომელიც რძეს თავში მოექცევა. ხტვ. რისამე საუკეთესო ნაწილი.
152. ნაღველის ჭამა - პრდ. პირში ჩაშვება მწარე ნაღველისა. ხტვ. დიდი დარღისა, ფიქრისა და მწუხარების განცდა.

153. ნიერის ფასად – პრდ. იმად, რადაც ნიორი ფასობს ხოლმე. ხტვ. მეტად იაფად, თითქმის მუქთად.
154. ნიორი დანაყა – ხტვ. საჯდომზე დაეცა ბავშვი.
155. ნიორწალივით გადაესხა ყველას – ნიორწყლის მსგავსად დაესხა თავზე ყველას. ხტვ. ყველა წაახსუბა, გადაჰკიდა ერთმანეთს, მშვიდობინაობა დაარღვია.
156. ნოეს ვაზის ღვინო – პრდ. ბიბლიურ მამამთავრის ნოეს ვაზის ყურძნისაგან დაწურული ღვინო. ხტვ. საუკეთესო ღირსების ღვინო.
157. ნუნუასა სწყალობს – პრდ. ღვინოს მოწყალე თვალთ უყირებს. ხტვ. ღვინის სმა უყვარს, მსმელია.
158. ობლის ლუკმა – პრდ. უდემამოს საჭმელი. ხტვ. დარიბული, გაჭირებული ცხოვრება.
159. ორივე ყბით ჭამა – პრდ. ჭამის დროს ორივე ყბა მუშაობდეს . ხტვ. მაღიანად ჭამა.
160. პილპილმოყრილი მადლი - პრდ. მადლი, რომელსაც ზემოდან პილპილი მოჰყრია. ხტვ. დაყვედრებელი, ლანძღვა დატანებული სიკეთე.
161. პირიდან ლუკმას იღებდა და იმას აჭმევდა – პრდ. თავის პირში ჩადებულ ლუკმას გარეთ გამოიღებდა და ვინმეს აძლევდა საჭმელად. ხტვ. თვითონ იკლებდა და სხვას აძლევდა, მოყვასი თავის თავს ერჩინა.
162. პირიდან ლუკმის გამოგლეჯა, პირიდან ლუკმის გამოცლა, პირიდან ლუკმის წართმევა - პირში ჩადებული ლუკმის წართმევა. ხტვ. ქონების წართმევა, ძარცვა, გლეჯა, ცარიელზე დასმა.
163. პირის გასველება – პრდ. პირში სველის, ნამიანის რისამე შეშვება. ხტვ. რაიმე ხილის (წყლიანის) ჭამა.
164. პირის გემო – პრდ. პირის სიტკბო. ხტვ. ნარჩევი საჭმლის სიყვარული.
165. პირის მიკარება (საჭმლისთვის) – პრდ. პირით შეხება საჭმლისათვის. ხტვ. მცირედის რისამე შეჭმა, უფრო ხშირად გაბუტულის ან უმადოდ მყოფ ავადმყოფის მიერ.
166. პირის ჩატკბარუნება – პრდ. პირში ტკბილი საჭმლის ჩაშვება. ხტვ. სიამოვნების განცდა; ტკბილით გათავება ჭამისა.
167. პირის წყალი – პრდ. პირში მდგარი წყალი. ხტვ. სინდისი, პატიოსნება.
168. პირში არ ჩაიშვება – პრდ. შეუძლებელია პირში ჩაშვება რისამე. ხტვ. უგემურია, ცუდია, მწარეა არ იჭმევა.

169. პირში გემო ჰქონია – პრდ. კარგი საჭმელები ჰყვარებია. ხტვ. საერთოდ კარგები ჰყვარებია, კარგის ავისაგან გარჩევის უნარყ ჰქონია; კარგი გემოვნებისა ყოფლა .
170. პირში ლუკმას მითვლის – პრდ. იმას უყურებს პირში რამდენ ლუკმას ჩავიდებ. ხტვ. ჩემთვის საჭმელი არ ემეტება, მაყვედრის – გაჭამეო.
171. პირში მიცემა – პრდ. პირში ჩაუდებს (გადასაყლაპავად). ხტვ. ხელში ჩაგდება მტრისათვის, დაღუპვა პირში ჩასავარდნად, შესაჭმელად.
172. პირში ნაწილი არ ჩამსვლია – პრდ. პირში მცირე რამ არ ჩასულა. ხტვ. არაფერი მიჭამია, უჭმელი ვარ. მშიერი ვარ.
173. პირში ნერწყვი მოსდიოდა – პრდ. პირში სანერწყვე ჯირკვლების მიერ ნერწყვის გამოყოფა. ხტვ. დიდი სურვილი, გადამეტებლი ნდომა უჩნდებოდა.
174. პირში უნდა ჩაუდო – პრდ. მავანს შენ თუ არ ჩაუდე პირში საჭმელი, თვითონ ვერ მოახერხებს. ხტვ. უშნოა, მოხერხება აკლია, თუ სხვამ ადვილად არ აუხსნა, ვერ მიხვდება.
175. პირში წყალის ჩაყენება, პირში წყალის ჩაყენება – პრდ. პირის გავსება წყლით. ხტვ. გაჩუმება, ლაპარაკის შეუძლებლობა, მდუმარება ხმის ამოუღებლობა.
176. პირწყალი მოუვიდა ნდომით – პრდ. ნდომისაგან პირში წყალი დაუგროვდა. ხტვ. ძალიან მოუნდა (კარგის რისამე დანახვაზე).
177. პირწყლიანი – პრდ. ვისაც პირი წყლიანი აქვს. ხტვ. ლამაზი.
178. პირწყლიანობა – პრდ. როცა პირს წყალი აქვს. ხტვ. მჭერმეტყველება, ლამაზი ლაპარაკი.
179. პიტნაგება – პრდ. პიტნად მიხნევა, ან ჩაგდება . ხტვ. მოწონება, სიამოვნება, რადმე ჩაგდება.
180. პრასა- ნიახურია – პრდ. პრასისა და ნიახურის მსგავსია. ხტვ. არაფერია, უმნიშვნელოა, სალაპარაკოდ არა ღირს.
181. პურად დაჯდომა – პრდ. პურისათვის დაჯდომა. ხტვ. ჭამა-სმის დაწყება.
182. პურაძვირი – პრდ. ვინც სხვისთვის პურს ძვირად იმეტებს. ხტვ. ვისაც სტუმარი არ უყვარს, გულუხვად არ უხვდება ხოლმე მომსვლელს, სტუმრისათვის საჭმელ-სასმელის მიცემა ეჯავრება.
183. პური აღარ მიჭამია – პრდ. პური აღარ მექნება საჭმელად. ხტვ. და ირონიულად : დავიდუპები, რაღა მეშველება.

184. პური არსობისა – პრდ. არსებობისათვის საჭირო საზრდო. ხტვ. საჭირო აუცილებელი საზრდო ჩვენი ცხოვრებისათვის.
185. პური აღარ იჭმების შენთან – პრდ. შენთან ერთად სუფრაზე ვერ დაჯდება კაცი და პურს ვერა სჭამს. ხტვ. უსვინდისო ხარ, აუგიანი, შერცხვენილი.
186. პური დაჯდა – პრდ. პურის ნატეხმა ვერტიკალური მდგომარეობა მიიღო. ხტვ. სტუმარი მოვა.
187. პური ერთად გაგვიტეხია - პრდ. პური ერთად ნატეხებად გვიქცევიან. ხტვ. პური ერთად გვიჭამია; ერთად გვიცხოვრია, ერთმანეთის მახლობელნი, მეგობარნი ვართ.
188. პურით გავსება ბელისა – პრდ. ბელელში ბლომად პურის ჩაყრა. ხტვ. სამსახური, თავის ნაოფლარის მიცემა ვისთვისმე.
189. პურის კუტი ენატრება – პრდ. ნატრობს, თუ პური არა, კუტი მაინც მომცა პურისაო. ხტვ. ძალზე გაჭირვებულია ნახევრად მშიერია.
190. პურის სახელის დავიწყება – პრდ. ვერ მოგონება თუ რა ჰქვიან პურსა. ხტვ. გაძეკეება, მოუცლელობა, მეტისმეტად გართულ მდგომარეობაში ყოფნა.
191. პურის წილ ქვის მიცემა – პრდ. პურის მთხოვნელს ქვა, რომ მისცე. ხტვ. ბოროტება, გულქვაობა, შეუბრალებლობა, უღმობელოება.
192. პურის ჭამა – პრდ. საჭმელად პურის ხმარება. ხტვ. ცხოვრება.
193. პურმარილზე ფეხის დადგმა, პურ-მარილი – პრდ. პური და მარილი. ხტვ. პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა.
194. პურ-მარილი კალთაზე უყრია – პრდ. საჭმელი კალთაზე აქვს მოთავსებული. ხტვ. პატივისცემის დახსომება არ იცის. (ეს გამოთქმა მიუღებია ისეთ კაცს, რომელიც არ აფასებს სხვის ამაგს. ადვილად ივიწყებს).
195. პურ-მარილიანი – პრდ. ვისაც პური და მარილი აქვს. ხტვ. სტუმართმოყვარე, ვისაც უყვარს გულუხვად დაუხვდეს ხოლმე სტუმარს, სტუმრისთვის საჭმელ-სასმელი არ ეზოგებოდეს.
196. პურ-მარილის დავიწყება – პრდ. პურისა და მარილის ჭამის არმოგონება. ხტვ. პატივისცემის დავიწყება, სიკეთის დაუხსომლობა.
197. პურ-მარილობა – პრდ. საცა სუფრაზე პური და მარილია და სჭამენ. ხტვ. პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა.
198. პურ-მარილუწამებელი – პრდ. ვისაც პურ-მარილი არა სჭამს, ვისაც პურ-მარილის პატივისცემა არა აქვს. ხტვ. ვინც პატივისცემის ფასი არ იცის, ვინც პატივისცემისათვის სამაგიეროს გადახდა არ იცის.

199. პურსა და წყალზე ყოფნა – პრდ. ვისიმე მოცემულ პურითა და წყლით საზრდოობა. სხვის კმაყოფაზე ცხოვრება, სხვისი ხარჯით არსებობა, სამოწყალოდ დარჩენა, სხვისი შესანახი.
200. პურს მაჭმევს – პრდ. პურს მაძლევს საჭმელად. ხტვ. მარჩენს, შემინახავს, მაცხოვრებს.
201. პურშავი – პრდ. შავპურიანი. ხტვ. პურადვირი, უპურმარილო, სხვისათვის პური რომ არ ემეტება.
202. პურ-ღვინისათვის ფეხი დამიდგა – პრდ. ჩემი პური და ღვინო ფეხით გათელა.
203. რა თავი მოგაქვს ნიახური ფოჩივითა?! პრდ. ნიახურის ფოჩივით თავს რას იწონებ?! ხტვ. თავის მოსაწონებელი არაფერი გაქვს და მაინც თავს იწონებ.
204. რა სუფრას გამიშლი?! პრდ. რა ქსოვილს გადააფარებ ტაბლაზე პურის საჭმელად. ხტვ. რა ნარ-ნაირ საჭმელს მაჭმევ, რა პატივსა მცემ; რა სიკეთეს მიზამ, რა მეგობრულად მომეპყრობი?!
205. რა ფლავი გიცივდება! პრდ. შენი საჭმელი ფლავი თბილი არ იქნება. ხტვ. საქმე გიბრკოლდება, რასა ზარალობ?
206. რა შენი კუჭით გაზრდილი ვარ! პრდ. პური კუჭებით გაგიზრდივარ! ხტვ. ჩემს გაზრდაში რა წილი გიდევს, რა ხარჯი მოგსვლია! რა მმართვეს შენი!
207. რა წითელი კვერცხია! რა წითელი კოჭია! პრდ. წითელი კვერცხი ხომ არ არის! ხტვ. საფერებელი, სალოლიავებელი არა რის, ყველაზე უკეთესობამდე ბევრი უკლია, სხვას არავისა ჯობია.
208. რა წიწაკა გიჭამია?! პრდ. წიწაკა ხომ არ დაგიღეჭია და გადაგიყლაპავს! ხტვ. გამწარება, გაცეცხლება, გულის მოსვლა, სიანხსლე.
209. რა ხილია! პრდ. როგორი ხილია! ხტვ. რა კარგია, რა ღირსებისაა!
210. რის ფლავი, რის ბოზბაში! პრდ. რომელ ფლავზე, რომელ ბოზბაშზე მელაპარაკები? ხტვ. ლაპარაკის საგანს რას აბნელებ! მე რას გელაპარაკები და შენ რაღას ამბობ? საიდან სადაო? რა სისილელეს ჩმახავ?
211. როგორც ბუხები თაფლს, ისე მიესევიან – პრდ. ისე ეტანებიან, როგორც ბუხები თაფლს ეხევიან ხტვ. უცბად, სულსწრაფად შეეხებიან. ხელს მოჰკიდებენ
211. როგორც თევზი უწყლოდ – პრდ. როგორც თევზი უწყლოდ ვერ გასძლებს. ხტვ. აუცილებელი, ურომლისოდაც შეუძლებელია; მოკვდება.
212. როგორც თევზი წყალში – როგორც თევზი წყალში, კარგადა გრძნობს თავს. ხტვ. სრულიად ბედნიერია, თავის გემოზე ცხოვრობს.

213. როგორც კოკას წყალი გადაუგდო – პრდ. კოკის პირიდან წყლის გადაღვრა. ხტვ. სწრაფად, ხელად, თვალის დახამხამებაზე.
214. როცა იმის ხელით პური რამ გამოცხვეს, ჩვენ წილს ნუღარ დაგვიდებს – პრდ. როცა იმან პური გამოაცხოს, ჩვენ ნუ გვაჭმევს. ხტვ. უმნოა, არაფრის გაკეთება არ შეუძლია.
215. როცა მუცელი უკბილოდ ფაფასა სჭამდაო! პრდ. როცა მუცელს ფაფის საჭმელად კბილი არა სჭირდება. ხტვ. როცა ცოდნა, მიხვედრილობა საჭირო აღარ იყო, უიმათოდაც იოლს გადიოდნენ.
216. სადილის ვახშმად გარდაქმნა – პრდ. სადილისათვის ვახშმის მიყოლება. ხტვ. გამბით ჭამა, სუფრის აუღებლობა.
217. სავსე სუფრაზე ზის – პრდ. მის სუფრაზე აუარებელი საჭმელ-სასმელია. ხტვ. მდიდარია, არაფერი აკლია, საჭმელ-სასმელი საძებარი არა აქვს.
218. საპურყველო ლაპარაკი (რომელსამე ენაზე) – პრდ. პურისა და ყველის სახელის ცოდნა ლაპარაკში. ხტვ. ორიოდ უსაჭიროეს სიტყვის ცოდნა რომელსამე ენაზე.
219. საფანელი – პრდ. ფქვილი, რომელსაც ცომის დაგუნდავების დროს ხმარობენ, რომ ცომი არ ეკრობოდეს არც ვარცლდა და არც ხელსა. ხტვ. ქონება, შექლება, საშუალება არსებობისათვის.
220. საყველ-პურო – პრდ. ყველისა და პურის (მოსათხოვნელი). ხტვ. სულ ცოტა, მცირედი, უბრალო, ადვილი, ელემენტარული.
221. საჭმელია თუ სასმელი ? – პრდ. ეს(რაც) არს იჭმევა თუ ისმევა ? ხტვ. სახელდობრ რა არის, რა თვისებაა, რა ჰქვია ?
222. საჭმელმა უგოდრა – პრდ. საჭმელმა გოდრისებრ გაუხადა მუცელი. ხტვ. უზომოდ ჭამა, ძღმის დავიწყება.
223. სულით ხორცამდე გაცლა, დაღუპვა, სულით ხორცამდე გაყიდვა თავისა – პრდ. წართმევა, დაღუპვაროგორც სულისა, ისე ხორცისა. ხტვ. სავსებით დაღუპვა, არაფრის დარჩენა, ყველაფრის წართმევა.
224. სული ხორცში აღარ ეტევა – პრდ. მის სულს სხეულში ადვილი აღარ ჰყოფნის . ხტვ. გაძლიერდა, ძალა და ღონე მიიცა.
225. სულისა და ხორცის გაყრა – პრდ. სულის გაშორება ხორცსგან. ხტვ. მეტისმეტი გაჭირვება, სიკვდილი, უსასობა.
226. სუფრაზე ფეხის დადგმა – პრდ. სასმელ-საჭმელზე ფეხის დაბიჯება. ხტვ. დიდი უმადურობა, პატივისცემის დაუფასებლობა.

227. სუფრა კოჭლობს – პრდ. სასმელ-საჭმელზე ფეხის დბიჯება. ხტვ. დიდი უმადურობა, პატივისცემის დაუფასებლობა.
228. სუფრა ქვეყნისა – პრდ. სუფრა, რომელსაც ბევრნი უნდა შემოსხდნენ საჭმელად. ხტვ. ცხოვრება, კეთილდღეობა.
229. სუფრის ალაგება – პრდ. მადიდიდან ალება ყველაფრისა, საც საჭიროა საჭმლის ჭამისათვის, ჭამის გათავება, გაძღომა. ხტვ. დასრულება, მორჩომა.
230. სუფრის ამატება – პრდ. სუფრაზე ახალ ხორაგის მოტანა და ალაგება სუფრისა.
231. სუფრის გაახლება – პრდ. ახლად გადაქცევა სუფრისა. ხტვ. ახალ სანოვაგის დაწყობა სუფრაზე.
232. სუფრის გაშლა – პრდ. დაკეცილი სუფრის გაშლით გაწყობა . ხტვ. სუფრაზე მოტანა ყველაფრისა, რაც საჭიროა ჭამა-სმისათვის, საჭმელად (ან ვისიმე დასაპატიუებლად) მომზადება.
233. სხვის თეფშილოკია – პრდ. სხვის საკუთარ თეფშს რომ ლოკავს. ხტვ. სხვისი საკუთრების მოყვარული.
234. სხვის უღუფაზე ყოფნა – პრდ. სხვის სარჩო-საბდებლის მიხნევა თავისად. ხტვ. სხვის ხარჯზე ყოფნა, სხვისი სარჩენი.
235. სხვის წიქვილზე წყლის დასხმა – პრდ. წისქვილის ბორბლების საბრუნებლად ღარებში წყლის დასხმა. ხტვ. სხვის შველა, გარეშეს დახმარება და თავისიანის მიტოვება.
236. ტარმოტეხილ კოვზით ვარდნა – პრდ. უტარო კოვზის მსგავსად ერთ ალაგას გაუჩინარება. ხტვ. დაუდგრომლობა, ყველგან წაჩრა.
237. ტაფაში დაწვა – პრდ. მოხრაკვა ტაფითა. ხტვ. დიდი ტანჯვა-წვალება.
238. ტკბილი ლუკმა – პრდ. გემრიელი ლუკმა . ხტვ. პატიოსანი შრომით ნაშოვნი სარჩო, სხვისაგან დაუყვედრებელი.
239. ტყემალზე ზის – პრდ. ტყემლის ხეზე ასული ტყემლის საჭმელად. ხტვ. უვიცია , ქვეყნიერებისა არა გაეგება-რა, ტყუილი და მართალი ერთმანეთისაგან ვერ გაურცევა.
240. ტყემლის ჩირად მიხნევა – პრდ. ტყემლის ჩირის ღირსებისა. ხტვ. უფასური ძალზე მდარე. სულ უბრალო.
241. უგინებლად პური ვერ უჭამია პრდ. რამდენ ლუკმას ჩაიდებს პირში, იმდენი უნდა შეიგინოს. ხტვ. საღანძღავის სიტყვების მოყვარულია, ერთთავად იგინება.



242. უიმისოდ პურსაც კი არ სჭამდა პრდ. პური მარტოს არ უნდა ეჭამნა, ისიც თან უნდა ჰყოლოდა. ხტვ. ძალიან უყვარდა, დიდი მეგობარი იყო.
243. უიმისოდ წყალს არ დაღევს – პრდ. მარტო, უიმისოდ წყალსაც კი არ დაღევს. ხტვ. ძალიან უყვარს, იმის სიყვარულში სული ამოსდის.
244. უმარილო – პრდ ვისაც ან რასაც მარილი აკლია, ან სულ არა აქვს. ხტვ. უმნო, ულამაზო.
245. უმძრახი წყალი – პრდ. ჯერ რომ არ ალაპარაკებულა. ხტვ. უმანკო, ხელშეუხებელი.
246. უპურ-მარილო – პრდ. ვინც პურსა და ამარილს არ იძლევა, ან ვინც პურისა და მარილის დაფასება არ იცის. ხტვ. ვინც პატივისცემისა და ამავის დაფასება არ იცის.
247. უტკივარი ლუკმის ჭამა – პრდ. უმტკივნეულო ლუკმის ჭამა . ხტვ. პატიოსანი, უყვედრელის შრომით თავის რჩენა.
248. უღვინოდ დათრობა – პრდ. ღვინის უსმელად დათრობა. ხტვ. ძალზე გამხიარულება .
249. უწყალო – პრდ. ვისაც წყალი არ ემეტება სხვისათვის, ვინც წყალს არ იძლევა. ხტვ. უღმობელი, შეუბრალებელი, გულქვა, ვის გულს სხვათა შეცოდება არ ეკარება.
250. ფაფის გამოღება პირიდან – პრდ. პირში მოთავსებული ფაფის ამოღება პირიდან . ხტვ. სალაპარაკოდ მომზადება, ლაპარაკის დაწყება.
251. ფეხების ლოკვა (ვისთვისმე) – ვისიმე ფეხებზე ენის გასმა- გამოსმა . ხტვ. მოფერება, მლიქვნელობა, თავის დამცირება. ვისიმე საამებლად მის წანაშე მიწაზე ხოსვა.
252. ფეხების მოჭმა (ვისთვისმე) – პრდ. სხვისი ფეხების გადაყლაპვა. ხტვ. ზარალის , ვნების მიყენება, რამე რომ არ დააკლოს ვინმემ ვისმეს.
253. ფულის ჭამა – პრდ. საჭმელად ფულის ხმარება . ხტვ. ფულის უზომოდ ხარჯვა.
254. ქალამნის მიცემა, ანუ ჭმევა – პრდ. ქალამნის გაბოძება, ქალამნის გაღება. ხტვ. ქრთამის მიცემა, მოსყიდვა, დაქრთმვა.
255. ქვაბში ხელის ჩაყოფა – პრდ. ქვაბში (საჭმლიან) ხელის მოთავსება. ხტვ. საშოვარის დასაკუთრება, რისამე მითვისება.
256. ქვა საჭმელად ენატრება – პრდ. ნატრობს საჭმელად ქვს ექნეს. ხტვ. საჭმელი პური არა აქვს, სრულებით უსაჭმელოდაა დარჩენილი.

257. ქვა ქადა ჰგონია – პრდ. როცა ქვასა ნახავს, ქადას ამსგვსებს. ხტვ. არაფერი აბადია, მშიერია, მეტად ღარიბია.
258. ქვა ჩაგივარდეს მუცელში – პრდ. ქვა მოჰყოლდეს ჩენს კუჭში. ხტვ. მოკვდი .სიცოცხლესაც გამოთხოვებისარ.
259. ქვევრში თავის ჩახრჩობა (სმით) – პრდ. გაგუდვით თავის მოკვლა ქვევრში. ხტვ. ღვინის უზომოდ სმა.
260. ქუდმოხდილად ღვინის სმა – პრდ. უქუდოდ ღვინის სმა. ხტვ. დაწმენდილი ღვინის სმა.
261. ღვინის მიერ თავის მოტაცება (მსმელისათვის) პრდ. ღვინის მიერ თავის წართმევა მსმელისათვის. ხტვ. ვისაც ცნობა დაკარგული აქვს ღვინისაგან, ვინც უგონოდ მთვრალია.
262. ღვინის შეჯდომა თავში – პრდ. თავში ასვლა ღვინისა. ხტვ. სიმთვრალის მოკიდება, დათრობის დაწყება.
263. ღვინო ახარებს გულსა კაცისასა – პრდ. ღვინო გამამხიარულებელია კაცისა. ხტვ. ღვინო უნდა ვსვათ, გვარგებს.
265. ღვინო ისეთი, რომ კაჭკაჭს დაახსავლებს – პრდ. კაჭკაჭმა რომ დალიოს ღვინო, დაიხსავლებს. ხტვ. მეტად მუავეა.
266. ღვინომ თავი დაიჭირა – პრდ. ღვინომ თავი შეინარჩუნა. ხტვ. კარგის ღირსების დადგა, კარგი ღვინო დადგა.
267. ღვინო მოეკიდა – პრდ. მსმელს ღვინომ ხელები ჩასჭიდა, ღვინო დაებლაუჭა. ხტვ. ბევრი დალია, დაითვრა.
268. ღვინო მტკვრის ტოტად გადმოშვებული – პრდ. მტკვრის ტოტის რაოდენობის ღვინო. ხტვ. სულ ბევრი, ულეველი, ქვეყნის სამყოფი და კიდევ მოსარჩენი.
269. ღვინოში სული ამოსდის – პრდ. მის სხეულს სული ეცლება, თუ ღვინო არ დალია. ხტვ. ღვინის სმას გადაყოლილია, ღოთია, ერთავად სვამს.
270. ღვინო ჩაცეცხლა – პრდ. ღვინო ცეცხლივით ჩაუვიდა. ხტვ. არ უნდა დაეღია და მაინც დალია.
271. ყელში ამოგვდის პრდ. მუცელში არ გვეტევა (საჭმელი) და უკან ყელის საშუალებით უნდა ამოგვივიდეს. ხტვ. მეტად გამაძღრები ვართ, სულ ბევრი ვჭამეთ, საჭმლით მეტად სავსენი ვართ.
272. ყელში არ ჩადის - პრდ. ყელში გაიხირება. ხტვ. ჭამა არ შეუძლია, აგებულება საჭმელს არ ღებულობს.

273. ყვავს დაახსავლებს ღვინო – პრდ. ყვავს რო დაალევიინო, ისიც კი ვერ მოითმენს და დაახსავლებს. ხტვ. მეტად ცუდია, სასმელად მუავეა.
274. ყველის გუდასებ გატენა – პრდ. ყველის გუდას მსგავსად გავსება. პირთამდე მოყრა. ხტვ. ზომაზე მეტის ჭამა.
275. ყველის ვაჭარივით იცინის – პრდ. ყველის ვაჭრის მსგავსად ეცინება. ხტვ. ერთავად სიცილი, უმიზეზოდ სიცილი.
276. ყურებზე ხახვი არ დამაჭრა – პრდ. დაჭრილი ხახვი არ დამაყარო ყურებზე! ხტვ. ვერას დამაკლებ, ვერ მომერევი . შენი მუქარა შენთვის შეინახე, ყმად ვერ გამიხდი.
277. ყურში წყალი ჩამასხა – პრდ. ყურში წყალი ჩამიყენა . ხტვ. დამაყრუა, მომატყუა, რისამე გაგონების ან მიხვედრის უნარი წამართვა.
278. შამფურა – პრდ. შამფურის მსგავსი. ხტვ. მწვავე გულის გამაწვრილებელი.
279. შამფურზე აგება – პრდ. რკინის ან ხის ჯოხზე ასხმა ხორცის ნაჭრებისა შესაწვავად. ხტვ. წვალება, ტანჯვა , გაწამება.
280. შამფურივით ტრიალებს – პრდ. შამფურის მსგავსად თავის გარშემო პბრუნავს. ხტვ. მოუსვენრად არის, იტანჯება, სწუხს, მოუსვენრობს, წვალობს.
281. შაქარი ამოსდის პირიდან – პრდ. პირიდან შაქარს უშვებს გარეთ. ხტვ. ტკბილი ლაპარაკი იცის.
282. შაქარივით კაცია – პრდ. შაქრის მსგავსი კაცია. ხტვ. ტკბილია, კეთილია, პირიდან მხოლოდ თავაზიანი და საალერსო სიტყვები ამოსდის, ყველას ეფერება, არავის უწყრება.
283. შაქარსავით გაუტკბილდა – პრდ. შაქარივით ტკბილად მოაჩვენა თავი. ხტვ. ძალიან მიუაღერსა, მიესიყვარულა.
284. შევაბათ ვახშამი (გინდა სადილი) – პრდ. უღელში შევაბათ ვახშამი. ხტვ. ვივახშმოთ.
285. შენთან მარილის სათხოვნელად არავინ მოვაო – პრდ. მარილის გამორთმევას არავინ მოგინდომებს. ხტვ. უკანასკნელი კაცი ხარ, ხელიდან არაფერი გამოგივა, კაცი ვერაფერს ჩამორჩება.
286. შენთან პური არ იჭმების –პრდ. შენთან ერთად ადამიანს პურის ჭამა არ შეუძლიან. ხტვ. უსირცხვილო ხარ, ცუდი, ავი, საძრახავი ხარ, უპატიოსნო.
287. შენი თავი ამოიჭამე – პრდ. მე კი არა შენი თავი მოისპე. ხტვ. შენ განადგურდი მოისპე, ამოწყდი, ცოცხალი არ დარჩენილიყავ!
288. შენი კუჭისა ! – პრდ. შენი კუჭისათვის. ხტვ. შენი ჭირიმე, გენაცვალე.

289. შენი ლავაში დაეხიე ! პრდ. შენს ქელესში ლავაში დამეხიოს (საჭმელად). ხტვ. შენს სიკვდილს მოვსწრებოდე, ცოცხალია არ გადაგარჩინოს.
290. შენი ქელესი მეჭამოს ! პრდ. შენის სიკვდილის გამო გამართულ ქელესს დავსწრებოდე! ხტვ. წყევლა: მოკვდი ცოცხალი ნულა იქნები.
281. შენი ხორცი შემაჭამა – პრდ. იმას მოვესწრებოდე შენი ხორცი შევჭამო საქონლის ხორცივით. ხტვ. ცოცხალი არ გადამირჩე, შენი სიკვდილი მენახოს.
292. შენს თონეში ჭინჭარიმც ამოსულაო! - შენი თონე ისე უპატრონოდ და უხმარად დარჩენილიყოს, რომ შიგ ჭინჭარს შესძლებოდეს ამოსვლა. ხტვ. შენი ოჯახი ამოწყვეტილიყოს.
293. შენს მუცელში ქორწილია, ჩემს მუცელში – ნიშნობაც არა. პრდ. შენს მუცელში დიდი ღვინია, ჩემსაში მცირე ღვინი ნიშნობისა. ხტვ. შენ ყელამდე მაძღარი ხარ, მე კი ნახევრად მშიერიო.
294. შენს პირს შაქარი ! – პირ. პირში ჩაგივარდეს შაქარი. ხტვ. ყოველი სიკეთე დაგემართოს, ბედს ეწიე, სიხარულითა და სიტკბოებით აივსე, ნეტავი კი ეგრე იყოს !
295. შერცხვენის ჩაყლაკა – პრდ. სასირცხვილო საქმის ჩაშვება მუცელში საყლაკავის საშუალებით. ხტვ შერჩენა, სამაგიეროს გადაუხდელობა.
296. შეჭამანდს მოუუხარშავ - პრდ. საჭმელს დაუუმზადებ. ხტვ. ირონიულად – ვცემ, გავლახავ, დავემუქრები!
297. შეჭიჭინებული ღვინითა – პრდ. ჭიჭინასავით ახმიანებული ღვინისაგან. ხტვ. შექვიფიანებული, ღვინო მოკიდებული.
298. შიშის ჭამა – პრდ. პირის საშუალებით შიშის ჩაშვება სხეულში. ხტვ. წუხილის განცდა რაიმე სახიფათო გარემოების გამო.
299. შხამად შემერგოს დედის რძე – პრდ. დედის რძე შხამად გადამექცეს. ხტვ. არაფრის ღირსი ვიყო, დავისაჯო.
300. ჩაიღურის წყლის დაღევა – პრდ. მდინარე ჩაიღურის წყლის შესმა. ხტვ. უკვალოდ, უიმედოდ დაკარგვა რისამე, მორჩომა, წასვლა , გათავება.
302. ჩაცეცხლება (ღვინისა) – პრდ. ცეცხლის მსგავსად ჩაშვება მუცელში. ხტვ. აგდებულის კილოთი თქმა: დაღევა.
303. ჩემ გულზე ძაღლს დაგაპურებო – პრდ. ისე დაუძღურდები, რომ ძაღლს არავინ უშლიდეს ჩემს გულზე პური სჭამოს. ხტვ. დავძაბუნდები, მოვეკვდები.
304. ჩემი წყალი დაგესხას –პრდ. ჩემის წყლითამც დასვლებულხარ. ხტვ. შენცა გხვდეს ჩემისთანა ბედნიერებაო.

305. ჩვენის წყლისაა -პრდ. იქაურია, სადაც ჩვენი წყალია. ხტვ. ჩვენებურია, ჩვენის მხრისაა, ჩვენის ქვეყნისაა.
306. ჩვენ ჩვენი პური მოგვიჭამია – პრდ. რაც ცხოვრებაში პირი უნდა გვეჭამნა, სულ შევჭამეთ. ხტვ. ჩემი ცხოვრება გამივლია, ცხოვრებისაგან მეტს არას მოველი.
307. ჩიტის რძის მეტი არაფერი აკლდათ – პრდ. ჩიტის რძელა აკლდათ. ხტვ. ყველაფერი ჰქონდათ, არაფერი აკლდათ.
308. ცეცხლზე წყლის დასხმა (ვისთვისმე) – პრდ. წყლით ჩაქრობა ცეცხლისა. ხტვ. დაღუპვა, მოსპობა, ძალზე დაზარალება, დიდი ზიანის მიყენება.
309. ცეცხლი და წყალი – პრდ. ცეცხლის და წყლის მოთავსება ერთად. ხტვ. ერთმანეთის მოწინააღმდეგე, ერთიმეორესთან შეუთავსებელი, ერთიმეორის შეუგუებელი.
310. ცეცხლის პურის ჭამა – პრდ. საჭმელად ცეცხლის პირის ხმარება. ხტვ. ტანჯვა, გამწარებული ცხოვრება.
311. ცეცხლსა და წყალსა შუა ყოფნა – პრდ. ცალმხარეს ცეცხლი იყოს და მეორე მხარეს წყალი და შუაში კიდევ ვინმე. ხტვ. დიდს გაჭირვებაში ყოფნა, გამოსავალი რომ არ ექნება კაცს, ხსნა რომ არ შეეძლოს თავისა.
312. ცივი წყალი გადაასხა – პრდ. სითბოს მოკლებული წყალი მოახვედრა სხეულს. ხტვ. უარი უთხრა, გული გაუტეხა, იმედი წაართვა, დააღონა, მოულოდნელად უსიამოვნო რამ შეახვედრა.
313. ცოდოს ჭამა – პრდ. დანაშაულის მიღება. ხტვ. დანაშაულის ჩადენა, ცოდოს მოურიდელობა.
314. ცხვირიდან ძმარი აღინა – პრდ. ჩხვირიდან ძმარი წამოუვიდა . ხტვ. საშინლად სცემა, თითქო ცხვირიდან სისხლი ედინებობს.
315. ცხვირით წყალს არ დავლევ – პრდ. ცხვირს არ გავიხდი წყლის დასაღვევ ჭურჭლად. ხტვ. თავს არ შევირცხვენ, არ გავაკეთებ იმას, რაც სხვას არ გაუკეთებია. სხვის დასაცინი არ გავხდები, საქმეს იმ ზომამდე არ გავიჭირვებ.
316. ცხვირპირს მაჭამენ -პრდ. ცხვირპირი უნდა მომიშორონ კბილებით სახისგან. ხტვ. თავს მახეზრებენ მთხვნელები, თუ მყიდველები, არ მასვენებენ.
317. ცხრამუცელა – პრდ. ვისაც ცხრა მუცელი აქვს. ხტვ. გაუმაძღარი, ბევრის მჭამელი, ღორმუცელა, ნაყროვანი, მსუნავი უძლები.
318. ცხრამჭადა – პრდ. ცხრა მჭადის შეჭმა შეუძლია. ხტვ. ბევრის მჭამელი, გაუმაძღარი.

319. ცხრა საცრის პური მიჭამია – პრდ. ცხრა საცერი სანამ გაძლებდა და ამ საცრებით რაც გაიცრებოდა, ის პური მიჭამია. ხტვ. ბევრ ალაგას ყოფილვარ, ბევრი რამ მინახავს, ბევრი ავი და კარგი გამომიცდია
320. ცხრილით ღვინის დაღევა –პრდ. ცხრილის საშუალებით ღვინის შესმა. ხტვ. შეუძლებლის საქმის გაკეთება. გარჯის დაუზოგველობა.
321. ძალათი ჩანგალზე აეგო – პრდ. განგებ ჩანგალზე წამოაცო თავი . ხტვ. ძალათი საქმე გაიჭირა, თავი ხიფათში ჩაიგდო.
322. ძაღლი არ ჭამს – პრდ. რასაც ძაღლი არა სჭამს. ხტვ. ყოვლად საზიზღარი, ისეთი, რასაც ძაღლიც კი იწუნებს საჭმელად, ყოველ ღირსებას მოკლებული.
323. ძაღლის დაპურება ვისსამე გულზე - პრდ. ვისსამე გულზე ძაღლმა პური რომ სჭამოს. ხტვ. ყოველისავე პატივის აყრა, სირცხვილის ჭმევა, თავის მოჭრა.
324. ძაღლის ხორცის მჭამელი – პრდ. ვინც ძაღლის ხორცის ჭამას არა თაკილობს. ხტვ. ავი, ბოროტი, არაკაცი, საშინელი.
325. ძაღლს ვაჭმევ ჩემ ხორცს – პრდ. ძაღლს შევეჭმევენები. ხტვ. ყველაფერს (უღირს რასმესაც) მოვითმენ, ოღონდ საწადელს ვეწიო.
326. ძირგავარდნილი ქვევრია – პრდ. ქვევრი, რომელსაც ძირი გავარდნილი აქვს. ხტვ. აუვსებელი, ბევრს, რომ იტევს.
327. ძროხა მოიხარშება შიგ (ქვაბში) – პრდ. მთელი ძროხა ჩაეტევა შიგ (ქვაბში) მოსახარშავად. ხტვ. მეტად დიდია ქვაბი, ვეება ტევადობა აქვს.
328. ძღომა არ ეკიდება – პრდ. ვერა ძღება. ხტვ. უზომოთა ჭამს. გაუმადღარია.
329. ძღომაზე – პრდ. საძღომად. ხტვ. ბევრი, რამდენიც გინდა .
330. წავიდა ის დრო, როცა მუცელი უკბილოდ ფაფასა სჭამდა - პრდ. ძველად მუცელს კბილები არა სჭიროდა ფაფის საჭმელად. ხტვ. ცხოვრება გართულდა. მასთან საბრძოლველად მეტი ცოდნა, მეტი უნარი უნდა, ვიდრე გვქონდაო.
331. წამოჭარხლება – პრდ. ჭარხალს დამსგავსება სახისა (სიწითლით). ხტვ. ბრაზისა ან სირცხვილისაგან წამოწითლება სახისა .
332. წვერის წატეხა პურისათვის –პრდ. მცირე ნაწილის მოშორება თორნეში გამომცხვარი პურისათვის. ხტვ. ბარაქის გამოუღვევლობა კიდობანში (საცა გამომცხვარი პური ინახება).
333. წითელი კვერციხი - პრდ. წითლად შეღებილი კვერცხის მსგავსი. ხტვ. სააღერსებელი, მოსაფერებელი ადამიანი.

334. წითელი კვერცხის გორება ვისთვისმე – პრდ. ჭინ წაგდება წითელ კვერცხისა ისე, რომ ინერციით ტავის გარშემო ტრიალებდეს. ხტვ. მოფერება, მოალერსება.
335. წითელ კვერცხს ვერ გაფცქვნის - პრდ. წითლად შეღებილ კვერცხს (აღდგომისას) ნაჭუჭს ვერ მოაშორებს (შესაჭმელად). ხტვ. დიდხანს ვერ გაძლებს, აღდგომამდე მოკვდება.
336. წმინდა წყლისა – პრდ. აუძღვრეველი, გამჭვირვალე წყლისა. ხტვ. უეშმაო, უზაკველი, პატიოსანი, მისანდლო, გამტანი.
337. წმინდა წყლისა არ არის (ესა თუ ის ადამიანი) – ხტვ. იმ ადგილისა არ არის სადაც წმინდა წყალია. ხტვ. გაიძვერა, ვერაგია, ეშმაკია.
338. წუთისოფლის ღხინ-ქეიფში ყოფნა – პრდ. ღხენა და ქეიფი ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში. ხტვ. ბედნიერად ყოფნა, სავსება ყოველივე სააქაო სიკეთითა.
339. წუთისოფლის მოჭმა – პრდ. შეჭმა რაც შესაჭმელი იყო სააქაო ცხოვრებაში. ხტვ. ყოველივე სიამოვნების გემება ცხოვრებაში, კარგად გატარება სიცოცხლისა, დასრულება სიცოცხლისა.
340. წყალი ვერ გაატანს იმის ნათქვამს – პრდ. იმის (ვისიმე) ნალაპარაკეში წყალსაც კი არ შეუძლია შიგ გაატანოს. ხტვ. დალაგებული ლაპარაკი იცის, ჭკუიანია, გინიერია, ბრძნულად მეტყველი.
341. წყალივით იცის – პრდ. მისი ცოდნა წყალივით (თავისუფლად) მოდის. ხტვ. ზედმიწევნით იცის. დაუბრკოლებლად აჩენს თავის ცოდნას რაიმე საგნისას.
342. წყალი ნაგუბარში ჩადგა – პრდ. საცა გუბე იყო, იქ მოთავსდა წყალი. ხტვ. საქმე ნორმალურ პირობებში ჩადგა.
343. წყალი რომ გადაასხათ, არ გაუვა - პრდ. წყალი შუაში არ გაუვათ. ხტვ. მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი, ერთიმეორის დიდი სიყვარული აქვთ.
344. წყალის დაღვრა (ვისთვისმე) – პრდ. წყლის გადაქცევა. ხტვ. დახმარება, ხელის განძრევა საშველად, პატივისცემა, მსახურება.
345. წყალის ნაყვა – პრდ. წყლის მსხვრევა ფილთაქვით. ხტვ. უსარგებლო, ტყუილი შრომა .
346. წყალის შედგომა – პრდ. ქვეშიდან ვისმე ან რასმე წყალი რომ შეუდგება ასატივტიველად, ნიადაგისაგან მოსაშორებლად. ხტვ. სიმტკიცის შესუსტება, გაფუჭება საქმისა, რღვევა, ცუდად წასვლა საქმისა.
347. წყალი ჩაგვექცა შუაში – პრდ. ჩვენს შორის წყალმა იდინა, ერთმანეთს დაგვაშორა, ხტვ. მეგობრობა, ერთმანეთის კავშირი დაირღვა, ერთობა მოისპო.

348. წყალიც არავის დაუღვია იმის სახელში – პრდ. სასმელი წყალიც კი არ მიუწვდებიათ ვისთვისმე. ხტვ. ძუნწია, პატივი არავისთვის არ უცია. სტუმართმოყვარე არა რის, გულძვირია.
349. წყალი წაიღებს – პრდ. წყალი ერთი ადგილიდან მერე ადგილას გადაიტანს. ხტვ. მოსპობს, გაანადგურებს, დაღუპავს, საშინლად დააზარალებს.
350. წყალობის თვალით გადმოხედვა – პრდ. წყლიანი თვალით ყურება. ხტვ. შებრალება, მფარველობა, გაკითხვა, დაცვა, ხელის მომართვა, შეწევნა.
351. წყალსა სცრის – საცერში წყალი უნდა გაატაროს. ხტვ. უსაქმურია, ჩხირკედელაა, შეუძლებელ რისამე გაკეთებას ებღაუჭება.
352. წყალს არ მოგვაწოდებს ხოლმე, რომ ვიხრჩობოდეთ – პრდ. რომ ვკვდებოდეთ, წყალს არ დაგვაღვინებს. ხტვ. ბოროტია, შეუბრალებელია, ცოდვა- მადლი არ იცის.
353. წყალს მიცემა - პრდ. მდინარე წყალში ჩაგდება და მისთვის გატანება ვისამე ან რისამე. ხტვ. დაღუპვა, მტრის ხელში ჩაყრა, უმიზნოდ გაწევა ხარჯისა.
354. წყალს რომ მიჰქნდეს, მაინც ღირს (ამ ფასად) – პრდ. წყლის მიერ წაღებულსაც კი აქვს ფასი, ხტვ. მეტად კარგია, ძვირფასია.
355. წყალში აფშრუკულ ნაცრის ჭამა – პრდ. წყალში არეულ ნაცრის ჭამა. ხტვ. თავისთვის დიდის გაჭირვების მიყენება, უბედურ დღეში ყოფნა.
356. წყალში ჩავარდნა – პრდ. წყალში ჩაშვება თავის ტანისა. ხტვ. თავის განწირვა, თავის გამეტება, თავის დახრჩობა, თავის მოსპობა, დაღუპვა.
357. წყალწასაღები – ვინც ღირსია წყლის მიერ წაღებისა. ხტვ. დასაღუპავი, გამოუსადეგარი, უმაქნისი, თავიდან მოსაშორებელი.
358. წყალწაღებული – პრდ. ვინც წყლის მიერ თავის მდინარეებისათვის გატანებულია. ხტვ. დასუსტებული, ძალღონე გამოცლილი, დაღუპული, ეკონმიურად დაჩაგრული, გაღარიბებული.
359. წყალ-წყალა – პრდ. წყლის თვისებისა, მოჭარბებით წყლიანი (ღვინო, წვენი, რძე და სხვ.). ხტვ. უშინაარსო, უფერული, უაზრო (სიტყვები თუ ნათქვამი).
360. წყლიანი – პრდ. რასაც წყალი ახლავს, წყლის შემცველი. ხტვ. ლამაზი, მოხდენილი, საამო, შნოიანი.



361. წყლიდან მშრალად ამოსვლა – პრდ. წყლიდან დაუსველებლად გამოსვლა. ხტვ. გასაჭირისათვის თავის დაძვრენა, თავის გამართლება, ადვილად გადარჩენა ხიფათს.
362. წყალის ამღვრევა – პრდ. გაუსუფთავება წყლისა. ხტვ. წესრიგის, მშვიდობიანი ყოფის დარღვევა, ცუდი ამბის დატრიალება.
363. წყლის აღმა შემობრუნება – პრდ. მდინარე აღმა აღინო. ხტვ. შეუძლებელის საქმის გაკეთების მონდომება, დიდი საქმის გაკეთება.
364. წყლის გადაწურვა (ვისთვისმე) – პრდ. უწყლოდ დატოვება ვისიმე, წყლის წართმევა. ხტვ. დაზარალება, გაუბედურება, შეწუხება, დაბრკოლება, წართმევა ყველაფრისა, მიუშველებლობა.
365. ჭიან ტყემალადაც არ გაგდებ – პრდ. ჭიან ტყემალადაც არ ღირხარ. ხტვ. სრულებით არაფრად მიმაჩნიხარ, ჩემს თვალში არაფრის ფასი გაქვს.
366. ჭირის მოჭმა – პრდ. სხვისი ჭირის შეჭმა. ხტვ. ხვეწნა, ვედრება; სხვის სანაცვლოდ სიკვდილი.
367. ჭრელტარა კოვზივით ჩაეჩრება – პრდ. ჭრელტარიან კოვზის მსგავსად თავი მოსწონს. ხტვ. მეტიჩრობს, ამაყოფს.
368. ჭურში ვზივართ – პრდ. ქვევრში ვართ მოთავსებულნი. ხტვ. ჩაკეტილები ვართ სადმე, არაფერი გვესმის, არაფერი გაგვეგება ქვეყნიერებისა, უმეცრები ვართ.
369. ხაბა -ხუბაზე გადასვლა – პრდ. ხაბა-ხუბას წამა. ხტვ. უბრალო რამეების კმარება საჭმელად.
370. ხაბა-ხუბას მიყრა – პრდ. უბრალო, ცუდად და უვარგისი საჭმელების მიცემა. ხტვ. ნარჩენი, მავნებელი, უსარგებლო რამეების მიცემა საჭმელად.
371. ხილი აკრძალული – პრდ. ხილი, რომლის ჭამა ნებადართული არა რის. ხტვ. ყოველივე, რის გაკეთება აკრძალულია, ნებადართული არ არის.
372. ხორცი მადნება – პრდ. ხორცი სხეულისა სითხედ იქცევა . ხტვ. ვკვდები, სიცოცხლეს ვეთხოვები. ძალიან მეშინია, ვკრთი.
373. ხორცის გლეჯა – პრდ. სხეულისაგან ნაჭერ-ნაჭერ მოშორება ხორცისა. ხტვ. ტანჯვა, წვალება, მოკვლა.
374. ხორცის დაყრა – პრდ. ხორცის ძირს დაცვენა, მოშორება სხეულიდან. Xტვ. მეტად გახდომა, დამჭლევება.
375. ხორცის შესხმა – პრდ. ხორცის მოკიდება . ხტვ. განსახირება, თვალთათვის მისაწვდომი, დასანახავი, სახილავი, ხელშესახები.

376. ხორცი ხორცისაგან და ძვალი ძვალისაგან – პრდ. იგივე ხორცი და იგივე ძვალია. ხტვ. ერთი და იგივე ღვიძლი, ერთი დედანჩემის საკუთარი შვილი, პირდაპირი ჩამომავალი.
377. ჯავრის შეჭმა – პრდ. სიბრაზის გადაყლაპვა. ხტვ. მტრისათვის სამაგიეროს მიუგებლობა.
378. ჯამიტლეკია – პრდ. ვინც ჯამსა ლოკავს ენით. ხტვ. ზარმაცი, რისამე შოვნის უნარს მოკლებული, ვისაც ხელის განძრევა ეზარება.
379. მასპინძლობა – პრდ. საჭმელ-სასმელის მირთმევა, ხორცის მოჭრა . ხტვ. პატივისცემა.
380. ნეტავი პრასა მეჭამა და ეს არ მექნაო – პრდ. პრასის ჭამა მერჩინა ამის გაკეთებას. ხტვ. სასირცხვილო დასანანი საქვიელი.
381. პირში ნაწილი არ ჩამსვლია – პრდ. პირში მცირე რამ არ ჩასულა. ხტვ. არაფერი მიჭამია, უჭმელი ვარ. მშიერი ვარ.
383. სარჩო ამამდის ბანშია – პრდ. საზრდო, საჭმელ-სასმელი სახლში აღარ ეტევა და ქვევიდან ზევით, სახლის ბანში (იგულისხმება მიწური სახლის ერდო ან სართული) ამოსდისო. ხტვ. მდიდარია, შეძლებულია, ყველაფერი თავსაყრელადაა აქვს.
384. სუფრის ბოლოს გდებული- პრდ. სუფრის ბოლოს უპატიოდ მიმჯდარი. ხტვ. უპატივცემულო, აგდებული, უყურადღებოდ დატოვებული, პატივაყრილი.
385. უკბილოდ შეჭმა და უხელოდ დამტვრევა – პრდ. საჭმელად კბილის მოუშველებლობა და დასამტვრევად ხელების უხმარლობა. ხტვ. ადვილად მორევა , შემუსვრა, გინა მოსპობა მოწინააღმდეგისა.
386. ულუფაში ქატო არ ამირიოს –პრდ. კერძში ქატოს ვერ შემირევს. ხტვ. ვერაფერს დამაკლებს, ვერაფერს მიზამს მტერი, ყურზე ხახვს ვერ დამაჭრის.
387. უმარილო. პრდ. ვისაც ან რისაც მარილი აკლია, ან სულ არა აქვს. ხტვ. უშნო, ულამაზო.
388. უქუბოდ დაცლა ჭიქისა – პრდ. ჭიქის ისე გამოცლა, რომ შიგ ქობა არა რჩებოდეს ღვინისა. ხტვ. სულ დაცლა ჭიქისა, ერთი წვეთის დაუტოვებლად.
389. ქვაბიძირა - ქვაბისი ძირის მსგავსი. ხტვ. მეტად შავი, შავტუხა.
390. შენი ციცხვი და ჯამიც კი ვიცო – პრდ. შენს სახლში როგორი ჯამი და ცაცხვი გაქვს ისიც კი ვიცი. ხტვ. დაწვრილებით, ძალიან დაახლევებით გიცნობ, შინაური ვარ.

391. ჩაყრილი ჯამია – პრდ. წენიანი ან ლობიოიანი ჯამია. ხტვ. მზარ-მზარეილი რამ, რასაც ადამიანის მიერ მოხმარება გამოყენებულა აკლია.
392. ცხვირიდან ძმარი აღინა – პრდ. ცხვირიდან ძმარი წამოუვიდა. ხტვ. საშინლად სცემა, თითქ ცხვირიდან სისხლი ედინებინოს.
393. ჭამად ქცევა – პრდ. ჭამის სახის მიღება, ჭამის დამსგავსება. ხტვ. ბევრის ჭამა, დაუსრულებლივ, უზომოდ ჭამა.
394. ჭამაზე ჭერა თვალებისა – პრდ. საჭმლისათვის მიპყრობა თვალებისა, საჭმლისათვის ზრუნვა. ხტვ. მარტოოდენ ხორციელ საჭიროებისათვის ზრუნვა, დავიწყება გონებრივის საზრდოსი.
395. ჭამტომარა – პრდ. საჭმლის ჩასაყრელი ტომარა. ხტვ. ბევრის მჭამელი, ვისაც არაფერი აძლობს.
396. ხარაზის სუფრა – პრდ. ხარაზებს, რომ ეშალათ ხოლმე, ისეთი სუფრა. ხტვ. სახელდახელო, ღარიბული სუფრა.
397. ხატის ღვინის დაღევა – პრდ. ხატის კუთვნილ ღვინის სმა. ხტვ. გაგიჟება, დამთხვეულობა.
398. ხახამშრალი – ვისაც ხახაში არაფერი საჭმელი აქვს დასასველებელი. ხტვ. ცარიელი, უარაფრო, ყველაფერ წართმეული.
399. ხახევა – მეხახევა, გეხახევა, ეხახევა, ხახვის გემოს განცდა, ხტვ. სიამოვნება, კმაყოფილება, მოწონება, გახარება.
400. ხახვივით შემრჩა – პრდ. ხახვს უკან არავინ მართმევს. ხტვ. იოლად გადაურჩი პასუხისგებას.
401. ხახვით მოსრესვა თვალების – პრდ. ხახვის წვენის მოხვედრა თვალებზე. ხტვ. განგებ ჩვენება იმ გრძნობისა, რომელსაც ნამდვილად არ განვიცდით.